



თანამედროვე ლინგვისტური კვლევების ინტეგრაციულობის არსი

ავტორი: თათია ჩირაძე

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია

საქართველოს უნივერსიტეტის

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მაია ჩხეიძე

თბილისი

2021

მიმოხილვა

თანამედროვე ლინგვისტიკაში სულ უფრო ინტენსიურია სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა „შეხვედრის“ პროცესი. აღნიშნული პროცესი გულისხმობს სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა შორის „მორფოლოგიზირებული“ ხიდების აგების პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს ინტეგრაციული ხედვის ჩამოყალიბებას ინტერდისციპლინარული სინთეზის განხორციელების გზით.

კლასიკური მეცნიერების კრიზისის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ ელემენტის მექანიკური - ელემენტის სხვა ელემენტებისაგან იზოლირებული - აღწერა არ იძლევა ფენომენის, პროცესისა თუ მოვლენის სიღრმისეული ახსნის შესაძლებლობას. შესაბამისად, არაკლასიკურმა მეცნიერებამ დაიწყო ელემენტის არსის წვდომა მის სხვა ელემენტებთან კავშირში.

იზოლირებულ სააზროვნო სივრცეთა ფარგლებში მიღებულ მონაცემთა შეჯამების შედეგს წარმოადგენს შედეგათა მექანიკური აგლომერაცია, რომლის ანალიზიც იძლევა მხოლოდ არსებითი და არაარსებითი თვისებების, მიმართებებისა და კავშირების ფრაგმენტული და ეკლექტიკური დესკრიფციის შესაძლებლობას. ამ ტიპის პროცედურას მიჰყავს მკვლევარი თეორიულ რედუქციონიზმამდე. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ტიპის პროცედურა ვერ უზრუნველყოფს ფენომენის ჰოლისტურ ხედვას. აღნიშნული ხედვის ჩამოყალიბება მხოლოდ სააზროვნო სივრცის ინტეგრაციულობას შეუძლია აქციოს რეალურ შესაძლებლობად.

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანობად ქცეულ სააზროვნო სივრცეებს გააჩნია კვლევის მსგავსი ობიექტი და ანალიტიკური აპარატი, სააზროვნო სივრცეთა გაერთიანების უმნიშვნელოვანეს პრობლემად ურთიერთსაპირისპიროთა გაერთიანება რჩება.

როგორ უნდა გადაიჭრას აღნიშნული პრობლემა? - აღნიშნული პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის, განზოგადებული საგნობრივი სქემების არსებობის შემთხვევაში. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ

შინაარსობრივ წანამძღვართა ფორმულირება და ექსპლიკაცია, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება კვლევა და მიღებულ მონაცემთა ინტერპრეტირება.

თანამედროვე ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანეს მახასიათებელსა და მაკონსტრუირებელ თვისებას წარმოადგენს სწრაფვა მთლიანობისაკენ. ამ ტიპის ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძველი ინტეგრაციული მიდგომაა, რომელიც ფოკუსირებულია სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან ახალი მთლიანობის წარმოქმნის პროცესის თავისებურებათა იდენტიფიცირებაზე, ასევე სისტემაში არსებული წესრიგის ინტენსიფიკაციაზე. ინტეგრაციული მიდგომის კონტექსტში ინტეგრაცია გააზრებულია როგორც სხვადასხვა ელემენტთა შორის არსებულ მიმართებათა ქსელის აგება. აქ შედეგს მთლიანობა წარმოადგენს.

მთლიანის ნაწილებს შორის ფიქსირდება არა უბრალოდ სუმატური, არამედ ჰორიზონტალური, ვერტიკალური, სტრუქტურული, ფუნქციონალური და მიზეზ-შედეგობრივი მიმართებები. ამ შემთხვევაში ნებისმიერი ობიექტი შეიძლება განხილულ იქნას როგორც ნაწილიც და როგორც მთელიც. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდებარეობა აქვს ელემენტს სისტემაში, რომლის ელემენტსაც თავად წარმოადგენს.

ინტეგრაციული მიდგომის ონტოლოგიურ საფუძველად მიჩნეულია ჰოლიზმის პრინციპი, რომლის თანახმადაც, მთელი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი. სხვადასხვაგვარი ნაწილების გაერთიანების წყალობით, ინტეგრაციის ყოველ ახალ დონეზე ჩნდება რაღაც თვისებრივად ახალი, რომელიც არ გამოიყვანება ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწილების თვისებათაგან. ინტეგრაციული მიდგომის გნოსეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ორიენტაცია შეთანხმებულობაზე, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმზე.

პროცესუალური თვალსაზრისით, ინტეგრაცია მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად. პირველ ეტაპზე ფორმირდება ელემენტებს შორის კავშირები, შემდეგ იშლება მათ შორის ზღვარი. შემდეგ ელემენტები კარგავენ ძველ (ინდივიდუალურ) თვისებებს, უახლოვდებიან ერთმანეთს და იძენენ ახალ თვისებებს.

თანამედროვე მეცნიერების ინტეგრაციული ვექტორი ვლინდება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფ პროცესებში. მეცნიერებაში იშლება ზღვარი დისციპლინებს შორის და იქმნება სამყაროს ერთიანი მეცნიერული სურათი. ურთიერთგამჭობი ხდება სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა ელემენტები - ცნებები, თეორიები, მეთოდები. ინტეგრაციული კვლევა იძენს ინტერდისციპლინარულ ორიენტაციას.

რამდენადაც ნებისმიერი ფენომენის კომპლექსურობა გულისხმობს მის მრავალგანზომილებიანობას, ამგვარი ფენომენის კვლევა გონივრული მხოლოდ სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა სინთეზირებითაა შესაძლებელი. სწორედ ამ სინთეზში ფართოვდება და ყალიბდება ტრადიციულ დისციპლინათა ახალი საზღვრები. როგორც წესი, ორიგინალური თეორიები იქმნება არა სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის „ბირთვში“, არამედ დისციპლინური ცოდნის „პერიფერიაზე“, სხვა სიტყვებით, მეცნიერების ინტერდისციპლინარულ საზღვრებზე.

ინტეგრაციული მიდგომა ორიენტირებულია სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა შორის ბალანსის მიღწევაზე. სწორედ ინტეგრაციული მიდგომის რეალიზაციის შედეგს წამოადგენს თანამედროვე მეცნიერების მიერ სამყაროს მთლიანური აღქმა.

მეცნიერების სფეროში ინტეგრაცია განიხილება სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა გაერთიანების კონტექსტში. „გაერთიანება“ ასოცირდება „კონსოლიდაციას“ და „დიალოგთან“. მეცნიერების ფილოსოფიის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ინტეგრაციულ პროცესთა თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების უზრუნველყოფა.

სარჩევი

შესავალი.....	6
თავი I. მეცნიერება და მეთოდოლოგია.....	10
1.1. მთლიანობრივი და სისტემური მიდგომები.....	10
1.2. მთლიანობის წარმოქმნის პროცესის თავისებურება.....	16
თავი II. აქსიოლოგია.....	27
2.1. ღირებულების თეორია	27
2.2. აქსიოლოგია მორალური ფილოსოფიის რუკაზე.....	33
2.3. ამერიკული ოცნება როგორც ამერიკული სამყაროს ღირებულებითი სურათის ბირთვი..	40
2.4. კოგნიტური სემანტიკა და აქსიოლოგია სემანტიკაში.....	47
თავი III. ლინგვოკულტუროლოგიის ინტეგრაციულობის არსი.....	52
3.1. ლინგვოკულტუროლოგია - ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის კვეთის შედეგი.....	52
3.2. ლინგვოკულტურული კონცეპტის სტაბილურობა და დინამიურობა.....	56
3.3. ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის სპეციფიკა.....	64
3.4. სივრცე ლინგვოკულტუროლოგიისა და გამოყენებითი ეთნოლინგვისტიკის დიალოგისათვის.....	76
თავი IV. კონცეპტის „ოცნება“ ანალიზი სხვადასხვა განზომილებაში.....	89
4.1. კონცეპტის „ოცნება“ ღირებულებითი მნიშვნელობა და კონცეპტის რეპრეზენტაცია ინგლისური ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემასა და დისკურსში.....	89
4.2. კონცეპტის „ოცნება“ პროტოტიპული კოგნიტური მოდელები ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში.....	98
4.3 პროტოტიპული სიტუაცია: ფრეიმული სემანტიკა, ფრეიმებისა და სცენების ანალიზი....	100
4.4. კონცეპტის „ონცება“ ფსიქოლინგვისტური მოდელის ანალიზი თანამედროვე ინგლისურ ენაში.....	112
4.5. კონცეპტის „ამერიკული ოცნება“ ობიექტივაცია მხატვრულ დისკურსში.....	123
დასკვნა.....	148
გამოყენებული ლიტერატურა.....	153

შესავალი

ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების განვითარება, წარმოადგენს ენის თეორიის არა მხოლოდ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, არამედ ლინგვისტური შემეცნების, შესაბამისად კი, ლინგვისტური მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების რთულ და წინააღმდეგობრივ ისტორიასაც.

ნებისმიერი მეცნიერების მდგომარეობა მისი ისტორიის ყოველ მონაკვეთში განპირობებულია:

1. იმ ამოცანებით, რომელსაც მას უყენებს საზოგადოება;
2. საკუთარი განვითარების ისტორიის თავისებურებით;
3. მისი მომიჯნავე და არამომიჯნავე მეცნიერებათა მდგომარეობით.

მეცნიერების განვითარება ხდება ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული და იმავდროულად, ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით, კერძოდ: შინაგანი დიფერენციაციისა და სხვა მეცნიერებებთან ინტეგრაციის მიმართულებებით. ორივე პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს ერთდროულად. თანამედროვე მეცნიერების, მათ შორის, ლინგვისტიკის მახასიათებელს წარმოადგენს პოლიპარადიგმულობა და ინტეგრაციულობა.

ხშირად სირთულე მეთოდოლოგიურ წანამძღვართა ექსპლიკაციისა, რომელიც მოითხოვს ახლებურ მეცნიერულ რეფლექსიასა და ღრმა თეორიულ ცოდნას, ვლინდება ინტეგრაციულ კვლევათა ფალსიფიცირებაში. საქმე ისაა, რომ ხშირად ინტეგრაციულად კვალიფიცირდება კვლევა, რომელშიც ერთ-ერთი დისციპლინა გააზრებულია დომინანტურად, მეორე კი - არადომინანტურად. სწორედ აღნიშნული ფაქტი განსაზღვრავს კვლევის აქტუალობას.

კვლევის მიზანია კონცეპტის ინტეგრაციული კვლევა შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე მთლიანობრივი ველის შექმნის მიზნით. კავშირი ცნებებს „მთლიანობასა“ და „მიზანს“ შორის აშკარაა. მიზნის მიღწევა გულისხმობს ქმედების დასრულებას, წრის შეკვრას, სისრულესა და სრულყოფილებასთან მისვლას. მიზანი მიღწეულია მაშინ, როდესაც აგებულია მთლიანობა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჭეშმარიტად ინტეგრაციულ კვლევაში უნდა იქნას შენარჩუნებული თითოეული სააზროვნო სივრცის მოდელები და მიდგომები, პრობლემა კიდევ უფრო რთულდება. მეცნიერული ძიების ერთიანი მიმართულება და მონაცემთა ერთობლივი ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კვლევა ეყრდნობა სააზროვნო სივრცეთა „საზიარო“ თეორიულ დაშვებებსა და მეთოდოლოგიურ წანამძღვრებს. აქ ვეხებით მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის პრინციპის სპეციფიკას. აქვე იკვეთება ამოცანები და ეტაპები, კერძოდ:

პრეინტეგრაციული ეტაპი - ამოცანა: მიზნის ანალიზი, რომელიც აუცილებელია ინტეგრაციის პირობათა გამოვლენისათვის, სტრუქტურირებულ, ფუნქციონალურად დაკავშირებულ კომპონენტთა არსებობა/არარსებობის დადგენა;

ინტეგრაციული ეტაპი - ამოცანები:

1. სტრუქტურულად მოწესრიგებულ, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ფუნქციონალურად დაკავშირებულ კომპონენტთა აბსტრაქცირება;
2. კომპონენტთა გაერთიანება კონგლომერაციის ან სინთეზის გზით.

პოსტინტეგრაციული ეტაპი - ამოცანები:

1. ინტეგრირებულ კომპონენტთა სისტემატიზაცია;
2. ცოდნის ინტეგრალური სისტემის შექმნა.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: კონცეპტის ინტეგრაციული კვლევა განხორციელებადია მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის პრინციპთა ინტეგრაციის გზით.

კვლევის მეთოდოლოგია ინტეგრაციულია. მის მსოფლმხედველობრივ საფუძველს წარმოადგენს მთლიანობრიობის პრინციპი, რომლის თანახმადაც ფენომენი განიხილება რთულ, ღია, მრავალდონიან, მრავალგანზომილებიან და დინამიურ წონასწორობაში მყოფ ერთეულად.

ინტეგრაციული მეთოდოლოგიის კონტექსტში მთლიანობრიობის პრინციპი გულისხმობს საკვლევი ფენომენის სისტემურ ანალიზს. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ ფენომენის წვდომის საფუძველს, არამედ ფენომენის კონსტრუირებისა და ანალიზის სტრატეგიასაც. სწორედ აღნიშნული სტრატეგია იძლევა არსის, სიღრმისეული კავშირებისა და თვისებების გამოვლენის შესაძლებლობას.

ინტეგრაციული მეთოდოლოგია ორიენტირებულია სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა შორის არსებული მიმართების გამოვლენაზე. კვლევა ეფუძნება იმანენტურ და არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდებისა და პრინციპების სინთეზს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე იკვეთება კონცეპტის შემდეგი დებულების პრაქტიკულ რეალიზაციაში: ინტეგრაციული მიდგომის თანახმად, მთლიანობა (კონცეპტი) წარმოადგენს არა დისკრეტულ ასპექტთა კომბინაციას, არამედ ასპექტთა შორის არსებულ მიმართებათა მთლიანობრივ, განუყოფელ ქსელს. მთელის ნაწილები (კომპონენტები, უჯრედები) მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ მთელთან მიმართების წყალობით.

კვლევის თეორიული ღირებულება მდგომარეობს:

1. მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის ალტერნატიულ მიდგომებად გააზრების რაციონალურობის დადგენაში;
2. ინტეგრალური მეთოდოლოგიის შინაარსის ანალიზში;
3. მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის კომპლიმენტარულობის არსის განსაზღვრაში.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას განსაზღვრავს კვლევის შედეგების ვალიდურობა ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიებისა და კვლევის მეთოდების, სტრუქტურული ლინგვისტიკისა და ანთროპოცენტრისტული ლინგვისტიკის სალექციო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია კონცეპტის „ოცნება“ ენობრივი რეპრეზენტატები თანამედროვე ინგლისურ ენაში. მასალა მოპოვებულია განმარტებითი ლექსიკონების, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებისა და ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზის შედეგად.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

თავი I. მეცნიერება და მეთოდოლოგია

1.1 მთლიანობრივი და სისტემური მიდგომები

რამდენად მკვეთრია სადემარკაციო ხაზი მეცნიერებასა და მეთოდოლოგიას შორის? მეცნიერება ეძებს მარადიულ „სწორ“ პასუხებს კითხვებზე, ხოლო მეთოდოლოგია წყვეტს მხოლოდ ერთ საკითხს: როგორ უნდა წარმოვადგინოთ აზრი, რა ფორმით უნდა განხორციელდეს აზროვნების ორგანიზება.

ერთი რამ აშკარაა: მეცნიერება და მეთოდოლოგია არ უშლის ხელს ერთმანეთს, მაგრამ ეს ფაქტი არ გულისხმობს მათ შორის განსხვავების არარსებობას.

ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება მეთოდოლოგიასა და მეცნიერებას შორის იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერება იძლევა თავის პროგნოზებსა და რეკომენდაციებს რეკურენტული ფენომენებისთვის, ხოლო მეთოდოლოგია ცდილობს განიხილოს ნებისმიერი ფენომენი მისი უნიკალურობისა და განუმეორებლობის თვალსაზრისით.

გასაგებია, რომ ნებისმიერი ფენომენი თუ სიტუაცია შეიძლება განვიხილოთ ორივე თვალსაზრისით. აქ ლაპარაკია განხილვის მეთოდზე და არა იმაზე, თუ როგორია ფენომენი ან სიტუაცია „სინამდვილეში“. სწორედ აქ გადის სადემარკაციო ხაზი მეთოდოლოგიასა და მეცნიერებას შორის.

აქვს თუ არა მეთოდოლოგიას მზა გადაწყვეტილებები ნებისმიერი შესაძლო შემთხვევისათვის? - ბუნებრივია, არა! უფრო მეტიც, მზა გადაწყვეტილებათა მოძიებაზე ორიენტირებაა „ანტიმეთოდოლოგიური“. მეთოდოლოგია გულისხმობს არა მხოლოდ გადაწყვეტილებების, არამედ ცოდნის გენერირებისათვის საჭირო მეთოდებისა და ხერხების სიტუაციურობასაც. სწორედ აქ იკვეთება ყველაზე მკვეთრად მეცნიერებასა და მეთოდოლოგიას შორის არსებული განსხვავება. მეცნიერების მიერ გენერირებული ცოდნა, ცოდნის გენერირებისათვის საჭირო მეთოდები და ხერხები განკუთვნილია „მრავალჯერადი“, ზოგჯერ კი „მუდმივი“ გამოყენებისათვის. ბუნებრივია, მეთოდოლოგია იყენებს აკუმულირებულ გამოცდილებას, თუმცა მეთოდოლოგია უფრო ორიენტირებულია

ახალი, თუნდაც „ერთჯერადი“ გამოყენებისათვის განკუთვნილი ცოდნის, მეთოდებისა და ხერხების შექმნაზე.

მეთოდოლოგიის სფეროში მოღვაწეობა ცვალებად და ფეთქებად ველზე მუშაობას ჰგავს. საბედნიეროდ, სწორედ აუთვისებელ ინტელექტუალურ ველზე მოძრაობისას იქმნება ახალი ცოდნა, მეთოდები და ხერხები, რომლებიც შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს სხვა სიტუაციებშიც. ხშირად თავად ეს მეთოდები და ხერხები იძლევა სიტუაციათა სხვაგვარად (ახლებურად) ხედვის შესაძლებლობას.

რითი განსხვავდება მეთოდოლოგიური მოღვაწეობის შედეგები მეცნიერული მოღვაწეობის შედეგებისაგან? - მეთოდოლოგია არ ეხება სამყაროს მოწყობის საკითხს, მეთოდოლოგიას საქმე აქვს აზროვნების ორგანიზაციის სპეციფიკასთან. მეთოდოლოგია გვთავაზობს აზროვნებისა და ქმედებათა სქემებს.

ცნობილია, რომ ერთ-ერთ დისკუსიურ საკითხს წარმოადგენს მთლიანობრივ და სისტემურ მიდგომათა შორის არსებული მიმართების არსი. ამ მიდგომათა დაპირისპირება სრულიად ხელოვნურია. მთლიანობრიობა უნდა აღვიქვათ როგორც საგნის ან მოვლენის მდგომარეობა, სისტემურობა კი ახასიათებს ელემენტთა - მთელის ნაწილთა - ურთიერთქმედებას.

სისტემურობა წარმოადგენს მიმართებათა მახასიათებელს. მთლიანის ნაწილი და სისტემის ელემენტი არ განიხილება იგივეობრივ ერთეულებად. მთლიანობას, გარკვეული შეზღუდვებით, შეუძლია ფუნქციონირება რამდენიმე ნაწილის გარეშე. იმავდროულად, ელემენტის ნგრევასთან ერთად ხდება სისტემის ნგრევა. მთლიანობა წარმოადგენს ნაწილთა არა უბრალო ჯამს, არამედ ნაწილთა ერთიანობას, ნაწილთა შორის არსებულ მიმართებათა სისტემას. სწორედ ამიტომაა მიზანშეწონილი ლაპარაკი სისტემურ მთლიანობაზე. სისტემა გულისხმობს როგორც ფუნქციებს, კავშირებსა და ელემენტებს შორის არსებული მიმართებების, ისე მთლიანობის კოორდინაციასაც.

მთლიანობრივი მიდგომა ყოველთვის არ გულისხმობს სტრუქტურული მიდგომის გადალახვას. სისტემურ მიდგომას ხშირად მიაწერენ კომპლექსურობას, რაც ნიშნავს საკვლევი ობიექტის მთელი სისრულით მოცვას. კომპლექსურობა წარმოადგენს მთლიანობრივი პრინციპის ინტერპრეტაციის შედეგს.

ინტეგრაციული მეთოდოლოგიის არსი შემდეგში მდგომარეობს: სამყაროში ყველაფერი მთლიანობრივია და მთლიანობრივ ერთეულს გააჩნია თვითრეგულაციისა და განვითარების უნარი. მთლიანობრივი ერთეული იერარქიულია. ამ იერარქიაში ყოველი ელემენტი წარმოადგენს „მთლიანს“ მისი ნაწილების მიმართ და „ნაწილს“ უფრო დიდი მთლიანობრივი ერთეულის მიმართ.

ინტეგრაციული მიდგომის ფარგლებში მთლიანობა წარმოადგენს არა დისკრეტულ ობიექტთა კომბინაციას, არამედ ფენომენტა, მოვლენათა და მიმართებათა მთლიანობრივ, განუყოფელ ქსელს. მთელის ნაწილები (კომპონენტები, უჯრედები) მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ მთელთან მიმართების წყალობით.

ინტეგრაციული მიდგომა ეძებს კითხვებზე პასუხებს სხვადასხვა სააზროვნო სივრცეებში. სწორედ ამ ტიპის მიდგომას შეუძლია სააზროვნო სივრცეთა გადალახვა და ახალი შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე მთლიანობრივი ველის შექმნა.

ინტეგრაციული მეთოდოლოგიის კონტექსტში მთლიანობრიობის პრინციპი გულისხმობს საკვლევი ფენომენტის სისტემურ ანალიზს. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ ფენომენტის წვდომის საფუძველს, არამედ ფენომენტის კონსტრუირებისა და ანალიზის სტრატეგიასაც. სწორედ აღნიშნული სტრატეგია იძლევა არსის, სიღრმისეული კავშირებისა და თვისებების გამოვლენის შესაძლებლობას.

სწრაფვა მთლიანობისაკენ ინტეგრაციული მიდგომის მეთოდოლოგიური საფუძველია, რომელიც მიზნად ისახავს არსებული ელემენტებისაგან ახალი მთლიანობის წარმოქმნის პროცესის თავისებურებათა გამოვლენას.

ინტეგრაციული მეთოდოლოგიის მსოფლმხედველობრივ საფუძველს წარმოადგენს მთლიანობრიობის პრინციპი, რომლის თანახმადაც ფენომენი განიხილება რთულ, ღია, მრავალდონიან, მრავალგანზომილებიან მყოფ ერთეულად.

ინტეგრაციული მიდგომის კონტექსტში ინტეგრაცია გულისხმობს ელემენტთა შორის არსებულ მიმართებათა ქსელის კონსტრუირებას.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა ტიპის მიმართებები ფიქსირდება მთლიანის ნაწილებს შორის? - მთლიანის ნაწილებს შორის იკვეთება სუმატური, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, სტრუქტურული, ფუნქციონალური და მიზეზ-შედეგობრივი მიმართებები.

ინტეგრაციული მიდგომის ონტოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ჰოლიზმის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, მთელი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი.

ინტეგრაციული მიდგომის თანახმად, მთლიანობა წარმოადგენს არა დისკრეტულ ობიექტთა კომბინაციას, არამედ ფენომენტა, მოვლენათა და მიმართებათა მთლიანობრივ, განუყოფელ ქსელს, რომლის ნაწილებიც მხოლოდ მთელთან მიმართებაში იძენენ მნიშვნელობას.

რა ტიპისაა ინტეგრაციის პროცესი? - პროცესუალური თვალსაზრისით, ინტეგრაცია მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად. პირველ ეტაპზე ფორმირდება ელემენტებს შორის კავშირები, შემდეგ იშლება მათ შორის ზღვარი. შემდგომ ელემენტები კარგავენ ძველ (ინდივიდუალურ) თვისებებს, უახლოვდებიან ერთმანეთს და იძენენ ახალ თვისებებს. ინტეგრაციის პროცესის ყოველ ახალ ეტაპზე ფიქსირდება თვისებრივად ახალი და ეს უკანასკნელი არ გამოიყვანება ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწილების თვისებათაგან.

ინტეგრაციული მიდგომის გნოსეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ორიენტაცია შეთანხმებულობაზე, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმზე.

რაში ვლინდება თანამედროვე ენათმეცნიერების ინტეგრაციული ვექტორი? - იგი ვლინდება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფ პროცესებში. ენათმეცნიერებაში იშლება ზღვარი დისციპლინებს შორის, ურთიერთგამჭოლი ხდება სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა ელემენტები - ცნებები, თეორიები, მეთოდები. ინტეგრაციული კვლევა იძენს ინტერდისციპლინარულ ორიენტაციას.

რამდენადაც კონცეპტის, როგორც ფენომენის, კომპლექსურობა გულისხმობს მის მრავალგანზომილებიანობას, ამგვარი ფენომენის ადეკვატური ანალიზი მხოლოდ სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა სინთეზირებითაა შესაძლებელი. სწორედ ამ ტიპის

სინთეზში, დისციპლინური ცოდნის „პერიფერიაზე“ ყალიბდება ტრადიციულ დისციპლინათა ახალი საზღვრები.

ენათმეცნიერების სფეროში ინტეგრაცია განიხილება სხვადასხვა დისციპლინათა გაერთიანების კონტექსტში. ეს „გაერთიანება“ ასოცირდება დისციპლინათშორის „დიალოგთან“.

ლინგვისტური ცოდნის ინტეგრაციულობა წარმოადგენს ექსპანსიონიზმის, ანთროპოცენტრიზმის, ექსპლონატორულობის, ფუნქციონალიზმისა და კოგნიტივიზმის მეცნიერული პრინციპების ფუნქციონირების შედეგს.

ლინგვისტიკაში ექსპანსიონიზმი ასოცირდება ლინგვისტიკის სააზროვნო სივრცის საზღვრების გაფართოებასთან, რაც უზრუნველყოფს ობიექტის კვლევის ახალ შესაძლებლობათა ძიებას.

ექსპანსიონიზმი ვლინდება ლინგვისტიკის სხვა მეცნიერებებთან „შეხვედრაში“, ასევე მომიჯნავე მეცნიერებათა გაერთიანებებში ერთ დიდ სააზროვნო სივრცედ. ექსპანსიონიზმის არსი იკვეთება რედუქციონიზმთან კონტრასტირებაში. ექსპანსიონიზმის პრინციპი წარმოადგენს სხვადასხვა მეცნიერებათა სინთეზის შედეგს, კონკრეტულ შემთხვევაში კი, ლინგვისტიკის სხვა მეცნიერებებთან - ფილოსოფიასთან, ლოგიკასთან, ფსიქოლოგიასთან, სოციოლოგიასთან, ისტორიასთან, კულტუროლოგიასთან, სისტემოლოგიასთან - აქტიური დიალოგის შედეგს. ლინგვისტიკაში ექსპანსიონიზმი გულისხმობს, ერთი მხრივ, სხვა მეცნიერებათა გავლენას ლინგვისტიკაზე, მეორე მხრივ კი, ლინგვისტიკის გავლენას სხვა მეცნიერებებზე. ექსპანსიონიზმის პრინციპი განისაზღვრება როგორც სხვა მეცნიერებებისათვის რელევანტური ცოდნის „შეჭრა“ ლინგვისტიკის სააზროვნო სივრცეში. დღეს სრულიად შეუძლებელია ახალი ლინგვისტური თეორიის არსებობა ლინგვისტიკის სხვა სააზროვნო სივრცეებთან ინტეგრაციის გარეშე.

ანთროპოცენტრიზმი - თანამედროვე სამეცნიერო სივრცის მასშტაბური ტენდენცია და თანამედროვე ლინგვისტიკის ბირთვული იდეა - რეალიზდება ენისა და ადამიანის ურთიერთქმედების სფეროში.

ანთროპოცენტრიზმის პრინციპი, ლინგვისტურ კვლევებში აქტიურად სარგებლობს საბაზისო მეთოდოლოგიის სტატუსით. იგი იძლევა ენობრივი ფენომენის კვლევის შესაძლებლობას ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით.

რაც შეეხება ფუნქციონალიზს, იგი ორიენტირებულია საკვლევი ობიექტის ფუნქციათა იდენტიფიცირებაზე. ენობრივი მოვლენებისადმი ფუნქციონალური მიდგომის ცენტრში მოქცეულია ენის როგორც ინსტრუმენტის, იარაღისა და ადამიანის ინტენციათა რეალიზაციის საშუალების არსი.

ექსპლონატორულობა წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის ტენდენციას, რომელიც მიზნად ისახავს ენის შინაგანი ორგანიზაციის სპეციფიკის ახსნას.

ექსპლონატორულობის პრინციპი რეალიზდება ექსპანსიონიზმისა და ანთროპოცენტრიზმის პრინციპების ფუნქციონირების წყალობით.

როგორც ჩანს, ცნებებს „მთლიანობას“ და „მიზანს“ შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. მიზნის მიღწევა გულისხმობს ქმედების დასრულებას, წრის შეკვრას, სისრულესა და სრულყოფილებასთან მისვლას. მიზანი მიღწეულია მაშინ, როდესაც აგებულია მთლიანობა.

ცნობილია, რომ ერთ-ერთ დისკუსიურ საკითხს წარმოადგენს მთლიანობრივ და სისტემურ მიდგომათა შორის არსებული მიმართების არსი. ამ მიდგომათა დაპირისპირება სრულიად ხელოვნურია. მთლიანობრიობა უნდა აღვიქვათ როგორც საგნის ან მოვლენის მდგომარეობა, სისტემურობა კი ახასიათებს ელემენტთა - მთელის ნაწილთა - ურთიერთქმედებას.

სისტემურობა წარმოადგენს მიმართებათა მახასიათებელს. მთლიანის ნაწილი და სისტემის ელემენტი არ განიხილება იგივეობრივ ერთეულებად. მთლიანობას, გარკვეული შეზღუდვებით, შეუძლია ფუნქციონირება რამდენიმე ნაწილის გარეშე. იმავდროულად, ელემენტის ნგრევასთან ერთად ხდება სისტემის ნგრევა. მთლიანობა წარმოადგენს ნაწილთა არა უბრალო ჯამს, არამედ ნაწილთა ერთიანობას, ნაწილთა შორის არსებულ მიმართებათა სისტემას. სწორედ ამიტომია მიზანშეწონილი ლაპარაკი სისტემურ მთლიანობაზე. სისტემა გულისხმობს როგორც ფუნქციებს, კავშირებსა და ელემენტებს შორის არსებული მიმართებების, ისე მთლიანობის კოორდინაციასაც.

მთლიანობრივი მიდგომა ყოველთვის არ გულისხმობს სტრუქტურული მიდგომის გადალახვას. სისტემურ მიდგომას ხშირად მიაკუთვნებენ კომპლექსურობას, რაც ნიშნავს საკვლევი ობიექტის მთელი სისრულით მოცვას. კომპლექსურობა წარმოადგენს მთლიანობრივი პრინციპის ინტერპრეტაციის შედეგს.

ინტეგრაციული მეთოდოლოგიის არსი შემდეგში მდგომარეობს: სამყაროში ყველაფერი მთლიანობრივია და მთლიანობრივ ერთეულს გააჩნია თვითრეგულაციისა და განვითარების უნარი. მთლიანობრივი ერთეული იერარქიულია. ამ იერარქიაში ყოველი ელემენტი წარმოადგენს „მთლიანს“ მისი ნაწილების მიმართ და „ნაწილს“ უფრო დიდი მთლიანობრივი ერთეულის მიმართ.

ინტეგრაციული მიდგომა ეძებს კითხვებზე პასუხებს სხვადასხვა სააზროვნო სივრცეებში. სწორედ ამ ტიპის მიდგომას შეუძლია სააზროვნო სივრცეთა გადალახვა და ახალი შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე მთლიანობრივი ველის შექმნა.

1.2. მთლიანობის წარმოქმნის პროცესის თავისებურება

ცნობილია, რომ ზოგიერთი თეორია არაკონსტრუქციულად მიიჩნევა ხელოვნური ინტელექტის სფეროში. მკვლევარები არაკონსტრუქციულობის მიზეზს ენის, მეხსიერებისა და „აღქმის“ პლასტების არასათანადოდ სტრუქტურირებულობაში ხედავენ.

სწორედ აღნიშნული მიზეზის აღმოფხვრაზეა ორიენტირებული თეორეტიკოსთა მცდელობა, რომელთაგან ერთნი სუბსტრუქტურულ ცოდნას „მიკრო-სამყაროებად“ წარმოადგენენ (ნიუველი, სიმონის „პრობლემათა-სივრცეებში“ (1972), ხოლო მეორენი კი ლინგვისტურ ობიექტებს დიდ სტრუქტურებად მიიჩნევენ (აბელსონი (1973) და ნორმანი 1972).

თვალსაზრისთა მრავალფეროვნებაში იკვეთება ინტეგრალური ნიშანი, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: როდესაც ადამიანი აღმოჩნდება ახალ სიტუაციაში, იგი მეხსიერებიდან ირჩევს სტრუქტურას, რომელსაც ეწოდება ფრეიმი (ჩარჩო). აღნიშნული სტრუქტურა ტრანსფორმირებადია რეალობასთან ადაპტირებისათვის საჭიროებების გათვალისწინებით.

ფრეიმი არის სტერეოტიპული სიტუაციის წარმოდგენა მონაცემთა სტრუქტურის მეშვეობით. თითოეულ ფრეიმზე მიმაგრებულია რამდენიმე ტიპის ინფორმაცია, რომელთაგან ერთი ტიპი გვაწვდის ინფორმაციას ფრეიმის გამოყენების შესახებ, მეორე ტიპი გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რისი მოლოდინი უნდა გვქონდეს, ხოლო მესამე ტიპი კი გვთავაზობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, თუ ეს მოლოდინები არ გამართლდება.

ფრეიმი წარმოადგენს კვანძებისა და მიმართებების ქსელს. ფრეიმის ზედა დონეები უცვლელია და ყოველთვის ჭეშმარიტია სავარაუდო სიტუაციასთან მიმართებაში. ქვედა დონეებს გააჩნია მრავალი ტერმინალი, რომლებიც უნდა შეივსოს სპეციფიკური მონაცემებით. თითოეულ ტერმინალს შეუძლია იმ პირობების მითითება, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს. მარტივი პირობები მითითებულია მარკერების საშუალებით.

ფრეიმთა ერთობლიობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული ფრეიმულ სისტემაში. მნიშვნელოვან ქმედებათა ეფექტი სარკისებურად წარმოქმნის გარდაქმნებს ფრეიმულ სისტემაში. სისტემის ფრეიმთა შორის განსხვავებები შეიძლება წარმოადგენდეს მოქმედებებს, მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობებს ან ცვლილებებს კონცეპტუალურ ხედვაში. სისტემის განსხვავებულ ფრეიმებს გააჩნია საერთო ტერმინალები. ეს კი ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც შესაძლებელს ხდის ინფორმაციის კოორდინაციას.

თეორიათა უმრავლესობა ფოკუსირებულია ფრეიმში მოლოდინებისა და სხვა ტიპის ვარაუდების ჩართულობაზე. ფრეიმის ტერმინალები, ჩვეულებისამებრ, შევსებულია „ნაგულისხმევი“ დეტალებით, ამიტომ ფრეიმი შეიძლება შეიცავდეს ბევრ დეტალს, რომლის ვარაუდიც კონკრეტულად არ არის გარანტირებული სიტუაციაში.

„ნაგულისხმევი“ დეტალები ერთვის ტერმინალებს. აღნიშნული დეტალების ჩანაცვლება მარტივადაა შესაძლებელი. ეს ცვლილება კი მიმართულია დეტალების უკეთ მორგებაზე არსებულ სიტუაციასთან. ამრიგად, აღნიშნული დეტალები გვევლინებიან ცვლადებად.

ფრეიმული სისტემა, თავის მხრივ, უკავშირდება ინფორმაციის მოძიების ქსელს. როდესაც შემოთავაზებული ფრეიმი ვერ ერგება რეალობას, ან როდესაც ვერ ვპოულობთ იმ

ტერმინალურ დავალებებს, რომლებიც სათანადოდ შეესაბამება ტერმინალის პირობებს, მაშინ ქსელში ხდება ფრეიმის ჩანაცვლება.

ფენომენის ხედვა ხანგრძლივი პროცესია. დეტალების აღქმას, ვარაუდების ჩამოყალიბებას, დედუქციასა და ინტერპრეტაციას დრო სჭირდება. მთელი პროცესი დამოკიდებულია ჩვენს ცოდნაზე, მოლოდინებსა და მიზნებზე.

მინსკის თეორია ფოკუსირებულია გემტალტის არსზე, კერძოდ კი, მთლიანობისა და მისი ნაწილების მიმართების სპეციფიკაზე.

შესაძლებელია თუ არა სრულიად ახალი ფრეიმის კონსტრუირება ახალი სიტუაციის წარმოსადგენად? - ცხადია, შეუძლებელია სრულიად ახალი ფრეიმის შექმნა გლობალური სქემის კონტექსტის მიღმა.

ფრეიმის კონსტრუირებასთან დაკავშირებით ჩნდება რამდენიმე შეკითხვა:

1. როგორ უნდა შეირჩეს ფრეიმი გარკვეული პირობების დასაკმაყოფილებლად?
2. როგორ უნდა შეირჩეს სუბფრეიმები დამატებითი დეტალების წარმოჩენის მიზნით?
3. როგორ უნდა ჩანაცვლდეს ფრეიმი, რომელიც არ ერგება სიტუაციას?
4. რა უნდა გაკეთდეს, თუ არ იქნა მოძიებული ვალიდური ფრეიმი?
5. უნდა მოდიფიცირდეს ძველი ფრეიმი, თუ შეიქმნას ახალი?
6. რა ფრეიმები უნდა იქნას შენახული ან მოდიფიცირებული?

იმ სიტუაციაში, როდესაც ჩვენი ჩვეული თვალსაზრისი არ ამართლებს, ან ვერ ვპოულობთ მეხსიერებაში ეფექტურ ფრეიმულ სისტემებს, უნდა შევქმნათ ახლები და გამოვყოთ სწორი მახასიათებლები. სავარაუდოდ, ყველაზე ჩვეულებრივ მეთოდს ამის გასაკეთებლად წარმოადგენს ორი ან მეტი ძველი ფრეიმისგან ერთგვარი სისტემის აგება, შემდეგ კი მისი რედაქტირება და გარემოსთან მორგება.

მინსკი ფიქრობს, რომ იდეათა შორის ურთიერთმიმართებას უნდა მივუდგეთ რამდენიმე თვალსაზრისის გათვალისწინებით. ამ ტიპის კვლევის ჩასატარებლად საჭიროა კონცენტრაციის მოხდენა გარდაქმნილ მიმართებათა შორის ინტერაქციის სპეციფიკაზე. აქ უკვე ფრეიმული სისტემის იდეა წარმოაჩენს გარკვეულ შეზღუდვებს. ძველი ნაწილებისაგან

ახლის მიღება საკმაოდ კომპლექსური პროცესია და შესაძლებელია თვითრეგულირების მექანიზმით მოგვარდეს.

სემანტიკური ანალიზისადმი ფრეიმულ მიდგომაში ხდება ყურადღების გამახვილება იმის გარკვევაზე, თუ როგორ იყენებენ ადამიანები კოგნიტურ ფრეიმებს საკუთარი გამოცდილების ინტერპრეტაციისთვის და როგორ ხდება ენის შესახებ ჩვენი ცოდნის რეპრეზენტაცია.

ჩვენ ვუკავშირებთ ენობრივ ფორმებს კოგნიტურ სტრუქტურებს - ფრეიმებს, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავენ ამ ფორმების ინტერპრეტაციის პროცესსა და მის შედეგს.

არსებობს ფრეიმის ზოგადი კონცეფცია (Goffman / გოფმენი, 1974), იკვლევენ სქემას (Bartlett / ბარლეტი, 1931), იდეალიზებულ კოგნიტურ მოდელს (Lakoff / ლაკოფი, 1987) და სკრიპტს (Schank & Abelson / შანკი & აბელსონი, 1977). მიუხედავად აღნიშნულ კონსტრუქტთა შორის არსებული განსხვავებისა, მათ აერთიანებთ ერთი რამ: ყველა მათგანი წარმოადგენს ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკის ორგანიზებულ ერთობას, რომელიც ადამიანს საკუთარი გამოცდილების გააზრების საშუალებას აძლევს.

ამ თვალსაზრისით, ფრეიმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ იმაში, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები, იმახსოვრებენ და განმარტავენ თავიანთ გამოცდილებას, როგორ ქმნიან ვარაუდებს და ამ გამოცდილების შესაძლო თანმდევ ფორმებს, როგორ ადგენენ პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

ფრეიმის ელემენტები ემყარება იმ ერთეულებს ან თვისებებს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი მოცემულ ფრეიმში. არსებობს განსხვავება ფრეიმის ძირითად და პერიფერიულ ელემენტებს შორის. არსებობს მკაფიო და ბუნდოვანი შემთხვევები: ფრეიმის ელემენტები, რომლებიც აუცილებლადაა გამოხატული, მიეკუთვნება ბირთვს, ხოლო ფრეიმის ელემენტები, რომელთა გამოხატვა არ წარმოადგენს აუცილებლობას, მიეკუთვნება პერიფერიას.

ფრეიმულ ქსელში არსებული ფრეიმები დაკავშირებულნი არიან რამდენიმე ასეულ ფრეიმულ ურთიერთობათა სისტემებთან. შესაძლებელია სამი ჯგუფის გამოყოფა: განზოგადების, მოვლენათა სტრუქტურის და სისტემურის.

განზოგადება გულისხმობს, რომ ერთი ფრეიმისგან წამოსული თითოეული ფრეიმის ელემენტი დაკავშირებულია სხვა ფრეიმებთან. მოვლენათა სტრუქტურული ურთიერთობები გულისხმობს, რომ არსებობს მოვლენათა ქვესახეობებიც. სისტემურ ურთიერთობებში კი ხდება ურთიერთობათა სისტემური სახით წარმოდგენა.

საკმაოდ შთამბეჭდავია „ფრეიმის“ ინტერპრეტაციის ველი. ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნებიდან შესაძლებელია შემდეგ დეფინიციათა გამოყოფა: „ფრეიმი“ ავლენს მსგავსებას ტექნიკური მოწყობილობის მოდულთან და ეკრანის ჩარჩოსთან. ფილმორის კონცეფციაში ტერმინი „მოდული“ სინონიმურია ტერმინისა „ფრეიმი“ და ასოცირდება სექციასა და მოდულთან. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ფრეიმები კომბინირდება უფრო მოცულობით მოდულებში ან ჩარჩოებში (Fillmore / ფილმორი, 1975, გვ. 130).

დეფინიციათა დაჯგუფების შედეგად მივიღეთ „ფრეიმის“ ინტერპრეტაციათა შემდეგი ველი:

1. ეს არის ენობრივ - გრამატიკული წესების, ლექსიკური ერთეულების, ენობრივ კატეგორიების - არჩევანთა სისტემა, რომელსაც გააჩნია სცენის პროტოტიპის სტატუსი. გარდა ფრეიმში არსებული კავშირებისა, არსებობს ინტერფრეიმული კავშირებიც, რომლებიც ინახება მეხსიერებაში იმის გამო, რომ განსხვავებული ფრეიმები მოიცავენ ერთი და იმავე ენობრივ მასალს, ხოლო სცენების ელემენტები მსგავსია, საგანთა და მოვლენათა ერთი და იმავე რეპერტუარით, ურთიერთობებითა და კონტექსტებითაა შევსებული (ფილმორი, 1975, გვ. 124). ენიდან გამოცდილებაზე გადანაცვლებისას ფრეიმული სემანტიკა აქცენტს კონტინუალობაზე აკეთებს (ფილმორი, 1982, გვ. 123).
2. ჰოფმანის კონცეფციაში (ჰოფმანი, 1974 გვ. 7) „ფრეიმი“ ასოცირდება „ანალიტიკურ ტყესთან“, რომლის მეშვეობითაც ადამიანი იძენს გამოცდილებას. აღნიშნულ კონცეფციაში „ფრეიმი“ წარმოადგენს ბაზისურ ელემენტს, რომელთა იდენტიფიცირება შესაძლებელია სიტუაციის ფარგლებში. სიტუაცია ექვემდებარება პრინციპებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოვლენათა, მათ შორის, სოციალურ მოვლენათა, ორგანიზება ან გენერირება (ჰოფმანი, 1974, გვ. 10-11). ჰოფმანის კონცეფციაშივე ვხვდებით „ფრეიმინგის“ სოციოლოგიურ ტიპოლოგიას (ჰოფმანი, 1974, გვ. 157).

3. ეს არის ცნებათა იმგვარი სისტემა, რომელშიც ერთი რომელიმე ცნების გასაგებად საჭიროა მთელი სტრუქტურის გაგება. „ფრეიმი“ ზოგადი გვარეობითი სახელწოდებაა ისეთი ცნებებისათვის, როგორცაა: „სქემა“, „სცენარი“, „კოგნიტური მოდელი“ (ფილმორი, 1982, გვ.111). „ფრეიმი“ წარმოადგენს მამოტივირებელ კონტექსტთან შესაბამისობაში სტრუქტურირებულ კატეგორიათა სისტემას. მამოტივირებელი კონსტექსტი გააზრებულია, როგორც ცოდნისა და გამოცდილების კორპუსი (ფილმორი, 1982, გვ. 115).

4. ეს არის კონკრეტული ცნების გარშემო ორგანიზებული ცოდნის ერთეული. ასოციაციური განსაზღვრულობის მქონე ერთეულისაგან განსხვავებით, „ფრეიმი“ მოიცავს მონაცემებს არსებითის, ტიპურისა და შესაძლებლის თაობაზე. „ფრეიმი“ კონვენციონალური ბუნებისაა და სწორედ ამიტომ კონსტატაციას იძისა, რაც ტიპურია კონკრეტული კულტურისათვის და რა - არა. კონვენციონალურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური ურთიერთქმედების კონტექსტში (Dijk / დეიკი, 1981, გვ. 219-220).

5. „ფრეიმი“ წარმოადგენს მიმართებათა და კვანძების სისტემას. ფრეიმის ზედა დონეები ფიქსირებულია და შეესაბამება საგნებსა და მოვლენებს, რომელნიც ყოველთვის „მართებულია“ კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებაში (Minsky/მინსკი, 1980, გვ.1-25) „ფრეიმი“ ფუნქციონირებს როგორც:

ა. ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება ცოდნის გამოხატვას - იგი წარმოადგენს სემანტიკური ქსელის ალტერნატივას;

ბ. ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება ცოდნის სხვადასხვა ტიპის დიფერენცირებას;

გ. ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება მეხსიერებაში შენახულ წარმოდგენათა ორგანიზებას.

„ფრეიმი“ წარმოადგენს სტერეოტიპული სიტუაციის წარმოდგენისათვის საჭირო მონაცემთა სტრუქტურას. თითოეული ფრეიმი წარმოადგენს ხედვის კონკრეტულ პერსპექტივას.

ერთმანეთში „გადასვლის“ შედეგად ისინი ერთიანდებიან სისტემაში. ამგვარ სისტემაში

შემავალ ფრეიმთა ტერმინალური კვანძები კვეთენ ერთმანეთს. როზენბერგი აღნიშნავს, რომ ფრეიმთა სისტემაში თითოეული სლოტი შეიძლება დაექვემდებაროს შემდგომ კონკრეტიზაციას (Rosenberg /როზენბერგი, 1980. გვ. 87)

როდესაც ფრეიმი გააზრებულია როგორც აღსაქმელი სიტუაციის ჰიპოთეტური მოდელი, მაშინ თითოეულ ტერმინალურ კვანძს უნდა მიენიჭოს კონკრეტული შედეგისათვის (კონკრეტული ფრეიმისათვის) არაწინააღმდეგობრივი მნიშვნელობა (მინსკი, 1980. გვ. 96-119).

ფრეიმული სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ ხის სახით: გვარეობრივი ინფორმაცია თავს იყრის მწვერვალისკენ, ხოლო ქვემოთ კი აკუმულირებულია ქვეფრეიმები, რომლებიც უმატებენ ბირთვულ ინფორმაციას დამატებით ინფორმაციას.

ვინაიდან ჩვენ განვიხილავთ სემანტიკას, როგორც ლინგვისტურ ფორმებსა და მათ მნიშვნელობებს შორის დამოკიდებულებას. ამრიგად სემანტიკური ანალიზი, არის პროცესი, რომელიც გვიჩვენებს თუ რა მნიშვნელობის თვისებები ენიჭება ენობრივი ფორმის მახასიათებლებს. ენის ანალიტიკოსს ორივე მიმართულებით შეუძლია დაინახოს ეს ურთიერთობა. მას აქვს დეკოდირების ან სემისიოლოგიური ასპექტი, რომლითაც აიხსნება ლინგვისტური სტრუქტურების სემანტიკური ფორმირება და კოდირების ან ონომასიოლოგიური ასპექტი, რომლითაც ხდება კონცეპტების შესწავლა. კერძოდ ფრეიმულ სემანტიკაში, მნიშვნელობა აღიქმება კოგნიტური სტრუქტურების (ფრეიმის) გამოყენებით, რომლებიც აყალიბებენ მოსაუბრის ენობრივ გამონათქვამებს.

ენის შესწავლის ერთი ნაწილს წარმოადგენს გამოცდილების ენობრივი კოდირება. ენის შესწავლის მეორე ნაწილი მოიცავს ახალი კონცეპტების - ახალი ფრეიმების კონსტრუირებას მათი კოდირების ენობრივ საშუალებებთან ერთად.

აქედან გამომდინარე, ფრეიმული სემანტიკა სწავლობს იმას თუ როგორ ავითარებს ან ააქტიურებს ლინგვისტური ფორმები ფრეიმულ ცოდნას და როგორ შეიძლება ამგვარად გააქტიურებული ფრეიმების ინტეგრირება იმ ენობრივი ერთეულების გაგებაში, რომლებიც შეიცავენ ამ ფორმებს. მსგავსი ტიპის კონცეპტების ფორმირების პროცესის სრული შესწავლა

გულისხმობს იმ გზების მხედველობაში მიღებას, რომელთა მეშვეობითაც ექსტრა-ლინგვისტური ინფორმაცია ინტეგრირდება ამ პროცესში.

ფრეიმული სემანტიკის ძირითადი ვარაუდი სიტყვებთან მიმართებით ემყარება იმ აზრს, რომ ყველა ენობრივი ერთეულის გააზრებისათვის საჭიროა იმ კავშირების დადგენა, რომელიც ამ ენობრივ ერთეულს გააჩნია სხვა ფრეიმებთან მიმართებით, სადაც რეპრეზენტირდება მათი გამოცდილება.

ფრეიმული სემანტიკის კვლევა ბუნებით აუცილებლად ემპირიული, კოგნიტური და ეთნოგრაფიული ხასიათისაა. მკვლევარები, რომლებიც სწავლობენ ფრეიმულ სემანტიკას, ინტერესდებიან ენის შესწავლის სხვადასხვა მეთოდოლოგიის კვლევით, რაც გულისხმობს ენის გააზრებას და არა მხოლოდ სიმბოლოებით მანიპულირებას ან/და ღირებულებების შესწავლას გარემომცველ კულტურაში.

ფრეიმული ქსელის კონსტრუირების პროცესის ლექსიკური ანალიზის პროცესში შემდეგი მახასიათებლები გამოიყოფა:

1. ფრეიმების დახასიათება: სიტუაციის ტიპები, სადაც ენა გვაწვდის კონკრეტულ გამომსახველობით საშუალებებს;
2. ფრეიმული ელემენტების აღწერა: ინდივიდუალური ფრეიმების ასპექტები და კომპონენტები, რომლებიც, სავარაუდოდ, მოხსენიებულია ფრაზებში და წინადადებებში, რომლებიც კონკრეტულ ფრეიმულ ქსელს მიეკუთვნებიან;
3. ლექსიკური ერთეულების შერჩევა: ერთეულები, რომლებიც მიეკუთვნებიან იმ ფრეიმულ ქსელს, სადაც კონცეპტები დაკავშირებულია მათივე გამოყენების სიხშირით;
4. წინადადებების ანოტაციების შექმნა: ლექსიკური ერთეულები და ინფორმაციის ენობრივი ინტერპრეტაცია ამ ლექსიკური ერთეულების გამოყენებით;

ამრიგად, სემანტიკური ანალიზის ეს ტიპი გულისხმობს (კლასობრივი) ლექსიკური ერთეულების მიერ სიტუაციის ტიპების დახასიათებას, მონაწილეთა როლების ტიპების (ფრეიმის ელემენტების) განსაზღვრას, რომლებიც საჭიროა ტექსტის სრულყოფისათვის და ამ ლექსიკური ერთეულების სინტაქსური მახასიათებლების ანალიზისა და დოკუმენტირებისათვის.

ფრეიმული ქსელის კონსტრუირების ეს მიდგომა ამჟამად არ ითვალისწინებს ლექსიკური ერთეულების ოფიციალურ განმარტებებს, პარაფრაზებს სემანტიკური მახასიათებლების თვალსაზრისით ან რომელიმე არსებულ ონტოლოგიასთან შესაბამისობას.

ფრეიმის ელემენტები ემყარება იმ ერთეულებს ან იმ თვისებებს, რომელიც შეიძლება იყოს რეპრეზენტირებული კონკრეტულ ფრეიმულ ქსელში.

ფრეიმული ქსელის კლასიფიკაციისას განვასხვავებთ „ძირითად“ ფრეიმულ ელემენტებსა და „პერიფერიულ“ ფრეიმულ ელემენტებს. ხშირ შემთხვევაში არსებული განსხვავებების დადგენა ძალიან რთული და ბუნდოვანია. ფრეიმის ელემენტები, რომლებიც გამოირჩევიან გამოყენების სიხშირით უნდა მიეკუთვნებოდნენ ბირთვს. ფრეიმული ელემენტები, როგორებიცაა სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი, უნდა იყოს ბირთვის ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გრამატიკული კონსტრუქციები, რომლებიც ზოგჯერ ამას გაურკვეველს ხდის. ფრეიმული ელემენტები, რომლებიც გამოიხატება ლექსიკურად კონკრეტული მორფოლოგიური აღნიშვნის მქონე ფრაზებით ასევე უნდა მიეკუთვნებოდნენ ბირთვს.

ფრეიმის ელემენტთა ტიპები განისაზღვრება ინდივიდუალური ფრეიმების კონტექსტში. გარკვეული თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ საჭიროა ისეთი ლექსიკური ერთეულების შერჩევა, რომ ფრეიმის ანალიზისას დანახულ იქნას თუ რას ეხება ეს კონკრეტული ფრეიმული ელემენტები.

ფრეიმისთვის დამახასიათებელი ელემენტების გამოყენების უპირატესობა, ლექსიკური ერთეულებისთვის დამახასიათებელ ელემენტებთან მიმართებით არის ის, რომ შედარებითი სახელების ხელახლა გამოყენება შესაძლებელია იმავე ფრეიმიდან და შესაძლებელია პოტენციური მექანიზმის განვითარება პერიფრაზირებისას.

ვინაიდან ფრეიმული ქსელი მიზნად ისახავს მისი თითოეული შემადგენელი ნაწილის აღნიშვნას, რაც გვხდება ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევაში; გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი ტიპის სემანტიკური ელემენტი, რომელიც შეიძლება ფიქსირდებოდეს მსგავსი ტიპის წინადადებებში. ზოგიერთი წინადადების დანამატი მიჩნეულია ექსტრა თემატურად, ვინაიდან ისინი გვაცნობენ ინფორმაციას, რომელიც არ წამოადგენს ცენტრალური ფრეიმის აღწერის აუცილებელ ნაწილს.

ტექსტის ანალიზის ერთი პარადიგმა გულისხმობს ტექსტში არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობას, რომ მოხდეს ფრეიმული ქსელის კონსტრუირება ან/და არსებული ფრეიმული ქსელის შევსება ახალი ერთეულებით.

ფრეიმის სემანტიკური მიდგომა განსხვავდება ლექსიკური ერთეულების კომბინატორიული თვისებების საფუძველზე დაყრდნობით ინფორმაციის მოპოვებისგან. ამგვარად, წინადადებებში ფრეიმული ელემენტების იდენტიფიცირებისას აუცილებელია:

1) კონკრეტული ლექსიკური ერთეულები, რომელებიც ქმნიან ფრეიმს.

2) ენობრივი ერთეულების სხვადასხვა პოზიციები წინადადებაში გვაწვდიან ფრეიმთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ინტერესის საგანს წარმოადგენს ლექსიკური ერთეულების კომბინატორული შესაძლებლობები, გრამატიკული პოზიციები, გამომსახველობითი საშუალებები, ა.შ.

ფრეიმულ ქსელში არსებული ფრეიმები დაკავშირებულნი არიან რამდენიმე ასეულ ფრეიმულ სისტემებთან, რაც საშუალებას გვაძლევს სემანტიკური ტიპების შესახებ არსებული მტკიცებულებების კონტექსტში სამი ჯგუფი გამოვყოთ განზოგადების, მოვლენათა სტრუქტურის და სისტემურის. განზოგადება გულისხმობს ერთი ფრეიმის ერთი ან რამდენიმე ერთეულ ფრეიმთან კავშირს. მოვლენათა სტრუქტურული კავშირები გულისხმობს იმ ფაქტს, რომ არსებობს მოვლენათა ქვესახეობებიც, რომელებიც ასევე სისტემური სახით გვევლინებიან.

ფრეიმული მიდგომა ლექსიკური სემანტიკისადმი ჩვეულებრივ ნიშნავს ლექსიკური ერთეულის დაწყვილებას იმ ფრეიმთან, რომელშიც განსაზღვრებულია მისი მნიშვნელობა. პოლისემიის თვალსაზრისით, ჩვენ ვახდენთ კონკრეტული ლექსიკური ერთეულების დაწყვილებას მეტ-ნაკლები „დაყოფის“ საფუძველზე. ლექსიკური ერთეული წარმოდგენილია თავისი კომბინატორული თვისებების გათვალისწინებით ამ ურთიერთობათა სისტემაში. ერთი ცალკეული ლექსემის გამოყენებით შესაძლოა შევისწავლოთ განსხვავებული ასპექტების მქონე ლექსემები ერთზე მეტ ფრეიმში.

ფრეიმული ქსელი არ იყენებს უარყოფის მრავალ ფორმებს, თუმცა შესაძლოა ერთ ფრეიმში ერთიანდებოდეს გარკვეული ანტონიმები, რამაც შესაძლოა მოგვცეს შესაძლებლობა

გამოვიტანოთ დასკვნები სწორედ ამ ანტონიმებზე დაყრდნობით. დღეისათვის არაფერი გაკეთებულა საიმისოდ, რომ გათვალისწინებულ იქნას ოპოზიციის ცნების მრავალფეროვნება ლექსიკურ სემანტიკაში, მაგრამ იმ სპეციალისტებს, რომელთაც კავშირი აქვთ მონაცემთა ბაზასთან მოუწევთ ამ ინფორმაციის გათვალისწინება თავიანთ გამოთვლებში პერიფრაზირების გასაკეთებლად.

ვინაიდან ფრეიმულ ქსელს მხოლოდ არაფორმალური განსაზღვრებები აქვს, ის არ გვთავაზობს სინონიმთა იდენტიფიცირების ზუსტ გზას. ფრეიმზე დაყრდნობით შეგვიძლია განვსაზღვროთ მსგავსი კონოტაციის მქონე ერთეულები. პერიფრაზირების გამოყენების შესაძლებლობა იზრდება იმავე ფრეიმის ელემენტებით წინადადებების წარმოქმნის უნარით.

პერიფრაზირება შესაძლოა დაკავშირებული იყოს მეტყველების ალტერნატიული კონსტრუქციების გამოყენებასთან, რომლებიც მოიცავენ ერთსა და იმავე ფრეიმის ელემენტებს.

ანტონიმებს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო ურთიერთობის შემთხვევაში, პოზიტიურად ან ნეგატიურად ფორმულირებული პერიფრაზირება შესაძლებელია.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პერიფრაზები, რომლებიც მოიცავს ფრეიმებს, რომელთაც აქვთ მემკვიდრეობითი კავშირი. თუ ერთი ფრეიმი მემკვიდრეობით მიიღებს რაიმეს უფრო აბსტრაქტული ფრეიმისგან, მაშინ პერიფრაზირების შექმნა შესაძლებელი იქნება ორი ფრეიმის გამოყენებით.

თავი II. აქსიოლოგია

2.1. ღირებულების თეორია

ტერმინი „ღირებულების თეორია“ სხვადასხვაგვარად გამოიყენება ფილოსოფიაში. ფართო გაგებით, „ღირებულების თეორია“ მოიცავს მორალური ფილოსოფიის, სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიის, ესთეტიკის, ზოგჯერ ფემინისტური ფილოსოფიისა და რელიგიის ფილოსოფიის ყველა დარგს ან ფილოსოფიის ნებისმიერ სფეროს, რომელიც მოიცავს „შეფასებით“ ასპექტს. უფრო ვიწრო გაგებით, „ღირებულების თეორია“ გამოიყენება ნორმატიული ეთიკური თეორიის შედარებით ვიწრო სფეროში, რომელიც წარმოადგენს ინტერესის საგანს არა მხოლოდ თანმიმდევრულობის მომხრეებისთვის. ამ ვიწრო გაგებით, „ღირებულების თეორია“ დაახლოებით სინონიმურია „აქსიოლოგიისა“. აქსიოლოგია კი უნდა ჩაითვალოს, რომ პირველ რიგში დაინტერესებულია იმის კლასიფიკაციით, თუ რა არის კარგი და შემდგომ რამდენად - კარგი. მაგალითად, აქსიოლოგიის ტრადიციული კითხვა ეხება იმას, წარმოადგენენ თუ არა ღირებულების ობიექტები მსოფლიოს სუბიექტურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას თუ ობიექტურს?

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი თვალსაზრისიდან გამომდინარე, „ღირებულების თეორია“ გვიჩვენებს მორალური ფილოსოფიის არეალს, რომელიც დაინტერესებულია ღირებულებასთან დაკავშირებული თეორიული კითხვებით - ღირებულების თეორიით. ამგვარად, შემდეგნაირად კონსტრუირებული ღირებულების თეორია მოიცავს აქსიოლოგიას, მაგრამ ასევე მოიცავს ბევრ სხვა კითხვას ღირებულების ბუნებისა და სხვა მორალური კატეგორიების შესახებ. მორალური თეორიის დაყოფა ღირებულების თეორიად, მისი დაპირისპირება სხვა სფეროებთან, ჰყოფს მორალური თეორიის ტრადიციულ კლასიფიკაციას ნორმატიულ და მეტაეთიკურ მიმართულებებად. თეორიული კითხვები ღირებულების შესახებ წარმოადგენს მორალური თეორიის მნიშვნელოვან ინტერესს, რომელიც ხშირად კვეთს ნორმატიულსა და მეტაეთიკურს შორის არსებულ საზღვრებს.

პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ ღირებულების თეორიის შესწავლის საგანი. საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, თუ რას მოიცავს იგი ზუსტად, მაგრამ ის, რა თქმა უნდა, მოიცავს იმას, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ და წარმოვთქვამთ შემდეგ სიტყვებს: “pleasure is good/bad”; “it

would be good/bad if you did that”; “it is good/bad for him to talk to her”; “It is good that you came”; “that is a good/bad knife”; “It is good for him to talk to her”; “he’s a good/bad man”;

სიტყვა „ღირებულება“ არსად ჩანს ამ ჩამონათვალში. თუმცა, ვხვდებით შემდეგ სიტყვებს: „კარგი“, „უკეთესი“ და „საუკეთესო“ და შესაბამისად „ცუდი“, „უარესი“ და „ყველაზე უარესი“. და ეს სიტყვები გამოიყენება სხვადასხვა სახის კონსტრუქციებში, რომელთაგან შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი ძირითადი მაგალითი:

1. Pleasure is good.
2. It is good that you came.
3. It is good for him to talk to her.
4. That is a good knife.

პირველი წინადადების მსგავს მაგალითში, „good“ წარმოადგენს ტრადიციული აქსიოლოგიის ცენტრალურ ნაწილს, რომლის თანახმად, ფილოსოფოსებს სურთ იცოდნენ, თუ რომელი საგნებია მეტ-ნაკლებად კარგი. მეორე ტიპის წინადადებაში წარმოდგენილია შეზღუდვების გარეშე სიკეთე, რომელსაც ტრადიციული უტილიტარიზმი იყენებს. მესამეში კი საქმე ადამიანის კეთილდღეობას ეხება, ხოლო ბოლო წინადადებაში ხაზი უნდა გავუსვათ „good“-ის ატრიბუტულ გამოყენებას. ღირებულების თეორიაში არსებული მრავალი ძირითადი საკითხი იწყება კითხვებით ან ვარაუდებით, თუ როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს.

ტრადიციული აქსიოლოგია ცდილობს გამოიკვლიოს, რა არის კარგი, რამდენად კარგია და როგორ არის დაკავშირებული მათი სიკარგე ერთმანეთთან.

შინაგანი ღირებულება ტრადიციულად მიჩნეული იყო ეთიკის შესწავლის საგნად. ფილოსოფოსები იყენებენ უამრავ ტერმინს ამგვარი ტიპის ღირებულების აღსანიშნავად. არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც, შინაგანი ღირებულება არის ღირებულება, რომელიც „საკუთარ თავშია“. ხოლო გარეგანი ღირებულება არის ღირებულება, რომელიც არ არის შინაგანი.

ბევრი ფილოსოფოსი თვლის, რომ შინაგანი ღირებულება მნიშვნელოვანია მორალური განსჯისათვის. მაგალითად, თანმიმდევრულობის ფუნდამენტური ფორმის თანახმად,

მოქმედება არის მორალურად მართებული ან არასწორი, იმის გათვალისწინებით, არის თუ არა მისი შედეგები შინაგანად უკეთესი ნებისმიერ სხვა მოქმედებაზე, რომელიც შესაძლოა შესრულდეს გარკვეული ვითარების დროს. ბევრი სხვა თეორია ასევე მიიჩნევს, რომ ის, თუ რა არის მართებული თუ მცდარი, მოქმედებების შედეგების შინაგან ღირებულებასთანაა ნაწილობრივ დაკავშირებული. შინაგანი ღირებულება ასევე ხშირად განიხილება მორალური სამართლიანობის შესახებ არსებულ განსჯათა შესაფერისად, რამდენადაც კარგია მართლმსაჯულების აღსრულება და ცუდია მისი უარყოფა. საბოლოოდ მიჩნეულია, რომ მორალურ ღირსებისა და მანკიერების შესახებ განსჯა დაკავშირებულია შინაგან ღირებულებასთან, რადგან ღირსება კარგია, ხოლო მანკიერება - ცუდი.

მორალური განსჯის ოთხივე ტიპი წარმოადგენდა დისკუსიის საგანს ძველ საბერძნეთში. თავად ბერძნებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ღირსებასა და მანკიერებასთან დაკავშირებული კითხვები და მას შემდეგ ვაწყდებით შინაგანი ღირებულების კონცეპტს როგორც მათ, ისე მორალურ ფილოსოფოსთა ნაშრომებში.

კითხვა „რა არის შინაგანი ღირებულება?“ უფრო ფუნდამენტურია, ვიდრე კითხვა „რას გააჩნია შინაგანი ღირებულება?“, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ფილოსოფოსები თვლიდნენ, რომ რომ შინაგანი მნიშვნელობის ცნება თავისთავად საკმარისად ნათელია, რათა პირდაპირ გაეცეს კითხვას პასუხი, თუ რას გააჩნია შინაგანი ღირებულება.

პლატონმა (ძვ. წ. 428–347) სოკრატეს მეშვეობით გაატარა იდეა, რომლის მიხედვითაც, ადამიანები, როდესაც გამოხენ სიამოვნებას, ასე იქცევიან არა იმიტომ, რომ სიამოვნებას მიიჩნევენ ცუდად, არამედ იმ ცუდი შედეგების გამო, რაც თან სდევს სიამოვნებას. სოკრატე (ძვ. წ. 470–399) ასკვნის, რომ სიამოვნება კარგია, ხოლო ტკვილი ცუდი, იმისდა მიუხედავად, თუ რა შედეგები სდევს მათ თან.

მრავალმა ფილოსოფოსმა გაიზიარა პლატონის იდეა, რომლის მიხედვითაც, სიამოვნება შინაგანად კარგი, ხოლო ტკვილი შინაგანად ცუდია; მაგალითად, არისტოტელე (ძვ. წ. 384–322) ამბობს, რომ საყოველთაოა აზრი, რომ ტკვილი ცუდია და თავიდან უნდა იქნას არიდებული, რადგან ის ცუდია „კვალიფიკაციის გარეშე“, ან იმიტომ, რომ ის გარკვეულწილად ჩვენთვის „დაბრკოლებაა“. იგი ამატებს, რომ „სიამოვნება“ საწინააღმდეგოა იმისა, რაც თავიდან უნდა იქნას არიდებული, შესაბამისად, ის კარგია (არისტოტელე,

ნიქომატური ეტიკა, 1153 ბ). პლატონის მსგავსად, არისტოტელე არ თვლის, რომ სიამოვნება და ტკივილი ერთადერთი რამ არის, რაც შინაგანად კარგია ან ცუდი. ამ შეხედულებას ხშირად ჰედონიზმს უწოდებენ. მისი ყველაზე სრულყოფილი ფორმულირებები გვხვდება ჯერემი ბენტჰემის (1748–1832) და ჰენრი სიდვისის (1838–1900) ნაშრომებში.

ფილოსოფოსთა უმეტესობა, რომლებიც წერდნენ, თუ რას გააჩნია შინაგანი ღირებულება, არ მიეკუთვნოდნენ მხოლოდ ჰედონისტთა რიგებს. პლატონის და არისტოტელეს მსგავსად, მათ ეგონათ, რომ სიამოვნებისა და ტკივილის გარდა, სხვა ფენომენებსაც ჰქონდათ შინაგანი მნიშვნელობა. შინაგან ღირებულებათა ყველაზე სრულყოფილი სია შემოთავაზებულ იქნა უილიამ ფრანკენას (Frankena/ფრანკენა 1973, გვ. 87–88) მიერ: ცხოვრება, ცნობიერება და საქმიანობა; ჯანმრთელობა და ძალა; ყველა ან გარკვეული სახის სიამოვნება და კმაყოფილება; ბედნიერება, მხიარულება, კმაყოფილება და ა.შ.; სიმართლე; ცოდნა და სხვადასხვა სახის ჭეშმარიტი შეხედულებები, გაგება, სიბრძნე; სილამაზე, ჰარმონია, ესთეტიკური გამოცდილება; ურთიერთპატივისცემა, სიყვარული, მეგობრობა, თანამშრომლობა; საქონლის სამართლიანი განაწილება; თვითგამოხატვა; თავისუფლება; მშვიდობა, უსაფრთხოება; თავგადასავალი და სიახლე; კარგი რეპუტაცია, პატივისცემა და ა.შ. ნებისმიერი ფილოსოფოსი, რომელიც ოდესმე შეხებია შინაგანი მნიშვნელობის კითხვას, იპოვის პასუხს უილიამ ფრანკენას მიერ წარმოდგენილ ჩამონათვალში.

შინაგანი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც „საკუთარ თავშია“. უნდა მოხდეს არა ამ ტერმინის მნიშვნელობის განსაზღვრა, არამედ იმ მიზეზზე დაფიქრება, თუ რა წარმოშობს სადაო კონცეპტს. პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რას ნიშნავს, რომ რაღაც ღირებულია თავისთავად და იგი უპირისპირდება იმას (სხვა რამეს), რასთანაც იგი გარკვეულწილად დაკავშირებულია. იმ ფაქტის ახსნის მცდელობა, რომ კარგია, როდესაც ადამიანები ნასიამოვნები არიან იმ თვალსაზრისიდან გამომდინარე, რაც მათ კარგად მიაჩნიათ, იძულებულს გვხდის ვალიაროთ, რომ ერთი რამ გამოიმუშავებს თავის სიკარგეს სხვა რამისაგან, რომელიც, თავის მხრივ, გამოიმუშავებს მესამისგან და ა.შ. საბოლოოდ კი ვაღწევთ გარკვეულ მომენტს, როდესაც სიკარგე არ არის წარმოებული არაფრისგან; რაღაც უბრალოდ კარგია თავისთავად, „თავის თავში“, რაც მისი სიკეთის წყაროა

და ამით განიმარტება, რომ სიკეთე უნდა მოიძებნოს ყველა დანარჩენ ფენომენში, რომელიც მას წინ უსწრებს ჩამონათვალში.

ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე, იყო ჯორჯ მური (1873–1958), რომელიც დაინტერესდა იმ საკითხით, თუ რას მივაკუთვნებთ შინაგან ღირებულებას. მის წიგნში „Principia Ethica“ ისმის კითხვა: ექვემდებარება თუ არა ანალიზს შინაგანი ღირებულების კონცეპტი? ამ კითხვის დასმისას იგი გულისხმობს კონკრეტული ტიპის ანალიზს, რომელიც ითვალისწინებს კონცეპტის „დაშლას“ უფრო მარტივ კომპონენტურ კონცეპტებად. მისივე პასუხი კითხვაზე კი შემდეგში მდგომარეობს: შინაგანი სიკარგის კონცეპტი არ ექვემდებარება ამგვარი ტიპის ანალიზს (მური, 1903, თავი 1). ანალიზის ნაცვლად, მური გვთავაზობს გარკვეული ტიპის სააზროვნო ექსპერიმენტს, რათა უკეთესად იქნას კონცეპტის არსი გაგებული და მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა არის შინაგანად კარგი. იგი გვირჩევს, განვიხილოთ „აბსოლუტურად იზოლირებულად“ არსებული საგნების არსებობა როგორც „კარგი“. ამგვარად, ჩვენ უკეთესად შევძლებთ, დავინახოთ, თუ რა უნდა მივიჩნიოთ სინამდვილეში ღირებულებად.

მაგალითად, თუ ასეთი სააზროვნო ექსპერიმენტი მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ ყველანაირი და ერთადერთი სიამოვნება მხოლოდ იზოლირებულად იქნებოდა კარგი და ტკივილი იქნებოდა ცუდი, მაშინ ჰედონისტურ თვალსაზრისთან გვექნება საქმე. თავად მური წარმოუდგენლად მიიჩნევს ამგვარ დასკვნამდე მისვლას. მისი შეხედულებით, ეს გულისხმობს აზრს, რომ სამყარო, რომელშიც მხოლოდ სიამოვნება იარსებებს - სამყარო, რომელსაც ყოველგვარი ცოდნა, სიყვარული, სილამაზე ან მორალური თვისებები არ გააჩნია, - უკეთესია, ვიდრე სამყარო, რომელიც შეიცავს ამ ყველაფერს, მაგრამ რომელშიც არსებობს ოდნავ ნაკლები სიამოვნება (მური, 1912, გვ. 102). ამგვარ შეხედულებას იგი აბსურდულად თვლის.

გაურკვეველი რჩება, რატომ მიიჩნევს მური, რომ შინაგანი სიკეთის კონცეპტი არ ექვემდებარება ანალიზს. გარკვეულ ასპექტში ის უპირისპირდება შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, ანალიზი შესაძლებელია „ბუნებრივი“ კონცეპტების კუთხით, ანუ ჩვენ შეგვიძლია დავშალოთ შინაგანად კარგი კონცეპტი უფრო მარტივ კონცეპტებად, სადაც ყველა შემადგენელი კონცეპტი მხოლოდ აღწერილობითია, ვიდრე - შეფასებითი. როდერიკ

ჩისჰოლმი (1916–1999) ამტკიცებს, რომ მურის თვალსაზრისი საფუძველს უქმნის შინაგანი ღირებულების კონცეპტის ანალიზს.

იგი აყალიბებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, მდგომარეობა ბუნებრივად კარგია ან ცუდია, რაც ხდის შესაძლებელს, რომ მისი სიკარგე ან სიცუდე წარმოადგენდეს მსოფლიოში არსებულ ყველა სიკეთეს ან ბოროტებას (Chisholm/ ჩისჰოლმი, 1978).

რა არის გარეგანი ღირებულება? - გარეგანი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც არ არის შინაგანი. შინაგანი ღირებულება კვალიფიცირდება მორალური სახის, არადერივატიულ ღირებულებად. თუმცა, გარეგანი ღირებულებაც წარმოადგენს იმავე ტიპის დერივატიულ ღირებულებას. ის, რაც გარეგანად კარგია, კარგია არა თავისთავად, არამედ იმასთან (სხვა რაიმესთან) მიმართებით, რომელთანაც იგი გარკვეულწილად დაკავშირებულია.

ჩნდება კითხვა, ნამდვილად წარმოადგენს თუ არა გარეგანი ღირებულება საერთოდ რაიმე სახის ღირებულებას? წარმოვიდგინოთ დერივაციის გრძელი ჯაჭვი. თუ მაგალითად, სიმრავლის ერთი შემადგენელი ელემენტი კარგია მისი შემდგომი ელემენტიდან გამომდინარე, ხოლო შემდგომი ელემენტი მისი მომდევნო ელემენტიდან გამომდინარე და ასეთი თანმიმდევრობა გრძელდება იმ მონაკვეთამდე, სანამ სიმრავლის ბოლო ელემენტს არ მივადგებით, საბოლოოდ მივდივართ დასკვნამდე, რომ ბოლო ელემენტი კარგია არა რაიმე სხვა ელემენტის გამო, არამედ იმიტომ, რომ ის თავისთავად კარგია. რატომ ვსაუბრობთ „გარეგან ღირებულებაზე“? - პასუხი შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ ჩვენ უბრალოდ ვამბობთ, რომ გარკვეული რამ კარგია, სხვა კი - ცუდი, არა თავისთავად, არამედ იმიტომ, რომ ისინი უკავშირდებიან რაიმე სხვას.

არსებობს შეხედულება, რომლის თანახმადაც, გარეგანი ღირებულება ვერ იარსებებს შინაგანი ღირებულების გარეშე.

2.2. აქსიოლოგია მორალური ფილოსოფიის რუკაზე

როგორ უნდა გავიაზროთ ფორმალური აქსიოლოგია? - იგი უნდა იქნას გააზრებული მორალური ფილოსოფიის ქვედისციპლინად, რომელიც ორიენტირებულია ღირებულებებისა და ღირებულებების კონცეპტებთან დაკავშირებულ სტრუქტურულ კონცეპტებთან კვლევაზე.

სტრუქტურის ნათლად რეპრეზენტაციისა და ვიზუალურად წარმოდგენისათვის მიზანშეწონილია აქსიოლოგიური დისციპლინის ადგილის მონიშვნა მორალური ფილოსოფიის ლანდშაფტის საკმაოდ ფართო რუკაზე. ამ ტიპის ვიზუალიზაცია გულისხმობს იმის გარკვევას, თუ როგორ არის აქსიოლოგია დაკავშირებული მეტაეთიკასთან და როგორ ხდება შესაძლებელი აქსიოლოგიის სეგმენტაცია ფორმალურ და სუბსტანციურ აქსიოლოგიად.

ცნობილია, რომ ფილოსოფიას ძალუმს მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემა. ამ თვალსაზრისით, არც ღირებულების ფილოსოფია წარმოადგენს გამონაკლისს. მნიშვნელოვანი კითხვების სირთულისა და სიღრმის გამო, ბუნებრივად ჩნდება მათთვის თავის არიდების სურვილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, კაცობრიობის ინტელექტუალური ისტორია აღბეჭდილია მათზე მსჯელობითა და მათზე პასუხის მოძიების მცდელობებით. ეს კი ნიშნავს, რომ მნიშვნელოვან კითხვებზე ფიქრთან დაკავშირებულ რისკს ყოველთვის აღემატებოდა მათზე პასუხის მოძიების სურვილი.

ჯონას ოლსონი (2006) განიხილავს დისციპლინათა შორის არსებულ სხვაობებს. გარდა ამისა, მკვლევარი აღნიშნავს, რომ დისციპლინათა შორის ზოგჯერ ფიქსირდება ნაწილობრივი დამთხვევა. და მაინც, ჯონას ოლსონის თვალსაზრისით, სააზროვნო სივრცეში წარმართული დისკუსია გარკვეულწილად ამცირებს სწორი გზიდან გადახვევის რისკს. ამჟამად, რომ მიზანს უნდა წარმოადგენდეს მომიჯნავე საკითხებს შორის არსებულ კავშირზე კონცენტრაცია.

პრაქტიკულად ყველა ნაშრომი, რომელიც ეძღვნება მორალური ფილოსოფიისათვის რელევანტურ საკითხთან კვლევას, იწყება თემის ორ ქვედისციპლინად დაყოფით. აღნიშნულ

ქვედისციპლინათაგან ერთს უწოდებენ „მეტაეთიკას“, ხოლო მეორეს კი - „ნორმატიულ ეთიკას“.

სახეზეა სტანდარტული სურათი, რომლის თანახმადაც, ნორმატიული ეთიკა ორიენტირებულია პირველი რიგის კითხვებზე. აღნიშნული კითხვები ეხება ცუდისა და კარგის, ჭეშმარიტისა და მცდარის არსს. ამ ტიპის პირველი რიგის ნორმატიული კითხვები იღებენ ორი ფორმიდან ერთ-ერთს: ისინი ცდილობენ გაარკვიონ, თუ რა აქცევს კარგ საქციელს კარგად, ჭეშმარიტს - ჭეშმარიტად და ა.შ. სწორედ ამ ტიპის კითხვებზე პასუხის მოძიებით ფორმირდება სისტემატური, ნორმატიული თეორიები. პირველი რიგის ნორმატიული კითხვები კონცენტრირებულნი არიან უფრო კონკრეტული, ვიდრე ზოგადი ნორმატიული საკითხებით. განსხვავებული თეორიები იმის შესახებ, თუ რა აქცევს მოქმედებებს სწორად და არასწორად, გვაწვდიან განსხვავებულ პასუხებს პირველი რიგის კონკრეტულ ნორმატიულ კითხვებზე.

მეტაეთიკის ინტერესის საგანს კი წარმოადგენს მეორე რიგის კითხვები, რომლებმაც, შესაძლოა, მიიღონ განსხვავებული ფორმები.

მსჯელობა უნდა დაიწყოს ნორმატიული განსჯის სემანტიკური სტატუსის განხილვით. ეს კი ნიშნავს, რომ განსჯას უნდა დაექვემდებაროს ის, თუ რა არის სწორი ან არასწორი, კარგი ან ცუდი, რაციონალური ან ირაციონალური.

აქვე, ბუნებრივია, ჩნდება რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა: ჭეშმარიტია თუ მცდარი ამგვარი განსჯა? არის თუ არა მიმართული ამ ტიპის განსჯა ნორმატიული რეალობის დესკრიფციაზე, მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს პრო ან კონტრ-დამოკიდებულებების გამოხატვა? არსებობს თუ არა ნორმატიული განსჯის მიერ აღწერილი ნორმატიული ფაქტები და თვისებები, თუ მსოფლიო არ არის „შეზოჭილი“ წმინდად ნატურალისტური და შეფასებითი განსჯით?

თუ ნორმატიულ მოთხოვნათა ძირითადი ფუნქცია გულისხმობს მსოფლიოს მახასიათებელთა დესკრიფციას, მაშინ სრულიად ბუნებრივად გაიჟღერებს შემდეგი თვალსაზრისი: ნორმატიული განსჯები გამოხატავენ რწმენას. თუ ნორმატიულ განსჯას ძალუძს სიმართლისა და სიყალბის დადგენა, მაშინ სრულიად ბუნებრივი მოჩანს ვარაუდი

ნორმატიული ცოდნის შესაძლებლობის თაობაზე. თუმცა თუ ნორმატიული განსჯა თავისი ბუნებით უფრო პრესკრიფციულია, ვიდრე - დესკრიფციული და გამოხატავს არაკოგნიტურ დამოკიდებულებებს (მაგალითად, სურვილებს), მაშინ გაცილებით უფრო რთული იქნება ნორმატიული განსჯის მიერ დანახული სიმართლისა და სიყალბის აღქმა. ეს კი უკვე იწვევს კამათს ნორმატიული განსჯის ეპისტემოლოგიური სტატუსის თაობაზე.

ეს ფაქტი კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნორმატიული განსჯის ფსიქოლოგიურ სტატუსზე. თუ ნორმატიული განსჯა თავისი ბუნებით უფრო კოგნიტურია, ვიდრე - არა-კოგნიტური, შესაძლოა, გაცილებით უფრო რთული გახდეს მარტივი დაკვირვების ჩატარება, რომლის საშუალებითაც ადამიანებს ეძლევათ მოტივაცია ნორმატიულ განსჯასთან მიმართებაში. სავარაუდო პასუხი გულისხმობს დაკვირვების ადეკვატურად წარმართვის შესაძლებლობას, თუ ნორმატიულ განსჯასა და მოტივაციას შორის არსებულ კავშირს მხოლოდ პირობითად მივიჩნევთ. ეს ფაქტი წარმოშობს მოტივაციის თაობაზე არსებულ დაპირისპირებას, რომელსაც ადგილი აქვს ინტერნალისტებსა და ექსტერნალისტებს შორის.

როგორც წესი, მეტა-ეთიკოსები ცდილობენ მოიძიონ პასუხები ურთიერთდაკავშირებულ კითხვებზე. ამ ტიპის კითხვები ეხება სემანტიკას, ონტოლოგიას, ეპისტემოლოგიას, ნორმატიულობისა და ნორმატიულ განსჯათა ფსიქოლოგიას. სწორედ ამ ტიპის ურთიერთდაკავშირებულ კითხვათა ოთხი ტიპი წარმოადგენს მეტაეთიკის ძირითად საკითხებს. სწორედ ისინი ქმნიან იმას, რასაც ეწოდება „მეტა-ეთიკა ვიწრო გაგებით“; „მეტაეთიკა ფართო გაგებით“ კი მოიცავს ნორმატიულ და შეფასებით განსჯებთან დაკავშირებულ ყველა მეორე რიგის კითხვას.

მეტაეთიკასა და ნორმატიულ ეთიკას შორის არსებული განსხვავების გააზრება იძლევა იმ, ერთი შეხედვით, ქაოსურ ერთობლიობაში - დისციპლინათა შორის არსებულ სხვაობებში - გარკვეული წესრიგის ხედვის შესაძლებლობას.

აქსიოლოგიური თეორიები წარმოადგენს ღირებულებათა შესახებ არსებულ თეორიებს. აქსიოლოგიურ სფეროში შესაძლებელია ისევე წარმოჩინდეს გარკვეული განსხვავებები, როგორც ეს შესაძლებელია მეტა-ეთიკასა და ნორმატიულ ეთიკას შორის. გარდა ამისა, შესაძლებელია ღირებულებების შესახებ არსებული პირველი რიგის კითხვების მეორე რიგის

კითხვებისგან გამიჯვნა. პირველი ტიპის კითხვები ეხება იმას, თუ რა არის ღირებული და რა აქცევს საგნებს ღირებულად. ამგვარი ტიპის კითხვებისგან შემდგარი დისციპლინა სუბსტანციური აქსიოლოგიის სახელითაა ცნობილი. ამრიგად, სუბსტანციურ აქსიოლოგია ორიენტირებულია კონკრეტული ღირებულებების გამოვლენაზე.

საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს ღირებულების შესახებ არსებული მეორე რიგის კითხვები, რომლებიც წარმოადგენს კონცეპტუალურ და სტრუქტურულ საკითხებს ღირებულებითი და შეფასებითი კონცეპტების შესახებ. აქსიოლოგიის დარგი, რომელიც ამგვარი ტიპის ჯგუფურ კითხვებთანაა ასოცირებული, ფორმალური აქსიოლოგიის სახელითაა ცნობილი.

ცნობილია, რომ არსებობს თვალსაზრისთა სხვაობა იმის თაობაზე და ეს სხვაობა საკმაოდ ხშირად ფიქსირდება ფილოსოფიურ და არაფილოსოფიურ ლიტერატურაში. თვალსაზრისთა სხვაობა არ არის უცხო არც პოლიტიკური დებატებისათვის და არც ყოველდღიური აზროვნებისათვის. ძალიან მარტივია ერთ ან მეტ სააზროვნო სივრცეში იმ მკვლევართა პოვნა, რომელთა თვალსაზრისითაც, სიამოვნება კარგია, ტანჯვა კი - ცუდი, ან რომ თანასწორობა, თავისუფლება, ცოდნა ან მეგობრობა კარგია. სუბსტანციურ აქსიოლოგიაში იკვეთება ამ საკითხთა ირგლივ არსებულ გარკვეულ თვალსაზრისთა დაპირისპირება. ამ ტიპის დაპირისპირების ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს იმის გარკვევა, თუ რა არის ღირებული.

არსებობს საკითხები, რომელიც უნდა განიხილებოდეს ფორმალური აქსიოლოგიის ფარგლებში. ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენს ღირებულების ტიპოლოგია. აქ, ბუნებრივია, ჩნდება რამდენიმე შეკითხვა: რა ტიპის ღირებულებები ფიქსირდება? რა ტიპის კონცეპტუალური სხვაობები იჩენს თავს მათ შორის? არის თუ არა რაიმე სხვაობა შინაგან ღირებულებასა და საბოლოო ღირებულებას შორის? რომელ ონტოლოგიურ კატეგორიებს მიეკუთვნებიან ღირებულების მატარებელნი? ეს უკანასკნელი კითხვა უნდა გამიიჯნოს ღირებულების ონტოლოგიური სტატუსისგან. სწორედ აღნიშნული სტატუსი მიჯნავს ერთმანეთისაგან რეალისტებსა და ანტირეალისტებს. ფორმალური აქსიოლოგიური თეორიები ღირებულებათა მატარებლების შესახებ რელევანტურია როგორც რეალისტური, ისე ანტი-რეალისტური მეტაეთიკური თვალსაზრისებისათვის.

ფორმალურ აქსიოლოგიაში იკვეთება მეორე საკითხი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ღირებულების ტიპოლოგიასთან. აქვე ჩნდება შეკითხვა: შეიძლება თუ არა, რომ შინაგანი ან საბოლოო ღირებულება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან კონტექსტის მიხედვით. მრავალი ფილოსოფოსის აზრით, განსაკუთრებით კი მურის აზრით, შინაგანი ან საბოლოო ღირებულება წარმოადგენს კონტექსტისგან დამოუკიდებელი ფენომენს. თუმცა ზოგიერთი ფილოსოფოსი, მათ შორის ჯონას ოლსონი, უარყოფს ამ თვალსაზრისის რაციონალურობას.

ფორმალურ აქსიოლოგიაში იკვეთება კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი შეკითხვა: როგორ უნდა გაანალიზდეს შინაგანი ან საბოლოო ღირებულება? - ამ კითხვაზე პასუხი მურთან ასოცირდება, თუმცა ღირებულებითი თეორიის სხვა ტრადიციების მიხედვით, ღირებულებითი კონცეპტები უნდა გაანალიზდეს ისეთი ნორმატიული კონცეპტების გათვალისწინებით, როგორცაა „უნდა“, „მიზეზი“ და „რაციონალურობა“.

სრულიად ნათელია, რომ თვალსაზრისები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შინაგანი და საბოლოო ღირებულების კონცეპტთა ანალიზის თვალსაზრისით.

ახლა უნდა განვიხილოთ ერთი კონტრასტი, უფრო ზუსტად კი, წარმოვაჩინოთ სხვაობა იმ საგანთა შორის, რომელთაგან ერთი საბოლოოდ ღირებული ან ღირებულია თავისთავად, ხოლო მეორე კი ღირებულია როგორც საშუალება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღირებულია სხვა რაიმეს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ღირებულებასთან ასოცირდება ორი ძირითადი განსხვავება, რომელიც გულისხმობს განსხვავებას საბოლოო და ინსტრუმენტულ მნიშვნელობასა და შინაგან და გარეგან მნიშვნელობას შორის.

ინსტრუმენტული ღირებულება დერივატიული ღირებულების ერთ-ერთი ტიპია. რაიმე დერივატიული ღირებულების მატარებელია, თუ იგი, თავისი ღირებულების გამო, „ვალდებულია“ სხვა ღირებულების წინაშე. ინსტრუმენტულად ღირებული ობიექტი ვალდებულია საბოლოო ღირებულების წინაშე. ფიქსირდება დერივატიული ღირებულების კიდევ ერთი ტიპი, რომელიც გულისხმობს დერავიტიული ღირებულების ვალდებულებას მისი ერთ ან რამდენიმე სხვა ელემენტის წინაშე.

საკამათოა, არსებობს თუ არა რეალური სხვაობა საბოლოო და შინაგან ღირებულებას შორის. ბევრი ფილოსოფოსის თვალსაზრისით, ამ ტიპის სხვაობა არსებობს. მათი აზრით, ყველა საბოლოო ღირებულება წარმოადგენს შინაგან ღირებულებას. თუმცა, ამჟამად იკვეთება რამდენიმე ფილოსოფოსის თვალსაზრისი, რომელიც გამყარებულია მაგალითებით. ამ ფილოსოფოსთა მიხედვით, შეხედულება იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა ყველა საბოლოო ღირებულება შინაგან ღირებულებას, მჭიდროდაა დაკავშირებული ღირებულების მატარებელთა ონტოლოგიურ ბუნებასთან.

ჯონას ოლსონის თვალსაზრისით, საბოლოო ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ღირებული, თუ ის ღირებულია თავისთავად ან, კაგანის სიტყვებით რომ ვთქვათ, საბოლოო ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ღირებული, თუ ის საბოლოოდ ღირებულია. იკვეთება თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, არსებობს ობიექტის თვითმყოფადი ღირებულება, რომელსაც გააჩნია ნებისმიერი სხვა გარეშე საგნისაგან დამოუკიდებლად არსებობის უნარი. ეს უკანასკნელი თვალსაზრისი ფიქსირდება მურის ნააზრევში. რაიმე შინაგანად ღირებულია, თუ ის სრული იზოლაციის პირობებშიც კი შეძლებს ღირებულების შენარჩუნებას. ამრიგად, ობიექტის საბოლოო ღირებულება უნდა მივიჩნიოთ შინაგანად, თუ ის გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტის დამახასიათებელი შინაგანი თვისებებიდან. ხოლო ობიექტის საბოლოო ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ გარეგანად, თუ ის გამომდინარეობს ობიექტის დამახასიათებელი არაშინაგანი თვისებებიდან.

ჯონას ოლსონის თვალსაზრისში იკვეთება შემდეგი იდეა: საბოლოო ღირებულება გამომდინარეობს მისი მატარებლის შინაგანი თვისებებიდან. ამ თვალსაზრისს მივყავართ მურამდე. აღნიშნული შეხედულების მხარდამჭერ ფილოსოფოსთა შორისაა ჩისკოლმი (ჩისკოლმი, 1986).

რაბინოვიჩისა და რონოუ-რასმუსენის (1999) თვალსაზრისით, შინაგანი მნიშვნელობა წარმოადგენს საბოლოო მნიშვნელობის უფრო ფართო კატეგორიის ქვეკატეგორიას. ობიექტის საბოლოო ღირებულება უნდა მივიჩნიოთ შინაგანად, თუ ის გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტის დამახასიათებელი შინაგანი თვისებებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ის გარეგანი იქნება. აქედან გამომდინარე, რაბინოვიჩისა და რონოუ-

რასმუსენის მიხედვით, საბოლოო მნიშვნელობა შეიძლება იყოს შინაგანი ან გარეგანი. კაგანი ტერმინოლოგიურ ცვლილებას გვთავაზობს. აქ იკვეთება შემდეგი თვალსაზრი: „შინაგანი ღირებულება“ განკუთვნილია ან „თავისთავად ღირებული“ ან „საბოლოოდ ღირებული“ მნიშვნელობებისთვის. აქედან გამომდინარე, კაგანის თანახმად, (1998) შინაგანი ღირებულება შეიძლება იყოს გარეგანი.

ლემოსი (1994) იზიარებს თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, „თავისთავად ღირებული“ წარმოადგენს ინტერესის მნიშვნელოვან საგანს. ის აღიარებს საბოლოო ღირებულებასა და შინაგან ღირებულებას შორის არსებულ კონცეპტუალურ სხვაობას. ლემოსი იზიარებს მურის შემდეგ თვალსაზრისს: „თავისთავადი“ ღირებულება ექსკლუზიურად გამომდინარეობს მისი მატარებლისთვის დამახასიათებელი შინაგანი თვისებებიდან. ლემოსი გულისხმობს იმ თვისებებს, რომლებიც გააჩნია ობიექტს სხვა გარეგანი ობიექტებისგან დამოუკიდებლად.

მური „შინაგანი ღირებულების კონცეფციაში“ აღნიშნავს: არის თუ არა გარკვეული ღირებულება „შინაგანი“, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საგანი ფლობს მას და რა ხარისხით. ეს დამოკიდებულია მხოლოდ საგნის შინაგან ბუნებაზე“ (მური, 1922, გვ. 182). მური აღნიშნულ იდეას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელოვნებას შინაგან ღირებულებასთან მიმართებაში (მური, 1903, გვ. 27).

ჩნდება კითხვა: რატომ დაუშვა მურმა ვარაუდი, რომ ღირებულება, რომელიც ობიექტს გააჩნია „თავისთავად“, უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ მისი შინაგანი თვისებებიდან, ანუ იყოს შინაგანი? - ერთ-ერთ მიზეზს იზოლაციის ტესტის ხიბლი წარმოადგენს. ტესტი გვთავაზობს მეთოდს იმის განსასაზღვრად, არის თუ არა რაიმე „თავისთავად“ ღირებული.

მურის თვალსაზრისით, „საშუალებასა და საბოლოო შედეგს შორის ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, იზოლირებულად უნდა იქნას გათვალისწინებული თითოეული განსაკუთრებული თვისება, რათა განისაზღვროს, თუ რა ღირებულებას ფლობს იგი“.

მეორე თვალსაზრისი კი ასოცირდება ღირებულების ორგანულობასთან. მურის თანახმად, თუ ღირებულად მიგვაჩნია მთელი სიმრავლე და ნათლად ვხედავთ რომ სიმრავლის ერთ-ერთ ელემენტს არ გააჩნია ღირებულება, მაშინ სხვა ელემენტი, თავის მხრივ, უნდა იყოს ყველა იმ ღირებულების მატარებელი, რომლის მატარებელიცაა თავად სიმრავლე“ (მური

1903, გვ. 103). მურმა უარყო აღნიშნული მოსაზრების რაციონალურობა. ეს ბუნებრივია, ვინაიდან მური უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ „მთლიანობის ღირებულება არ უნდა იყოს იგივე, რაც მისი ნაწილების მნიშვნელობათა ჯამი“ (მური, 1903, გვ. 34).

მურის დოქტრინა ორგანულ ერთეულთა შესახებ შემდეგნაირად ჟღერს: შინაგანი ღირებულების სიდიდე, რომელიც მიეკუთვნება სიმრავლეს, დეტერმინირებულია მისი ნაწილების ერთობლიობის ორგანული ეფექტურობით.

2.3. ამერიკული ოცნება როგორც ამერიკული სამყაროს ღირებულებითი სურათის ბირთვი

ცნება „ამერიკული ოცნება“ ხშირად გამოიყენება გარკვეული ზოგადდროვნული იდეოლოგიის აღსაწერად, რომელიც ამერიკელებს აერთიანებს. თუმცა, „ამერიკული ოცნების“ მკაფიო განმარტება არ არსებობს. ამერიკის შეერთებული შტატების თითოეული მცხოვრები მასში დებს თავის საკუთარ წარმოდგენას მშვენიერი მომავლის შესახებ. ამერიკული ოცნების კვინტესენციად ითვლება შეხედულება იმის შესახებ, რომ თითოეულ ადამიანს, რომელსაც აქვს შესაძლებლობები, ენერგია და შრომისმოყვარეობა, შეუძლია პატიოსანი გზით მიაღწიოს წარმატებას ცხოვრებაში, გახდეს წესიერი, პატივსაცემი და შეძლებული ადამიანი.

ი. საუპილი და დ. მაკმურერი შრომაში “American Dreams and Discontents: Beyond the Level Playing Field” ამერიკულ ოცნებას აღწერენ როგორც ღია და დინამიური საზოგადოების რწმენას ინდივიდუალური შესაძლებლობების შესახებ და რწმენას იმისას, რომ ყოველი შემდეგი თაობა უკეთესად იცხოვრებს, ვიდრე - წინა.

3. კროლი თავის წიგნში “The Promise of American Life” ამტკიცებს, რომ ამერიკელებს, უფრო მეტად, ვიდრე სხვა ერებს, სჯერათ, რომ ადამიანის წარმატება დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და კეთილსინდისიერ შრომაზე და არა განსაზღვრული სოციალური კლასის ან ჯგუფისადმი მიკუთვნებულობაზე.

თანამედროვე ფილოსოფოსების უმეტესობა, რომლებმაც ამერიკული ოცნების ფენომენი გაანალიზეს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი ემყარება ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპს. ოდესღაც ევროპელებს შეერთებული შტატები წარმოედგინათ უნიკალურ ქვეყნად, სადაც არ იყვნენ მეფეები და თავადაზნაურობა, იმ უნიკალურ ქვეყნად, სადაც საზოგადოების სტრუქტურა და ქცევის წესები არ განისაზღვრებოდა წოდებრივი სხვაობებით. შეერთებულ შტატებში ყოველთვის ყვაოდა რელიგიური ტოლერანტობა, რაც ასევე განასხვავებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობისგან. ამერიკელის ცხოვრება არ იყო შებორკილი ასობით და ათასობით ფორმალური და არაფორმალური კანონებით, ტრადიციებით და ადათ-წესებით. ამგვარად, შეერთებული შტატების მცხოვრებნი იძენდნენ დანარჩენი მსოფლიოსთვის არნახული თვითგამოხატვის, შემოქმედებისა და მეწარმეობის თავისუფლებას. სწორედ მე-19 საუკუნეში უწოდეს შეერთებულ შტატებს „თავისუფლების ქვეყანა“, თანაც ეს განმარტება თავად ამერიკელებისგან არ მომდინარეობდა. ჟურნალისტი და მწერალი დ. ბრუკსი, წიგნის „On Paradise Drive: How We Live Now (And Always Have) in the Future Tense“ ავტორი, წერს: „ევროპელები ამერიკულ კოლონიებს მომავლის უტოპიად მიიჩნევდნენ. ისინი ახალ სამყაროში არა მხოლოდ მითიური „ოქროს ქვეყნის“ - ელდორადოს საძიებლად მიემგზავრებოდნენ, არამედ მარადიული ახალგაზრდობის წყაროს საძიებლადაც“. დამსახურება ახალი ქვეყნის ასეთი სოციალური მოწყობის ჩამოყალიბებაში ეკუთვნოდა პირველ ევროპელ ახალმოსახლეებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ევროპაში დევნილ რელიგიურ საზოგადოებებს მიეკუთვნებოდნენ. უდიდესი გავლენა აშშ-ს კულტურის შექმნაზე სწორედ ასეთმა შეხედულებებმა მოახდინეს, რომლებიც რელიგიურ კანონებს ეყრდნობოდნენ (ხშირ შემთხვევაში, ბიბლია ყოველდღიური ცხოვრების წესზე წარმოდგენების და არაფორმალურ კანონთა კრებულის როლს ასრულებდა). ამ მსოფლმხედველობის კვინტესენციად იქცა სიმბოლური ფრაზა „ქალაქი ბორცვზე“, რომელიც მქადაგებელმა ჯ. უინტროპმა 1630 წელს დაწერა. უინტროპი ისეთი სამყაროს შექმნისაკენ მოუწოდებდა, რომელშიც ყველას შეეძლებოდა საარსებო საშუალების შოვნა, შეეძლებოდა თავისი ძალების გამოყენების გზების არჩევა, სადაც ყველა ადამიანის ხმა იქნებოდა გაგონილი, ხოლო ადამიანის საკუთრება ვერ გასხვისდებოდა ამა ქვეყნის ძლიერთა და მდიდართა თვითნებობის შედეგად. ანუ პურიტანები, რომლებსაც უინტროპი მიმართავდა,

უნდა გამხდარიყვნენ ახალი სამყაროს შემქმნელები, რომელიც იმ ძველ სამყაროზე მაღლა იდგებოდა, რომელშიც ცოცხა და უსამართლობა უფრო ხშირად იმარჯვებდა, ვიდრე სიწმინდე და სიკეთე. საყოველთაოდ ხმარებულმა იდეამ „ქალაქი ბორცვზე“ საშუალება მისცა ისტორიკოს ს. ბერკოვიჩს მისულიყო დასკვნამდე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გახდა ქვეყნის უნიკალური მაგალითი, რომელიც კოლექტიურ ფანტაზიაზე იყო დაფუძნებული. ამერიკის შეერთებული შტატები წარმოშობის მომენტში შესანიშნავ შესაძლებლობას იძლეოდა სიმდიდრის მოსაპოვებლად: გამოუკვლეველი წიაღი, ცუდად განვითარებული ეკონომიკა და ა.შ. და შედეგად, ადამიანს შეეძლო წარმატების მიღწევა ერთი შემთხვევის წყალობით, ოქროს საბადოების აღმოჩენით ან ორიგინალური იდეის რეალიზებით. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ბულვარული რომანების ავტორმა ჰ. ალჯერმა ცნება „ამერიკული ოცნება“ რელიგიური და ფილოსოფიური სიბრტყიდან მასობრივი კულტურის სფეროში გადაიყვანა. მის რომანებში ჩექმების მწმენდელები მილიონერები ხდებოდნენ და ამგვარად, ძველმა ზღაპარმა კონკიას შესახებ, რომელმაც ბედნიერება მხოლოდ ბედნიერი ქორწინებით მოიპოვა, ახალი ჟღერადობა შეიძინა.

1870–1900-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატები ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანად გადაიქცა და მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სამრეწველო სახელმწიფო გახდა. ზოგიერთმა მეწარმემ (ზოგჯერ მათ „ყაჩაღ ბარონებს“ უწოდებენ, რადგანაც ისინი არაეთიკურ, მონოპოლისტურ პრაქტიკას და კორუმპირებულ პოლიტიკურ გავლენას იყენებდნენ უზარმაზარი სიმდიდრის დასაგროვებლად) პირადი მაგალითით აჩვენა ჰ. ალჯერის სისწორე და „ამერიკული ოცნების“ ნამდვილი სიმბოლო გახდა. მაგალითად, სახელგანთქმული მრეწველი ე. კარნეგი ემიგრანტი იყო, პრაქტიკულად არავითარი სისტემატური განათლება არ მიუღია, მაგრამ საკუთარი შეუპოვრობის, ნიჭის, შრომისმოყვარეობის წყალობით, იგი ჯერ ამერიკული ეკონომიკის „კაპიტნად“ გადაიქცა, ხოლო მოგვიანებით მსოფლიო დონის პოლიტიკური მოღვაწე და უმსხვილესი ფილანთროპი გახდა. მაგრამ „ამერიკული ოცნება“ არ იყო ოცნება მილიონობით დოლარზე. შეერთებულ შტატებში მილიონერი შედარებით ცოტა იყო. მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკელი მდიდრები, როგორც წესი, გაცილებით უფრო ღარიბები იყვნენ, ვიდრე, მაგალითად, ბრიტანელი არისტოკრატები. ბ. დელონგი მივიდა დასკვნამდე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ისტორიის უმეტესი ნაწილის მანძილზე მილიონერად ქცევა

პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. გამონაკლისი იყო დროის შუალედები 1870-დან 1929 წლამდე და 1980 წლიდან დღემდე. მილიარდერების რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამუდმებით მერყეობდა, მაგალითად, 1860-იან წლებში ისინი მხოლოდ ორნი იყვნენ. 1900 წელს - 22, 1957 წელს - 16, 1996 წელს - 132.

1931 წელს ჯ. ტ. ადამსმა გამოაქვეყნა ისტორიული ტრაქტატი “The Epic of America”. იმ წელს ამერიკის შეერთებული შტატები უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისს - დიდ დეპრესიას განიცდიდა. ადამსმა გამომცემელს სთხოვა ამ წიგნისთვის „ამერიკული ოცნება“ ეწოდებინა, მაგრამ გამომცემელმა უარი უთხრა და უპასუხა, რომ ნამდვილი ამერიკელი არასდროს დახარჯავს 3.50 დოლარს ოცნების შესაძენად. ადამსმა მიუგო, რომ ნამდვილი ამერიკელი ყოველთვის მზადაა ოცნებისთვის დახარჯოს ყველაფერი, მაგრამ გამომცემელმა დაჟინებით მოითხოვა სხვა სახელწოდება. ადამსმა ამერიკული ოცნება შემდეგნაირად აღწერა: „ეს არის ოცნება ქვეყანაზე, სადაც ყველა ადამიანის ცხოვრება იქნება უკეთესი, უფრო მდიდრული და უფრო სრულფასოვანი; სადაც ყველას ექნება თანაბარი შესაძლებლობები და შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში, მიიღოს ის, რასაც იმსახურებს. ამერიკული ოცნება არ არის მხოლოდ მაღალი შემოსავლის იმედი - ეს ისეთი საზოგადოების იმედიც არის, რომელშიც ყველას შეუძლია უმაღლესი შედეგების მიღწევა და აღიარების მოპოვება. ამ ოცნების სწორად გაგება რთულია, ბევრი ჩვენგანი დაიღალა და მას არ ენდობა“. წიგნის გაყიდვაში გამოსვლის შემდეგ, ტერმინი „ამერიკული ოცნება“ ამერიკელების ლექსიკონში დამკვიდრდა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი უამრავი ცვლილების მიუხედავად, ოცნება გადარჩა. მან ახალი ელფერი შეიძინა, მაგალითად, ის შეიცავდა ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებთა რწმენას ძლიერი და მეგობრული ოჯახის შექმნის აუცილებლობის შესახებ, რომელშიც აუცილებლად არის რამდენიმე შვილი. ეს ოჯახი უნდა ცხოვრობდეს საკუთარ სახლში, კეთილ მეზობლებს შორის, შინაური ცხოველების გარემოცვაში და ჰქონდეს მანქანა. ამერიკელმა მკვლევარებმა თ. სტენლიმ და უ. დანკომ, წიგნის “The Millionaire Next Door” ავტორებმა, დაადგინეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების მილიონერების უმეტესობა ისეთი ცხოვრების წესს ეწევა, რომელიც ამერიკელთა უმრავლესობისგან დიდად არ განსხვავდება. მათ ურჩევნიათ შეიძინონ იაფი ტანსაცმელი და ავტომანქანები და ბევრს არ ხარჯავენ ფუფუნების საგნებსა და გართობებზე.

არსებობს ამ წესის მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი: მაგალითად, მილიონერთა ცოლების ნახევარზე მეტი არ მუშაობს (ამერიკული ოჯახების აბსოლუტურ უმრავლესობაში ორივე მეუღლე მუშაობს). “The Millionaire Next Door” ავტორები აკეთებენ შემდეგ დასკვნას: „ამერიკელები თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ და მომავალზე ოცნებობენ“. იმისათვის, რომ შეიქნა ამერიკა, აუცილებელია სერიოზულად მიუდგე ამერიკული ცხოვრების ცენტრალურ კლიშეს - ამერიკულ ოცნებას. მიუხედავად იმისა, რომ ვაწყდებით ყოველდღიური ცხოვრების მოსაწყენ ბანალურობას, ეს ოცნება გვაცოცხლებს, გვასულდგმულებს, გვანიჭებს ძალას და გვაიძულებს, რომ ბევრი ვიშრომოდ, ხშირად გადავიბარგოდ, აქტიურად ვიმოქმედოდ და შევიცვალოდ. ჩვენ ვაგრძელებთ ახლისკენ, უჩვეულოსა და განსხვავებულისკენ სწრაფვას, მიუხედავად იმისა, რომ ამას ყოველთვის არ მოაქვს ჩვენთვის სარგებელი და სიამოვნება“. ამერიკელების ეროვნული ხასიათი, მათი ეროვნული იდენტობა, თვითმყოფადობა განისაზღვრება ისტორიულად ჩამოყალიბებული იდეალებით და ღირებულებებით, რომლებიც კრავს და ამტკიცებს ამერიკელთა რელიგიურ და კულტურულ განსხვავებებს. ამერიკელთა სამყაროს ღირებულებითი სურათი კონცენტრირდება ცნების „ამერიკული ოცნება“ გარშემო და შეიცავს, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლებას. ამერიკულ თავისუფლებას საფუძვლად უდევს დამფუძნებელი მამების შეხედულება ყველა ადამიანის თანასწორობაზე და მთავრობის ამოცანაზე, დაიცვას მოქალაქეთა ძირითადი უფლებები. 1791 წლის ამერიკის კონსტიტუცია აღიარებს ისეთ უფლებებს, როგორცაა სიტყვის, პრესის და სარწმუნოების თავისუფლება. სინამდვილეში, ამერიკის მთელი ისტორია ნათელი მაგალითია ბრძოლისა დამფუძნებელი მამების მიერ დაპირებული თავისუფლების მისაღწევად.

ამერიკული წარმოდგენა თავისუფლებაზე ემყარება ინდივიდუალიზმის ფილოსოფიას, რომელმაც ფესვები გაიდგა შეერთებულ შტატებში. ტ. ჯეფერსონი, ფილოსოფოსი და ამერიკის მესამე პრეზიდენტი, დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი, მიიჩნევდა, რომ თავისუფალი ინდივიდუალის იდენტობა, მისი ღირსება უნდა იყოს წმინდა და ურყევი. მე-19 საუკუნის ფილოსოფოსები რ. უ. ემერსონი, დ. ტორო, მ. ფულერი მოუწოდებდნენ ადამიანებს საკუთარი ძალების რწმენისკენ, თავდაჯერებულობისკენ, რუტინისა და ჩვეულებრიობის წინააღმდეგ აჯანყებისკენ. პოეტი უოლტ უიტმენი ხოტბას ასხამდა ინდივიდუალიზმს: “I swear nothing is good to me now that ignores individuals, The American

compact is altogether with individuals“. (Whitman/ უიტმანი, 1856). ფილოსოფოსები უ. ჯეიმსი და ჯ. დიუი დაჟინებით ამტკიცებდნენ ადამიანის საკუთარი ბედის მართვის შესაძლებლობას. ინდივიდუალიზმი ასევე გულისხმობს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ველური დასავლეთის ათვისების ეპოქის პიონერები დ. კროკეტი და დ. ბუნი ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში იოლად ტრანსფორმირდნენ ბიზნესმენებად, რომლებმაც დამოუკიდებლად მიაღწიეს წარმატებას.

ამერიკელების პრაგმატიზმი საყოველთაოდ არის ცნობილი. ადამიანებს, რომლებმაც თვითონ შექმნეს საკუთარი თავი, უყვართ ყველაფრის საკუთარი ხელით კეთება. მნიშვნელოვანი ამერიკული ღირებულება არის მოხალისეობა, ნებისმიერი სოციალურად მნიშვნელოვანი სამუშაოს ანაზღაურების გარეშე შესრულების მზადყოფნა (ფსიქოლოგიური დახმარების სამსახური, იურიდიული კონსულტაცია, საქველმოქმედო საქმიანობა). ადვილია დარჩე ოპტიმისტად, რომელსაც ყველაფრის მოგვარება შეუძლია ამოუწურავი სიმდიდრის ქვეყანაში. პირველი კოლონისტები ადარებდნენ ერთმანეთს ამერიკის სიმდიდრეს და მათი ისტორიული სამშობლოს სიღარიბეს. ველური დასავლეთის პიონერების სიმღერაში ნათქვამია, რომ უკიდევანო მდიდარ ქვეყანაში ნებისმიერ ადამიანს ექნება მეურნეობა: “Come along, come along, make no delay, Come from every nation, come from every way, Our lands are broad enough, don't be alarmed, For Uncle Sam is rich enough to give us all a farm“ (Hutchinson/ ჰატჩინსონი, 1848). არა მხოლოდ ფერმერებს, არამედ მონადირეებსაც, ოქროს მაძიებლებსაც, ტყის მჩხეხვებსაც შეეძლოთ, ჰქონოდათ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის იმედი.

ამერიკელების პრაგმატიზმი, თავისი ქვეყნის ამოუწურავი სიმდიდრის რწმენა მჭიდრო კავშირშია ადგილების ხშირი ცვლის სურვილთან. ემიგრანტი ერის მობილობა, ცხოვრების თავიდან დაწყების სურვილი, თავდაპირველად აღმოსავლეთის, შემდეგ კი ამერიკის დასავლეთ ნაწილის ათვისების ისტორია თითოეული ამერიკელის ცხოვრების წესში აისახება. ოპტიმიზმით აღსავსე ამერიკელები გადადიან ქალაქიდან ქალაქში, შტატიდან შტატში, იცვლიან სამსახურს, ქორწინდებიან და შორდებიან. თუ ამერიკელს საკუთარი სახლი არ აქვს, მას შეუძლია სახლის დაქირავება ძირითადად ერთი წლით და იშვიათად, თუ ვინმე გააგრძელებს კონტრაქტს შემდეგი წლისათვის. ამერიკელთა მობილობა შეიძლება ჩაითვალოს ამერიკელი ერის ჰომოგენურობის გამყარების მნიშვნელოვან ფაქტორად, ვინაიდან გამუდმებული შიდა მიგრაციები ხელს უწყობს თავდაპირველად განსხვავებული

ლინგვოკულტურული ტრადიციების დაახლოებას. ამერიკელების მობილობა არბილებს ინგლისური ენის ამერიკული ვარიანტის დიალექტურ სხვაობებს. საპირისპირო ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ემიგრანტების ეროვნული თემების გაძლიერება, რომელთა წარმომადგენლები, არსებობენ რა თავიანთი ისტორიული სამშობლოს მსგავს ვირტუალურ სამყაროში, მეტწილად, ბოლომდე ვერ ადაპტირდებიან და ვერ გადიან ახალ გარემოში ინკულტურიზაციის პროცესს, ფრიად ცუდად ფლობენ ინგლისურ ენას და ვერ ახერხებენ განათლების მიღებას და ღირსეული სამუშაოს შოვნას. შემდეგი თაობები უფრო ადვილად უმკლავდებიან მამათა და პაპათა პრობლემებს. ამერიკელთა მობილობა იწვევს ე.წ. „მცირე სამშობლოს“ ცნებისა და გარკვეულ ადგილზე მიბმულობის არარსებობას. ამიტომ, ამერიკული პატრიოტიზმი არის განსაკუთრებული ღირებულება, რომელსაც აქვს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებული ტემპორალური ანუ დროითი გამოხატულება და არა სივრცითი, როგორც სხვა ქვეყნებში. ახლისკენ სწრაფვა, ტექნიკური სიახლეებით დაწყებული, ახალი საქონლით და ახლად მომხდარი ამბებით დამთავრებული, ასახულია ინგლისური ენის ამერიკულ ვარიანტში, დაწყებული ტოპონიმებით: ნიუ იორკი, ნიუ ჰემპშირი, ნიუ ორლეანი, ახალი ინგლისი და ათობით ანალოგიური სახელი, რიგობითი რიცხვითი სახელის „პირველი“ დამატებით დამთავრებული, თანაც გაზვიადებული კვებით ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია: პირველი კოსმონავტი, რომელმაც მთვარეზე ფეხი დადგა, პირველი გასართობი ქალაქი, პირველი ერთსულოვნად არჩეული პრეზიდენტი.

ამერიკული ღირებულებები და იდეალები ასოცირდება განვითარებასთან, წინსვლასთან, უკეთესი სოციალური სტატუსის და საბოლოოდ ამერიკული ოცნების მიღწევასთან. ახალ სამყაროს ითვისებდნენ ორი სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები: ერთი მხრივ, ავანტიურისტები და მაწანწალები, გაქცეულები და რომანტიკოსები, მეორე მხრივ, სამშობლოში დევნილი პროტესტანტები, მიწათმოქმედები და ხელოსნები. საქმიანობის და შეხედულებების ამ ნაზავმა გამოიწვია ჰეტეროგენურობა და სამყაროს ღირებულებითი სურათი. სიჭრელე, მრავალფეროვნება და სხვადასხვა სტილის ნარევი, ამთვისებლობა, „ყოვლისმჭამელობა“, რომელიც მას საშუალებას აძლევდა ადვილად „გადაეყლაპა“ სხვა „კულტურების ელემენტები“, ამერიკული კულტურის თავისებურებებს შეადგენენ.

ამერიკელი ხალხის ძირითადი ღირებულებები უცვლელი რჩება ქვეყნის არცთუ ისე დიდი

ხნის ისტორიის განმავლობაში; მათ არაერთხელ გაიარეს კრიტიკის ქარცეცხლში, მაგრამ რთულ პერიოდებში დაამტკიცეს თავისი აუცილებლობა და სიცოცხლისუნარიანობა. ენაში ამერიკელთა ღირებულებები და იდეალები განმტკიცებულია ლინგვოკულტურემებში და იდეოლოგიემებში: თავისუფლების ქანდაკება, 11 სექტემბერი, მადლიერების დღე, დამოუკიდებლობის დღე, პატრიოტის დღე, პერლ ჰარბორი, დამოუკიდებლობის დეკლარაცია, დამფუძნებელი მამები, ამერიკული ოცნება, ვარკვლავებიან-ზოლიანი დროშა, ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავი თვითონ შექმნა - “self-made man” და მრავალი სხვა. ამერიკული აფორიზმები საყოველთაოდ არის ცნობილი: „ამერიკა იდეალისტების ერია“, „ამერიკის საქმე არის ბიზნესი“ (აფორიზმების ავტორია აშშ-ს პრეზიდენტი კ. კულიჯი), „დრო ფულია“ (ცნობილი გამონათქვამი „დრო ფულია“ 1748 წელს გაჩნდა და მისი ავტორი არის ბენჯამენ ფრანკლინი, ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და გამომგონებელი).

2.4. კოგნიტური სემანტიკა და აქსიოლოგია სემანტიკაში

თანამედროვე ლინგვისტიკაში იკვეთება სულ უფრო მზარდი ინტერესი აქსიოლოგიისადმი კრეფოვსკი (1989), კლეპარსკი (1990).

არსებობს შეხედულება, რომ კრეფოვსკიმ (1989) შექმნა კოგნიტური აქსიოლოგიის ახალი სფერო, სადაც დიქოტომია ან შკალა, რომელიც წარმოდგენილია „ცუდით“ და „კარგით“, შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე დიქოტომია ან შკალა, რომელიც წარმოდგენილია „ჭეშმარიტით“ და „მცდარით“. საკმაოდ სიანტერესოა ის ფაქტი, რომ ავტორი გვაწვდის მტკიცებულებებს, რომლის მიხედვითაც, აქსიოლოგიური პარამეტრი როგორც ჩანს, ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მნიშვნელობათა ანალიზში, ვიდრე ეს ადრე იყო წარმოდგენილი.

კრეფოვსკის (1989) აქსიოლოგიური პრინციპის მიხედვით, სიტყვები ავლენენ ტენდენციას, იყვნენ აქსიოლოგიურად დატვირთულნი „კარგი“ ან „ცუდი“ კონოტაციებით. ამ პრინციპის უკან მდომი იდეის მიხედვით, მეტაფორული გამონათქვამები უფრო მიდრეკილნი არიან აქსიოლოგიური პოლარობისკენ, ვიდრე არა მეტაფორული. მაგალითად, თუ შევადარებთ

მეტაფორულ კონტექსტს “Peter is a hog“ და არა მეტაფორულს “Peter is a student“, ჩვენ ცხადია შევამჩნევთ, რომ შეფასება წარმოადგენს მეტაფორიზაციის განუყოფელ ნაწილს. უკანასკნელ კონტექსტში აქსიოლოგია იწყებს მოქმედებას. ანალოგიურად, როგორც კრეზოვოსკიმ აღნიშნა, სიტყვა „ძალი“ აქსიოლოგიურად ნეიტრალურია, როდესაც ხდება მისი არაფიგურალურად გამოყენება, მაგრამ ფიგურალური გამოყენებისას უკიდურესად შემფასებლურად იქცევა - მაგალითად, „he is going to the dogs or to give/throw something to the dogs“.

აქსიოლოგიური მნიშვნელობები / თვისებები / ელემენტები ჯგუფდებიან პოზიტიურ, ნეიტრალურ, ნეგატიურ სიმრავლეებად, რომლებიც ემყარებიან აქსიოლოგიურ მარკირებას (კლეპარსკი 1990).

კოგნიტური ლინგვისტიკისა და ენისადმი კოგნიტური მიდგომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უპირატესობად მკვლევარები მიიჩნევენ შემდეგ ფაქტს: კოგნიტოლოგია უზრუნველყოფს ენის ხედვის ფართო პერსპექტივას, რაც გულისხმობს ისეთ შესაძლებლობათა უზრუნველყოფას, როგორცაა:

1. ენასა და ადამიანს შორის არსებულ მიმართებათა მრავალფეროვნების წვდომა;
2. ენასა და ინტელექტს შორის არსებულ მიმართებათა განსაზღვრა (კროფტი & კრუზი, 2009, გვ. 356).

კოგნიტივიზმის ფარგლებში ენობრივი ფაქტები განიხილება კოგნიტური სემანტიკის პოზიციიდან. ენობრივი მონაცემები წარმოადგენს მენტალური პროცესების ანალიზისა და მოდელირებისათვის საჭირო მასალას. ეს კი ნიშნავს, რომ კოგნიტივიზმზე ცენტრირებული სემანტიკური თეორია უნდა ასახავდეს იმას, რაც სინამდვილეში ხდება ადამიანის გონებაში.

კოგნიტური პერსპექტივის სპეციფიკით აღბეჭდილ სემანტიკურ კვლევათა ანალიზი საკმაოდ რთული ამოცანაა, ვინაიდან, მიუხედავად თვალსაზრისთა გარკვეული ერთობისა, არ არსებობს უნივერსალურ დებულებათა მზა მოდელი. შესაბამისად, კოგნიტური პერსპექტივის სპეციფიკით აღბეჭდილ სემანტიკურ კვლევათა ანალიზი წარმოადგენს იდეათა და თვალსაზრისთა პანორამას.

მკვლევართა უმრავლესობა კოგნიტური ლინგვისტიკისათვის სიმპტომატურად მიიჩნევს შემდეგ დებულებებს:

1. ადამიანის კოგნიტური უნარების დესკრიფცია გულისხმობს მენტალურ რეპრეზენტაციათა არსებობის ფაქტს;
2. მენტალური რეპრეზენტაციების დესკრიფციის პროცესი გულისხმობს დისტანცირებას, ერთი მხრივ, ბიოლოგიური და ნეიროლოგიური, მეორე მხრივ კი, სოციალური და კულტურული თავისებურებებისაგან (კროფტი&კრუზი, 2009, გვ. 356). (ლაკოფი, 1987, გვ. 614).

ასევე მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ კოგნიტური ლინგვისტიკა კომპლექსური სააზროვნო სივრცეა, რომლის წარმოდგენაც შესაძლებელია „მეცნიერებათა ფედერაციის“ სახით (კროფტი&კრუზი, 2009, გვ. 356).

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა წარმოადგენს კოგნიტოლოგიურ პერსპექტივაში ინტეგრირებულ სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა საერთო მნიშვნელს? - ამგავარ საერთო მნიშვნელს წარმოადგენს ადამიანური კოგნიცია როგორც - აღქმის სისტემათა ურთიერთქმედება, ინფორმაციის რეპრეზენტაცია და პროდუცირება.

მკვლევართა უმრავლესობა აღიარებს, რომ:

1. ადამიანის კოგნიტური სამყარო შეისწავლება მისი ქცევისა და განხორციელებული ქმედებების მიხედვით;
2. ენა არა მხოლოდ „ჩართულია“ ქმედების ამა თუ იმ ტიპში, არამედ ქმნის ქმედების ენობრივ საფუძველს - ახდენს ქმედების ინტენციის ობიექტივაციას (ლაკოფი, 1987), (კროფტი&კრუზი, 2009, გვ. 356).

კოგნიტური სემანტიკის ფარგლებში ფუნქციონირებად, კვლევისათვის რელევანტურ რამდენიმე თეორიულ კონსტრუქტზე უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება.

კონცეპტი კოგნიტური თეორიის ბირთვული ელემენტია. მკვლევართა ერთი ნაწილი, კონცეპტის ძირითად მახასიათებლად მიიჩნევს მის არაიზოლირებულობას, მიბმულობას

სხვა კონცეპტებთან. სწორედ ეს მახასიათებელი განაპირობებს იმ ფაქტს, რომ კონცეპტი „ჩართულია“ დომენებში (domains), რომლებიც, თავის მხრივ, აყალიბებენ ფრეიმულ სტრუქტურას (ლანგაკერი, 1991, თავი 2).

დომენები ქმნიან იმ სემანტიკურ ფონს, რომლიდანაც გამოიყოფა კონცეპტი. თითოეული დომენი მოიცავს მარკერთა რეპერტუარს - განზომილებას (dimension). მარკერთა რეპერტუარი - განზომილება თავადაც შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც ცალკეული დომენი (Hawkins/ ჰოუკინსი, 2005).

კოგნიტური სემანტიკის ერთ-ერთ ურთულეს ცნებას წარმოადგენს სქემა. სქემა წარმოადგენს სქემატურ სტრუქტურას, რომლის მეშვეობითაც ორგანიზდება ადამიანის გამოცდილება. სქემაში ფიქსირებულია ადამიანის აღქმისა და ქმედების დინამიური მოდელი (pattern), რომელიც ხასიათდება განმეორებითობით (ლაკოფი, 1990, გვ. 39-74).

სქემა წარმოადგენს გამოცდილების ფრაგმენტთა სივრცეს, რომლის მთლიანობასაც უზრუნველყოფს „ანთროპოცენტრისტული ატრაქცია“.

მნიშვნელობის პროტოტიპული წარმოდგენა კოგნიტური მიმართულების ერთ-ერთ ცენტრალური საკითხია (Wierzbicka/ვეჟბიკა, 1980).

ენობრივ ერთეულთა პოლისემია წარმოადგენს „რადიალურ“ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვნების, მდგრადობისა და ცნობადობის მაქსიმალურად მაღალი ხარისხით აღბეჭდილ ცენტრს და მნიშვნელოვნების, მდგრადობისა და ცნობადობის შედარებით დაბალი ხარისხით აღბეჭდილ პერიფერიას (ლაკოფი, 1987, გვ. 614).

„ბადე“, რომელიც წარმოადგენს ერთი და იმავე ენობრივი ერთეულის ცალკეულ მნიშვნელობათა ერთ მთლიანობამდე დაყვანის შესაძლებლობის დემონსტრაციას. ბადის ისარი მიუთითებს ელემენტთა შორის არსებულ კავშირთა მიმართულებაზე - ისარი მიმართულია ცენტრალურიდან პერიფერიულიაკენ (ლანგაკერი, 1984).

ყველაზე კარგად ადამიანმა იცის ის, რაც მან მიიღო გამოცდილებით, იგულისხმება:

ობიექტები, ქმედებები და მიმართებები, რომლებიც განეკუთვნება ადამიანისა და სამყაროს

ურთიერთობის ბაზისურ დონეს. შესაბამისად, კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა მოიცავს:

1. კატეგორიზაციის მექანიზმებისა და მოდელების თავისებურებათა განსაზღვრა;
2. ენისა და აზროვნების მიმართების თავისებურების გამოვლენა (Rosch&Warren /როში &ვარენი, 1977, თავი 1, 1-49).

კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს ადამიანის, როგორც ინფორმაციის აღქმელისა და მაპროდუცირებელის, ინტერპრეტაცია. აღნიშნული ინტერპრეტაციის თანახმად, აღიქვამს და ახდენს რა ინფორმაციის პროდუცირებას, ადამიანი ხელმძღვანელობს სქემებით.

თავი III. ლინგვოკულტუროლოგიის ინტეგრაციულობის არსი

3.1. ლინგვოკულტუროლოგია - ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის კვეთის შედეგი

სააზროვნო სივრცეთა ერთმანეთში შეღწევის ტენდენცია წარმოადგენს XX საუკუნის მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მარკერს.

ადამიანი განიხილება ეროვნული კულტურის ნაწილად: იგი განიხილება ეროვნული ტრადიციების, ენის, ისტორიისა და ლიტერატურის მატარებლად. დღეს ერებს შორის არსებული მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო კონტაქტების არსებობის ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენასა და კულტურას შორის არსებული მიმართების სპეციფიკის კვლევა.

ლინგვოკულტუროლოგია წარმოიშვა ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის კვეთაზე. ეს არის სააზროვნო სივრცე, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული ერის კულტურის ენაში ასახვაზე და კვლევის შედეგათა კონსოლიდაციაზე.

ლინგვოკულტუროლოგია თანაბრად ცენტრირებულია როგორც კულტურაზე, ისე ენაზე, შესაბამისად, ლინგვოკულტუროლოგია უნდა იქნას გააზრებულია როგორც აკუმულირებული ცოდნა კონკრეტული ერის იმ ეროვნულ-კულტურული მახასიათებლების შესახებ, რომლებიც ენაშია ასახული.

ლინგვოკულტუროლოგია წარმოადგენს ლინგვისტიკის დამოუკიდებელ დარგს, რომელიც პირველად XX საუკუნის 70-იან წლებში ფიქსირდება ისეთ ტრიადაში, როგორცაა: ენა-კულტურა-პიროვნება. ლინგვოკულტუროლოგია მიზნად ისახავს ლინგვისტურ და კულტურულ კვლევათა განხორციელებას ფილოლოგიის სააზროვნო სივრცისათვის რელევანტური მეთოდებით ოპერირების გზით. ეს არის ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ენა ობიექტივირდება, ვერბალიზდება თავის ერთეულებში. სწორედ ეს ერთეულები ინახავენ და გადასცემენ თაობებს კულტურას.

ლინგვოკულტუროლოგია შეისწავლის და აღწერს ენასა და კულტურას მათ ურთიერთქმედებაში. აღნიშნული ურთიერთქმედება გულისხმობს ენისა და კულტურის, ენისა და ეთნოსის, ენისა და ეროვნული მენტალიტეტის ურთიერთმიმართებას. ენისა და კულტურის ურთიერთქმედების ანალიზისთვის გამოიყენება ანალიტიკური ოპერაციებისა

და პროცედურების კონკრეტული რეპერტუარი. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ რეპერტუარში განსაკუთრებით ღირებული კონცეპტუალური, აღწერითი, კონტექსტუალური, ანალიტიკური, შედარებითი მეთოდებია.

ტექსტების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი წარმოადგენს კვლევის განსაკუთრებულ სფეროს, რომელშიც აქტიურად გამოიყენება ინტერპრეტაციული და ფსიქოლოგიური მეთოდები.

ლინგვოკულტუროლოგიის მთავარ კატეგორიად მოიაზრება კონცეპტი - ერთეული, რომელიც ორიენტირებულია ენის, გონებისა და კულტურის კომპლექსურ კვლევაზე.

ლინგვოკულტუროლოგიის მთავარ ობიექტს კი წარმოადგენს კულტურისა და ენის ურთიერთქმედება მათი ფუნქციონირების პროცესში. ლინგვოკულტუროლოგიის სააზროვნო სივრცეში აღნიშნული ურთიერთქმედება მოიაზრება როგორც მთლიანობრივი სისტემა.

ლინგვოკულტუროლოგიის საგანია ერების არსებობის ეროვნული ფორმები. აღნიშნული ფორმები იკვეთება ენობრივი კომუნიკაციის სისტემაში და ემყარება მათ კულტურულ საკუთრებას.

როდესაც დადგინდა, რომ მეცნიერებაში ენის შესახებ კულტურის ადგილი აღარ იყო, დაიწყო ლინგვოკულტუროლოგიის ჩამოყალიბება. მისი წარმოშობა XIX და XX საუკუნეების ფილოსოფიური და ლინგვისტური აზროვნების განვითარების ბუნებრივი შედეგია.

ლინგვოკულტუროლოგიის სფეროს კვლევას მიეძღვნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პოპულარული აღმოჩნდა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში გამოცემული კვლევა მასლოვას ავტორობით.

აღნიშნულ ნაშრომში ავტორი დეტალურად ანალიზებს ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს და აღწერს ლინგვოკულტუროლოგიის სააზროვნო სივრცეში არსებულ ტენდენციებს.

მასლოვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლინგვოკულტუროლოგიის ინტერდისციპლინარულობის ფაქტს და მოიაზრებს ლინგვოკულტუროლოგიას

„ლინგვისტიკის მიმართულებად, რომელიც წარმოიშვა ლინგვისტიკისა და კულტურული კვლევების შერწყმის ადგილას“. მეცნიერი მიიჩნევს ლინგვოკულტუროლოგიას „ჰუმანიტარული დისციპლინად, რომელიც მიზნად ისახავს ცოცხალ ეროვნულ ენაში ასახული და ენობრივ პროცესებში რეპრეზენტირებული მატერიალური და სულიერი კულტურის კვლევას“. და ბოლოს, მასლოვა განიხილავს ლინგვოკულტუროლოგიას „ინტეგრაციულ, კულტურული მეცნიერებისა და ლინგვისტიკის, ეთნოლინგვისტიკისა და კულტურული ანთროპოლოგიის კვლევის შედეგების გამაერთიანებელ დისციპლინად“ (Maslova/მასლოვა, 2001, გვ.43), რომელიც ორიენტირებულია კულტურის ინტეგრირებულობის კვლევაზე ლინგვისტური კონცეპტების ფორმირებაში.

მასლოვას ნაშრომში ლინგვოკულტუროლოგია გააზრებულია ლინგვისტიკური კულტურის თეორიულ საფუძვლად. ლინგვოკულტუროლოგია მიჩნეულია სინთეზირებული ტიპის კომპლექსურ სააზროვნო სივრცედ, მეცნიერულ დისციპლინად, რომელიც ორიენტირებულია ენისა და კულტურის მიმართებისა და ურთიერთქმედების კვლევაზე. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ტიპის კვლევაში ნათლად იკვეთება ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური შინაარსის მქონე ერთეულთა განუყოფლობა.

ლინგვოკულტუროლოგია ამკვიდრებს თანამედროვე კულტურულ პრიორიტეტებს (მასლოვა, 2001, გვ.45). ამ სააზროვნო სივრცის ანალიზის მთავარ ერთეულად გააზრებულია ლინგვოკულტურა, რომელიც წარმოადგენს „ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური (კონცეპტუალური და ობიექტური) შინაარსის მქონე დიალექტიკურ მთლიანობას“.

კრასნიხი თავის ნაშრომში „ეთნოფსიქოლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია“ ლინგვოკულტუროლოგიას განმარტავს როგორც „დისციპლინას, რომელიც შეისწავლის კულტურის გამოვლინებას, ასახვას და ფიქსაციას ენასა და დისკურსში; ის პირდაპირ დაკავშირებულია სამყაროს ეროვნულ სურათთან, ლინგვისტურ ცნობიერებასთან“ (Krasnykh/კრასნიხი, 2002, გვ. 23). მეცნიერის თანახმად, ლინგვოკულტუროლოგიის საგანს წარმოადგენს კულტურულად ღირებული ენისა და დისკურსის ერთეული. ეს უკანასკნელი გააზრებულია როგორც „არხი“, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ლინგვისტური კომპლექსის კულტურულ და ისტორიულ ფენებში შეღწევა, ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით და მათი გამოყენებით ენასა და დისკურსში აღბეჭდილი კულტურის

იდენტიფიკაცია. კულტურა სარკისებურად აისახება ენაში. უძველესი წარმოდგენები შეესატყვისება კულტურულ არქეტიპებს, რომელთა ხედვა ენის პრიზმაშია შესაძლებელი.

კარასიკის თანახმად, ლინგვოკულტუროლოგია „კულტურისა და ენის ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების შესახებ მეცნიერული ცოდნის კომპლექსური დარგია, რომლის მთავარი ერთეული კულტურული კონცეპტია, საკვლევი ერთეულები კი - რეალიები და სპეციფიკური მახასიათებლები“ (Karasik/კარასიკი, 2002, გვ. 112-123). სწორედ ამიტომ აუცილებელი დამატებითი ინფორმაციის ადეკვატური გაგება კონკრეტული კულტურის მატარებელი ხალხის შესახებ.

კარასიკი ასახელებს რამოდენიმე მიზეზს, რაც განაპირობებს ლინგვოკულტუროლოგიის ინტენსიურ განვითარებას. ეს მიზეზებია: გლობალიზაცია; სხვადასხვა კულტურის მატარებელი ხალხების ქცევისა და კომუნიკაციის უნივერსალური და უნიკალური მარკერების გათვალისწინების აუცილებლობა; ცოდნა იმ სიტუაციათა შესახებ, რომლებშიც მაღალია კულტურათაშორისი გაუგებრობების ალბათობა; კულტურული ღირებულებების განსაზღვრის მნიშვნელოვნება; ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ინტეგრაციულობისადმი სწრაფვის ტენდენციის სიმკვეთრე; ენის გააზრების აუცილებლობა კოლექტიური მეხსიერების, ცოდნისა და გამოცდილების ასახვის საშუალებად.

ლინგვოკულტუროლოგია შეიგალისა და ბურიაკოვსკაიას ნაშრომებში ასოცირდება „საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ სამყაროს კონცეპტუალური სურათის ინდივიდუალური ობიექტების გააზრებასა და ენის ობიექტურ ასახვასთან (Sheigal&Buryakovskaya, შეიგალი&ბურიაკოვსკაია, 2002). აღნიშნულ ავტორთა კვლევები კონცენტრირებულია ლინგვოკულტურული პოტენციალის განსაზღვრაზე.

თავის ნაშრომში „ლინგვისტური კულტუროლოგიის საფუძვლები“ ხროლენკო ლინგვოკულტუროლოგიის მიზნად სახავს ეთნოლინგვისტიკაში აკუმულირებული ინფორმაციის განზოგადებას, ასევე ენასა და კულტურას შორის ურთიერთკავშირის მექანიზმების განსაზღვრას. ლინგვისტურ კულტურას მკვლევარი ენისა და კულტურის ფილოსოფიად მიიჩნევს. კვლევის საგანად მოიაზრება ის ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც თავის მხრივ, ასოცირდება ენისა და კულტურის ტრანსფორმირებად ასპექტთან. კულტურული დინამიკითაა განპირობებული ენასა და მის ერთეულებში აღბეჭდილი

ცვლილებები, ხოლო კულტურის ფუნქციონირების ცვლილებები წინასწარ განსაზღვრულია კულტურული მნიშვნელობების ენობრივი რეალიზებით (Khrolenko/ხროლენკო, 2004, გვ. 31).

დაინტერესებულია რა ლინგვისტურ-კულტურული ღირებულებების დადგენითა და შენარჩუნებით, ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის მექანიზმების სპეციფიკის გამოვლენით, საბოლოო ჯამში, ლინტოკულტუროლოგია განსაზღვრავს ადამიანის ფენომენს.

ლინგვოკულტუროლოგია ისწრაფვის ენისა და კულტურის ურთიერთქმედების ყველაზე ზოგადი ნიმუშების გამოვლენისაკენ, ადამიანსა და საზოგადოებას შორის არსებული ლინგვისტური და კულტურული მიმართებების დესკრიფციისაკენ.

ლინგვოკულტუროლოგიის ფარგლებში ენისა და კულტურის ურთიერთქმედება იძენს სისტემის სახეს. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს ლინგვისტურ-კულტურული ღირებულებების რეპრეზენტაციის ერთგვარ სქემას.

3.2. ლინგვოკულტურული კონცეპტის სტაბილურობა და დინამიურობა

გასული საუკუნის შუა პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელოვნება შეიძინა სოციოლინგვისტიკის, ეთნოლინგვისტიკის, ენათმეცნიერებისა და კულტურის კვლევების ინტეგრაციამ. აღნიშნულ სააზროვნო სივრცეთა ინტეგრაციაში კი განსაკუთრებული სიმკვეთრე მიენიჭა ენისა და კულტურის მიმართებისა და ურთიერთქმედების პრობლემას. აღნიშნული პრობლემა აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ეროვნული ცნობიერების ასახვა ენაში, კულტურული ობიექტების ვერბალიზაციის თავისებურებათა გამოვლენა, კულტურული კატეგორიების ობიექტივაცია. აღნიშნულ საკითხთა ფონზე იკვეთება ლინგვოკულტურული ცნებების, კერძოდ კი, კონკრეტულ დროსა და სივრცეში არსებული ენობრივი სიტუაციის ანალიზის მნიშვნელოვნება.

ლინგვოკულტურული ცნებები მუდმივად იცვლებიან და ვითარდებიან. მათ ახასიათებთ როგორც სტაბილურობა, ისე დინამიურობა. ლინგვოკულტურულ ცნებებში რეპრეზენტირებულია გარკვეული ლინგვისტური კულტურის სტატიკური პერიოდი, რომელიც ქმნის შემდგომ მსგავს პერიოდებს.

ლინგვოკულტურული ცნებებზე, ანუ მრავალშრიან, მრავალგანზომილებიან სტრუქტურებზე, იდეებზე, ემოციურ, ისტორიულ და ეტიმოლოგიურ კომპონენტებზე კონცენტრაციის გარეშე შეუძლებელია ლინგვოკულტურული სიტუაციის შესწავლა.

სლიშკინის (2004, გვ. 78) თვალსაზრისით: „კონცეპტის საფუძველის შექმნა არ ძალუძს რეალობის ნებისმიერ ფენომენს; ეს მხოლოდ იმ ტიპის ფენომენის უნარია, რომელიც შეფასების ობიექტი ხდება“. აქედან გამომდინარეობს შემდეგი დებულება: აქსიოლოგიური კომპონენტი კონცეპტის მნიშვნელოვანი შემადგენელია. მხოლოდ დისკურსის ფართო კონტექსტშია შესაძლებელია კონცეპტის კონოტაციის ობიექტივაცია, ვინაიდან მხოლოდ აღნიშნულ კონტექსტში იძენს ლექსიკური ერთეული ლექსიკური მნიშვნელობის დამატებით - კონოტაციურ შემადგენელს. ლინგვოკულტურული კონცეპტი კულტურულ ობიექტადაა აღიარებული.

ლინგვოკულტურული სიტუაციის ადეკვატური დესკრიფცია გულისხმობს ლინგვოკულტურული დეტალებისა და უნივერსალების ანალიზს. მხატვრული ტექსტის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის არსს წარმოადგენს იმ ლინგვისტური ერთეულების ანალიზი, რომელთა მეშვეობითაც ხერხდება კონსტრუქტის ვერბალიზაცია.

ლინგვოკულტურული სიტუაციის დესკრიფციის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ტექსტის ბადეში კულტურული თემატური ველების მოდელირება. შაკლეინის (1997) მიერ ჩამოყალიბებული კულტურული და თემატური ველების აგების მეთოდი სრულ შესაბამისობაშია ენობრივი ველის აგების მეთოდთან.

ველში შემავალ ელემენტებს შორის ფიქსირდება სინტაგმატური, პარადიგმატული და ასოციაციური მიმართებები. რაც შეეხება კულტურულ მნიშვნელობებს, ისინი ტექსტის კულტურულ თემატურ მიკროველებშია აქტუალიზებული.

ტოკარევის აზრით, „სამეცნიერო მეთოდოლოგიური ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ლინგვოკულტუროლოგიის კონცეპტის შინაარსის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს ღიაობა, შედეგად კი, ჩნდება ურთიერთქმედება კულტურასა და ლინგვოკულტურას შორის“ (Tokarev/ტოკარევი, 2015, გვ. 276).

ენობრივი სიტუაცია ასოცირდება ენასთან ან ენებთან, რომლებიც ფუნქციონირებენ საზოგადოების გარკვეულ სეგმენტებში კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში. ენობრივი სიტუაციის კონცეპტი განვითარდა შვაიზერისა და ნიკოლსკის (1978) კვლევებში. აღნიშნულმა მეცნიერებმა შემოგვთავაზეს ლინგვისტური სიტუაციის შემდეგი განმარტება: ლინგვისტური სიტუაცია წარმოადგენს „სოციალურად, ფუნქციურად და იერარქიულად განაწილებული ლინგვისტური სისტემებისა და ქვესისტემების ერთობლიობებს. აღნიშნული ერთობლიობები თანაარსებობენ და ურთიერთქმედებენ მოცემული ეთნიკური საზოგადოების ან მოცემული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში. სწორედ მათ მიმართ იცავენ გარკვეულ სოციალურ დამოკიდებულებას შესაბამისი ლინგვისტური და ენობრივი კოლექტივების წევრები“ (Schweizer&Nikolsky/შვაიზერი&ნიკოლსკი, 1978, გვ. 153).

ვინოგრადოვის (1990) თქმით, ლინგვისტური სიტუაცია წარმოადგენს „ერთი ენის ან ენების არსებობის ფორმების ერთობლიობას განსაზღვრული გეოგრაფიული რეგიონების ან ადმინისტრაციული პოლიტიკური ერთეულების ფარგლებში. აღნიშნული ფარგლები კი გულისხმობს ერთი ენის ან ენების როგორც ტერიტორიული და სოციალური ურთიერთმიმართების, ისე მათი ფუნქციონალური ურთიერთქმედების ფარგლებს“ (გვ. 57).

ტერმინის „ლინგვისტური სიტუაცია“ მიღმა იკვეთება დიდი ენობრივი თემები. ლინგვისტური სიტუაცია აერთიანებს ყველა ტიპის ენობრივ ფორმირებას - ენებსა და ენობრივ ვარიანტებს.

სტეპანოვი კულტურულ ურთიერთქმედებაში ლინგვისტური ფენომენების დესკრიფციისათვის გვთავაზობს ტერმინს - „ლინგვოკულტურული სიტუაცია“. მკვლევარის მიერ აღნიშნული ტერმინი გააზრებულია როგორც „ადამიანის სულიერი საქმიანობის მანიფესტაცია, ენაში ასახული სოციალურ-იდეოლოგიური და იდეოლოგიური პროცესები“ (Stepanov/სტეპანოვი, 1976).

ლინგვისტური ფენომენების, საზოგადოებისა და კულტურის განუყოფლობის იდეამ მოამზადა ლინგვოკულტურული სიტუაციის ტერმინის შექმნის საფუძველი. ისევე როგორც ლინგვოკულტურული სიტუაციის ანალიზის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება, აღნიშნული ტერმინის შექმნაც ასოცირდება შაკლეინის სახელთან (1997) და მის მონოგრაფიასთან

„ლინგოკულტურული სიტუაცია და ტექსტის შესწავლა“. აღნიშნულ მონოგრაფიაში ტექსტი მიჩნეულია ლინგოკულტურული სიტუაციის შესასწავლ მასალად, ხოლო ანალიზის ობიექტურობის ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორად დასახელებულია შესწავლილი ტექსტების რაოდენობა.

ლინგოკულტურული სიტუაციის ანალიზი გულისხმობს ისეთ ფაქტორთა გათვალისწინებას, როგორცაა:

1. დროებითობა: ლინგოკულტურული სიტუაცია მუდმივად ცვალებადი ფენომენია, რომელიც მომზადდა წინა პერიოდებში და რომელიც ქმნის გარკვეულ საფუძველს შემდგომი პერიოდებისთვის;
2. სტრუქტურულობა: ლინგოკულტურული სიტუაცია შეიცავს ისეთ ფენომენტა გარკვეულ რაოდენობას, როგორცაა: სოციალური ფორმირებები, ენები და კულტურები.

აღნიშნულ მახასიათებელთა გათვალისწინების საფუძველზე შესაძლებელია ლინგოკულტურული სიტუაციის შემდეგი დეფინიციის ჩამოყალიბება:

„ლინგოკულტურული სიტუაცია წარმოადგენს დინამიურ და ტალღოვან პროცესს, ენებსა და კულტურებს შორის არსებულ ურთიერთქმედებას ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ რეგიონებსა და სოციალურ გარემოში“ (Shaklein/შაკლეინი, 1997, გვ. 126). არის რა კომპლექსური ცნება, ლინგოკულტურული სიტუაცია აერთიანებს სიტუაციათა ენობრივ, კულტურულ, სოციალურ და ეთნიკურ ტიპებს.

ლინგოკულტურული სიტუაციის არსს შეადგენს ჯგუფურ და ინდივიდუალურ მახასიათებელთა კომპლექსი. მხატვრული ტექსტების ინდივიდუალური ენაც კი, გარკვეულწილად, ასახავს ლინგოკულტურული სიტუაციის სპეციფიკას. სწორედ ამიტომაც ლინგოკულტურული სიტუაციის ადეკვატური ხედვისათვის აუცილებელი რაც შეიძლება მეტი ტექსტის ანალიზი. ლინგოკულტუროლოგიური ანალიზის სირთულე განპირობებულია შემდეგი ფაქტით: ანალიზის აღნიშნული ტიპი მოიცავს ზოგად ფილოლოგიურ ანალიზს, რომელიც გულისხმობს ენობრივი საშუალებების ჟანრულ შეფასებას, ტექსტის იდეოლოგიური შინაარსის ანალიზსა და კონცეპტუალურ ანალიზს,

რომელიც ემსახურება ენობრივი მსოფლმხედველობის კონკრეტული ფრაგმენტის გენერირებას.

ლინგვოკულტურული სიტუაციის ადეკვატური დესკრიფცია გულისხმობს ტექსტის კომპოზიციური, იდეოლოგიური და თემატური დონეების ანალიზს. აქ მთავარია „ტექსტის სტრუქტურის შესწავლა იმ დეტალებზე კონცენტრაციით, რომლებიც წარმოადგენს ენობრივი კულტურული უნივერსალიების ლექსიკურ საფუძველს ტექსტის შექმნის დროისთვის“ (შაკლეინი, 1997, გვ. 102). აღნიშნული ლექსიკური ელემენტები ხასიათდებიან ტექსტში რეკურენტულობით და, როგორც წესი, განსაზღვრავენ ტექსტის სემანტიკურ მახასიათებელს - სიმდიდრეს. ელემენტების არსებობა ფიქსირდება როგორც მიკრო, ისე მაკრო კონტექსტში.

გარდა ლინგვოკულტურული უნივერსალიებისა, ლინგვოკულტურულ ტექსტებში ფიქსირდება სინგულარული ლინგვოკულტურული დეტალებიც, რომელთა მნიშვნელოვნებას განსაზღვრავს მასში მოცემული ისტორიული ეპოქის ნიშნების რაოდენობა და არა მეტყველების სეგმენტის მოცულობა, რომლითაც გამოხატულია იგი. მეტყველების სეგმენტში იგულისხმება სიტყვა, ფრაზა, წინადადება ან მეტყველების უფრო დიდი სეგმენტი.

ლინგვოკულტურული დეტალები ქმნიან ეპოქის ვიზუალურ გამოსახულებას. უფრო მნიშვნელოვანი ლინგვოკულტურული დეტალები ქმნიან უფრო სტაბილურ ვიზუალურ გამოსახულებას, ხოლო ნაკლებ მნიშვნელოვანი დეტალები კი - უფრო აბსტრაქტულ ვიზუალურ გამოსახულებას.

სტეპანოვი თვლის, რომ აუცილებელია კონცეპტის ლინგვისტურ და კულტურულ კომპონენტთა გააზრება ფილოსოფიასთან, კულტურისა და საზოგადოების ფენომენებთან მიმართებაში. კონცეპტის ლინგვოკულტურული გააზრება, პირველ რიგში, იმითაა ნიშანდობლივი, რომ კონცეპტი გააზრებულია როგორც კულტურული ობიექტი.

ლინგვოკულტურული კონცეპტი, სტეპანოვის თქმით (2001), წარმოადგენს „კულტურის ნაწილს ადამიანის გონებაში“ (გვ.694). ლინგვოკულტურული კონცეპტი მრავალგანზომილებიანი სტრუქტურაა, რომელშიც ინტეგრირებულია იდეები, ობიექტურობითა და ისტორიული პირობითობით აღბეჭდილი ემოციური, ისტორიული და ეტიმოლოგიური კომპონენტები (Tokarev/ტოკარევი, 2015). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა

განხილული დეფინიცია მეტყველებს კონცეპტში ორი - გამოხატვისა და შინაარსის - კომპონენტის არსებობის აღიარებაზე.

სლიშკინი გვთავაზობს ლინგვოკულტურული კონცეპტის დეტალურ დესკრიფციას (2004).

მკვლევარის თვალსაზრისით, კონცეპტის ძირითად მარკერებს წარმოადგენს:

„კომპლექსურობა ენაში, ცნობიერებაში, კულტურასა და ფსიქიკაში, მოსაუბრის ცნობიერებით დეტერმინირებულობა, ღირებულება, პირობითობა და ბუნდოვანება, შემეცნებითი და განზოგადებული ორიენტაცია, ცვალებადობა, საგნობრივი პოტენციალი და ტექსტუალური რეალიზებადობა (სლიშკინი, 2004, გვ. 79). მკვლევარის აზრით, მნიშვნელოვანი განსხვავება ლინგვოკულტურულ და სხვა ტიპის კონცეპტებს შორის მდგომარეობს მის ლოკალიზაციაში ცნობიერებაში და არა ლოკალიზაციაში ერთდროულად ცნობიერებასა და ენაში, ისევე როგორც ლოგო-ეპისტემოლოგიაში, ლინგვოკულტურასა და კულტურაში. ლინგვოკულტურული კონცეპტი განსხვავდება სხვა ტიპის მენტალური ერთეულებისგან, კერძოდ, ფრეიმის, სკრიპტისა და სტერეოტიპისაგან, ვინაიდან კონცეპტში მნიშვნელობა ყოველთვის განთავსებულია ცენტრში. ამრიგად, კონცეპტი „ეკუთვნის ცნობიერებას, დეტერმინირებულია კულტურით და ობიექტივირებულია ენაში“ (სლიშკინი, 2004, გვ. 80).

კონცეპტის შინაარსის მიხედვით, ლინგვისტები ასახელებენ კონცეპტების მახასიათებელთა არაერთგვაროვნებას. კონცეპტის სტრუქტურაში კარასიკი გამოყოფს მახასიათებლების ისეთ ჯგუფებს, როგორცაა: 1) კონცეპტუალური და არსებითი მახასიათებლები, რომლებიც წარმოადგენს ლექსიკონზე დაფუძნებულ განმარტებებს; 2) ასოციაციური მახასიათებლები, რომლებიც განისაზღვრება ლექსიკური თავსებადობით, მეტაფორული და ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოყენებით; 3) შეფასებითი და ქცევითი მახასიათებლები, რომლებიც გულისხმობს აქსიოლოგიურ კომპონენტს. ასოციაციური, შეფასებითი და ქცევითი მახასიათებლები ქმნიან კონცეპტის სტრუქტურის პერიფერიულ სივრცეს.

კონცეპტის სტრუქტურა აღბეჭდილია ეთნო-სპეციფიკური მარკერებით, რომლებიც ყველაზე ცხადად იკვეთება შედარებით ლინგვოკულტურულ კვლევებში. კონცეპტის ლინგვოკულტურული თავისებურება სხვადასხვა ლინგვისტურ კულტურაში ვლინდება მისი ლინგვისტური საშუალებებით რეპრეზენტაციის, ვერბალიზაციის სხვადასხვა

საშუალებებში, რეპრეზენტაციის სპეციფიკაციის ან განზოგადების ხარისხში, კონცეპტის ფიგურალურ შინაარსში და ა.შ.

გარდა კონცეპტის სტრუქტურის შესწავლისა, ლინგვოკულტუროლოგია ორიენტირებულია ლინგვოკულტურული ცნებების დესკრიფციის მეთოდების კვლევაზე.

ტოკარევი (2015) გამოყოფს კონცეპტების ლინგვოკულტურული ანალიზის ისეთ მეთოდებს, როგორცაა: 1. კონცეპტის ტაქსონომიური მოდელირება; 2. იდეოსფეროში კონკრეტული კონცეპტის ადგილის განსაზღვრა, რაც გულისხმობს კონცეპტის ადგილის მონიშვნას მისი სხვა კონცეპტებთან კავშირების გამოვლენის გზით; 3. არტეფაქტების, მენტალური ფაქტების, მითების, სტერეოტიპების, კულტურული დამოკიდებულებების, იდეოლოგიების, სიმბოლოების, სტანდარტების განმარტება, კონკრეტული კონცეპტის რეპრეზენტაცია კულტურის ნიშანთა სისტემაში, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ მონაცემებში; 4. კონცეპტის ლინგვისტური რეპრეზენტაციის საშუალებებათა რეპერტუარის დადგენა; 5. კულტურული კონოტაციების - ფიგურალური საფუძვლის, ნომინაციის სფეროების, სემანტიკური სტრუქტურების ისტორიული დინამიკის თავისებურებების, საკვანძო სიტყვების, კვაზი - მოდელების, პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებების - გამოვლენა; 6. კონცეპტის დისკურსული კვლევა.

ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის განხორციელებისათვის ლინგვისტები გვთავაზობენ მეთოდოლოგიის ისეთ ვარიანტებს, როგორცაა: 1) იმ ენობრივი ერთეულების სრული ანალიზი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება კონკრეტული კონცეპტის ან ლინგვისტური კულტურის რეალიზება, ობიექტივაცია; 2) აღნიშნული ტიპის ერთეულთა პარამეტრიზაცია; 3) კონცეპტუალური ჩარჩოს აგება; 4) საბაზისო ერთეულის გამოვლენა და მისი კულტურულ სტერეოტიპთან კორელაციურობის დადგენა (კარასიკი, 2002).

ლინგვისტები მიჯნავენ ერთმანეთისაგან ისეთ კონცეპტებს, როგორცაა: პარამეტრული (სივრცე, დრო, ა.შ.) კარასიკი (2002) და არაპარამეტრული (ბედნიერება, მოგზაურობა, საჩუქარი, ჯანმრთელობა, ა.შ.) კონცეპტები.

კონცეპტები მრავალგანზომილებიანი და კომპლექსური ერთეულებია. ისინი განთავსებულია ცნობიერების სფეროში, თუმცა ობიექტივირდებიან, ვერბალიზდებიან

ლინგვისტური საშუალებებით. კონცეპტის სტრუქტურაში ინტეგრირებულია როგორც აზრობრივი, ისე ფიგურალური და აქსიოლოგიური კომპონენტებიც. აზრობრივი კომპონენტი განთავსებულია კონცეპტის ბირთვულ სფეროში, ხოლო ფიგურალური და აქსიოლოგიური კომპონენტები კი - პერიფერიულ სფეროში. უნდა აღინიშნოს, რომ კონცეპტის სტრუქტურაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დისკურსის მახასიათებლები.

შაკლენის თანახმად, ლინგვოკულტურული ანალიზი ორიენტირებულია „ლინგვო-კულტურული უნივერსალიების უნიკალურობის დადგენაზე, ტექსტის კულტურული ღირებულებისა და ლინგვოკულტურულ სიტუაციაში ასახული უნიკალურობის გააზრებაზე“ (შაკლენი, 1997, გვ. 65). ლინგვოკულტურული სიტუაციის დესკრიფციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლინგვოკულტურულ დეტალებსა და უნივერსალიებს.

ლინგვოკულტურული სიტუაცია გააზრებულია როგორც გარკვეული ლინგვოკულტურის სტატიკური დროის მოდელი, რომელიც აღბეჭდილია დროითი ფაქტორით. აღნიშნული მოდელი აერთიანებს რამდენიმე კულტურასა და ენას. იგი შეისწავლება ტექსტუალურ მასალაზე დაყრდნობით, ხოლო იმ ფაქტის დადგენა, თუ რამდენად ობიექტურია მისი შეფასება, დამოკიდებულია შესასწავლი ტექსტების რაოდენობაზე. ტექსტების ანალიზი ლინგვოკულტურული ანალიზის საფუძველზე წარმოადგენს კონკრეტულ ლინგვისტურ ფრაგმენტთა დესკრიფციას. ეს უკნასკნელი კი გულისხმობს ლინგვოკულტურული უნივერსალიების, ლინგვოკულტურული დეტალებისა და ლინგვოკულტურული კონცეპტების რეალიზებას - ობიექტივაციას, ვერბალიზაციას.

ლინგვოკულტურული კონცეპტის ცენტრში ფიქსირდება გარკვეული ღირებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ, ლინგვოკულტურული კონცეპტის სტრუქტურის მნიშვნელოვანი კომპონენტი აქსიოლოგიურია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლინგვოკულტურული კონცეპტის სტრუქტურის მნიშვნელოვანი კომპონენტი სხვადასხვა ტიპის შეფასებების მატარებელია. განსხვავდება რა სხვა მენტალური ერთეულებისგან, კონცეპტი მოიაზრება ცნობიერების ერთეულად, რომელიც დეტერმინირებულია კონკრეტული კულტურით და ობიექტივირებულია, ვერბალიზებულია ენობრივი ერთეულების მეშვეობით.

3.3. ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის სპეციფიკა

ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის სპეციფიკას ეძღვნება საკმაოდ ბევრი თეორიული თუ პრაქტიკული სახის ნაშრომი. მიუხედავად ამ ტიპის კვლევათა სიმრავლისა, ჯერ კიდევ არსებობს საკითხები, რომლებიც მოითხოვს სპეციფიკაციასა და დასაბუთებას.

ლინგვოკულტუროლოგიის ჩამოყალიბება გამოიწვია კულტურისა და ენის ურთიერთქმედების კვლევის სურვილმა. აღნიშნულ ურთიერთქმედებაში კულტურის ფენომენი დანახულია როგორც ადამიანის სამყაროში არსებობისა და სამყაროში ორიენტირების ერთგვარი ფორმა. ენა კი გვევლინება ადამიანის, კულტურისა და ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებათა ინტერპრეტირების ინსტრუმენტად.

თეორია ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის შესახებ ჩამოყალიბდა XIX-XXI საუკუნეებში (ვილჰელმ ვან ჰუმბოლდტი, ი.ლ. ვაისგერბერი, ო. შპენგლერი, ე. სეპირი, ბ. უორფი, ე. ბენვენისტი, ი.ა. ბოდუენ დე კურტენე, ა.ა. პოტენია, ი. მ. ლოტმანი, ე. ს. კუბრიაკოვა, ვ. მასლოვა). თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიური კვლევები ყველაზე მჭიდროდ ასოცირდება ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის ნააზრევთან, კერძოდ კი, მეცნიერის იდეებთან ენას, აზროვნებასა და ხალხის კულტურას შორის პირდაპირი და უშუალო კავშირის არსებობის შესახებ.

სოციალურ-კულტურული და ენობრივი ტენდენციების კვლევა მეტად საინტერესოა ინდივიდის მიერ სამყაროს ენობრივი სურათის მახასიათებლების გათვალისწინებით.

ლინგვოკულტუროლოგიას, როგორც სააზროვნო სივრცესა და სამეცნიერო კვლევის სფეროს, მრავალი განმარტება აქვს. ჩვენ შემოგთავაზებთ მხოლოდ რამდენიმეს, ჩვენი აზრით, ყველაზე საინტერესო ვერსიას: „ლინგვოკულტუროლოგია იკვლევს ენას, როგორც კულტურულ ფენომენს“, ენა კი „გამოხატავს განსაკუთრებულ ეროვნულ მენტალიტეტს“, „არის კულტურის პირობა, საფუძველი და მისი შედეგი“ (მასლოვა, 2001, გვ. 14); „ლინგვოკულტუროლოგია სინთეზური ტიპის კომპლექსური სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც იკვლევს კულტურასა და ენას შორის არსებული მიმართების, ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების თავისებურებას. ლინგვოკულტუროლოგია ასახავს პროცესს როგორც ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური შინაარსის ერთეულების განუყოფელ სტრუქტურას,

სისტემური მეთოდების, თანამედროვე პრიორიტეტების, პრეფერენციებისა და კულტურული დოგმების მეშვეობით“ (Воринъев/ვორობიევი, 2014, გვ. 38).

მიუხედავად ლინგვოკულტუროლოგიისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სიმრავლისა, მაინც იკვეთება ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის პრინციპებისა და მეთოდოლოგიის, ასევე ისეთ ცნებათა დაზუსტების საჭიროება, როგორცაა: ენა, კულტურა, სამყაროს ენობრივი სურათი, კულტურული სპეციფიკა, რეალობა, კონცეპტუალური სფერო.

ჩვენი კვლევა ცენტრირებულია შემდეგ თვალსაზრისზე: ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი უნდა იქნას გააზრებული ენის, ენის მატარებლისა და კულტურის წარმომადგენლის მჭიდრო ურთიერთქმედების ჭრილში. აღნიშნული არჩევანი განაპირობა შემდეგმა ფაქტმა: მხოლოდ ამგვარი თვალსაზრისი იძლევა ენის სემანტიკურ და კონცეპტუალურ სივრცეებში არსებული უნივერსალებისა და უნიკალების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

შევიხედეთ ენის არსის გააზრების თავისებურებაზე ლინგვოკულტუროლოგიაში. ენის არსის ინტერპრეტაცია ლინგვოკულტუროლოგიაში არ სცილდება ზოგად ლინგვისტურ ინტერპრეტაციებს. ლინგვოკულტუროლოგიის ფარგლებში ენა გააზრებულია როგორც „კონკრეტულ საზოგადოებაში, კონკრეტულ დროსა და სივრცეში ფუნქციონირებად ნიშანთა სისტემა“ (Лингвистический энциклопедический словарь/ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990).

ლინგვოკულტუროლოგიის ფარგლებში წინა პლანზე ინაცვლებს ენის ისეთი ფუნქციები, როგორცაა: ეპისტემიური - ენა არის რეალობის შესახებ ცოდნის შენახვის ფორმა და შემეცნებითი - ენა არის ადამიანის მიერ გარე სამყაროს შეცნობის საშუალება (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990).

ლინგვოკულტუროლოგიის მეორე დომინანტურ ცნებას წარმოადგენს „კულტურა“. ეს არის ცნება, რომლის ინტერპრეტაციული ველიც ხასიათდება მრავალფეროვნებით, არაერთგვაროვნებითა და წინააღმდეგობრიობით. უნდა აღინიშნოს, რომ განმარტებათა დაყვანა ერთ უნივერსალურ ვერსიამდე თითქმის შეუძლებელია. ედუარდ სეპირმა ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნების, არაერთგვაროვნებისა და წინააღმდეგობრიობის

არსებობა ახსნა იმ ფაქტით, რომ კულტურა გვევლინება აზროვნების ერთ-ერთ „ბუნდოვან სფეროდ“, რომლის საზღვრებიც იცვლება, ვიწროვდება ან ფართოვდება იმის მიხედვით, თუ ვინ იყენებს ამ ტერმინებს“ (Сепир Э./სეპირი, 2001, გვ. 468).

კულტურის არსის დაზუსტებისა და ტერმინის ამორფულობის აღმოფხვრის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი ფაქტით: დაზუსტების გარეშე შეუძლებელია ენისა და კულტურის ურთიერთქმედების შესწავლა.

ნაშრომი ეყრდნობა შემდეგ დებულებას: კულტურის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ კულტურა წარმოადგენს ადამიანთა მიერ მათივე ყოფიერების ისტორიის განვითარებასთან ერთად შექმნილ განსაკუთრებულ სოციალურ გარემოს.

ასევე რელევანტური აღმოჩნდა ჩვენი კვლევისათვის შემდეგი დებულებაც: „კულტურის ცნება აღწერს და ახასიათებს ადამიანთა სამყაროს და მოიცავს ფასეულობებს ნორმებს, რწმენებს, ადათ-წესებს, დოგმებს, რიტუალებს, ცოდნას, უნარებს, სოციალურ ინსტიტუტებს, კანონმდებლობას, სახელმწიფოს, ენას, ხელოვნებას, ტექნოლოგიებს და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის დეფინიციებით სარგებლობენ თანამედროვე ფსიქოლოგები, სოციოლოგები და ანთროპოლოგები.

სოციალური ფსიქოლოგი და კულტურის მკვლევარი ჰარი კ. ტრიანდისის თქმით:

„კულტურა არის იმ გარემოს ნაწილი, რომელსაც ქმნის თავად ადამიანი“ (Триандис Г.К /ტრიანდისი, 2007, გვ. 21).

ამ გაგებით, კულტურის არსი უახლოვდება ცივილიზაციის ცნებას. ამავე თვალსაზრისს ეყრდნობოდა ედუარდ საპირი. ოსვალდ შპენგლერისა და მისი თანამოაზრეებისაგან განსხვავებით, იგი არ უპირისპირებდა ერთმანეთს კულტურასა და ცივილიზაციას - მისი აზრით, ეს იყო კონკრეტულ დროში ამა თუ იმ ხალხის ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მოღვაწეობისა და მიღწევების ერთობლივი ეფექტი. გამოხატავს ცივილიზაციის უნიკალურ, ეროვნულ მახასიათებლებს, კულტურა, სეპირის აზრით „შეიძლება განისაზღვროს როგორც ცივილიზაცია იმდენად, რამდენადაც იგი განასახიერებს ეროვნულ სულისკვეთებას“ (სეპირი, 2001. გვ. 468).

კოლექტივის, თემების - ხალხთა თუ ერთა ჯგუფურ შემოქმედებით მოღვაწეობად მიიჩნევა კულტურას მკვლევართა საკმაოდ დიდი ჯგუფი. „ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონის“ ავტორების მიერ წარმოდგენილი განმარტების თანახმად: „კულტურა წარმოადგენს ცხოვრების გამოხატულებების ერთობლიობას, ხალხის ან ერთა ჯგუფის ერთობლივ მიღწევებსა და შემოქმედებას“ (Фролова И.Т./ფროლოვა, 1987, გვ. 219).

აღნიშნულ მიდგომაში იკვეთება შემდეგი თვალსაზრისი: კულტურა მოიცავს არა მხოლოდ ადამიანისა და კაცობრიობის მიერ შექმნილს, არამედ იმ ბუნებრივ საგნებსაც, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ საზოგადოების ცხოვრებაში. „კულტურა არის ადამიანის ჩარევით გარდაიქმნილი ნებისმიერი ბუნებრივი ფენომენი, რომელიც გააზრებადია სოციალურ კონტექსტში“ (Хроленко /ხროლენკო, 2008, გვ. 40-41). კულტურა არის ნიშანთა სისტემა, რომლის შემადგენელი ერთეულებიც რეალურად წარმოადგენს მატერიალური და არამატერიალური სახის ყველა ობიექტსა თუ ფენომენს. სწორედ ეს უკანასკნელნი ანიჭებენ განსაზღვრულობას და მნიშვნელობას გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთეულები განმსაზღვრელი ერთეულებია, რომლებიც აღიქმება კულტურის ფაქტებად ან მოვლენებად.

საგანი ან ქმედება იძენს კულტურული ფენომენის სტატუსს იმ შემთხვევაში, თუ იგი იძენს მნიშვნელობას. სწორედ მნიშვნელობების და აზრის გაჩენა ქმნის კულტურას. კულტურული მნიშვნელობები აისახება კულტურულ კოდექსებში. კულტურულ მნიშვნელობათა რიცხვს მიეკუთვნება „სიტყვები, სიმბოლოები, მითოლოგიები, იდეოლოგიები, ქცევის სტერეოტიპები, რიტუალები, ნიშნები და ა.შ.“ (ხროლენკო, 2008, გვ. 40-41).

ედუარდ სეპირის მიერ შემოთავაზებული კულტურულ-ენობრივი ნიშნის მოდელის თანახმად: „კულტურა შეიძლება განისაზღვროს იმით, თუ როგორ იქცევა და ფიქრობს კონკრეტული სოციუმი. ენა კი არის ის, რასაც ხალხი ფიქრობს“ (სეპირი, 2001, გვ. 194). კულტურის თითქმის ყველა აღნიშნული ინტერპრეტაციისათვის ინტეგრალურ ნიშანს წარმოადგენს შემდეგი თვალსაზრისი: კულტურის მატარებლები არიან არა ცალკე აღებული ინდივიდები, არამედ ხალხები, ეთნიკური ჯგუფები, ერები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „კულტურით დაჯილდოებული ყველა ადამიანური ქმნილება“ (სეპირი, 2001, გვ.463).

მასლოვას თვალსაზრისით, კულტურა არის „მოცემული ერისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი და საქმიანობა, ასევე ურთიერთობა ხალხებს შორის, წეს-ჩვეულებები, რიტუალები, კომუნიკაციის თავისებურებები, ხედვის, გაგებისა და სამყაროს გარდაქმნის გზები“ (მასლოვა, 2001, გვ.15).

კულტურის კვლევის ადეკვატურობის, ობიექტურობისა და სისრულის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ისეთი ფენომენების გააზრების აუცილებლობა, როგორცაა: კულტურული ფონი და კულტურული მეხსიერება.

კულტურული ფონი ამა თუ იმ კულტურისა და ენის მატარებელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალური ცხოვრებისა და ისტორიული მოვლენების აღმნიშვნელი ერთეულების ერთობლიობაა.

ენობრივ ერთეულს გააჩნია „კულტურული მეხსიერება“. ეს უკანასკნელი კი შედგება ენობრივი ერთეულის გამოყენების ისტორიის განმავლობაში დადგენილი ასოციაციებისაგან, რომლებიც აორგანიზებენ ენობრივი ერთეულის თანამედროვე-აქტუალურ მნიშვნელობას (მასლოვა, 2001, გვ. 48-54). ენასა და კულტურას შორის არსებული მიმართების სპეციფიკის კვლევისას ე. სეპირმა უარყო მათი კორელაციურობა, განსაკუთრებით კი სტრუქტურულ დონეზე. მეცნიერი მიჯნავდა ერთმანეთისაგან ენასა და ლექსიკას (სეპირი, 2001, გვ.192-193).

ლინგვისტური ფარდობითობის თეორია ამტკიცებდა შემდეგ თვალსაზრისს:

ზოგადსაკაცობრიო აზროვნების კატეგორიაზე ენები ტოვებენ განსაკუთრებულ კვალს. აღნიშნული თვალსაზრისი გულისხმობს შემდეგს: „ენები ჩვენთვის უფრო მეტია, ვიდრე აზროვნების გადაცემის სისტემები. ისინი უხილავი ფარდებია, რომლებიც ჩვენს სულს აცვია; ისინი წინასწარ განსაზღვრულ ფორმას აძლევენ მის ყველა სიმბოლურ გამოხატულებას“, სწორედ ამიტომ „ენა განიხილება კულტურის გააზრების სიმბოლურ სახელმძღვანელოდ. კულტურის ობიექტები და ფენომენები იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ კულტურული ღირებულების მატარებელი ტერმინების შესწავლა იძლევა აღმოჩენებისა და იდეების ისტორიის ახალი რაკურსით ხედვის შესაძლებლობას“ (სეპირი, 2001, გვ.258). სრულიად აშკარაა, რომ ლინგვისტური ფარდობითობის თეორია მიუახლოვდა სამყაროს ენობრივი სურათის იდეას, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე კულტურული ენათმეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კონცეფციას.

ტერმინი „სამყაროს სურათი“ ენათმეცნიერებაში ტრანსპონირებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან. ითვლება, რომ იგი პირველად იქნა გამოყენებული XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თეორიული ფიზიკის ჩარჩოებში. აღნიშნული ტერმინი გამოიყენა ჰაინრიხ ჰერცმა სამყაროს ფიზიკურ სურათთან მიმართებაში (Зиновьева Е. /ზინოვიევა, 2006, გვ. 49). მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ სამყაროს სურათი რეალობის მოდელია და არა თავად რეალობა. სწორედ აღნიშნულ თვალსაზრისს იხიარებდა გერმანელი ფიზიკოსი მაქს პლანკი (Планк М. /პლანკი, 1966, გვ. 53).

ალბერტ აინშტაინმა დაადგინა „სამყაროს სურათის“ კონცეფციის საზღვრები. მისი თვალსაზრისით, ადამიანი ხასიათდება „ადეკვატური გზით სამყაროს მარტივი და მკაფიო სურათის შექმნისაკენ სწრაფვით. ამას კი იგი აკეთებს იმისათვის, რომ თავი დააღწიოს შეგრძნებების სამყაროს და ამ გზით სცადოს შექმნილი სამყაროს სურათის შეცვლა. ამას ყველა თავისებურად აკეთებს: მხატვარი, პოეტი, ფილოსოფოსი და ა.შ. ადამიანს შეუძლია თავისი სულიერი ცხოვრების სიმძიმის ცენტრის გადატანა ამ სურათზე და შემდეგ ყურადღების გადატანა მის გაფორმებაზე. ამას კი იგი აკეთებს მასში მშვიდობისა და ნდობის მოპოვების მიზნით“ (Эйнштейн А. /აინშტაინი, 1967, გვ.134).

მეცნიერი გამოყოფს მსოფლიოს სურათების ასპექტებს და აღნიშნავს მათ შეუსაბამობას რეალურ სამყაროსა და გამოცდილებასთან, ადამიანის სულიერი და კოგნიტური მოთხოვნილებების მიმართ დამოკიდებულებასთან. დღეისათვის ერთმანეთისაგან გამიჯნულია მსოფლიოს სამეცნიერო, მხატვრული და ენობრივი სურათები (Корнилов О.А. /კორნილოვი, 2011, გვ.4).

„სამყაროს ენობრივი სურათის კონცეფცია“ განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და აქტუალობას იძენს ენას, აზროვნებასა და კულტურას შორის არსებული კავშირის თავისებურებათა კვლევისას. აღნიშნული კონცეფციის ფარგლებში სამყაროს ენობრივი სურათი გააზრებულია „ისტორიულად ჩამოყალიბებულ, მოცემული ენობრივ სოციუმისათვის ყოველდღიურ ცნობიერებაში ფიქსირებულ წარმოდგენათა ერთობლიობად სამყაროზე. აღნიშნული ერთობლიობა აისახება ენაში და წარმოადგენს გარკვეულ გზას ჭეშმარიტების კონცეპტუალიზაციისაკენ“ (Kramsch C./კრამში, 1998).

ენა შემდეგნაირად მონაწილეობს სამყაროს სურათის ფორმირების პროცესში: ენა წარმოადგენს გარემოს და მასალას, რომელშიც და რომლიდანაც ფორმირდება სამყაროს ენობრივი სურათი; ენას შეაქვს სამყაროს სურათში ადამიანისათვის ტიპური მახასიათებლები და ადამიანის კულტურა.

ეს კი ნიშნავს, რომ ცალკეული ინდივიდების მიერ მიღებული ცოდნა ემპირიულად გარდაიქმნება კოლექტიურ ცოდნად სწორედ ენის მეშვეობით (კრამში, 1998). შესაბამისად, სამყაროს ენობრივი სურათი წარმოადგენს ენის საშუალებით გამყარებულ ინფორმაციას გარე და შინაგან სამყაროზე. სამყაროს ენობრივ სურათში დომინანტურ კომპონენტს წარმოადგენს ენაში სპეციფიკური სიტყვებითა და ფრაზებით განმტკიცებული ცოდნა, უფრო ზუსტად კი, სამყაროს ენობრივი სურათი სრულადაა განმსჭვალული კონკრეტული ენის კონცეპტუალური შინაარსით (კრამში, 1998; მასლოვა, 2001, გვ. 51-54).

სხვადასხვა ენა გარკვეულ სპეციფიკურობას, უნიკალურობას ანიჭებს მსოფლიოს სურათს. ეს ბუნებრივია, ვინაიდან სრულიად აშკარაა ის სხვაობა, რომელიც იკვეთება სხვადასხვა ხალხთა კულტურასა და ტრადიციებში. მსოფლიოს სურათის თავისებურება აღბეჭდილია ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ენის შინაარსში. მისი ანალიზის მეშვეობითაა შესაძლებელი იმ სხვაობის წვდომა, რომელიც ფიქსირდება ეროვნულ კულტურებში. სწორედ ამ ანალიზის შედეგებით ივსება და ყალიბდება მსოფლიოს სურათი.

ეს უკანასკნელი, მეცნიერის აზრით, ამა თუ იმ სოციუმის ლინგვისტური ცნობიერების მიერ ობიექტური სამყაროს ასახვის შედეგია (კორნილოვი, 2011, გვ. 46, 103). მკვლევარის ნააზრევში მსოფლიოს ეროვნული ენობრივი სურათი მიჩნეულია „კონკრეტული ენობრივი საზოგადოების, კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის ენობრივი ცნობიერების მიერ ობიექტური სამყაროს ასახვის შედეგად“. რაც შეეხება მსოფლიოს ინდივიდუალურ ენობრივ სურათს, ეს უკანასკნელი გააზრებულია როგორც: „კონკრეტული ეროვნული ენის მატარებლის მიერ ობიექტური სამყაროს ინდივიდუალური ენობრივი ცნობიერებით ასახვის შედეგი“ (კორნილოვი, 2011, გვ. 110-114).

ენაში გამოხატულ კულტურულ ღირებულებათა აღქმისა და შეფასების ამოსავალი წერტილი, სოციუმში ენასა და კულტურას შორის არსებული ურთიერთქმედების ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი არის პიროვნება - ენობრივი პიროვნება.

არის რა სოციალურ-ეთიკური კატეგორია, პიროვნება გამოხატავს სულიერებას და წარმოადგენს კონკრეტული ეროვნული საზოგადოების ინდივიდუალურ მარკერთა განზოგადებას.

ეროვნული ენობრივი პიროვნება კომპლექსური ფენომენია - იგი წარმოადგენს არა მხოლოდ კულტურულ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ენობრივ ფენომენს, არამედ მთელ მატერიალურ და კულტურულ „კონტექსტა“ ერთობლიობას. მთელი თავისი მთლიანობით, ეროვნული პიროვნების არსი გულისხმობს ენასა და კულტურას შორის არსებული მიმართების ლოგიკურ ანაბეჭდს. პიროვნების, როგორც ეროვნული ელემენტის არსებობას, უზრუნველყოფს საზოგადოებისა და ხალხის არსებობა.

პიროვნება მიჩნეულია არა მხოლოდ საზოგადოების გარეგან მარკერად, არამედ აუცილებელ ატრიბუტადაც. სწორედ ამ უკანასკნელის მეშვეობით იძენს საზოგადოება ფუნდამენტურად ახალ, მისი არსებობის თვისობრივად უფრო მაღალ ფორმას. „ეროვნება არის რეალური, სტრუქტურულად მდიდარი და კომპლექსური კავშირი პიროვნებისა საზოგადოებასთან. ეს უკანასკნელი კი მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა: სოციალურ-ეკონომიკური, ტერიტორიული, საყოფაცხოვრებო, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი, სულიერი და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები“ (ვორობიევი, 2014, გვ. 95). უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ენასა და მისი მატარებელი ინდივიდის კულტურულ იდენტობას შორის არსებული მიმართება არაერთმნიშვნელოვანია, ენა გვიჩვენებს პიროვნებასა და იმ ენობრივ-კულტურულ საზოგადოებას შორის ურთიერთობის თავისებურებას, რომელსაც ის მიეკუთვნება (კრამში, 1998, გვ.73).

ამა თუ იმ ხალხის მიერ რეალობის აღქმის თავისებურება დეტერმინირებულია სამყაროს ენობრივი სურათის სპეციფიკით. ეს კი ნიშნავს, რომ ენა წარმოადგენს კონცეპტუალური ორიენტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას.

კონცეპტი მოქცეულია თანამედროვე ლინგვისტურ კვლევათა, კერძოდ კი, კულტურისა და კულტურით დეტერმინირებულ ფენომენთა კვლევების ბირთვში.

კონცეპტი „ახდენს ინდივიდუალური სემანტიკური თავისებურებების აქტუალიზებას მეტყველებაში; კონცეპტი შეიძლება სხვადასხვა ფორმით (წარმოდგენის, გამოსახულების,

სიმბოლოს ან ცნების სახით) არსებობდეს ჩვენს მენტალურ სამყაროში, ცნობიერებაში“ (ზინოვიევა, 2006, გვ. 102-106).

ლინგვისტები ყურადღებას ამახვილებენ ეთნიკური (ნაციონალური) კონცეპტების სპეციფიკაზე. მათ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კონცეპტთა ურთიერთდამოკიდებულება კონკრეტულ ენობრივ სოციუმთან.

აღნიშნული ინტერესის გათვალისწინებით, კონცეპტები შეიძლება იქნას გააზრებული ერთდროულად, როგორც „მსოფლიოს ენობრივი ხედვის, ეროვნული და კულტურული მენტალიტეტის კატეგორიებად. კონცეპტი შეიძლება მიჩნეულ იქნას იდეალური სამყაროს შემქმნელად და, იმავდროულად, ამ სამყაროს პროდუქტებადაც“ (Fatkullina F.G./ფატკულინა, 2015, გვ. 232).

კონცეპტები უშუალოდ ასოცირდებიან კონკრეტული კულტურულ-ენობრივი საზოგადოების ღირებულებით და შინაარსობრივ ორიენტაციებთან. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ისინი გვევლინებიან „ცხოვრების ფილოსოფიის ცნებებად“, „მსოფლმხედველობრივი ტერმინების ყოველდღიურ ანალოგებად“. ეს უკანასკნელი კი ფიქსირდებიან მშობლიური ენის ლექსიკონში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისინი უზრუნველყოფენ კონკრეტული ეთნოსის სულიერი კულტურის სტაბილურობასა და უწყვეტობას“ (ფატკულინა, 2015, გვ. 232). გვევლინებიან რა ეთნიკური ცნობიერების ელემენტებად, კონცეპტების ძირითადი მარკერებია: კულტურული მნიშვნელობა, აქსიოლოგიური შეფერილობა და იდეოლოგიური ორიენტაცია (ზინოვიევა, 2006, გვ. 102).

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა სიტყვები და ცნებები შეიძლება ჩაითვალოს კონცეპტებად? - პასუხი ამ შეკითხვაზე შემდეგნაირად ჟღერს: არსებობს რამდენიმე კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ფენომენის კონცეპტად დაკვალიფიცირება.

ლინგვისტები თვლიან, რომ „კონცეპტად ქცევის შესაძლებლობა ეძლევა რეალობის მხოლოდ იმ ფენომენს, რომელიც ხასიათდება მნიშვნელოვნებითა და განსაზღვრული ღირებულებით მოცემული კულტურისთვის. აუცილებელია, არსებობდეს ერთეულთა დიდი რაოდენობა მის დასაფიქსირებლად. და ბოლოს, კონცეპტად ქცევის შესაძლებლობა ეძლევა რეალობის მხოლოდ იმ ფენომენს, რომელიც წარმოადგენს ანდაზებისა და გამონათქვამების, პოეტური

და პროზაული ტექსტების საგანს“ (მასლოვა, 2001, გვ. 23; ფატკულინა, 2015, გვ. 239). საბოლოო ჯამში, კონცეპტებად ქცევის შესაძლებლობა ეძლევა რეალობის მხოლოდ იმ ფენომენებს, რომლებიც წარმოიქმნება ეროვნული ტრადიციისა და ფოლკლორის, რელიგიის და იდეოლოგიის, ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ხელოვნების, შეგრძნებებისა და ღირებულებითი სისტემების ურთიერთქმედების შედეგად. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კონცეპტი გამოხატულია ლექსიკური, ფრაზეოლოგიური ერთეულებით, პრეცედენტული ტექსტებით, ეტიკეტის ფორმულებითა და მეტყველების ქცევითი მოდელებით.

კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეპტი იძენს კულტურის მუდმივას ან „საკვანძო სიტყვის“ სტატუსს. ეს უკანასკნელი ჩნდება უძველეს დროში მოაზროვნეების, მწერლებისა და უბრალოდ ენის მატარებელთა ცნობიერებაში. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ღირებულია კონკრეტული კულტურისათვის. (Wierzbicka A./ ვეჟბიცკა, 2003, გვ. 32), ვინაიდან სწორედ მათ ბირთვშია განთავსებული კულტურული თვალსაზრისით ღირებული ინფორმაცია. ენის მატარებელთა ენობრივ ცნობიერებაში კულტურული კონცეპტი რეპრეზენტირებულია მნიშვნელობების მრავალგანზომილებიანი ქსელის ფორმით.

თუ შევაჯამებთ კონცეპტის დეფინიციებს, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნა: ავტორთა უმრავლესობა აღიარებს კონცეპტის სამნაწილიან სტრუქტურას, კერძოდ, ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ კონცეპტი არის ფსიქიკური, ეთნოკულტურული და ენობრივი ფენების ერთიანობა.

ავტორთა უმრავლესობა იზიარებს თვალსაზრისს მენტალიტეტის არსის თაობაზეც: მენტალიტეტი წარმოადგენს აზროვნების პროცესების ერთობლიობას, რომელშიც იქმნება მსოფლიოს სურათი.

ლინგვისტთა ყველაზე დიდ ინტერესს ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისას წარმოადგენს სპეციფიკურობის მოვლენა მენტალური ერთეულების შემადგენლობაში. აღნიშნული ინტერესის დაკმაყოფილება კი შესაძლებელია კულტურული კონცეპტების განმასხვავებელი სემანტიკური მახასიათებლების კუმულაციური და სისტემატური აღწერის გზით.

ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა კონცეპტიდან გადადის მის მიერ დასახელებულ მნიშვნელობებზე. კონცეპტების აღწერისა და ანალიზის მეთოდოლოგია ყველაზე მკაფიოდ კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებშია შემუშავებული.

კონცეპტებს შორის არსებულ მიმართებათა მრავალფეროვანი სისტემა წარმოადგენს კონცეპტუალურ სფეროს. ეს უკანასკნელი ხასიათდება განსაკუთრებული სამნაწილიანი სტრუქტურით, კერძოდ, კონცეპტუალური სფერო შედგება ბირთვისგან - ამა თუ იმ ლექსემის სიტყვიერი მნიშვნელობისაგან, გარდამავალი ზონისგან - კონცეპტის სხვა ლექსიკური გამოხატულებებისაგან - სინონიმებისაგან და პერიფერიული ზონისაგან - ასოციაციურ-ფიგურალური გამოხატულებებისაგან. კონცეპტუალური სფერო მოიცავს შინაარსობრივი თვალსაზრისით არსებით კონცეპტუალურ ცოდნას რეალობის შესახებ, ასევე რეალობის, მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის თავისებურების განმსაზღვრელი მენტალური სტერეოტიპების ერთობლიობას (ვეჟბიკა, 2003, გვ. 21).

ცნება „კულტურული სპეციფიკა“ გულისხმობს „კავშირს კონკრეტულ კულტურასთან. აღნიშნული ცნება გამოხატავს კონკრეტული კულტურის სპეციფიკურობას“. ამ კატეგორიის ენობრივი საფუძველს შეადგენს სინამდვილისა და არტეფაქტების აღმნიშვნელი სიტყვები, კულტურული სპეციფიკით დატვირთული სიტყვები და სიტყვათაშეთანხმებები, სტაბილური ასოციაციური კავშირების მქონე ლექსიკური ერთეულები, ეროვნული ლიტერატურის ნიმუშები და კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტექსტების ფრაგმენტები.

„ასახავენ რა საზოგადოების ქცევისა და საზოგადოების წარსული გამოცდილების თავისებურებას, კულტურულ-სპეციფიკური სიტყვები შეიძლება გააზრებულ იქნას ინფორმაციის უკვდავყოფის კონცეპტუალურ ინსტრუმენტებად. აღნიშნული ერთეულები შეიძლება თანდათანობით შეიცვალოს ან სულაც გაქრნენ. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იცვლება საზოგადოება“ (ვეჟბიკა, 2003, გვ. 17). სწორედ კულტურის სპეციფიკურ ასპექტში განხილული კონცეპტი წარმოადგენს ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის მთავარ ერთეულს.

ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი, როგორც მენტალური ერთეული, ახდენს ენის, ცნობიერებისა და კულტურის რეპრეზენტაციას. ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის განსაკუთრებით ინფორმატიულ ერთეულებად განიხილება რეალიები და მითოლოგემებიც.

რეალიები მხოლოდ გარკვეული ერებისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ობიექტების, ისტორიული ფაქტების, ეროვნული და ფოლკლორული გამიერების სახელების, მითოლოგიური ქმნილებების და ა.შ. დასახელებებია. წარმოადგენენ რა კულტურით დეტერმინირებულ ენობრივ ერთეულს, რეალიები საჭიროებენ კომენტარებსა და დესკრიფციას. ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ „რელია მჭიდრო კავშირშია ექსტრალინგვისტურ სინამდვილესთან, რაც ნათლად მიუთითებს თავად ტერმინის ეტიმოლოგიაზე. წარმოადგენს რა ცალკეული საგნების, ცნებების, ყოველდღიური ცხოვრებისეული მოვლენების, კულტურის, კონკრეტული ხალხის ან ქვეყნის ისტორიის დასახელებას, „რელია“ აუცილებლად უნდა იყოს ასახული თარგმანში“ (Влахов С. & Флорин С. /ვლახოვი & ფლორინი, 1980, გვ. 12).

ენათმეცნიერების ფარგლებში მითოლოგემა გააზრებულია როგორც „რამდენიმე ცნების ერთობლიობა. აღნიშნული ერთეულები განუყოფელია უძველესი ადამიანის აზროვნების ჩარჩოებში, ისევე როგორც ამ ცნებებთან დაკავშირებული ყველა უძველესი სიმბოლო“ (Кереньи К. & Юнг К.Г./კერენი & იუნგი, 1997) აღნიშნული ერთეულის ანალიზისას მკვლევარს საქმე აქვს სამყაროს ფოლკლორულ სურათთან. ეს უკანასკნელი კი სათავეს მითოლოგიური კულტურიდან იღებს.

ლინგვოკულტუროლოგიის, ისევე როგორც ნებისმიერი მეცნიერების, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მისი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური აპარატის დაზუსტება. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან სწორედ კონცეპტუალური და კატეგორიალური აპარატის განსაზღვრა იძლევა სამეცნიერო პარადიგმის სრულფასოვანი არსებობის რაციონალურობის დამტკიცების შესაძლებლობას.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რასთან არის დაკავშირებული მეცნიერების მიერ მეთოდოლოგიური ბაზის ფორმირების სირთულე? - პასუხი ამ კითხვაზე შემდეგნაირად ჟღერს: აღნიშნული სირთულე დაკავშირებულია ლინგვისტების მიერ ენისა და კულტურის ფენომენტა ინტერპრეტაციების მრავალფეროვნებასა და არაერთგვაროვნებასთან. არსებობს

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი, რომლითაც შესაძლებელია მეთოდოლოგიური ბაზის ფორმირების სირთულის ახსნა. ეს მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: არსებობს მომიჯნავე პარადიგმები, რომელთა ტერმინოლოგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლინგვოკულტუროლოგიურ სააზროვნო სივრცეში გაკეთებულ არჩევანზე.

ჩვენი კვლევის ფარგლებში კონცეპტუალური ანალიზი გააზრებულია როგორც ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდი. კონცეპტუალური ანალიზის მთავარი ერთეულია კონცეპტი, რომელიც წარმოადგენს მენტალურ ერთეულს. აღნიშნულ ერთეულში რეპრეზენტირებულია ენას, ცნობიერებასა და კულტურას შორის არსებული მიმართების სპეციფიკა.

ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის დროს ჩვენი ყურადღება კონცენტრირებულია კონცეპტის უნიკალურ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელ ასპექტებზე. ეროვნული მსოფლმხედველობა, პირველ რიგში, გამოხატულია სამყაროს ვერბალური დანაწევრების თავისებურებაში.

კონცეპტები აყალიბებენ კონცეპტუალურ სფეროს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის მიერ შექმნილი სამყაროს ენობრივი სურათის თავისებურებაზე.

ამრიგად, ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზს ექვემდებარება ის ერთეულები, რომელთა ობზერვაციის გზით შესაძლებელია კონკრეტული ენობრივი სოციუმის კულტურული სივრცის კვლევა.

3.4. სივრცე ლინგვოკულტუროლოგიისა და გამოყენებითი ეთნოლინგვისტიკის დიალოგისათვის

კულტურული კონცეპტუალიზაციები ის ინსტრუმენტებია, რომლებსაც ლინგვოკულტუროლოგია იყენებს კულტურული კოგნიციის ასპექტების შესასწავლად და მის წარმოსადგენად ენაში. მათში შედის კულტურული კატეგორიები, კულტურული მეტაფორები, კულტურული სქემები და კულტურული მოდელები. მათი მაგალითები მსოფლიოს ყველა ენაში გვხვდება. საკმაოდ უცნაურია, მაგრამ ლინგვოკულტუროლოგიაში

ტერმინი კულტურული ღირებულება, როგორც ჩანს, საკმაოდ იშვიათად გამოიყენება. ეს ბადებს კითხვას: შესაძლებელია თუ არა ხიდის გადება ერთი მხრივ ლინგვოკულტუროლოგიასა და მეორე მხრივ გამოყენებით ეთნოლინგვისტიკას შორის? ეთნოლინგვისტიკა ნაყოფიერად იყენებს კულტურული ღირებულების ფენომენს და მას აბსოლუტურად ფუნდამენტურად მიიჩნევს თავისი მცდელობებისათვის.

საგულდაგულო დაკვირვება ცხადყოფს, რომ გამოყენებითი ეთნოლინგვისტიკაც და ლინგვოკულტუროლოგიაც აღიარებს კულტურული ღირებულებების მნიშვნელობას. კულტურულად სპეციფიკური კატეგორიების, სქემების და მოდელების დეტალურმა შესწავლამ შეიძლება გამოიწვიოს კონკრეტულ ენობრივ საზოგადოებებში დაცული კულტურული ღირებულებების უფრო ზუსტი გაგება.

როგორც ჩანს, არსებობს შანსი ორი სტრუქტურის გასაერთიანებლად. უფრო მეტიც, ამტკიცებენ, რომ გამოყენებითი ეთნოლინგვისტიკა წარმოადგენს ლინგვოკულტუროლოგიის ფართო სპექტრის ნაწილს, სადაც მას, ლინგვოკულტუროლოგიასთან ერთად, შეუძლია სასარგებლო მეთოდოლოგიის გამოყენებით შეისწავლოს ენა და კულტურული ღირებულებები.

თანამედროვე ლინგვისტური თეორია მიდრეკილია მინიმუმამდე შეამციროს ენის სტატუსი, როგორც კულტურის ასპექტისა. ლინგვისტურ სტრუქტურათა უმეტესობა კულტურული ჩარევის მცირე შესაძლებლობებს ტოვებს. ლინგვოკულტუროლოგიასთან დაბრუნება გამოიწვია კოგნიტური ლინგვისტიკის გამოჩენამ.

ლინგვოკულტუროლოგიის, როგორც ტერმინის, წარმოშობის დასადგენად ფარზად შარიფიანი არაერთგზის იხსენიებს ლანგაკერს (1984, გვ. 31). ენისა და კულტურის სახელმძღვანელოში, რომელიც მან 2015 წელს დაარედაქტირა, შარიფიანი (2015ა, გვ.473) წერს: ტერმინი „ლინგვოკულტუროლოგია“ პირველად გამოყენებულ იქნა კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთი დამაარსებლის რონალდ ლანგაკერის მიერ მის განცხადებაში, სადაც მან ხაზი გაუსვა კულტურულ ცოდნასა და გრამატიკას შორის არსებულ მიმართებას. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ კოგნიტური ლინგვისტიკის გამოჩენა მიჩნეულ უნდა იქნას ლინგვოკულტუროლოგიასთან დაბრუნებად.

შარიფიანი (2015ა) ლინგვოკულტუროლოგიას აღწერს, როგორც „ენასა და კულტურას შორის არსებული ურთიერთობის ზოგად სფეროს, რომელიც თარიღდება მინიმუმ მეთვრამეტე საუკუნით და ისეთი გავლენიანი მეცნიერების ნაშრომებშია წარმოდგენილი, როგორცაა: ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი (1767-1835), ფრანც ბოასი (1858-1942), ედუარდ სეპირი (1884-1939) და ბენჯამინ უორფი (1897-1941).

ლინგვოკულტუროლოგია, შარიფიანის (2015ა) განსაზღვრების თანახმად წარმოადგენს „ბოლო დროინდელ მულტიდისციპლინარულ სფეროს, რომელიც იკვლევს კულტურასა და კონცეპტუალიზაციას შორის არსებულ ურთიერთობას, რაც კულტურულად კონსტრუირდება და ასახვას ჰპოვებს ენების მრავალფეროვან მახასიათებელთა მეშვეობით“.

1996 წელს პალმერმა მოახდინა მისი ფორმულირება როგორც სინერჯისა, რომელიც არსებობს კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ანთროპოლოგიური ლინგვისტიკისათვის სამ ტრადიციულ, უმთავრეს მიდგომას შორის: ბოასის ლინგვისტიკა, ეთნოსემანტიკა და მეტყველების ეთნოგრაფია (Palmer / პალმერი, 1996, გვ. 5).

ლინგვოკულტუროლოგია უნდა უმაღლოდეს ფარზად შარიფიანის მულტიდისციპლინარულ კომპეტენციას ანთროპოლოგიაში, კოგნიტურ მეცნიერებასა და ლინგვისტიკაში, რამაც უზრუნველყო ლინგვოკულტუროლოგია ამჟამინდელი ინტერდისციპლინარული ბაზით.

პალმერისა და შარიფიანის კვლევის ინსტრუმენტთა ნაკრებები წარმატებით თანაარსებობენ. თუმცა, კვლევის ზოგიერთი ინსტრუმენტი გაუჩინარებულია შარიფიანის არსენალიდან. ერთ-ერთი მათგანია ტერმინი - Imagery, რომელსაც პალმერი იყენებდა ადრეული დროიდან და მემკვიდრეობით ლანგაკერისგან მიიღო (Palmer / პალმერი, 1996).

კულტურული კოგნიციის ასპექტების შესასწავლად ლინგვოკულტუროლოგია, შარიფიანის მიხედვით, იყენებს მრავალფეროვან ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, მათ შორის კულტურულ კატეგორიებს, კულტურულ მეტაფორებს, კულტურულ სქემებს და კულტურულ მოდელებს, თითოეული მათგანი კი, თავის მხრივ, კულტურული კონცეპტუალიზაციის ფორმებს წარმოადგენს.

კონცეპტუალიზაცია შეიძლება ეხებოდეს პროცესს ან ამ პროცესის შედეგს იმდენად, რომ კატეგორიების, მეტაფორების, სქემებისა და მოდელების ინდივიდუალური მაგალითები წარმოდგებიან არა მხოლოდ კულტურული კონცეპტუალიზაციის ფორმებად, არამედ კულტურულ კონცეპტუალიზაციებად.

საკმაოდ უცნაურია, რომ ტერმინი „კულტურული ღირებულება“, რომელსაც ლინგვისტები იყენებენ თავიანთ ნაშრომებში, ინგლისურ ენაში საკმაოდ იშვიათად გამოიყენება. ტერმინი „ღირებულება“ უფრო გავრცელებულია, თუმცა მორალურ და სოციალურ ღირებულებათა შემთხვევების კომბინაციები უფრო იშვიათია. ღირებულებები, როგორც წესი, მიეკუთვნებიან „კოგნიტურ სისტემას“ ან „ღირებულებათა სისტემებს“, ხოლო ძირითადი ღირებულებები მიეკუთვნებიან „ძირითად ღირებულებათა სისტემას“ (შარიფიანი, 2015ა).

თავის მხრივ, ღირებულებები ხშირად აღინიშნება შარიფიანთან (2015ა) კულტურული მემკვიდრეობის სხვა ასპექტებთან ერთად: „რწმენა და ღირებულებები“, „ღირებულებები და რწმენა, ღირებულებები და ნორმები“, „ნორმები და ფასეულობები“, „ფასეულობები და ნორმები“ „ღირებულებები და პრინციპები“, „წესები, ფასეულობები და ტრადიციები“, „რწმენა, ნორმები, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და ფასეულობები“ და ბოლოს „რწმენა, მსოფლმხედველობა, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, ფასეულობები და ნორმები“.

შესაძლებელია თუ არა ლინგვოკულტუროლოგიისა და გამოყენებითი ეთნოლინგვისტიკის ინტეგრაცია?

გამოყენებითი ეთნოლინგვისტიკა განვითარდა ლინგვოკულტუროლოგიისაგან დამოუკიდებლად და წარმოადგენს ბუნებრივი სემანტიკური მეტაენის პროდუქტს ან მიდგომას. გამოყენებით ეთნოლინგვისტიკას ბევრი საერთო აქვს კოგნიტურ ეთნოლინგვისტიკასთან.

კულტურული ღირებულებებისადმი ინტერესი გამოიწვია ჯონსონის მიერ ფრანგული ენის მონაცემების შესწავლამ (2003, გვ. 69). თავის ნაშრომში იგი აყალიბებს კულტურათაშორისი კომუნიკაციის ოთხ ძირითად წინაპირობას:

1. სხვადასხვა საზოგადოებებსა და ერთობებში ხალხი განსხვავებულად საუბრობს;
2. მეტყველებაში არსებული განსხვავებები ღრმა და სისტემატურია;

3. მეტყველების განსხვავებული გზები ასახავს სხვადასხვა კულტურულ ღირებულებებს ან, სულ მცირე, ღირებულებათა განსხვავებულ იერარქიებს;
4. მეტყველების სხვადასხვა გზა, განსხვავებული კომუნიკაციური სტილი შეიძლება განიმარტოს განსხვავებული კულტურული ღირებულებებისა და კულტურული პრიორიტეტების თვალსაზრისით.

უნდა გავიაზროთ, რომ უცხო კულტურის გაცნობის შედეგად, საკუთარ კულტურაში არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებები წინა პლანზე ინაცვლებს და რომ ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებებს არ წარმოადგენს განსხვავებები ჩვეულებებში, ტრადიციებსა და ხელოვნების ფორმებში. უფრო მეტიც, ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებები კულტურულ ღირებულებათა შორის არსებული განსხვავებებია. მაგრამ ერთია კულტურულ ღირებულებებზე საუბარი და მეორე - მათი განსაზღვრა. პასუხი აშკარად დამოკიდებულია ჩვენს მიერ ტერმინის „ღირებულება“ განსაზღვრაზე.

სტოცელს (1983) ფრანგული სოციოლოგიური ტრადიციის მაგალითი მოჰყავს და ღირებულებებს განსაზღვრავს როგორც მოდელებს, ადამიანის ფსიქიკაში ღრმად ფიქსირებულ იდეალებს, რომლებიც ინდივიდებს უბიძგებენ იმოქმედონ გარკვეული გზით. ადამიანებმა შეიძლება შეცვალონ თავიანთი ღირებულებები, მაგრამ ისინი ყოველთვის გვიბიძგებენ სამოქმედოდ და განსაზღვრავენ იმას, თუ ვინ ვართ ჩვენ.

ღირებულებები განსხვავებულ დონეებზე წარმოგვიდგებიან ზოგად შეხედულებებად რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როგორ ვაფასებთ რეალურ ან წარმოსახულ ქცევას (სხვებისას და არა ჩვენს საკუთარს), რას მივიჩნევთ მიზანშეწონილად, სასურველად ან ფასეულად და რას მივიჩნევთ არასათანადოდ, არასასურველად ან ცუდად. ღირებულებები, რომლებიც ადამიანებს გააჩნიათ, რიცხოვრივად გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სპეციფიკური დამოკიდებულებების და რწმენის ბევრად უფრო დიდი სიმრავლე, რომელსაც ისინი გამოხატავენ და ამტკიცებენ. მნიშვნელოვნების მხრივ, ღირებულებები არ არიან თანასწორნი, მაგრამ ისინი ქმნიან მნიშვნელობათა იერარქიას თითოეული ინდივიდისთვის, ჯგუფისთვის ან კულტურისთვის; ამასთანავე ზოგიერთი ღირებულება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე - სხვები. ღირებულებებს გარკვეული სტაბილურობა გააჩნიათ, თუმცა, ცვალებად გარემოებებზე დაყრდნობით, მათი მნიშვნელოვნება შეიძლება შეიცვალოს. ღირებულებები

დაკავშირებული არიან ემოციურ სისტემასთან. ადამიანები თავს ბედნიერად გრძნობენ, როცა მათი მნიშვნელოვანი ღირებულებები რეალიზდება, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი ადამიანი მოკლებულია ბედნიერებას.

რა შეიძლება ითქვას კულტურულ ღირებულებათა შესახებ? იმის გათვალისწინებით, რაც უკვე ითქვა, ისინი შეიძლება განსაზღვრულ იქნან როგორც ღირებულებები, რომლებიც ფართოდ არიან გავრცელებული ენობრივ კულტურაში, ღირებულებები, რომლებიც აძლიერებენ რწმენას, დამოკიდებულებებს, კომუნიკაციურ ჩვევებს, რომლებიც ზოგადად დაკავშირებულია ამ ენობრივ კულტურასთან. თითოეული მათგანი არ არის თანაბრად მნიშვნელოვანი, აქედან მომდინარეობს იერარქიის იდეა; ისინი ენობრივი კულტურის თითოეული წევრის მიერ არ არიან უნივერსალურად გაზიარებული. აქედან მომდინარეობს გამოყენებადობა.

ამჟამად არსებობს რამდენიმე გზა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას ჰიპოთეტური კულტურული ღირებულებების პოსტულატად, იმისდა მიხედვით, არის თუ არა ამოსავალი წერტილი კულტურულად გამოხატული სიტყვა ან სიტყვის მსგავსი ერთეული (ეთნოლექსიკოლოგია), კულტურულად გამოხატული ფრაზა (ეთნოფრაზეოლოგია), კულტურულად გამოხატული სინტაქსური ნიმუში (ეთნოსინტაქსი), მეტყველების კულტურულად გამოხატული ფიგურა (ეთნორიტორიკა), ან კულტურულად გამოხატული კომუნიკაციური ქცევა (ეთნოპრაგმატიკა). მეექვსე გზა ცნობილია ეთნოლექსიოლოგიის სახელით - მისი მეშვეობით შესაძლებელია თავდაპირველი ჰიპოთეზების დადასტურება, სხვა ხერხებზე დაყრდნობით.

თითოეული ტერმინი წლების განმავლობაში ვითარდებოდა. ამჟამინდელი ვერსიები კი შემდეგნაირად გამოიყურება:

ეთნოლექსიკოლოგია მიზნად ისახავს კულტურით დეტერმინირებულ ლექსიკურ ერთეულთა შესწავლას. იგი ეყრდნობა როგორც ლინგვისტურ, ისე არალინგვისტურ მტკიცებულებებს, იმის გათვალისწინებით, არსებობს, თუ არა რაიმე კულტურული ღირებულებები - ცნობილი ან ახლად აღმოჩენილი - ამ ელემენტთა გასამყარებლად. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ღირებულებები, რომლებიც ადრე ცნობილი იყო, უკეთ იქნება

გააზრებული, ხოლო ახლად აღმოჩენილი ღირებულებების არსებობა კი უნდა დადასტურდეს.

ეთნოფრაზეოლოგია გულისხმობს კულტურით დეტერმინირებული ფრაზებისა და იდიომების შესწავლას. იგი ეყრდნობა როგორც ლინგვისტურ, ისე არალინგვისტურ მტკიცებულებებს, იმის გათვალისწინებით, არსებობს თუ არა რაიმე კულტურული ღირებულებები - ცნობილი ან ახლად აღმოჩენილი - ამ ფრაზებისა და იდიომების გასამყარებლად. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ღირებულებები, რომლებიც ადრე ცნობილი იყო, უკეთ იქნება გააზრებული, ხოლო ახლად აღმოჩენილი ღირებულებების არსებობა კი უნდა დადასტურდეს.

ეთნოსინტაქსი შეისწავლის კულტურით დეტერმინირებულ სინტაქსურ სტრუქტურებს. იგი ეყრდნობა როგორც ლინგვისტურ, ისე არალინგვისტურ მტკიცებულებებს, იმის გათვალისწინებით, არსებობს, თუ არა რაიმე კულტურული ღირებულებები - ცნობილი ან ახლად აღმოჩენილი - ამ მოდელთა გასამყარებლად. ღირებულებები, რომლებიც ადრე ცნობილი იყო, უკეთ იქნება გააზრებული, ხოლო ახლად აღმოჩენილი ღირებულებების არსებობა კი უნდა დადასტურდეს.

ეთნორიტორიკის მიზანი კულტურით დეტერმინირებული მეტაფორების და სხვა სტილისტიკური მექანიზმების შესწავლაა. იგი ეყრდნობა როგორც ლინგვისტურ, ისე არალინგვისტურ მტკიცებულებებს, იმის გათვალისწინებით, არსებობს, თუ არა რაიმე კულტურული ღირებულებები - ცნობილი ან ახლად აღმოჩენილი - ამ მექანიზმთა გასამყარებლად. ღირებულებები, რომლებიც ადრე ცნობილი იყო, უკეთ იქნება გააზრებული, ხოლო ახლად აღმოჩენილი ღირებულებების არსებობა კი უნდა დადასტურდეს.

ეთნოპრაგმატიკა გულისხმობს კულტურით დეტერმინირებული კომუნიკაციური ქცევის კვლევას. იგი ეყრდნობა როგორც ლინგვისტურ, ისე არალინგვისტურ მტკიცებულებებს, იმის გათვალისწინებით, არსებობს, თუ არა რაიმე კულტურული ღირებულებები - ცნობილი ან ახლად აღმოჩენილი - ამ ქცევათა გასამყარებლად. ღირებულებები, რომლებიც ადრე ცნობილი იყო, უკეთ იქნება გააზრებული, ხოლო ახლად აღმოჩენილი ღირებულებების არსებობა კი უნდა დადასტურდეს. ეთნოპრაგმატიკა ემთხვევა გამოყენებითი

ეთნოლინგვისტიკის ფუნქციონირების სფეროს. ეთნოპრაგმატიკის შესაძლებლობები სრულად ათვისებულია გამოყენებითი ეთნოლინგვისტიკის მიერ.

იკვლევს რა ღირებულებებისათვის რელევანტურ ლინგვისტურ და არალინგვიტურ მონაცემებს, ეთნოაქსიოლოგია მიზნად ისახავს ჰიპოთეტური კულტურული ღირებულებების არსებობის დაზუსტებას.

ვეჭიბვკამ და მისმა კოლეგებმა განავითარეს სამეტყველო აქტების კულტურულ საფუძველთა კვლევა. მათ ნაშრომებში კულტურული ღირებულებები და დამოკიდებულებები, ან, რასაც ისინი „კულტურულ სკრიპტს“ უწოდებენ, წარმოქმნიან პრაგმატულ მექანიზმებს, რომლებიც განმარტებულია ფუნდამენტური მნიშვნელოვნების ტერმინთა თვალსაზრისით. სწორედ აღნიშნულ მკვლევართა ნაშრომებში ვხვდებით „სემანტიკურ უნიკალიებს“. ამ მიდგომას ეთანხმებიან „რელატივისტებიც“ და „უნივერსალისტებიც“ (შარიფიანი, 2004, გვ. 341).

ლინგვოკულტუროლოგია, შარიფიანის ნაშრომის მიხედვით, აღიარებს კულტურულ ღირებულებათა მნიშვნელობას, თუმცა არაპირდაპირი გზით. ზოგიერთ ტექსტში ღირებულებათა დაკავშირება ხდება კულტურულ კონცეპტუალიზაციებთან. ეს კავშირი შესაძლოა საკმაოდ ბუნდოვანი იყოს. როდესაც შარიფიანი მოიხსენიებს „მშობლიური ენის ღირებულებებსა და კონცეპტუალიზაციას“ მიიჩნევს, რომ ისინი ახერხებენ თანაარსებობას, თუმცა ამ თანაარსებობის დეტალურ ანალიზს არ გვთავაზობენ.

შარიფიანის (2015ა) მტკიცებით, კულტურულ კონცეპტუალიზაციებს „შეუძლიათ აღმოცენება პატარა კულტურულ ჯგუფებში, სადაც ადამიანებს ერთნაირი ცხოვრების სტილი და რწმენათა და ღირებულებათა კოგნიტური სისტემები აქვთ“- ეს შეხედულებაც არ გვაწვდის რელევანტურ ინფორმაციას.

შარიფიანის (2015ა) მიხედვით, კონცეპტუალიზაცია განასახიერებს აბორიგენულ მორალს, სამართალს, კულტურულ ღირებულებებს. რას ნიშნავს ზმნა „განსახიერება“? უკავშირდება თუ არა იგი ერთ-ერთ თანამედროვე კონცეპტს, რომელიც კოგნიტურმა ლინგვისტიკამ ისესხა სხვა დისციპლინებისგან (იგულისხმება: ფსიქოლოგია, ფილოსოფია და კოგნიტიური მეცნიერება) და შემდგომ მოარგო იგი საკუთარ მოთხოვნებს? ნიშნავს თუ არა ზმნა

„განსახიერება“ „რაიმეს თვალსაჩინოდ, აშკარად წარმოდგენას“, „წარმოდგენას თვალსაჩინო ფორმით“, „ფორმის მიცემას“ ან „რაიმეს სიმბოლოდ ან მაგალითად წარმოდგენას“?

განმარტებას ისევ შარიფიანთან ვხვდებით (2015ა): „კონცეპტუალიზაციები ვითარდება კულტურულ ჯგუფებს შიგნით, რადგან პრაქტიკულად აზროვნებისა და ქცევის ყველა ასპექტი „ჩვეულებრივ მოიხსენიება როგორც რწმენა, ნორმები, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და ღირებულებები“.

კულტურული კატეგორიები, მეტაფორები, სქემები და მოდელები - ყველა კულტურული კონცეპტუალიზაციის ფორმებია. ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე ახლოს იმასთან, რასაც გამოყენებითი ეთნოლინგვისტიკა უწოდებს კულტურულ ღირებულებებს? როგორც ჩანს, მთავარი კანდიდატი - კულტურული სქემაა.

იმის საჩვენებლად, თუ „როგორ ახერხებს კულტურათაშორისი კომუნიკაცია, გამოააშკარაოს გარკვეული კულტურული ნორმები და ღირებულებები“ შარიფიანი იყენებს ცნებას „კულტურული სქემა“. სპარსული კულტურული სქემის („თავმდაბლობის“) აღწერისას მკვლევარი აღნიშნავს რომ „ღირებულებითი სისტემა სულიერი ტრადიციის ნაწილია, რომელიც თავის გზას პოულობს ამ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების ლიტერატურულ ნიმუშებსა და ჯგუფის კულტურულ შემეცნებაში“ (2004, გვ. 122).

შარიფიანი მიიჩნევს, რომ არსებობს გარკვეული თანხვედრა ან თანაარსებობა კულტურულ სქემასა და ღირებულებათა სისტემას შორის. შარიფიანი ღირებულებებს აკავშირებს კონცეპტუალიზაციებთან, მაგრამ კიდევ ერთხელ ტოვებს ამ კავშირს დეტალური ანალიზის გარეშე.

სქემები განასახიერებენ (კულტურულ) ნორმებს და ღირებულებებს. შარიფიანი აღნიშნავს, რომ ზემოთ მოყვანილი კულტურული სქემა („თავმდაბლობის“) კარგად წარმოაჩენს თანამედროვე ირანის ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას, ხოლო სქემები კი „წესების, ფასეულობებისა და ტრადიციების მთლიანობებად“ წარმოდგებიან.

შარიფიანი (2004, გვ. 125) განასხვავებს ქვედა დონის და უფრო მაღალი დონის სქემებს. იგი აღნიშნავს, რომ უფრო მაღალი დონის სქემა განსაზღვრავს სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ ძირითად კულტურულ ღირებულებებს. შარიფიანის (2004, გვ. 121)

თანახმად, კულტურული სქემები „შეიძლება მოიცავდნენ ნებისმიერი სახის ცოდნას, ჯგუფის მთავარ ღირებულებებს, ნორმებს და რწმენას“.

თუმცა ლინგვოკულტუროლოგიაში ტერმინი „კულტურული ღირებულება“ არ თამაშობს ისეთ მნიშვნელოვან როლს, როგორსაც იგი ასრულებს გამოყენებით ეთნოლინგვისტიკაში, ზოგადად კულტურულად სპეციფიკური კონცეპტუალიზაციების, კერძოდ, კულტურულად სპეციფიკური სქემების დეტალური შესწავლა უზრუნველყოფს კულტურული ფასეულობების სიღრმისეული გააზრების შესაძლებლობას.

შარიფიანი წერს: „ცოდნის სახეობა, რომელიც შესაძლოა განასახიერებდეს კულტურულ სქემას, არის კულტურული ცოდნა, რომელიც მოიცავს კულტურულ ცოდნას და ღირებულებებს და შესაძლოა აისახოს ენის გამოყენებაში. ენის სხვადასხვა დონეებმა და ერთეულებმა როგორებიცაა მეტყველების აქტები, იდიომები, მეტაფორები, დისკურსის მარკერები და ა.შ. შესაძლოა წარმოგვიდგინონ ამგვარ კულტურულ სქემათა მაგალითები“ (შარიფიანი, 2004, გვ. 121).

რა ტიპის ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურას წარმოადგენს სქემა? - სქემისათვის რელევანტური ცოდნა მოიცავს ადამიანის პრაქტიკული საქმიანობისა და გამოცდილების საფუძველზე მიღებული საგნობრივი სფეროს კანონზომიერებებს. აღნიშნული ტიპის ცოდნა წარმოადგენს საგნობრივ სფეროში მიმდინარე პროცესების ამსახველ, კულტურით დეტერმინირებულ სქემებს (Gaines&Shaw/გაინესი&შოუ, 1997. გვ.729–759). სქემისათვის რელევანტური ცოდნა ხსნის ამა თუ იმ მოვლენის არსს და უზრუნველყოფს მოვლენათა და ობიექტების ქცევის პროგნოზირების შესაძლებლობას.

სქემა ეფუძნება აღქმის მთლიანობის პრინციპს, როგორც აზროვნების საფუძველს. სქემა წარმოადგენს მთლიან სტრუქტურას - გარემომცველი სამყაროს პროცესებისა და მოვლენების გაგების საფუძველს. ცოდნის ფრაგმენტები არ არიან იზოლირებული - ისინი ურთიერთქმედებენ, ამასთან მათი ურთიერთქმედება ატარებს ერთიან სისტემურ ხასიათს. სქემა წარმოადგენს ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალურ მოდელს. იგი გააზრებულია როგორც კონკრეტული კულტურით დეტერმინირებული, სტერეოტიპული აღქმის წარმოდგენისათვის საჭირო აბსტრაქტული სახე. სქემის მოდელი იძლევა სამყაროს

შესახებ არსებული, კონკრეტული კულტურით დეტერმინირებული ცოდნის მრავალფეროვნების გამოსახვის შესაძლებლობას (გაინესი&შოუ, 1997).

სქემა კონკრეტული კულტურითა და კოლექტიური ცნობიერებით დეტერმინირებული ერთეულია. კოლექტიური ცნობიერება გააზრებულია როგორც სქემის ფუნქციონირების სასიცოცხლო კვანძი, ხოლო სქემა კი როგორც კოლექტიური ცნობიერებისათვის რელევანტურ იდეათა, რწმენათა და გრძნობათა კომპოზიცია, რომლის ვალიდურობაც ეფუძნება ინდივიდუალური ცნობიერებისათვის რელევანტურ იდეათა, რწმენათა და გრძნობათა ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებულ ზოგად კანონზომიერებებს. ამ თვალსაზრისით, სქემა შეიძლება განვიხილოთ ერთგვარ იდეალად, რომელიც დეტერმინირებულია კონკრეტული დროისა და სივრცის მარკერებით.

კულტურული კონტექსტი აყალიბებს და გარდაქმნის სქემის ელემენტთა მნიშვნელობას. არსებით ზემოქმედებას სქემის კონტინიუმზე კულტურული სივრცე ახდენს. კონკრეტულ სოციალურ ხდომილებებში მონაწილეობის განსაკუთრებული წესები ქმნის სქემის სპეციფიკურ კონტურს. უნდა აღინიშნოს, რომ სქემის კონტინიუმი არასოდეს გადადის ვაკუუმში - იგი ყოველთვის ექვემდებარება კონკრეტული კულტურის მატარებელთა მიერ აღიარებული პოზიციების ზემოქმედებას.

სქემის კონტინიუმისათვის დამახასიათებელია სიმბოლოთა და ღირებულებათა ცირკულაცია. სქემა რეალობის, საზრისეული ინტერპრეტაციების და რეინტერპრეტაციების უწყვეტი ქმნადობის შედეგია. სქემები აღქმის ალგორითმების სახით არ გვეძლევა, ისინი მუდამ ფორმირების პროცესში არიან. უნდა აღინიშნოს, რომ სქემა არ ეფუძნება მხოლოდ სოლიდარობას, სხვა სიტყვებით, სოციალური ურთიერთქმედების წესებს. პირიქით, სხვადასხვა დროსა და სივრცეში კონსტრუირებული სქემა ტრანსფორმირდება წესების დარღვევის გამო. ამდენად, სქემა განიხილება შესაძლო ქმედებათა რესურსად - სტერეოტიპული მოლოდინების ერთობლიობად.

სქემა ეფუძნება ცოდნის ფორმებისა და ღირებულებითი განწყობების დომინირებას. ცოდნის ხელახლა გააზრების ან უარყოფის შესაძლებლობა უზრუნველყოფს სქემის კვლავწარმოებას დროსა და სივრცეში. სქემა კონცენტრირებულია კონკრეტული კულტურის ფორმებზე,

რომლებიც, გარკვეული თვალსაზრისით, ურთიერთქმედების საზრისებია. სქემის საზღვრებში კულტურის სამყარო განიხილება ღირებულებების სამყაროდ. სქემა ყალიბდება როგორც კულტურის ნორმებისა და ღირებულებების წარმოდგენისათვის ვალიდური კონსტრუქტი.

სქემა წარმოადგენს სიტუაციის განსაზღვრებას, რომელიც ცდომილებაში ჩართულობისა და ორგანიზაციის პრინციპებს ეფუძნება. სქემა ფრაგმენტირებულ რეალობას სიტუაციის განსაზღვრებად გარდაქმნის.

მიუხედავად საინტერესო კვლევებისა, კვლავ რჩება სირთულები. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორ უნდა გავიაზროთ ის, რაც სემანტიკურად კომპლექსური და/ან კულტურულად სპეციფიკურია? - სავარაუდოდ, სირთულების დაძლევა შესაძლებელია იმ პარაფრაზის მიწოდებით, რომელიც მარტივი იქნება გასაგებად.

კულტურულ სცენარებზე მსჯელობაში ვეჭბიცა იყენებს ისეთი ღირებულების მაგალითს, როგორცაა „искренность“ (გულწრფელობა). კულტურულ სკრიპტებსა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის შესახებ ნაშრომში იგი წარმოგვიდგენს რუსულ კულტურულ სკრიპტს „искренность“ (ვეჭბიცა, 2010ბ, გვ. 66). მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კულტურული ღირებულებები და კულტურული სცენარები ერთი და იგივეა. უფრო მეტიც, კულტურული სკრიპტები განმარტავს ან წარმოადგენს კულტურული ღირებულებების ახსნას.

ლინგვოკულტუროლოგიაში სცენარის კონცეპტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ტერმინი ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქმედებისა და დისკურსის წარმოდგენაზე, რომელიც შეუმჩნეველი დარჩა კოგნიტურ ლინგვისტიკას.

ვეჭბიცას აზრით, კულტურული სკრიპტები სცენარებს ჰგვანან. მას სკრიპტები იმ კონსტრუქტებამდე დაჰყავს, რომლებიც სემანტიკური უნიკალიების მცირე სიმრავლისგან შედგებიან.

ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისი სცენარებზე, როგორც მნიშვნელოვან კულტურულად განსაზღვრულ კონსტრუქტებზე, ჰგავს ანა ვეჭბიცას მიერ წარმოდგენილ

ფოკუსს სკრიპტებზე იმ განსხვავებით, რომ ლინგოკულტუროლოგიას არ მიაჩნია არსებითად სკრიპტების აღწერა სემანტიკური მეტაენის გამოყენებით.

მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა და თვალსაზრისთა მრავალფეროვნებისა, აშკარაა, რომ გამოყენებითი ეთნოლინგვისტიკა და ლინგოკულტუროლოგია ახერხებენ ურთიერთსასარგებლო დიალოგში ჩართვას. ისიც ფაქტია, რომ გამოყენებითი ეთნოლინგვისტიკაც და ლინგოკულტუროლოგიაც - ორივე გვთავაზობს ენასა და კულტურას შორის არსებული მიმართების კვლევის ეფექტურ მეთოდოლოგიას.

თავი IV. კონცეპტის „ოცნება“ ანალიზი სხვადასხვა განზომილებაში

4.1. კონცეპტის „ოცნება“ ღირებულებითი მნიშვნელობა და კონცეპტის რეპრეზენტაცია ინგლისური ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემასა და დისკურსში

კვლევის მოცემული სეგმენტი ეძღვნება კონცეპტის „ოცნება“ ღირებულებითი მნიშვნელობის კვლევას ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში.

კვლევა განხორციელებულია თანამედროვე ლინგვისტიკის პრიორიტული პარადიგმის - ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში.

ოცნება, როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს რთული და მრავალასპექტიანი რეალია, წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკის ფუნქციონირების ერთ-ერთ ეგზისტენციალურად უმნიშვნელოვანეს ასპექტს. როგორც მიზანმიმართული სააზროვნო პროცესი და ინდივიდის ცნობიერების განსაკუთრებული მდგომარეობა, ოცნება იძენს სტატუსს შინაგანი სამყაროს იმ ფენომენისა, რომელიც ფუნქციონირებს საკუთარი კანონების შესაბამისად. ჭეშმარიტად ანთროპოცენტრისტული ბუნების მქონე ენობრივი ცნობიერების ფრაგმენტი განსაზღვრავს არა მხოლოდ ადამიანის ფსიქოსოციალური პორტრეტის მრავალ შტრიხს, არამედ ადამიანის საქმიანობის ცალკეულ ასპექტებსა და ღირებულებით ორიენტირებსაც.

მოიცავს რა ცნობიერების, განცდებისა და ემოციების მთელ რეპერტუარს, ოცნება გვევლინება ადამიანის შინაგანი სამყაროს სემიოსფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფრაგმენტად და იმავდროულად, მეტისმეტად რთულად ხელშესავლებ აბსტრაქციად.

კვლევის მოცემული სეგმენტი მიზნად ისახავს ადამიანის შინაგანი სამყაროს სემიოსფეროს მოვლენათა კვლევის არეალის გაფართოებას, რამდენადაც ინგლისური ენობრივი ცნობიერების მოცემული ფრაგმენტი დღემდე არ არის სრულად აღწერილი, რაც შემდეგს გულისხმობს:

1. არ არის სრულად ექსპლიცირებული მოცემული ფრაგმენტის შინაარსობრივ-ცნობიერი ონტოლოგია;
2. არ არის სრულად გამოვლენილი ფრაგმენტის სემანტიკური პოტენციალი;

3. არ არის სრულად დეტერმინირებული ფრაგმენტის ფუნქციონალური ადგილი ენის სემანტიკურად უწყვეტ სივრცეში.

ოცნების ღირებულებითი არსი განეკუთვნება უნივერსალიათა რიგს. უნივერსალურობა წარმოადგენს ენის ანთროპოცენტრულობის, გარკვეულ შედეგს ენის ადამიანსა და სამყაროზე ორიენტირებულობისა. თუმცა, მოცემული სიდიდის აბსოლუტიზირება შეუძლებელია, ვინაიდან ადამიანის შინაგანი სამყაროს მოვლენათა აღქმა და გააზრება კორელაციაშია ადამიანის ამა თუ იმ ეთნოსში ყოფიერების პირობებთან (ვეჟბიკვა, 1999, გვ. 291-293) ენობრივი ალომორფიზმის ძირი კულტურულ ტრადიციაშია, რომლის არსებობაც იკვეთება ექსტრალინგვისტური ფაქტორების ფონზე (ვეჟბიკვა, 1997). ამდენად, კულტურა წარმოადგენს იმ შინაარსობრივ ბირთვს, რომლის ირგვლივაც რეალიზდება ენობრივ ფორმებში ასახული მსოფლადქმის ეროვნული სპეციფიკა. აქედან გამომდინარე, ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის ენობრივი ნიშანი-ნომინანტი წარმოადგენს ადამიანის შინაგანი სამყაროს თაობაზე არსებული ცოდნის გასაგნების კონვენციონალურ საშუალებას. აღნიშნული ცოდნა ჩნდება ენის, ცნობიერებისა და კულტურის გადაკვეთაზე და უზრუნველყოფს მათ ერთიანობას ძიებაზე (დემიანკოვი, 2001).

კვლევის მოცემული სეგმენტის აქტუალობას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

1. თანამედროვე ლინგვისტიკის ზოგადთეორიული ვექტორი მიმართულია ცნობიერებისა და სამეტყველო ქმედების სიღრმისეულ მიმართებათა ძიებაზე;
2. კოგნიტური ლინგვისტიკა ორიენტირებულია ადამიანის შინაგანი სამყაროს ფსიქიკური რეალიების ენობრივი მანიფესტაციის საშუალებათა ანალიზზე;
3. კოგნიტური ლინგვისტიკის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ცნობიერებისა და სამეტყველო ქმედებისადმი ინტეგრაციული მიდგომა, რომელიც საფუძვლად უდევს სიტყვის, როგორც ენისა და მეტყველების ნიშნის სემანტიკის კვლევის კოგნიტურ-სემიოტიკურ სტრატეგიას.

ოცნების ფენომენის კოგნიტური პოზიციიდან განხილვა მიემართება ადამიანის მთლიანური სახის მოდელირების საკითხს. კვლევაში ექსპლიცირებულია ოცნების, როგორც სამყაროს ენობრივი ხატის ერთ-ერთი ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანი ფრაგმენტის კოგნიტური

ინტერპრეტაციის ეთნოსპეციფიკა. მიღებული მონაცემები სისრულეს მატებს ინგლისურენოვანი ლინგვოკულტურული საზოგადოების ტიპური მახასიათებლების შესახებ არსებულ წარმოდგენას.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის ენობრივი რეპრეზენტაცია.

კვლევის საგანია ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის შინაარსობრივი პოტენციალი და მისი სისტემური და დისკურსული აქტუალიზაციის სპეციფიკა.

კვლევა მიზნად ისახავს კონცეპტის „ოცნება“ შინაარსობრივი პოტენციალის იდენტიფიცირებას, კონცეპტის ადგილის განსაზღვრას ადამიანის შინაგანი სამყაროს სემიოსფეროში და კონცეპტის რეალიზაციის თავისებურებათა გამოვლენას ენის სისტემასა და დისკურსში.

დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება ისეთ ამოცანათა გადაჭრა და კვლევის ისეთი ეტაპების განხორციელება, როგორცაა:

1. კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზის განსაზღვრა;
2. კონცეპტის შინაარსობრივი პოტენციალისა და აქსიოლოგიური კოორდინატების გამოვლენა და აღწერა;
3. ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის ადგილის განსაზღვრა ადამიანის შინაგანი სამყაროს სემიოსფეროში;
4. ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის მიმართების იდენტიფიცირება ადამიანის შინაგანი სამყაროს სემიოსფეროში არსებულ სხვა ღირებულებებთან;
5. კონცეპტის შინაარსის ინდივიდუალური გააზრებისა და აქსიოლოგიური კოორდინატების სპეციფიკის გამოვლენა მეტაფორულ გამონათქვამებში;
6. ოცნების მიზეზობრივი და აქსიოლოგიური მოდუსების აქტუალიზაციის საშუალებათა განსაზღვრა;
7. ოცნების განცდითი და მენტალური გამოცდილების ენობრივი რეპრეზენტაციის კოგნიტური საფუძვლების ანალიზი;

8. ენობრივი ნიშნის-ნომინანტის პრაგმატიკულ მახასიათებელთა განხილვა.

ნაშრომისათვის ფუძემდებლურია:

1. დებულება ენის, კულტურისა და აზროვნების კავშირის შესახებ (ვეჟბიცკა, 1997, 1999; ჰუმბოლდტი, 1985; დემიანკოვი, 2001; ვეჟბიცკა, 1992).
2. ანთროპოცენტრისტული ლინგვისტიკის დებულებები ენისა და ადამიანის კავშირის განუყოფლობის შესახებ.
3. კოგნიტური ლინგვისტიკის დებულებები ენისა და ადამიანის ცნობიერების მიმართების შესახებ (ლაკოფი, 1982);
4. დებულებები ლექსიკის კვლევისადმი ლინგვოსემიოტიკური მიდგომის პრინციპების შესახებ;
5. აქსიოლოგიური ლინგვისტიკის დებულებები ეთნოსემიომეტრიის შესახებ.

აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრა ითხოვს მეთოდოლოგიის კომპლექსურობას, რაშიც იგულისხმება ლინგვოკულტუროლოგიის, ანთროპოლოგიის, აქსიოლოგიისა და კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში გენერირებული მეთოდებისა და ხერხების ინტეგრაცია ერთ სააზროვნო სივრცეში.

ნაშრომში გამოყენებულია ისეთი ზოგადმეცნიერული მეთოდები და კვლევის ხერხები, როგორცაა: ანალიზი, სინთეზი, ობზერვაცია, შედარება, აბსტრაქცირება, ინდუქცია, დედუქცია და ლინგვისტური ანალიზის ისეთი სახეობები, როგორცაა: დეფინიციათა ანალიზი, ეტიმოლოგიური, კომპონენტური, კონტექსტუალური, კონცეპტუალური, შეპირისპირებითი ანალიზისა და კოგნიტური მოდელირების მეთოდები.

კვლევის მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებში ფიქსირებული კონცეპტის საკვანძო ლექსემა-რეპრეზენტატების განმარტებები, ტექსტის ფრაგმენტები, პარემიებისა და სენტენციების ფონდი, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები და ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტის მონაცემები.

ენობრივი მასალის ანალიზისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ცნებობრივი ანალიზი; ლექსიკონში ფიქსირებული დეფინიციათა ანალიზი; ინტერპრეტაციული ანალიზი;

სტატისტიკური ანალიზის ელემენტები; ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტი (ანკეტირება); ინტროსპექცია.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს განსაზღვრავს:

1. ოცნების, როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრაგმენტის თავისებურებათა გამოვლენა;
2. ოცნების, როგორც ინგლისური ლინგვოკულტურული ტრადიციის ერთ-ერთი ბირთვული ელემენტის კოგნიტური საფუძვლების განსაზღვრა;
3. ოცნების ფუნქციონალური ადგილის მონიშვნა ადამიანის ყოფიერების აქსიოლოგიური კოორდინატების იერარქიაში.

ნაშრომის თეორიული ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

1. კვლევას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამყაროს ღირებულებითი და ენობრივი ხატების სისტემურ აღწერაში;
2. კვლევა ხელს უწყობს ენისა და კულტურის, ენისა და მენტალიტეტის მიმართებათა კვლევაზე ორიენტირებულ საკითხთა შემდგომ დეტალიზაციას.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს კვლევის მონაცემთა ვალიდურობაში თანამედროვე ლინგვისტური თეორიებისა და კვლევის მეთოდების, ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის, ლინგვოკულტუროლოგიისა და კოგნიტური ლინგვისტიკის კურსებისათვის.

სამყაროსადმი აქსიოლოგიური დამოკიდებულება წმინდა ანთროპოცენტრისტული ბუნებისაა. ადამიანი, როგორც აქტიური, ღია და თვითორგანიზებადი სისტემა, არსებობს ღირებულებით-შინაარსობრივ სივრცეში. სწორედ ამ სივრცეში ქმნის ადამიანი ღირებულებებს და სწორედ ამ სივრცეში ხდება ღირებულებათა ინტერიორიზირება. მიზეზობრიობასთან, ემოციურ ექსპრესიასთან და სხვა ეგოცენტრისტულ კატეგორიებთან ერთად, ღირებულება წარმოადგენს ერთ-ერთ ბაზისურ კატეგორიას. ღირებულება ყალიბდება იმ კონცეპტთა ურთიერთქმედების ფონზე, რომლებიც აგებენ სემანტიკური თვალსაზრისით უწყვეტ კონტინიუმს. ღირებულებით-შინაარსობრივი სფერო წარმოადგენს

ინდივიდის ორიენტაციულ და მოტივაციურ ბირთვს. სწორედ ეს სფერო განსაზღვრავს მიმართებათა სპეციფიკას დიადის ფარგლებში, როგორცაა „ადამიანი-სამყარო“.

ღირებულებითი შინაარსები წარმოადგენს ცნებობრივი ან სახეობრივი ხასიათის მქონე მსოფლმხედველობრივ და სულიერ დომინანტებს. სწორედ ამ უკანასკნელთა მეშვეობით ხდება ღირებულებათა დამკვიდრება და აღიარება. ღირებულებები განიცდება ადამიანის მიერ აქსიოლოგიურ მოდუსში - ღირებულებები წარმოადგენს ადამიანის ინდივიდუალური და ზეინდივიდუალური ყოფიერების სულიერ კოორდინატებს, რომლებიც მოიცავენ სოციოკულტურულ, მარეგულირებელ და მათორიენტირებელ პოტენციალს.

ღირებულებები ვლინდება და რეალიზდება შეფასების მეშვეობით. ადამიანი აფასებს და ანაწევრებს სამყაროს აქსიოლოგიური ტიპის მსჯელობათა ფარგლებში. ადამიანის სწორედ ამ ქმედებაში ძვეს ადამიანის სამყაროსთან ადაპტაციის მექანიზმი. ენობრივი შეფასება შემეცნებითი საქმიანობის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც წარმოადგენს გამოცდილების გააზრების შედეგს. იგი ეფუძნება როგორც მეცნიერულ ცოდნას, ისე ყოფითი ცნობიერების ფაქტებს. ამდენად, სწორედ შეფასების გზით ხორციელდება სამყაროს შეცნობის კონტინუალური პროცესი.

სამყაროს ღირებულებით ხატში ცენტრალური ადგილი უკავია ღირებულებით ვერტიკალს, რომელიც ასახავს ადამიანის ცნობიერების მიერ სამყაროს დანაწევრების ეთნოსპეციფიკას. ოცნების ღირებულებითი არსი განთავსებულია ინგლისური სამყაროს ღირებულებითი ხატის იერარქიის მწვერვალზე. ოცნება, როგორც ძლიერი და მოქმედი თვითრეალიზაციის ინსტრუმენტი, დასავლურ სამყაროში საფუძვლად უდევს პიროვნული განვითარების იდეას: ყოფიერებისათვის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს ის მოვლენები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანს ძალუმს გამოავლინოს თვითგანვითარების უნარი და პოტენცია. ოცნების ღირებულებითი არსის მაღალ აქსიოლოგიურ სტატუსს განსაზღვრავს სხვადასხვა პარამეტრი, რომელთა შორის დომინანტურია ოცნების უნარი სუბიექტის ქმედების მოტივირებისა და სამყაროს შეცვლის უკეთესობისაკენ (კეთილდღეობისაკენ).

თანამედროვე ლინგვისტიკაში მნიშვნელობის კატეგორიის გააზრება სცდება სტრუქტურალიზმის ჩარჩოებს. შინაარსობრივი მხარის გააზრება მიემართება გლობალური

ცოდნისაკენ. მნიშვნელობის ფენომენი ინტერპრეტირდება, როგორც მთლიანობა მისივე არსებობის სხვადასხვა იპოსტასში, როგორც მთლიანობა მისივე არსებობის სხვადასხვა პირობებში: ენობრივ, სამეტყველო და მენტალურ დონეებზე. ასახავს რა ცოდნის სტრუქტურას, მნიშვნელობა იძენს მრავალგანზომილებიანი, ველის პრინციპით ორგანიზებული კონცეპტუალური ერთეულის სტატუსს. სწორედ ველის პრინციპით გამოიყოფა ინტეგრალური და დიფერენციალური ნიშნები. ინტეგრალური ნიშნები აყალიბებენ კონცეპტუალურ ბირთვს, დიფერენციალური ნიშნები კი - პერიფერიას.

ამდენად, მნიშვნელობის კატეგორია არაერთმნიშვნელოვნადაა გაზრებული თანამედროვე ლინგვისტიკაში:

1. იგი ასახავს მეტყველებაში ფიქსირებული მნიშვნელობის შემცნების ევრისტიკულ არსს;
2. იგი წარმოადგენს ცნობიერების მრავალგანზომილებიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სამყაროს შესახებ და აყალიბებს ენობრივი კოლექტივის კონცეპტუალურ სისტემას.

ენის სისტემაში ენობრივი ნიშანი „dream“ გააზრებულია როგორც ინგლისური ლინგვოკულტურული ტრადიციის ერთ-ერთი ბირთვული ღირებულებითი ელემენტი. ოცნების ფენომენის აქსიოლოგიური აღქმა ვლინდება ცნობობრივი ონტოლოგიის დონეზე: ენობრივი ნიშნის „dream“ სემანტიკაში იკვეთება სამყაროსადმი ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულების გააზრების გამოცდილება, გააზრების პროცესის ელემენტები და შედეგები.

ენობრივი ნიშნის „dream“ ლექსიკონში ფიქსირებული დეფინიციები აყალიბებენ წარმოდგენას ღირებულებითი მნიშვნელობის კონცეპტუალური ბირთვის შესახებ. კოლექტიური ცნობიერების მიერ ოცნების ფენომენის გააზრების საფუძველს კი ქმნიან შემდეგი კონცეპტუალური ნიშნები: conscious mental activity, positive emotional perception, vague state of mind, hope / aspiration, a wild fancy or hope, something ideal (Cambridge Advanced Learner's Dictionary, 2013; Collins English dictionary, 2011).

მენტალურ კონსტრუქტთა არსი ეფუძნება ლოგიკურ მიმართებებს, ამ მიმართებათა მჭიდრო და სიღრმისეულ კავშირებს, რომელებიც აქცევენ კონცეპტებს კონცეპტებად (Lakoff & Johnson, / ლაკოფი & ჯონსონი, 1980).

ოცნების (dream) აქსიოლოგიური მნიშვნელობის ანალიზმა, რომელიც განხორციელდა მომიჯნავე ღირებულებათა (reverie; wish/desire; hope; aspiration/ambition/goal; fantasy/fancy) გათვალისწინებით, ცხადყო, რომ:

1. ღირებულებათა სინთეზი წარმოადგენს საკვლევი აქსიოლოგიური კოორდინატის ფენომენოლოგიური თავისებურების საფუძველს;
2. ოცნების კოგნიტური სპეციფიკა განპირობებულია ენობრივი (პოლისემია და ამბივალენტურობა, ანტონიმია სტატიკურობა / დინამიურობის და რეალურობა / არარეალურობის ჩარჩოებში) და პრაგმატიკული (მკვეთრი ღირებულებითი დომინანტა: ორიენტაცია კეთილდღეობაზე და ობიექტის მაღალი ღირებულებითი სტატუსი, გააზრებისა და მდგრადობის მაღალი ხარისხი) ფაქტორებით.

ფიქსირდება მოდელები, რომლებშიც იკვეთება მნიშვნელობების „dream” და “hope” ერთდროული აქტუალიზაცია:

“The old life had grown to seem more like a dream than a reality, and the balking of his determination to reach the coast and return to London had finally thrown the hope of realization so remotely into the future that it too now seemed little more than a pleasant but hopeless dream“.
(Burroughs /ბუროუსი, 1915).

რეალობაში განხორციელების ყოველგვარი საფუძვლის გარეშე არსებული იმედი ტრანსფორმირდება „სასიამოვნო, მაგრამ უიმედო ოცნებად“ (it too now seemed little more than a pleasant but hopeless dream). ამ ტიპის ტრანსფორმაცია ეფუძნება იმედის რეალიზაციის რეალური საფუძვლების არარსებობას.

ოცნება, რომელიც ფიქსირდება განცდითი და რაციონალური მსოფლადქმის კვეთაზე, ხასიათდება სხვადასხვა ტიპის ასოციაციური ვექტორების განლაგებით ადამიანის

ყოფიერების სხვადასხვა სფეროში. ასოციაციური ველის ანალიზი ავლენს გარკვეულ აზრობრივ ნიუანსებს, რომლებიც ავსებს ოცნების დენოტატიურ კონტინიუმს:

1. ნაშრომში ექსპლიცირებულია ენობრივი ნიშნის „dream“ კავშირი ადამიანის ფსიქიკის ფუნქციონირების ფუნდამენტალურ საფუძვლებთან - აზროვნებასთან (idea, thought, preoccupation) და წარმოსახვასთან (creativity, imaginativeness, imagination, inventiveness, imagery);
2. გამოვლენილია ასოციაციური ვექტორის კონცენტრაცია არა მხოლოდ დადებით ემოციებზე (joy, pleasure, delight, inspiration), არამედ ინტენსიურ განცდებზე, რომლებიც ხასიათდება სულიერი შფოთვით (urge, thirst, craving) და იწვევს სევდას, აპათიასა და მელანქოლიას (longing, hankering, yearning);
3. იდენტიფიცირებულია ენობრივი ნიშნის „dream“ ასოციაციური სემანტიკური კონტინიუმის ამბივალენტურობა: ერთი მხრივ, ოცნება აღნიშნავს რეალობაში არარსებულ და აბსურდულ რაიმეს, რომლის არსებობაც მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკურ საფუძველს (nothingness, absurd, bubble), მეორე მხრივ კი, ოცნება აღნიშნავს ინდივიდის მიერ სააზროვნო ხატების კრეაციის პოტენციას (inventiveness, creativity);
4. დაფიქსირებულია ოცნების ასოციაციური კავშირი რეალური სამყაროს იდეალიზირებულ ობიექტებთან (gem, treasure) და იდეალურთან (beauty, marvel, flawlessness, perfection, ne plus ultra), რომელიც დეტერმინირებულია ფედონისტური საფუძვლით, სიამოვნების მიღების უნარით;
5. გამოკვეთილია ენობრივი ნიშნის „dream“ მჭიდრო კორელაცია ისეთ მნიშვნელობებთან, რომლებიც აღნიშნავენ რაიმე ირეალურს. ამ ტიპის მნიშვნელობები ასოციაციურად აკავშირებენ ოცნებას სიცრუესთან, შეცდომასთან, თავის მოტყუებასთან, მოჩვენებითობასა და გამონაგონთან (illusion, delusion, self-deception; error; phantom, ghost, mirage, vision).

ენობრივი ნიშანი „dream“ მრავალმნიშვნელოვანია, რაც მეტყველებს ღირებულებითი მნიშვნელობის შინაარსის მრავალკომპონენტურობაზე. ამ უკანასკნელის შინაარსობრივი მხარე მოიცავს სხვადასხვაგვარი ფუნდამენტური პიროვნული სტრუქტურის ელემენტებს (სურვილს, იმედს, მიზანს, წარმოსახვას).

4.2. ოცნების პროტოტიპული კოგნიტური მოდელები

ენობრივ საშუალებათა რეპერტუარი სასრულია, ენის გამოყენების შესაძლებლობები კი უსასრულო. ენის გამოყენების შესაძლებლობათა უსასრულობა ბუნებრივი ენის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანური შემეცნების - კოგნიციის - უსასრულო შესაძლებლობებთან. სწორედ ენის გამოყენების შესაძლებლობათა უსასრულობას ეყრდნობა პროტოტიპების თეორია.

პროტოტიპების თეორია შეიძლება, განვიხილოთ როგორც მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია ცნების სტრუქტურის ანალიზზე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ცნების ზოგიერთი ელემენტი წარმოადგენს პროტოტიპს (Akmajian&Demers&Harnish /აკმაჯიანი & დემერსი & ჰარნიში, 1988, გვ. 528).

პროტოტიპების თეორიის არსი, რომელსაც ეფუძნება კოგნიტივიზმი, შემდეგში მდგომარეობს: კონცეპტუალური სტრუქტურები იქმნებიან ჩვენი გამოცდილების წყალობით და გამოცდილების წყალობითვე იძენენ აზრს.

პროტოტიპების თეორიის მიერ სემანტიკაში შეტანილი წვლილი ნათლად იკვეთება შემდეგ დებულებებში:

1. პროტოტიპების თეორია სიტყვის მნიშვნელობაში აერთიანებს ცოდნის ენობრივ და ენციკლოპედიურ ტიპებს;
2. პროტოტიპების თეორია აქცენტირებს კატეგორიის შიდა სტრუქტურის არსებობას;
3. პროტოტიპების თეორია ადგენს კატეგორიათა იერარქიას, რომელიც ასახავს ლექსიკურ იერარქიას;

პროტოტიპების თეორიის არსი კი შემდეგ დებულებებში ვლინდება:

1. კატეგორიას გააჩნია შიდა პროტოტიპული სტრუქტურა;
2. ეგზემპლარის წარმომადგენლობითობის ხარისხი შეესაბამება მისი კატეგორიისადმი მიკუთვნებულობის ხარისხს;
3. კატეგორიებს, კონცეპტებს შორის არსებული ზღვარი არამკაფიოა;

4. კატეგორიის წევრებს შესაძლოა, არ გააჩნდეს საერთო მახასიათებლები - წევრებს შესაძლოა აერთიანებდეს გვარეობრივი მსგავსება;
5. ამა თუ იმ ობიექტის კონკრეტული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს შეიძლება, წარმოადგენდეს ობიექტის მსგავსება პროტოტიპთან.

პროტოტიპების თეორიაში ითვლება, რომ კატეგორიებს არ გააჩნიათ მკვეთრი საზღვრები. არსებობს გრადაცია კატეგორიისადმი მიკუთვნებულობის პარამეტრის გათვალისწინებით სიტყვა წარმოადგენს საგნის არა აბსოლუტურ დასახელებას, არამედ სიტყვა ასახელებს საგანს მხოლოდ „გარკვეულ დომენდე“. ადამიანები ქმნიან აბსტრაქტულ აზრობრივ ხატს საგნებისას, რომლებიც ეკუთვნიან ამა თუ იმ კატეგორიას. თუ ამ ხატის მეშვეობით ადამიანი აღიქვამს სინამდვილეს, მაშინ ამ ხატს პროტოტიპი ეწოდება. პროტოტიპები წარმოადგენს იმ ინსტრუმენტებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი უმკლავდება სინამდვილის მიერ შეთავაზებულ სტიმულთა განუსაზღვრელ რაოდენობას. პროტოტიპები შესაძლოა, შეიცვალოს დროთა განმავლობაში ტერმინთა მეტაფორული გამოყენების შედეგად. ამგვარი ცვლილება დაკავშირებულია მარკერთა რეპერტუარისა და რანგების ცვლილებასთან (Givón /გივონი, 1984. – XX, გვ. 19).

პროტოტიპულობის გამოვლინება - „პროტოტიპული ეფექტები“ - გულისხმობს იმ ფაქტს, რომ კატეგორიის ცენტრალურ (პროტოტიპთან უფრო ახლოს მყოფ) წევრებს გააჩნიათ სხვა ტიპის კოგნიტური მარკერები, ვიდრე - არაცენტრალურ წევრებს (Lakoff /ლაკოფი, 1977. მე-13 თავი, გვ.236-287). ცენტრალური წევრები, არაცენტრალურ წევრებთან შედარებით, უფრო სწრაფად ამოცნობადია და გამოყენებადია უფრო ხშირად. პროტოტიპული ეფექტები განსაკუთრებით საგრძნობია, როცა მთელის ნაცვლად გამოიყენება ნაწილი (ლაკოფი, 1986. გვ.13-51).

პროტოტიპების ლაკოფისეული კლასიფიკაცია მოიცავს:

1. ტიპიურ ნიმუშებს (ბელურა ტიპური ჩიტია);
2. სოციალურ სტერეოტიპებს, რომელთა გაცნობიერებაც, ჩვეულებრივ, საზოგადოებაში ხდება და სწორედ ამიტომაც ცვლადია დროში ადამიანთა შეთანხმების საფუძველზე;
3. იდეალები - აბსტრაქტული იდეალიზაციები;

4. ნიმუშები (სრულყოფილების) - იდეალები ან ანტიიდეალები;
5. ქვემოდებები, რომელთაგან ზოგიერთი ასოცირდება ბიოლოგიასთან (პირველადი ფერები, ბაზისური ემოციები, ზოგი კი კულტურითაა დეტერმინირებული - „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“;
6. განსაკუთრებული მაგალითები - ყველასათვის ცნობილი, იოლად დამახსოვრებადი მაგალითები (ლაკოფი, 1982. გვ.139-193).

როგორც ადამიანის აზროვნების კონვენციონალიზაციის ზოგადი თეორიის ერთ-ერთმა ნაწილმა, პროტოტიპების თეორიამ დიდი გავლენა იქონია თანამედროვე მეცნიერული აზროვნების განვითარებაზე (Posner /პოზნერი, 1986. გვ. 53-61).

4.3 პროტოტიპული სიტუაცია: ფრეიმული სემანტიკა, ფრეიმებისა და სცენების ანალიზი

„ფრეიმული მიდგომა“ წარმოადგენს ადამიანის კონკრეტულ სიტუაციაში ქმედების ფორმალიზებული აღწერის სხვადასხვა ტიპების ზოგად დასახელებას. აღნიშნული მიდგომის ლინგვისტური კონცეფცია ჩამოყალიბებულია ფილმორის ნაშრომებში (ფილმორი, 1975. თავი 1. გვ.123-131). ამოსავალი დებულება შემდეგში მდგომარეობს: მნიშვნელობები (სიტყვის, წინადადების, ტექსტის) ეთანადება სცენებს. „ფრეიმული მიდგომა“ წარმოადგენს კონტექსტთა გლობალურ თეორიას, რომელიც გვთავაზობს სემანტიკური ცოდნის რეპრეზენტაციის ახალ ფორმებს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისითაც (Wegner/ვეგნერი, 1985. მე-7 თავი, გვ. 143). „ფრეიმის“ ცნება სხვადასხვა სახელწოდებით გამოიყენებოდა (ფილმორი, 1975, თავი 1, გვ.123-131). ეს იყო „სქემა“ კოგნიტურ ფსიქოლოგიაში (Bartlett / ბარლეტი, 1931, გვ. 232), მინსკის ნაშრომებში ხელოვნური ინტელექტის თაობაზე (მინსკი, 1980. გვ.1-25), ფსიქოლოგიაში „ასოციაციურ კავშირებთან“ მიმართებაში (Bower/ბაუერი, 1974. თავი. 66. გვ. 1 – 8), სემანტიკურ ველთა კვლევაში.

ფრეიმული სემანტიკის ფარგლებში სცენები ეთანადება კონკრეტულ ენობრივ ფრეიმებს. სცენა გააზრებულია არა როგორც მხოლოდ ვიზუალური, არამედ აზრობრივ ხატთა სხვა სახეობებიც (ნებისმიერი სენსორული და კონცეპტური ფორმები) - ინტერპერსონალური ურთიერთობების პროცესები, ქცევის სტანდარტული სცენარები (ფილმორი, 1975, თავი 1. გვ. 124).

ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში ოცნების პროტოტიპული სიტუაციის შინაარსი მოიცავს სხვადასხვა ტიპის (აქსიოლოგიურ, ინტენციონალურ, ემოციურ, ესთეტიურ) კომპონენტებს: „ოცნების სუბიექტს“, „ოცნების ობიექტს“, „სუბიექტურობას“, „სტერეოტიპულობას“, „გააზრებულობას“, „სიმყარეს“, „დადებით ემოციურ შეფერილობას“, „დინამიურობა/სტატიკურობას“, „რეალურობა/არარეალურობას“, „პროსპექტულობას“, „იდეალიზირებულობას“. ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად ექსპლიცირებულია ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის ფენომენოლოგიური არსის გააზრების სპეციფიკა. ემპირიული მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ოცნება ხშირად გააზრებულია როგორც რეალური ყოფის ჰორიზონტიდან გასვლის, არსებობის ნეგატიური ასპექტების უგულებელყოფის გზით ეგზისტენციალური ჩარჩოების გაფართოების საშუალება. ამდენად, ოცნება ხშირად ეფუძნება რეალობის ელემენტთა და მათ მოდიფიკაციათა სინთეზს: “And the girl with whom almost everything in life had gone wrong came to think of Out There as the place where everything was right. It was the far country where there was no weariness nor loneliness, the land where one did not grow tired, where one never woke up in the morning too tired to get up, where no one went to bed at night too tired to go to sleep. <...> Oh, it was a land where dreams came true - a beautiful land where no one ate prunes, where the gravy was never greasy and the potatoes never burned. It was a land of flowers and birds and lovely people - a land of wealth and health and many smiles” (Glaspell/გლასპელი, 1912).

მე-სუბიექტი ისწრაფვის საკუთარი იდენტურობის მოდიფიკაციისა და წარმოსახვითი სამყაროს მენტალური პროექტირებისაკენ. ეს სწრაფვა გულისხმობს რეალობის გადალახვისა და ცხოვრებისეული სტანდარტის ამადლების მცდელობას: “Everything is possible. We are all architects of fate ... Everyone carries his future in his own hands; fate has really nothing to do with it. Whatever kind of bud we are; such a flower we will be. We cannot make ourselves; all we can do is

blossom. This Other Person that you see in your golden dreams is after all only you, changed from the You that you are now into the You that you hope to be. If we are little, stunted buds we cannot be big, glorious blossoms. The Future is only a great many Nows added up” (Frey/ფრეი, 1920).

ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობა ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ანტაგონისტურობით, რაშიც იგულისხმება ოცნების მიკუთვნებულობის შესაძლებლობა ადამიანის აქტივობის დაპირისპირებული - მოქმედებითი და შემეცნებითი - პოლუსებისადმი. აქედან გამომდინარე, იკვეთება ოცნების ორმაგი დენოტატიური მიმართება: ოცნების მიმართება რეალურ სამყაროსა და რეალური სამყაროს ანტიპოდთან - ირეალურ, წარმოსახვით სამყაროსთან: “I did have a dream, it was my dream, and beyond the sum of any delight I ever conceived. On the strength of it I rebuilt my home and remodelled these premises. Then I saw you, and from that day I worked early and late. I lost you and I never stopped until I found you; and I would have courted and won you, but the fates intervened and here you are! So it’s my delight to court and win you now. If you knew the difference between having a dream that stirred the least fibre of your being and facing the world in a demand for realization of it, and then finding what you coveted in the palm of your hand, as it were, you would know what is in my heart, and why expression of some kind is necessary to me just now, and why I’ll explode if it is denied.” (Porter / პორტერი, 2008).

მარტოხელა მამაკაცის ოცნება ბედნიერი ოჯახია. მიყვება რა თავის ოცნებას, მამაკაცი იწყებს საკუთარი ბინის გადაკეთებას. ოჯახის მოთხოვნებთან ადაპტირებული ბინა ოცნების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც რეალობაშია მატერიალიზებული.

ოცნების ობიექტის სელექციის სუბიექტურობა ხშირად იკვეთება სტერეოტიპულობასთან, რაც ვლინდება საზოგადოებაში დამკვიდრებული სტანდარტების დაცვის გაუცნობიერებელ სურვილში. ადამიანის ცნობიერებაში ოცნების ობიექტი გარდაიქმნება სასურველის აზრობრივ პროტოტიპად, რომელიც ეფუძნება მოცემული დენოტატიური კლასისათვის ეტალონურ მახასიათებლებს: “Like many another man, on the sunny side of thirty, he had his ideal woman safely enshrined in his inner consciousness. She was a pretty little thing, this dream maiden - a blonde, with deep blue eyes, a rosy complexion, and a mouth like Cupid's bow. Mentally,

she was of the clinging sort, for Winfield did not know that in this he was out of fashion. She had a dainty, bird-like air about her and a high, sweet voice - a most adorable little woman, truly, for a man to dream of when business was not too pressing” (Reed /რიდი, 1902).

მეოცნებე სუბიექტის წარმოსახვაში ოცნების გოგონას აქვს ლამაზი ქალის ტიპური მახასიათებლები: ქერა თმა, ცისფერი თვალები, ღია ფერის კანი, მომხიბლავი, მოხდენილი, გრაციოზული, ლამაზი ხმა. გამოთქმა „like many another man“ აკავშირებს გოგონას მენტალურ სახეს სტერეოტიპთან, რომელსაც აღიარებს მამაკაცთა უმრავლესობა.

ოცნების მდგრადობა ვლინდება შემდეგ დისკურსულ ფრაგმენტში: “I've dreamt in my life dreams that have stayed with me ever after, and changed my ideas; they've gone through and through me, like wine through water, and altered the color of my mind” (Bronte /ბრონტე, 1847).

გარდა მეტყველი სუბიექტის წარმოდგენისა ოცნების მდგრადობის შესახებ (I've dreamt in my life dreams that have stayed with me ever after), გამონათქვამში ვლინდება ოცნების მნიშვნელოვნება პიროვნების ჩამოყალიბებაში (they've gone through and through me, like wine through water, and altered the color of my mind). აქვე იკვეთება ოცნების, როგორც რთული მრავალსაფეხურიანი პროცესის, დინამიკა: ოცნება შემოდის ინდივიდის ცხოვრებაში, მკვიდრდება ადამიანის პიროვნებაში და შეაქვს ცვლილებები მის შინაგან სამყაროში.

ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის ემოციური შეფერილობა გულისხმობს ოცნების სუბიექტურ აღქმას. აქ ოცნება მიჩნეულია ემოციური პლანის საჭიროების დაკმაყოფილების აუცილებლობად: It is undying, it is but a memory, and its vividness cannot be made clear to another mind, any more than the vivid emotions of a dream (Conrad /კონრადი, 1897).

ოცნებაში ვლინდება აზროვნების ერთ-ერთი ფუნდამენტალური თვისება - სამყაროს შემეცნების ჰორიზონტის მენტალური გაფართოება, რაც იძლევა ადამიანის გამოცდილების მიღმა სფეროში შეღწევის შესაძლებლობას. ოცნების ფენომენოლოგიური არსის ღირებულებითი მნიშვნელობა სინთეტურია, ვინაიდან მასში ინტეგრირებულია ფსიქიკის ემოციური მდგომარეობის ელემენტები და პიროვნების ნება. ოცნების ფენომენოლოგიური

არსის ღირებულებითი მნიშვნელობის საფუძველს ქმნის ობიექტის მიმართ დადებითი ემოციები, რაც იწვევს დადებით შეფასებას.

დისკურსში ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის საშუალებათა ანალიზის შედეგად გამოვლინდა პროტოტიპული კოგნიტური მოდელები:

1. Dream is a human being - ოცნებას გააჩნია ნებისმიერი სულიერი არსებისათვის დამახასიათებელი თვისება (ჩასახვა, დაბადება, ზრდა და განვითარება, კვება, დაბერება, სიკვდილი): “Holdfast to dreams, for if dreams die, life is a broken winged bird that cannot fly ” (Hughes /ჰიუსი, 1923).

ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში ოცნება ანთროპომორფული ბუნებისაა - მისი კონცეპტუალიზაცია ხორციელდება იმ თვისებათა პრიზმაში, რომლებიც ახასიათებს ადამიანს, როგორც ორგანიზებული ფსიქიკური აპარატისა და სოციალურ ურთიერთობების მქონე ინდივიდს.

2. Dream is a bird - ფრენის მეტაფორა იწვევს ბედნიერების, სიხარულის და სიამოვნების განცდას: “I still fly a lot in my dreams, she told us, but I try to stay close to the ground. At my age, a fall can be pretty serious“ (Andreas /ანდრეასი, 1994).

3. Dream is liquid - მეტაფორა ორიენტირებულია ოცნების განცდით ასპექტზე; ოცნება ასოცირდება თხევად ნივთიერებასთან, რომელიც ავსებს ადამიანის სულიერ ცხოვრებას: “He must have drifted into a dream — and an extravagant one - for he was a master of Charleroi and Adele was his wife” (O. Henry /ო. ჰენრი, 1992).

4. Dream is food - ოცნება ასოცირდება საკვებთან; მეტაფორა ორიენტირებულია ოცნების განცდით ასპექტზე: “It was frightening to think how quietly, how unobtrusively, those dreams, sometimes sweet, sometimes darkly unsettling, had slipped away - as if a large part of his imagination had died painlessly and unannounced” (King, S. & Straub P./კინგი&სტრაუბი, 1984).

5. Dream is haze - კოგნიტური მეტაფორული მოდელის საფუძველს წარმოადგენს მხედველობასთან დაკავშირებული სირთულე, სამყაროში ორიენტირების უნარის

დაკარგვა: “You see the word through a haze of dream and relentless music” (Andreas /ანდრეასი, 1994);

6. Dream is an object - ოცნება აბსტრაქციიდან ტრანსფორმირდება მატერიალურ თვისებათა მქონე, მაგალითად, მსხვერვად საგნად - “ Eventually I began to gather together the material of this book, puzzling over what I should call it now that the previous title seemed no longer to apply. It was then that the One Ring Zero CD as Smart as We Are arrived, and I heard them sing the lines I had brought back from a dream, and I wondered just what I had meant by “fragile things.” It seemed like a fine title for a book of short stories There are so many fragile things, after all. People break so easily, and so do dreams and hearts” (Gaiman /გეიმანი, 2006).
7. Dream is a building - ოცნება მიჩნეულია კონსტრუქციად, ნაგებობად: “Thus was the edifice of my brief dream of happiness dashed, broken, to the ground of reality. The woman for whom I had offered my life, and from whose lips I had so recently heard a declaration of love for me, had lightly forgotten my very existence and smilingly given herself to the son of her people's most hated enemy” (Burroughs/ ბუროუსი, 1912);
8. Dream is a thread - ოცნება ასოცირდება ძაფთან: “After a circular and startled glance, as of a man waking up abruptly to the sense of danger, he would throw himself back, and under the downward gaze of the old sorcerer take up, wide-eyed, the slender thread of his dream” (კონრადი, 1897);
9. Dream is a possession - ოცნება მიჩნეულია ქონებად, საკუთრებად: “If there were dreams to sell, what would you buy?” (Beddoes /ბედოუსი, 1918);
10. Dream is a valuable thing - ოცნება ასოცირდება ღირებულ, ძვირფას საგანთან: “Cherish your vision and your dreams as they are the children of your soul; the blueprints of your ultimate achievements” (Hill /ჰილი, 1937);
11. Dream is container - ძირითად მნიშვნელობას აღნიშნული კოგნიტური სტრუქტურის ფარგლებში წარმოადგენს ოცნების გააზრება შემოსაზღვრულ სივრცედ. ამ ტიპის ინტერპრეტაცია მკვეთრად ფიქსირდება ოცნების ყოველდღიური ცხოვრების საგნებთან შედარებისას (სახლი, სასახლე, ციხესიმაგრე, შორეული ქვეყანა, ქალაქი, ტაძარი, თავშესაფარი): “The bare little farmhouse was a fixed fact, but she had many a palace into which she now and then withdrew ... Every time she retired to her citadel of dreams she came forth

radiant and refreshed, as one who has seen the evening star, or heard sweet music, or smelled the rose of joy” (Wiggin/ვიჯინი, 1903); “But my dreams were all my own;/accounted for them to nobody; they were my refuge when annoyed - my dearest pleasure when free” (Shelley/შელი, 1818).

ოცნების ანალოგიზაცია თავშესაფარსა (my refuge) და ციტადელთან (her citadel of dreams) ბადებს სულიერი სიმშვიდისა და ჰარმონიის ასოციაციას.

ცნობიერებაში მეოცნებე სუბიექტის სამყოფელი ცა და ღრუბლებია (head-in-the-clouds, Johnny-head-in-air, to walk on air, to have smb's head in the clouds). აქ ოცნება წარმოგვიდგება სხვა რეალობად, რომელიც სწყვეტს ადამიანს მიწისაგან და ათავისუფლებს მიწიერ შეზღუდვათაგან (shackles of the earth, bounds of reality).

სწრაფვა სიმაღლისაკენ სინამდვილისაგან გაქვევის ერთადერთი საშუალებაა. აღნიშნული სპეციფიკა წარმოადგენს საფუძველს კოგნიტური მეტაფორული მოდელისა „Dream is heaven“. მოდელში იკვეთება ორი პარალელური სამყაროს, რეალური და წარმოსახვითი სამყაროების სივრცობრივი დიფერენცია: “The breaking of my dream had been too sudden, and I had been caught too high up to alight again on the solid ground of reality with ease and grace”(Roe / როი, 1880).

მასალის მიზეზობრივი თვალსაზრისით ანალიზმა გამოავლინა ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის მჭიდრო კავშირი ადამიანის ყოფით პრობლემებთან. ოცნების მიზეზობრივი სივრცის ენობრივი ორგანიზაცია ეფუძნება ინვარიანტულ კონცეპტებს (reality, frustration, wish, emotion). დისკურსულ ფრაგმენტთა ანალიზმა ცხადყო, რომ ოცნების მიზეზი ძვეს რეალური სამყაროს სივრცეში და იმედგაცრუებაში რეალური სამყაროთი.

ენობრივი მასალა ადასტურებს ოცნების მყარ მიზეზობრივ კავშირს კონცეპტთან - wish. ოცნების მიზნის მიზეზი ძვეს ინტენსიურ სურვილში: “He had lived on the homestead until he was twenty. He had tilled the broad fields and gone in and out among the people, and their life had been his life. But his heart was not in his work. He wanted to go beyond the hills and seek what he knew must be there. The valley was too narrow, too placid. He longed for conflict and

accomplishment. He felt power and desire and the lust of endeavor stirring in him. Oh, to go over the hills to a world where men lived! Such had been the goal of all his dreams”

(Montgomery/მონტგომერი, 1906).

ახალგაზრდა კაცი, რომელიც სოფელში ცხოვრობს, უკმაყოფილოა თავისი სამუშაოთი (But his heart was not in his work - გამონათქვამი იმპლიციტურად მიემართება კონცეპტს dissatisfaction). ახალგაზრდას უჩნდება საკუთარი ცხოვრების შეცვლის სურვილი (He wanted to go beyond the hills and seek what he knew must be there - გამონათქვამი გულისხმობს კონცეპტს wish). არარეალიზებული სურვილი გადაიზრდება სევდაში (He longed for conflict and accomplishment - გამონათქვამი გულისხმობს კონცეპტს longing). სურვილი ძლიერდება (He felt power and desire and the lust of endeavour stirring in him - გამონათქვამი გულისხმობს კონცეპტებს desire, lust) და გადაიქცევა ოცნებად, რომელიც ყალიბდება მიზნად (Such had been the goal of all his dreams - გამონათქვამი გულისხმობს კონცეპტებს dream, goal).

მოცემულ მაგალითში იკვეთება ოცნების ჩამოყალიბების დინამიკა: თავიდან ოცნება გვევლინება სუბიექტის რეაქციად ობიექტზე; დროთა განმავლობაში რეაქცია იძენს სახეს მნიშვნელოვანი მოთხოვნებისა, რომელიც გადაიქცევა ოცნებად - მიზნად.

მასალის კოგნიტურმა ანალიზმა ცხადყო, რომ მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, ოცნება, როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს რეალია, ჩნდება რეალობით უკმაყოფილებისა და იმედგაცრუების შედეგად.

ოცნების აქსიოლოგიური კოორდინატის აზრობრივი ქსოვილი წარმოადგენს მთლიანობრივ ღია სისტემას, რომელიც შედგება ადამიანის მრავალგანზომილებიანი შინაგანი სამყაროს ინდივიდუალურ-პიროვნული გააზრების ვერსიათა კომპლექსისაგან. ოცნების აქსიოლოგიური მნიშვნელობის მდიდარი აზრობრივი პოლიფონია ვლინდება მისი ენობრივი ნიშნის-ნომინანტის დისკურსული რეალიზაციის ფონზე. ენობრივ ნიშანს „dream” თავის სამეტყველო იპოსტასში გააჩნია მრავალი ინდივიდუალურ-პიროვნული აზრი, რომელთა შინაარსობრივი მხარე გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანია, ვიდრე იმ მნიშვნელობებისა, რომლებიც ქმნიან ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის კონცეპტუალურ ბირთვს.

ენობრივი ნიშნის „dream“ დისკურსული აქტუალიზაცია ავლენს ინგლისურ ენაში ოცნების ფენომენის კოგნიტური გააზრების ახალი საზღვრების არსებობის შესაძლებლობას. იკვეთება გნოსეოლოგიური განზომილება, რომელიც აყალიბებს ოცნების აქსიოლოგიური კოორდინატის კოგნიტური გააზრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერსპექტივას. ოცნება გააზრებულია როგორც სამყაროს შემეცნების დასაშვები ზღვარი, რომლის მიღმაც იწყება შეუცნობელი სივრცე: “She had slipped secretly out of camp seeking something unique and had been rewarded beyond her wildest dreams” (Foster/ფოსტერი, 1990).

საკვლევ ღირებულებით მნიშვნელობაში იკვეთება ინდივიდის ინტერესი, გააფართოვოს საკუთარი ეგზისტენციალური ჩარჩო, იპოვის ის „უკეთესი სამყარო“, რომელშიც თავს ბედნიერად იგრძნობს. ოცნება გულისხმობს წინააღმდეგობებით სავსე სამყაროში ჰარმონიისა და სრულყოფილების მუდმივ ძიებას.

მეორე მხრივ, ოცნების ჭეშმარიტი ღირებულება მდგომარეობს მის უნარში დადებით განცდებში დააკმაყოფილოს მოთხოვნები. ასრულებს რა სხვადასხვა ფსიქიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი რეგულატორის როლს, ოცნება ახდენს მსოფლაქმის ნეგატიური ასპექტების ნიველირებას, უნაზღაურებს ადამიანს სისუსტისა და უძლურების განცდას საჭიროებებისა და მიზნების ვირტუალური რეალიზაციის გზით.

ოცნების შესახებ არსებული წარმოდგენა განუყოფელია სიამოვნებისაგან, რაც განაპირობებს ჰედონისტური ასპექტის დომინანტურობას ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის კოგნიტურ გააზრებაში. ენობრივი ნიშანი „dream“ ხშირად აქტუალიზდება ისეთ პრედიკატებთან შეთანხმების მეშვეობით, როგორიცაა: pleasant, delightful, happy, amazing, wonderful, blissful dream, dream of joy, dream of happiness. აღნიშნულის გამო აქსიოლოგიურად მარკირებული მნიშვნელობები ჩნდება შეფასების ობიექტის ინდივიდის განცდებთან და ემოციებთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე: “No wonder she pressed it to her lips in the darkness and dreamed her happy dream in those few moments when she was lost in her love before cruel realities pressed home on her again“ (MacLeod / მაკლეოდი, 1910).

ოცნების აქსიოლოგიური მნიშვნელობის შეფასებითი განზომილებები სრულადაა დამოკიდებული ათვლის წერტილზე, სადაც მე-სუბიექტი, როგორც მოცემული განცდითი

გამოცდილების მქონე ფიგურა, უპირისპირდება „სხვას“ და აფასებს მას გონების პოზიციიდან. „სხვა“ ფასდება ქცევის მკაცრ მორალურ ეთიკური ჩარჩოს ფარგლებში, რომლიდან გადახვევაც იწვევს ინდივიდუალიზმს, „უცნაურობას“.

ინგლისურ ლინგვოკულტუროლოგიურ სივრცეში ფიქსირდება ქცევის ისტორიულად დამკვიდრებული კულტურული დომინანტები, რომლებიც ეფუძნება მოცემული ენობრივი კოლექტივის სტერეოტიპულ ღირებულებით ორიენტაციებს. წარმოადგენს რა აქტიური ცხოვრების პოზიციის გამოხარებელს, კულტურის ანგლოსაქსონური ტიპი პიროვნული და საზოგადოებრივი განვითარების საფუძვლად მიიჩნევს წინსვლის, პროგრესისა და ინოვაციის იდეას. სწორედ ამიტომ მიიჩნევს აღნიშნული კულტურა ოცნებასა და მეოცნებეობას დროის არაპროდუქტიულ ხარჯვად.

ოცნების ფენომენის „სხვისი“ პოზიციიდან ანალიზისას, „მე“-სუბიექტს გადააქვს შეფასების ფოკუსი დადებითიდან (სასიამოვნოდან) უტილიტარულ ასპექტზე. როგორც ჩანს, სწორედ უტილიტარულ ასპექტზე კონცეპტრაციის შედეგად გაჩნდა ისეთი შეფასებითი პრედიკატები, როგორცაა: idle, foolish, silly, stupid, empty (dreams). სწორედ აღნიშნულ პრედიკატებს დაყვას ოცნება სულელურ ფანტაზიამდე, გამონაგონამდე, სხვა სიტყვებით, ისეთ მოვლენებამდე, რომლებზეც არ ღირს დროისა და ემოციების ხარჯვა: "Of course he dreamed of having a sword and reading and other things, but those were silly dreams and he knew it - they were just for fun dreaming. Daydreaming. He hadn't dared dream close to real things such as this, such as actually being a messenger" (Goodkind /გუდქაინდი, 2000).

ამდენად, პოზიციონირებს რა ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში ღირებულების სახით, ოცნება ხასიათდება შეფასების მკვეთრად გამოხატული ამბივალენტურობით, რაც შემდეგს გულისხმობს: ოცნება, როგორც ინდივიდის ან საზოგადოების ქმედება, ფასდება როგორც დადებითად, ისე უარყოფითად.

ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობის კომპლექსური კვლევა დაეფუძნა ლინგვოკულტუროლოგიის, აქსიოლოგიის, კოგნიტოლოგიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის პოსტულატებსა და პრინციპებს. სწორედ მეთოდოლოგიის კომპლექსურობამ უზრუნველყო ადამიანის შინაგანი სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრაგმენტის მრავალმხრივი

ანალიზისა და აღნიშნული ფრაგმენტის სემანტიკური პოტენციალის სრულად გამოვლენის შესაძლებლობა.

ამრიგად, მასალის ანალიზი იძლევა გარკვეულ დასკვნათა ფორმულირების შესაძლებლობას:

ოცნების ღირებულებითი მნიშვნელობა წარმოადგენს ადამიანის შინაგანი სამყაროს სემიოსფეროს განუყოფელ ფრაგმენტსა და ინგლისური ლინგვოკულტურული ტრადიციის აქსიოლოგიურ დომინანტას. ოცნება ადამიანის ყოფიერების ერთ-ერთი საფუძველთაგანია, რომლითაც დეტერმინირებულია ადამიანის სამყაროსთან ურთიერთქმედების მნიშვნელოვანი ასპექტები.

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტი „dream“ ვერბალიზდება შემდეგი ტიპის სინონომური რიგით: dream, fantasy, illusion, imagination, vision, conceit, hallucination, romance, trance, reverie, chimera, delusion, fallacy.

კონცეპტის ბირთვი მოიცავს შემდეგ ლექსემა-დომინანტებს: Dream, illusion, Blendwork, fantasy. აღნიშნული ლექსემა-დომინანტები გადმოსცემენ ბირთვულ ინფორმაციას და ხსნიან კონცეპტის არსს. სემანტიკური ველი, რომლის ელემენტებსაც წარმოადგენენ აღნიშნული ლექსემა-დომინანტები, მოიცავს აბსტრაქტულ ცნებებს.

კონცეპტის „dream“ პერიფერია კი წარმოდგენილია შემდეგი სლოტებით: imagination, hallucination, chimera, delusion, trance.

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „dream“ ვერბალიზაცია ასევე ხორციელდება იდიომატური გამოთქმების გამოყენებით: a pipe dream; love's young dream; like a dream; a dream comes true.

ვერბალიზაციისას აქცენტი გადანაცვლებულია კონცეპტის „dream“ ზოგიერთ კონცეპტუალურ შემადგენელში:

1. ოცნება - ობიექტი: dream-picture, dream-play, dream-process, dream-content;
2. ოცნება - სურვილი: dream-idea, dream-life, dream-vision, dreamimage;
3. ოცნება - თხრობა: dream-interpretation, dream-interpreter, dream-discourse, dream-teller;
4. ოცნება - ცვლილება: dream-change, dream-travel, dream-ridden

5. ოცნება - ტკივილი: dream- haunted, dream-perturbed, dream-fed.

კონცეპტის „dream“ თავისებურებები დეტერმინირებულია სხვადასხვა სუბიექტურ-შეფასებითი მნიშვნელობის მქონე ზედსართავი სახელებით:

1. თვისებრიობა (კარგი/ცუდი): pleasant, great, good, vivid, awful, bad, strange, wet;
2. ტიპობრიობა: erotic, prophetic, romantic;
3. ხანგრძლივობა: short, recurrent, lifelong;
4. რეალიზებადობა: distant, impossible, utopian.

ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში ოცნების აქსიოლოგიური მნიშვნელობის ფორმირებას საფუძვლად უდევს სინთეზი ისეთი მომიჯნავე კონცეპტებისა, როგორცაა: revery, fantasy/fancy, hope, wish /desire, aspiration/ambition/goal:

“I'm writing this watching the sun come up. You're asleep, dreams moving behind your restless eyelids.” (Clare /ქლერი, 2009).

“The unreal is more powerful than the real. Because nothing is as perfect as you can imagine it. Because its only intangible ideas, concepts, beliefs, fantasies that last. Stone crumbles. Wood rots. People, well, they die. But things as fragile as a thought, a dream, a legend, they can go on and on. If you can change the way people think. The way they see themselves. The way they see the world. You can change the way people live their lives. That's the only lasting thing you can create.”

(Palahniuk /პალანიუკი, 2001)

“The best fantasy is written in the language of dreams. It is alive as dreams are alive, more real than real ... for a moment at least ... that long magic moment before we wake.

Fantasy is silver and scarlet, indigo and azure, obsidian veined with gold and lapis lazuli. Reality is plywood and plastic, done up in mud brown and olive drab. Fantasy tastes of habaneros and honey, cinnamon and cloves, rare red meat and wines as sweet as summer. Reality is beans and tofu, and ashes at the end. Reality is the strip malls of Burbank, the smokestacks of Cleveland, a parking garage in Newark. Fantasy is the towers of Minas Tirith, the ancient stones of Gormenghast, the halls of

Camelot. Fantasy flies on the wings of Icarus, reality on Southwest Airlines. Why do our dreams become so much smaller when they finally come true?

We read fantasy to find the colors again, I think. To taste strong spices and hear the songs the sirens sang. There is something old and true in fantasy that speaks to something deep within us, to the child who dreamt that one day he would hunt the forests of the night, and feast beneath the hollow hills, and find a love to last forever somewhere south of Oz and north of Shangri-La.

They can keep their heaven. When I die, I'd sooner go to middle Earth.” (George R.R. Martin/
მარტინი, უთარილო)

კონცეპტის „ოცნება“ ხატობრივი შემადგენელი რეპრეზენტირდება შემდეგი პროტოტიპული მოდელებით: dream is a human being, dream is a bird, dream is liquid, dream is food, dream is haze, dream is an object, dream is heaven, dream is container.

ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში ოცნების პროტოტიპული სიტუაცია კონსტიტუირებულია ურთიერთდაკავშირებული და ინვარიანტული კომპონენტების მეშვეობით: „ოცნების სუბიექტი“, „ოცნების ობიექტი“, „გაცნობიერებულობა“, „სიმყარე, მდგრადობა“, „დადებითი ემოციური შეფერილობა“, „პროსპექტულობა“, „იდეალიზირებულობა“, „სუბიექტურობა“, „სტრეოტიპულობა“, „რეალურობა/არარეალურობა“, „სტატიკურობა/დინამიურობა“.

4.4 კონცეპტის „ოცნება“ ფსიქოლინგვისტური მოდელის ანალიზი თანამედროვე ინგლისურ ენაში

კვლევის მოცემული სეგმენტი მიზნად ისახავს წარმოადგინოს ფსიქოლინგვისტური მოდელის ანალიზი ინგლისური ენის მატარებელთა ლინგვისტურ ცნობიერებაში „ოცნების“ ხატის შესწავლით. ფსიქოლინგვისტური პერსპექტივიდან განხორციელებული კვლევა იძლევა განსხვავებულობისა და მსგავსებების სრული და დეტალური ანალიზის შესაძლებლობას

უნივერსალური ღირებულების „ოცნების“ აღქმის კუთხით. ამ აღქმაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ მასმედია, ლიტერატურა, საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, არამედ სუბიექტური ტენდენციები, ინტერესები, იდეალები. კვლევა ემყარება პოსტულატს, რომლის მიხედვითაც, ადამიანის მიერ მისი ქმედებისა და კომუნიკაციის პროცესში აღქმული რეალობის ნებისმიერი ფენომენი ვლინდება მის ლინგვისტურ ცნობიერებაში.

ფენომენტთან ან ობიექტთან ასოცირებული ხატის შესწავლა შესაძლებელია ასოციაციური ექსპერიმენტის გამოყენებით. ექსპერიმენტების მიმდინარეობისას კონსტრუირებული ასოციაციური ველები იძლევა „ოცნების“ ხატის ანალიზის საშუალებას ლინგვისტური და ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისით, მიღებული მონაცემების კლასიფიკაციის შესაძლებლობას გრამატიკული მახასიათებლების მიხედვით, მსგავსების საფუძველზე გაერთიანებულ ელემენტთა ველებში ინტეგრირების საშუალებას. კვლევაში წარმოდგენილი ფსიქოლინგვისტური ხატის ანალიზის მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი კულტურის წარმომადგენლების ლინგვისტურ ცნობიერებაში არსებული ღირებულებებისა და კონცეპტების ანალიზისათვის. თითოეულ ერს გააჩნია გარკვეული ცოდნა და სტერეოტიპები, სპეციფიკური ღირებულებითი ორიენტაციები და გარკვეული ასოციაციები, რომლებიც აღბეჭდილია ერის მსოფლხედვაში. ფსიქოლინგვისტური ხატის ანალიზი გვეხმარება ეროვნულ კულტურებს შორის არსებული განსხვავების გაგებაში და მსოფლიო კულტურის დონეზე მათი კომპლემენტარულობის დადგენაში.

თანამედროვე საზოგადოების განვითარების დონის შეფასებისას ღირებულებების პრობლემას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ისინი განსაზღვრავენ საზოგადოების წევრების მოტივაციას, ნორმებსა და ქცევას. ღირებულება რეალობის ობიექტია, რომელიც განისაზღვრება დადებითად ან ნეგატიურად არა მხოლოდ თავისი თვისებების გათვალისწინებით, არამედ მისი ჩართულობით ადამიანის ცხოვრების, ინტერესების და სოციალური ურთიერთობების სფეროებში. ნებისმიერი ღირებულების კრიტერიუმი და შეფასების პროცედურები გამოიხატება მორალურ პრინციპებში, ნორმებში, იდეალებში, დამოკიდებულებებსა და მიზნებში (Alefirenko/ალეფირენკო, 2015). ამრიგად,

ღირებულება წარმოადგენს ადამიანის გონების პროდუქტს, რომელიც ჩართულია აზროვნებაში და იძლევა ინტელექტუალური აღქმის შესაძლებლობას.

ახალგაზრდები წარმოადგენენ მომავალს, შესაბამისად, განსაკუთრებით საინტერესოა მათი, როგორც საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი წევრების, შესწავლა. ახალგაზრდა თაობის შესწავლა შესაძლებელს ხდის საზოგადოებაში არსებულ პრობლემათა ურთიერთკავშირის აღწერასა და დადგენას, ამ საზოგადოების წევრთა პიროვნულ სტრუქტურაში, ღირებულებით და მოტივაციურ სფეროში მომხდარ ცვლილებათა იდენტიფიცირებას. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ საზოგადოების ახალგაზრდა წევრების განვითარება უშუალოდ ასახავს იმას, თუ როგორ ვითარდება საზოგადოება და რა მიმართულებით მიდის იგი. სწორედ ამიტომ, უფრო და უფრო მეტი მეცნიერი ირჩევს ახალგაზრდა თაობას თავიანთი კვლევების ობიექტად (Goggin/გოგინი, 2013). ამრიგად, ახალგაზრდა თაობის ფსიქოლინგვისტური კვლევის ობიექტად შერჩევა იძლევა საზოგადოების ღირებულებების ობზერვაციის შესაძლებლობას, ასევე ახალგაზრდა თაობის აზროვნების მანერისა და რეალური მიზნების იდენტიფიცირების საშუალებას.

ვეჰბიკვას თვალსაზრისის თანახმად, ეროვნულ ცნობიერებას განსხვავებული დონეები აქვს და იგი შეიცავს როგორც ზედაპირზე მყოფ, ისე ღრმად დამალულ ფაქტებს (ვეჰბიკვა, 1992). ენებში ვერბალიზებულ ეროვნულ ცნობიერებას ლინგვისტური ცნობიერება ეწოდება. ჯონ ფილდი თავის ნაშრომში „ფსიქოლინგვისტიკის ძირითადი კონცეპტები“ აღნიშნავს, რომ ფსიქოლინგვისტიკა განსაზღვრავს, თუ როგორ მოქმედებს ხალხი ენასთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ ფსიქოლინგვისტები გვთავაზობენ კულტურული ღირებულებების ანალიზს ლინგვისტური ცნობიერების გზით, რაც ობიექტური სამყაროს ანარეკლადაა განსაზღვრული და რომელშიც მსოფლიოს ობიექტებისა და ფენომენის იდეები დაკავშირებულია მის რეპრეზენტაციასთან. შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ლინგვისტური ცნობიერება კულტურის მსოფლხედვის ვერბალიზებულ ენას წარმოადგენს (Tapacov/ტარასოვი, 1996).

ის, რომ ადამიანი სპეციფიკური კულტურის წარმომადგენელია, ნიშნავს, რომ მის ლინგვისტურ ცნობიერებას გააჩნია გარკვეული თვისებები, რომლებიც ჩამოყალიბდა კონკრეტული ეროვნული კულტურის გავლენის ქვეშ. ცხოვრების განმავლობაში კულტურის

საშუალებით ორიენტირება ქმნის გამოცდილებას, ხოლო, თავის მხრივ, ეს გამოცდილება აკუმულირდება ინდივიდებში. სწორედ ეს გამოცდილება უწყობს ხელს კულტურის კომპლექსურ სედიმენტაციას. ლინგვისტური ცნობიერება შედგება ხატებისა და მასთან დაკავშირებული სიტყვების რეპრეზენტაციისგან, გამოიყენება კომუნიკანტთა მიერ აზრების კონსტრუირებისათვის, შეტყობინებების კოდირებისა და დეკოდირებისათვის (Тарасов /ტარასოვი, 1996).

ამრიგად, ლინგვისტური ცნობიერების განსხვავებები ინტერკულტურულ კომუნიკაციაში არსებული გაუგებრობის ძირითადი გამომწვევი მიზეზია, რადგან ნებისმიერი დიალოგი ხდება მხოლოდ კონკრეტული ადამიანის ცნობიერებაში და ასახავს მასში არსებულ კონკრეტულ ხატებს. სწორედ ამიტომ, კულტურათაშორისი კვლევები ეჭვს ქვეშ დადგა, ვინაიდან ისინი ერებს იყენებენ ანალიზის ერთეულად. წინააღმდეგობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქვეყნის მრავალფეროვნება შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს საზღვრებს მიღმა არსებულმა მსგავსებამ. ლინგვისტური ცნობიერების სპეციფიკის შესწავლა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ პირდაპირი ანალიზის განუხორციელებლობა აიძულებს მეცნიერებს, გამოიყენონ კოგნიტური პროცედურები, რომლებიც ხელმისაწვდომს გახდის ლინგვისტურ ცნობიერებას კვლევისათვის და ამით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ კულტურათაშორისი კომუნიკაციის ბარიერების აღმოფხვრაში (ტარასოვი, 1996).

რამდენადაც თანამედროვე საზოგადოება უფრო და უფრო მეტად ხდება ურთიერთდაკავშირებული, სხვადასხვა ქვეყნების ისტორიების კულტურული მიმოცვლისა და პირდაპირი კონტაქტების ზრდის გამო (ტარასოვი, 1996). გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ლინგვისტურ ცნობიერებაში არსებული ხატების კომპარატიული ანალიზის განხორციელებას. ამ ტიპის ანალიზი ეხმარება მეცნიერებს ღრმად გაიზრონ კულტურულ მოდელებად განსაზღვრული ურთიერთდაკავშირებულ იდეათა სისტემა, რომელიც ერთი კულტურული ჯგუფის სხვა წევრებთანაა გაზიარებული. ამგვარი ტიპის კვლევა ავლენს არა მხოლოდ ლინგვისტური ცნობიერების სისტემას, რომელზეც განსხვავებული ეთნიკური სტერეოტიპები ახდენენ ზეგავლენას, არამედ იძლევა ხატების ინტეგრალური და დიფერენციალური მარკერების იდენტიფიცირების საშუალებასაც.

ადამიანები არა მხოლოდ ნიშანთა მომხმარებლები და ნიშანთა ინტერპრეტატორები არიან, არამედ აგენტებიც, რომლებიც მონაწილეობენ სამყაროს ტრანსფორმაციის პროცესში.

„პირველ ბუნებას“ თან ერთვის „მეორე ბუნება“. ეს უკანასკნელი ნიშნების სისტემის იმ „სხეულს“ წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელობითაა შთაგონებული.

ანალიზის თეორიულ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ იდეა, რომ პიროვნების მიერ ქმედებისა და კომუნიკაციის პროცესში აღქმული რეალობის ფენომენები ვლინდება მის ლინგვისტურ ცნობიერებაში. ლინგვისტურ ცნობიერებაში აკუმულირებულ მოდელში ვლინდება არა მხოლოდ ფენომენებისა და ემოციების მიზეზ-შედეგობრივი, სივრცული და დროითი მიმართებები, არამედ მოდელის გარკვეული ეთნოკულტურული სპეციფიკა, დინამიკა და ცვალებადობა (ტარასოვი, 1996).

ფსიქოლინგვისტიკაში ფიქრობდნენ, რომ არც სალექსიკონო დეფინიცია და არც მკვლევარის ინტროსპექტული ანალიზი არ არის საკმარისი ლინგვისტური ერთეულების დამუშავებისთვის და მასთან დაკავშირებული საკითხების ასახსნელად. ამ შეზღუდვების დაძლევის გზად უნდა გამოვიყენოთ მონაცემები იმ ერთეულებზე, რომლებიც წარმოიქმნებიან კვლევების შედეგების შეფასებისა და დეტალური ლინგვისტური აღწერის შედეგად. ფსიქოლინგვისტიკა აერთიანებს თეორიებს და მეთოდებს ფსიქოლოგიიდან და ლინგვისტიკიდან. ის ცდილობს შეაფასოს სინამდვილე და ლინგვისტური წესებისა და პროცესების საფუძვლები. ის ასევე ცდილობს დამუშავების პროცესში მყოფი სიტყვა დააკავშიროს შეტყობინების კონსტრუირებისა და ინტერპრეტაციის უფრო ღრმა ექსპრესიულ პროცესთან. ლინგვისტური ცნობიერება და მასში არსებული ხატები მკვლევრისათვის ყოველთვის დამალულია და ხდება ხელმისაწვდომი ასოციაციური ექსპერიმენტის საშუალებით, რაც განისაზღვრება ინდივიდის გამოცდილებაში აკუმულირებული ასოციაციების იდენტიფიცირების მეთოდად (Deese/დიზი, 1962).

ასოციაცია აღიქმება ორ ან მეტ მენტალურ ობიექტს შორის ჩამოყალიბებულ კავშირად. ამ კავშირის ეფექტი ასოციაციის აქტუალიზაციაა (ასოციაციის ერთი წევრის გამოჩენა იწვევს მეორეს გამოჩენას). მეთოდი მიზნად ისახავს მონაწილეთა ასოციაციური რეპერტუარის

გააზრებას, სხვადასხვა ხატებს შორის ასოციაციური ურთიერთობების კონსტრუირებასა და ანალიზს.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის ჩატარების ტექნიკა გულისხმობს გამომცდელისათვის კითხვარის მიცემას, რომელიც, ჩვეულებისამებრ, შედგება იმ 100 სიტყვისგან, რომელთაც არ გააჩნიათ ლოგიკური კავშირები. ადამიანი, რომელიც ყველა სიტყვას კითხულობს, პასუხს სცემს რაც შეიძლება სწრაფად, სიტყვა-რეაქციასთან დაკავშირებული ფორმალური და სემანტიკური მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე (Frumkina /ფრუმკინა, 2001). შემდეგ მიღებული პასუხები გაანალიზებულია, შედარებულია, დამუშავებულია სტატისტიკურად და აღწერილია. აღწერილი პროცედურის მეშვეობით, რომელიც აერთიანებს ლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიის მეთოდებს, მკვლევარს შეუძლია გაანალიზოს, თუ რას ფიქრობენ ადამიანები, როდესაც ისინი მეცნიერულ მეთოდოლოგიაზე დამყარებული გავლენის ქვეშ არიან (ფრუმკინა, 2001).

ექსპერიმენტის მეშვეობით მიღებული რეაქციების შედეგად ჩამოყალიბებული ასოციაციური ველი ხელს უწყობს ლინგვისტურ ცნობიერებაში არსებული ხატების აღწერას. ის ასახავს ამა თუ იმ ეროვნულ კულტურაში სიტყვა-სტიმულთან ასოცირებულ ცოდნას. ნებისმიერი ასოციაციური ველის შიგნით შეგვიძლია განვასხვავოთ ბირთვული და პერიფერიული რეაქციები. ბირთვული სფეროს მოცულობასთან და მისი შემადგენლობის დადგენის პრინციპებთან დაკავშირებით შეინიშნება თვალსაზრისთა მრავალფეროვნება: „ყველაზე ხშირი რეაქციები“ არ იძლევა ბირთვული გაერთიანებების ძირითადი მახასიათებლების არჩევის შესაძლებლობას თუმცა განაწილების კრიტერიუმი დიდად არის დამოკიდებული კვლევის მიზნებზე. როდესაც მხარს ვუჭერთ ასოციაციური ველების ხარისხობრივ ანალიზს, მხედველობაში ვიღებთ არა მხოლოდ ბირთვულ რეაქციებს, არამედ ყველა რეაქციას, განურჩევლად მათი დონისა (ბირთვულობა/პერიფერიულობისა). სწორედ ამ გზით შეიძლება იმ საფრთხის დაძლევა, რომელიც ჩნდება რეაქციათა უგულვებელყოფისას მათი ბირთვულობა/პერიფერიულობის გათვალისწინებით. საქმე ისაა, რომ რეაქციათა უგულვებელყოფამ შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს ლინგვისტურ ცნობიერებაში არსებული ხატის სისრულესა და ობიექტურობაზე (ფრუმკინა, 2001).

კვლევის მასალა მოპოვებულ იქნა ასოციაციურ ექსპერიმენტში ინგლისური ენის მატარებელთა მონაწილეობის შედეგად. უნდა აღვნიშნოთ, რომ გენდერული გავლენის გამორიცხვის მიზნით შევეცადეთ გამოვეკითხა მამაკაც და ქალ რესპოდენტთა თანაბარი რაოდენობა.

ნებისმიერი ლინგვისტური ექსპერიმენტის დროს მკვლევარი ქმნის სიმულაციურ პირობებს მონაწილისათვის და მოელის ენობრივი მასალის მიღებას, რომელიც საკმარისი იქნება ამ თუ იმ პრობლემის შესწავლისათვის. ამ კუთხით, მთავარი კითხვა ჩნდება ექსპერიმენტის მომზადების პირველ დონეზე: რესპოდენტთა რა რაოდენობა უნდა გამოიკითხოს წარმომადგენლობითი მონაცემების მისაღებად? ფსიქოლინგვისტურ პრაქტიკაში, ასოციაციური ველი, რომელიც 100 პასუხს მოიცავს საკმარისადაა მიჩნეული და შესაძლოა მოხვდეს ასოციაციურ ლექსიკონში (Зыкина / ზუბკოვა, 2008).

მკვლევარები ფსიქოლინგვისტურ ექსპერიმენტებში იყენებენ რეაქციათა შემოწმების მეთოდოლოგიას. გაუთვითცნობიერებელ რეაქციად უნდა ჩავთვალოთ ის რეაქცია, როდესაც არჩევანი ხორციელდება არა აზროვნების, არამედ ენის საფუძველზე. ენის გამოყენებით დეტერმინირებული არჩევანი გვთავაზობს კარგად ცნობილი ტექსტებიდან ფრაგმენტს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტიმულსა და რეაქციას შორის დროის ინტერვალი მინიმუმამდეა დაყვანილი. შესაბამისად, რესპოდენტს არ აქვს დრო, იფიქროს, რა თქვას და როგორ (ზუბკოვა, 2008).

ექსპერიმენტში ჩვენს რესპოდენტებს მივეცით 100 სიტყვისგან შემდგარი კითხვარი, რაც მათ მშობლიურ ენაზე იყო დაწერილი და ვადა განისაზღვრა 15 წუთის ოდენობით. დროის მოცემული ვადა კითხვების ამ სიმრავლისთვის სავსებით საკმარისია.

ექსპერიმენტის შედეგად მივიღეთ ერთი ასოციაციური ველი, შემდგარი 100 რეაქციისგან, რაც კვლევის საფუძველს წარმოადგენს. მრავალი ფრჩხილების რაოდენობა გვიჩვენებს იმ რესპოდენტთა რაოდენობას, რომელთაც გაუჩნდათ ერთი და იგივე ასოციაცია. ამრიგად, ყველა მიღებულ პასუხთა შორის უნდა განვასხვავოთ ხშირი (ბირთვული) რეაქციები, რომლებიც მიღებულ პასუხთა 46%-ს შეადგენს და არახშირი რეაქციები. რეაქციათა

აღნიშნული ტიპების იდენტიფიცირება იძლევა საკვლევო კონცეპტის აღქმისა და ობიექტივაციის სრულ სურათს.

კონცეპტის „ოცნება“ ანალიზი ინგლისური ენის მატარებელთა ლინგვისტურ ცნობიერებაში წარმოადგენილია ელემენტთა შემდეგი რეპერტუარით: delusion (2), idea (10), image (8), imagination (6), thought (10), impression (4), mental picture (3), chimera (3), pipe dream (2), golden (2), beautiful (2), wonderful, fulfill, someday, pleasant, bizarre, endless, long, interpret, realize, recur, indulge, never, vividly, assuredly, vainly, memory, splendid, vanished, imaginative, pursue, imaginary, dreadful, ambitious, blur, terrify, ponder, infinitely, oddly, scarcely, bubble, fantasy, envisioned, overwhelmed, radiant. aspiration, hope, goal, objective, intention, desire, consider, contemplate (1).

ასოციაციური ველი მოიცავს 100 პასუხს, 53 განსხვავებული პასუხით, სადაც მრავალფეროვნების კოეფიციენტი (Kp)-0,53-ს უდრის და შეიძლება ახასიათებდეს თემატური, სინტაგმატური და პარადიგმატული წყვილების შემდეგი განაწილება: 82%, 5%, და 13%.

წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისიდან გამომდინარე, პასუხების თავისებურება მდგომარეობს მათი ფორმალური-გრამატიკული მახასიათებლებში. მოცემულ ასოციაციურ ველში შეგვიძლია განვასხვავოთ: არსებითი სახელები: delusion (2), idea (10), image (8), imagination (6), thought (10), impression (4), mental picture (3), chimera (3), pipe dream (1) ზმნები: interpret, realize, recur, indulge, blur, terrify, ponder, consider, contemplate (1). ზედსართავი სახელები: golden, beautiful, wonderful, pleasant, bizarre, endless, long, splendid, vanished, imaginative, imaginary, dreadful, ambitious, radiant (1). ზმნიზედები: someday, never, vividly, assuredly, vainly, infinitely, oddly, scarcely (1).

1. შესაძლებლობათა სემანტიკური ჯგუფი, რომელსაც ოცნება ქმნის: delusion, idea, image, imagination.
2. კლასიფიკაცია - რეაქციების სემანტიკური ჯგუფი: impression, mental picture, chimera, pipe dream.
3. წყაროს სემანტიკური ჯგუფი: image, imagination, thought.

4. ემოციურად დადებითი პასუხების სემანტიკური ჯგუფი: beautiful, wonderful, pleasant, splendid.
5. უარყოფითი კონოტაციის მქონე პასუხების სემანტიკური ჯგუფი: dreadful, bizarre, endless, oddly, scarcely.
6. აუცილებლობის სემანტიკური ჯგუფი: goal, objective, intention,
5. სამოქმედო რეაქციების სემანტიკური ჯგუფი: ponder, consider, interpret, realize.
6. დროის სემანტიკური ჯგუფი: someday, never.

ოცნების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს ინგლისურენოვანი რესპოდენტებისათვის წარმოადგენს ideas და thoughts; სწორედ ისინი იკავებენ მოწინავე პოზიციას და შემდგომ მათ მოსდევს imagination, mental picture, pipe dream. ამრიგად, გაანალიზებული ხატის ემოციური სპექტრი ფასდება, როგორც vividly, assuredly, vainly, infinitely, oddly და ხასიათდება ისეთი ნომინატიური რეაქციებით, როგორცაა mental picture, chimera, pipe dream.

ასოციაციურ ექსპერიმენტში მონაწილე ინგლისურენოვან რესპოდენტთა გამოკითხვის გზით მიღებული მონაცემების ანალიზი აიძლევა კონცეპტის „ოცნება“ ასოციაციური დიაპაზონის განსაზღვრის შესაძლებლობას.

სიტყვა-სტიმულებზე ინგლისურენოვან რესპოდენტთა ლინგვისტურ ცნობიერებაში აკუმულირებული რეაქციების ზოგადი ტიპები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი ცხრილის მეშვეობით.

ცხრილი 1: რეაქციათა ზოგადი ტიპები:

რეაქციათა ტიპები	„ოცნება“
არსებითი სახელები	73 %
ზმნები	16.9 %
ზედსართავი სახელები	26 %

ზმნიზედები	15 %
შორისდებულები	–
ინფინიტივის ფორმები	–
პრედიკატული რეაქციები	–

ცხრილი 2: ურთიერთობების დონის მიხედვით პასუხების განთავსება:

ურთიერთობების დონე		„ოცნება“ ინგლისურენოვანი რესპოდენტები
თანხვედრი რეაქციები		47%
მსგავსებათა რეაქციები	განსაზღვრა	6%
	კლასიფიკაცია	13%
შუალედური პასუხები		34%

როგორც ცხრილიდან ჩანს რეაქციათა შემდეგი განაწილება დიდწილად განპირობებულია სიტყვა-სტიმულის ლექსიკურ-გრამატიკული თვისებებით. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს

ის ფაქტი, რომ ინგლისურენოვან რესპოდენტთა ჯგუფი უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე ახდენს რეაგირებას. ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია განსხვავებათა შეფასება, შესწავლილი ხატების აღქმის პროცესში.

ცხრილი 3: სემანტიკური ჯგუფის განაწილება:

1.	შესაძლებლობათა სემანტიკური ჯგუფი - 26%.
2.	კლასიფიკაცია-რეაქციების სემანტიკური ჯგუფი - 12%.
3.	წყაროს სემანტიკური ჯგუფი - 24%.
4.	ემოციურად დადებითი პასუხების სემანტიკური ჯგუფი - 3%.
5.	უარყოფითი კონოტაციის მქონე პასუხების სემანტიკური ჯგუფი - 5%.
6.	აუცილებლობის სემანტიკური ჯგუფი - 3%.
7.	სამოქმედო რეაქციების სემანტიკური ჯგუფი - 4%.
8.	დროის სემანტიკური ჯგუფი - 2%.

4.5. კონცეპტის „ამერიკული ოცნება“ ობიექტივაცია მხატვრულ დისკურსში

თანამედროვე ლინგვისტიკა ინტენსიურად იკვლევს კონცეპტუალური სფეროს - კონცეპტების მოწესრიგებული ერთობლიობის - სპეციფიკას. კონცეპტის არსის უნივერსალური განმარტება დღემდე არ არსებობს. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონცეპტი ყოველთვის ხასიათდება სიმბოლური შინაარსით. ფაქტობრივად, ის ასახავს ყველაფერს, რაც ადამიანებმა იციან, რასაც ფიქრობენ, წარმოიდგენენ და ვარაუდობენ ამა თუ იმ მოვლენისა თუ საგნის თაობაზე. სიმბოლური შინაარსი თითოეული კონცეპტის ერთ-ერთი სპეციფიკური მახასიათებელი ნიშანია. ასევე აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი კონცეპტისთვის დამახასიათებელია მისი კორელაცია ამა თუ იმ ენის მატარებელთა კულტურულ რეალიებთან. კონცეპტი არსებობს ადამიანის მენტალურ სამყაროში კონკრეტული ცნებების, ცოდნის, ასოციაციების სახით.

ჩვენს ინტერესს წარმოადგენს „ოცნების“ კონცეპტუალური სფერო თეოდორ დრაიზერისა და ჯონ სტეინბეკის შემოქმედებაში.

თანამედროვე საზოგადოების მუდმივად ცვალებად პირობებში ჩნდება უამრავი კონცეპტი, რომელთა შინაარსი მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდება დროთა განმავლობაში.

კონცეპტი „ამერიკული ოცნება“, მიუხედავად მისი კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სიმრავლისა, დღემდე იზიდავს მეცნიერთა ყურადღებას. ფილოლოგების, ლინგვისტებისა და ლიტერატურათმცოდნეების ინტერესს ტრადიციულად იწვევს ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკულ ლიტერატურაში „ამერიკული ოცნების“ მნიშვნელობის განსაზღვრასთან. ამ კონცეპტის არსის ყველაზე სრულყოფილი გააზრებისთვის მივმართეთ თ. დრაიზერის რომანს „ამერიკული ტრაგედია“ და ჯ. სტეინბეკის მოთხრობებს „ტორტილა ფლეტი“ და „მარგალიტი“.

საკვლევ ობიექტს წარმოადგენს კონცეპტის „ამერიკული ოცნება“ ენობრივი რეპრეზენტაცია თ. დრაიზერის რომანში „ამერიკული ტრაგედია“ და ჯ. სტეინბეკის მოთხრობებში „კვარტალი ტორტილა ფლეტი“ და „მარგალიტი“.

კვლევის საგანია კონცეპტის „ამერიკული ოცნება“ სემანტიკის თავისებურებები, კერძოდ კი, კონცეპტის „ამერიკული ოცნება“ ბირთვის და პერიფერიის გამოვლენა და აღწერა თ. დრაიზერის რომანში „ამერიკული ტრაგედია“ და ჯ. სტეინბეკის მოთხრობებში „კვარტალი ტორტილა ფლეტი“ და „მარგალიტი“.

კონცეპტის „ამერიკული ოცნება“ ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები იძლევა კონცეპტის შინაარსისა და ავტორთა (თ. დრაიზერი, ჯ. სტეინბეკი) მიერ სამყაროს აღქმის, ავტორთა ენობრივი ცნობიერების თავისებურებათა იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

მონაცემები მიღებულია კონცეპტუალური ანალიზის, კონტექსტუალური ანალიზისა და კონტენტ-ანალიზის მეთოდების გამოყენების გზით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონცეპტი ყველაზე არაერთმნიშვნელოვანი ტერმინია თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიასა და კოგნიტურ ლინგვისტიკაში. კონცეპტს შეუძლია ასახოს ობიექტის ნებისმიერი ნიშან-თვისება, არ არის აუცილებელი ეს იყოს მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება. უნდა აღინიშნოს, რომ კოგნიტურ ტერმინთა მოკლე ლექსიკონის შემქმნელები კონცეპტებს განიხილავენ, როგორც იდეალურ აბსტრაქტულ ერთეულებს, მნიშვნელობებს, რომლებიც ადამიანის მიერ გამოიყენება აზროვნების პროცესში, რომლებიც გარკვეული ერთეულების ფორმით აფიქსირებენ ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის შინაარსს, ასახავენ ადამიანის მთელი შემეცნებითი მოღვაწეობის და მის მიერ გარე სამყაროს შეცნობის პროცესთა შედეგების შინაარსს.

კონცეპტებით უამრავი დაკვირვებული ობიექტი თუ მოვლენა დაიყვანება კონკრეტულ, სოციუმით შექმნილ კატეგორიებამდე და კლასებამდე. თელიას (1988, გვ. 98) მიხედვით, კონცეპტი არის „ყველაფერი ის, რაც ვიცით ობიექტის შესახებ ამ ცოდნის მთელი ექსტენსიით“. ის არის აბსტრაქტულობის უმაღლესი ხარისხის სემანტიკური წარმონაქმნი, რომელიც შედგება ზოგადი სემანტიკის კონკრეტიზაციის კერძო მნიშვნელობებისგან. გარდა ამისა, თელია აღნიშნავს, რომ კონცეპტს ონტოლოგიურად წინ უძღვის კატეგორიზაცია, რომლის დახმარებით იქმნება ტიპური სურათი და ყალიბდება „პროტოტიპი“.

კონცეპტის არსის განხილვისას, მკვლევარები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ადამიანის ეთნოკულტურული სამყაროსადმი მის კუთვნილებას. კონცეპტი არის კონკრეტულ ენაზე

მოსაუბრე ინდივიდთა კოგნიტური ცნობიერების გამომხატველ სიტყვათა ეთნო-კულტურული ჯგუფი. ასეთ შემთხვევაში, მის სემანტიკურ შინაარსში ამავდროულად იგულისხმება ენის მატარებლის აზროვნების ფორმის, როგორც ეთნოკულტურული რეპრეზენტაციის კონტექსტი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონცეპტის შემეცნება ხელს უწყობს ეთნოკულტურული სურათის, ადამიანის მენტალიტეტის თავისებურების ხელახლა შექმნას, განურჩევლად მისი ეთნოკულტურული კუთვნილებისა. „კონცეპტი, თავისი არსით, აზროვნების ეთნიკური სპეციფიკის გამოხატულებაა, და მისი ვერბალიზაცია განპირობებულია კონცეპტუალური სისტემის მატარებლის ლინგვო-კოგნიტურ-ეთნოკულტურული მარკირებული ასოციაციური კომპეტენციით“ (Степанов, Ю. С./ სტეპანოვი, 1997, გვ. 104).

სლიშკინი (2004) კონცეპტს ახასიათებს, როგორც „პირობით მენტალურ ერთეულს“, რომელიც გამოიყენება ენის, ცნობიერებისა და კულტურის კომპლექსური შესწავლისას და მასში, უპირველეს ყოვლისა, გამოიყოფა მთლიანი (ჰოლისტიკური) დამოკიდებულება ასახული ობიექტის მიმართ. კონცეპტის შექმნა ავტორის მიერ გაიგება, როგორც სამყაროს გამოცდილებისეული შემეცნების შედეგების ადრე ათვისებულ კულტურულ და ღირებულებით დომინანტებთან მიმართების პროცესი, რომლებიც გამოხატულია რელიგიაში, ხელოვნებაში. სტეპანოვის (1997) თანახმად, კონცეპტის ქვეშ იგულისხმება კულტურული ელემენტების ურთიერთქმედება ადამიანის ცხოვრებაში. კონცეპტი გაგებულია, როგორც კოლექტიური ცნობიერების ან იდეალური სამყაროს შინაარსობრივი ერთეული, რომელიც ინახება ადამიანთა ეროვნულ მეხსიერებაში „ვერბალური აღმნიშვნელის სახით“. კონცეპტის, როგორც პირველხარისხოვანი წარმონაქმნის დახასიათებისას, რომელიც ზუსტად გადმოსცემს ლექსემის შინაარსს და დაჯილდოვებულია საზრისით, თვლის, რომ ისინი გადაიცემა ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით, სინამდვილის ცნებითი, ხატოვანი და მოღვაწეობითი ათვისების სფეროებში.

კონცეპტი, როგორც ავტორები აღნიშნავენ, რეპრეზენტირდება ენაში ლექსემების, ფრაზეოლოგიზმების, სიტყვათშეწყობების, წინადადებების, ტექსტების და ტექსტთა ერთობლიობის საშუალებით. კონცეპტის ენობრივი გამოხატულებების განხილვისას, ადამიანს შეუძლია მიიღოს წარმოდგენა ეთნოკულტურული წარმომადგენლების ცნობიერებაში მის შინაარსზე.

ვინაიდან თითოეული ინდივიდი ფლობს თავის „კონცეპტუალური სისტემისა და სამყაროს სურათის ერთეულს“, მაშასადამე, „სამყაროს ფრაგმენტი“ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება. კონცეპტები შინაგანად ორგანიზებულია ველის პრინციპის შესაბამისად და შედგება გრძობადი ხატის, ინფორმაციული შინაარსისა და ინტერპრეტაციული ველისგან (კორნილოვი, 2011).

კონცეპტის ბირთვი წარმოადგენს მის ცენტრალურ შრეს, რომელიც მოიცავს „ყველაზე ნათელ სახეს“ და „ინდივიდუალური გრძობადი ხასიათისაა. მკაფიოდ გამოხატული პიროვნული ელფერით“, რადგან წარმოაჩენს „ვიზუალურ გრძობად ხატს“, რომელიც ყალიბდება „ადამიანის პირადი გამოცდილების“ საფუძველზე (სტეპანოვი, 1997, გვ. 152). კონცეპტის პერიფერია - „ინტერპრეტაციული ველი“ (სტეპანოვი, 1997, გვ. 151). - წარმოადგენს შრეს, რომელიც მეორეხარისხოვან როლს ასრულებს და ასახავს „სხვადასხვა სახის მტკიცებებსა და სტერეოტიპებს“, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტული „ლინგვოკულტურული ერთობის მენტალიტეტის თავისებურებებს“ (სტეპანოვი, 1997, გვ. 151). „კონცეპტის სტრუქტურა მოიცავს ყველაფერ იმას, რაც აქცევს მას კულტურის ფაქტად. - საწყის ფორმას, ძირითად ნიშნებამდე შემჭიდროებულ ისტორიას, თანამედროვე ასოციაციებსა და შეფასებებს და ა.შ.“ (სტეპანოვი, 1997, გვ. 40).

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული კონცეპტი ხასიათდება განსაზღვრული შინაარსობრივი სტრუქტურით. ამ სტრუქტურის გაანალიზებისას გამოიყოფა სამი ძირითადი ელემენტი: გრძობადი ხატი, ინფორმაციული შინაარსი და ინტერპრეტაციული შინაარსი. გრძობადი ხატი განისაზღვრება აზრობრივი დატვირთვის გამოხატვის სიცხადით. ინფორმაციული შინაარსი ვლინდება კოგნიტური ნიშან-თვისებების საჭირო მინიმუმში, რომლებიც განაპირობებენ ამ კონცეპტის სპეციფიკას. თავის მხრივ, ინტერპრეტაციული შინაარსი წარმოადგენს კოგნიტური ნიშან-თვისებების ერთობლიობას, რომლებიც იძლევა კონცეპტუალური შინაარსის ლექსიკურ სისტემაში განსაზღვრის შესაძლებლობას. თითოეული კონცეპტის ანალიზისას აუცილებელია მისი გაანალიზება თითოეული ამ ელემენტის გათვალისწინებით, ვინაიდან მხოლოდ ამ მახასიათებლების ერთობლიობა იძლევა მოცემული კონცეპტის შინაარსის სრულყოფილად გააზრების საშუალებას.

ნებისმიერი ლინგვოკულტურული კონცეპტის შესწავლა და აღწერა გულისხმობს, პირველ რიგში, მითითებას ლექსემის ეტიმოლოგიაზე, რომელიც სიტყვიერად აყალიბებს ასეთ კონცეპტს, და აგრეთვე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მითითებას მისი სემანტიკის ევოლუციაზე. ამრიგად, ლინგვისტები, რომლებიც სწავლობენ სამყაროს ენობრივი ხატის პრობლემებს, თავიანთი კვლევის საწყის ეტაპზე მიმართავენ კონცეპტის წარმოშობის ისტორიას: «ენობრივი კონცეპტის სემანტიკის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს „ეტიმოლოგიური (კულტურული, კოგნიტური) სიტყვის მეხსიერება» (Копыленко, М. М./კოპილენკო, 1997, გვ 178), კერძოდ, ენობრივი ნიშნის აზრობრივი მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია მის ჭეშმარიტ დანიშნულებასთან, ეროვნულ მენტალიტეტთან და ენის მატარებლების სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების ერთობლიობასთან“.

კონცეპტი არის ლინგვისტური ობიექტი, რომლის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ისტორიული, დიაქრონული მიდგომისას. კონცეპტის შესწავლა უნდა განხორციელდეს მის ისტორიულ-დიაქრონულ ჭრილში. გარდა ამისა, კონცეპტი შეიძლება შესწავლილ იქნას იმდენად, რამდენადაც იგი ვლინდება სიტყვაში და რამდენადაც სიტყვის სემანტიკა აისახება ტექსტში (კოპილენკო, 1997, გვ. 327).

კონცეპტის კვლევისას მნიშვნელოვანია მთლიანად სიტყვის საზრისის, მისი სიღრმისეული სემანტიკის, ისტორიაში მნიშვნელობების ევოლუციის შესწავლა. კონცეპტი წარმოადგენს სიტყვის აქტუალური, პოტენციური, სიმბოლური მნიშვნელობების და ასევე მისი პარადიგმატული (ასოციაციური), დერივაციული (სიტყვათწარმოების), სინტაგმატური (დისტრიბუციული) მიმართებების ისტორიულ ჯამს.

დღეისათვის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კონცეპტის შესწავლისადმი ორი მიდგომა: ლინგვისტური და კოგნიტური. პირველი მიდგომის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მთავარი კონცეპტის შესწავლაში არის მისი ლექსიკური შინაარსი, და ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია მისი შესწავლა ლინგვისტიკის პოზიციიდან. კოგნიტური მიდგომის წარმომადგენლები დარწმუნებული არიან, რომ კონცეპტში მთავარი არის ენის მატარებელთა გონებრივი საქმიანობის, მენტალური შინაარსის დაფიქსირება. ამასთანავე, უნდა

აღნიშნოს, რომ ეს მიდგომები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ყველა მათგანი ითვალისწინებს ცნებების სირთულეს და მრავალფეროვნებას, და, ამგვარად, კონცეპტი საჭიროებს კულტურის, ცნობიერების და ენის კომპლექსურ შესწავლას.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ენობრივი აზროვნების მიმართ გაზრდილი ინტერესის გამო, მკვლევარები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ კულტურული კონცეპტების კვლევას, რომლებიც თაობების გამოცდილების, კულტურისა და ზოგადად ერის მენტალიტეტის პოტენციურ მუხტს ატარებენ.

კულტურული კონცეპტები ჩვეულებრივ განიხილება, როგორც კულტურის მნიშვნელოვანი სიტყვები, რომლებიც გვხვდება მსოფლიოს თითქმის ყველა ბუნებრივ ენაში, და შედარებით დაბალი სიხშირის მქონე ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში შედარებით იშვიათი მოხმარების გამო. ამგვარი კულტურული კონცეპტების ფუნქციონირების სფერო, მეტწილად, არის ლიტერატურული ენა, რომლის სიტყვები სტილისტურად ნეიტრალური, ნორმირებული და უნივერსალურად ღირებულებითი ხასიათისაა.

განსჯა ინდივიდის ცნობიერებაში არსებული სამყაროს სურათის შესახებ შეიძლება არა იმდენად ცალკეული სიტყვების მიხედვით, რამდენადაც ცნებების დაჯგუფების და კლასიფიკაციის პრინციპების მიხედვით, რომლებიც ფორმალურად ენის სისტემაშია გამოხატული. სამყაროს სურათი მისი ცალკეული ელემენტებისგან შედგება.

კონცეპტი თავისი არსით უნივერსალური ფენომენია, თითოეული კონცეპტის კვლევა მიზანშეწონილია დაიწყოს მოცემული სიტყვის ეტიმოლოგიის შესწავლით, მოცემული მნიშვნელობების ევოლუციის ჩათვლით. კონცეპტის სპეციფიკა განაპირობებს მისი ანალიზის აუცილებლობას ისტორიული მიდგომის კუთხით, ვინაიდან მისი მნიშვნელობების გააზრება შეუძლებელია ისტორიული ცვლილებების გათვალისწინების გარეშე. კონცეპტის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვავლინოთ სამყაროს ეროვნული სურათის თავისებურებები. კონცეპტისადმი, როგორც „მნიშვნელობის ალგებრული გამოხატულებისადმი“, მიდგომა (კოპილენკო, 1997, გვ. 95) ამ ცნების მრავალგანზომილებიანობაზე, მის ფარულ შესაძლო რესურსებზე მეტყველებს.

კონცეპტი „ამერიკული ოცნება“ ამერიკული კულტურის განუყოფელი ნაწილია. ამერიკული ოცნების პრობლემის აქტუალობას ადასტურებს ამ ტერმინის განხილვის სიხშირე, სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ამერიკული კულტურის წარმომადგენელთა საჯარო გამოსვლები. ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესოა კორტნი მარტინის გამოსვლა საინფორმაციო-შემეცნებით რესურსზე TED სახელწოდებით „ახალი ამერიკული ოცნება“. თანამედროვე ამერიკელი ავტორი გვარწმუნებს: ამერიკა მთელ მსოფლიოში ავრცელებს ეკონომიკური სიმდიდრის იდეას. მისი აზრით, არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში ადამიანებს სურთ ჩანდნენ იმაზე მეტი, ვიდრე სინამდვილეში არიან. კორტნი თავის გამოსვლაში ახსენებს წინაპრებს, რომლებიც ცდილობდნენ არ მოსცილებოდნენ ერთმანეთს მაღალი თეთრი ღობეების მქონე სახლების მშენებლობით. წინაპრები მეგობრულად ცხოვრობდნენ, იზიარებდნენ სახლსა და ყოფას. შევეცადოთ დავამტკიცოთ ამერიკელი მწერლის მტკიცების სამართლიანობა.

1931 წელს ჯეიმს ადამსმა პირველად შემოიტანა ტერმინი „ამერიკული ოცნება“ (Шаповалов, В. Ф /შაპოვალოვი, 1999). მისი მთავარი მიზანი იყო დიდი დეპრესიით გაწამებული ამერიკელი ხალხის განწყობის ამაღლება, მათთვის მხნეობის შემატება. ამერიკული ოცნება გულისხმობდა იდეას ისეთი საზოგადოების შესახებ, სადაც ყველა ადამიანი თანასწორია და ყველას აქვს წარმატების მიღწევის შესაძლებლობა, განურჩევლად მათი წარმოშობისა და სოციალური სტატუსისა. ოცნების მისაღწევად მხოლოდ მონდომება და შრომა იყო საჭირო.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე მაღაზიების წიგნის თაროები გადავსებული იყო ისტორიებით იმ ადამიანთა შესახებ, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებას, ააშენეს იმპერია, დააგროვეს კაპიტალი მაშინ, როდესაც ზურგს უკან არაფერი ებადათ. ამ წიგნების სიუხვე საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა წარმატების თემის დღევანდელი პოპულარობის შესახებ ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის.

საკითხი ადამიანის ცხოვრებაში მატერიალურ ღირებულებათა როლის შესახებ იზიდავს მკვლევართა სულ უფრო მეტ რაოდენობას, რის გამოც, შესაბამის კულტურულ კონცეპტთა მნიშვნელობების ევოლუციის შესწავლის საკითხი არ კარგავს თავის აქტუალობას. ერთ-ერთი ასეთი პოპულარული კონცეპტის სახით გვევლინება ტერმინი „ამერიკული ოცნება“. კერძოდ, ამ

ლექსემის მნიშვნელობა შეიძლება გავიგოთ როგორც უტოპიური იდეა საზოგადოების შესახებ, სადაც ყველა თანასწორია, ყველას შეუძლია წარმატების მიღწევა, აღიარების მოპოვება და ყველა ოცნების ხორცშესხმა. ამასთანავე, მატერიალური ღირებულებები „ამერიკული ოცნების“ ფარგლებში პრევალირებს სულიერ ღირებულებებზე. კერძოდ, ნებისმიერ ფასად სიმდიდრისაკენ სწრაფვის დამლუპველი როლი ასახულია თ. დრაიზერის ცნობილ ნაწარმოებში „ამერიკული ტრაგედია“ (Dreiser/დრაიზერი, 1985).

თ. დრაიზერის რომანში „ამერიკული ტრაგედია“ დომინირებს კონცეპტი „ამერიკული ოცნება“, ვერბალურად გამოხატული სიტყვით „წარმატება“ და ამ სიტყვის სინონიმებით. წარმატება გაიგება, როგორც ინდივიდის მატერიალური კეთილდღეობა, საზოგადოებაში მისი სოციალური სტატუსი, საქვეყნო აღიარება, რომელიც მიიღწევა ყველა შესაძლო გზით და ძირითადი სასიცოცხლო ორიენტირია. წარმატებაში იგულისხმება გარშემომყოფთა მხრიდან იზბლის აღიარება, საზოგადოების დიდი მოწონება. საზოგადოების ყურადღება ვინმეს მიმართ, ვინმეს ღვაწლის აღიარება. მოცემული ნაწარმოების გაანალიზების შემდგომ, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ წარმატება გაიგივებულია ყოველდღიური არსებობის რიტუალის უპირობო დაცვასთან, კეთილდღეობასთან.

ლექსემთან „წარმატება“ სემანტიკურად ახლოს დგას შემდეგი ლექსიკური ერთეულები: success, prosperity, bright, salary, wealth, pleasure და სიმდიდრე, ფუფუნება, კეთილდღეობა, ბრწყინვალეობა, ხელფასი, პეწი (ლაზათი), სიამოვნება. სიცხადისთვის განვიხილოთ კონცეპტის „წარმატება“ ბირთვის და ზემოხსენებული სემანტიკურად მსგავსი ენობრივი ერთეულების (ასევე იდენტური ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთფუძიანი სიტყვების) გამოყენების სიხშირე რომანში.

ენობრივი ერთეულების გამოყენების სიხშირე: Success: დამთხვევების რაოდენობა ტექსტში - 49; Prosperity: დამთხვევების რაოდენობა ტექსტში - 5; Bright: დამთხვევების რაოდენობა ტექსტში - 76; Salary: დამთხვევების რაოდენობა ტექსტში - 19; Wealth: დამთხვევების რაოდენობა ტექსტში - 45; Pleasure: დამთხვევების რაოდენობა ტექსტში - 54.

კონცეპტის „success“ „წარმატება“ ბირთვის სემანტიკის შეპირისპირება „prosperity“, „bright“, „salary“, „wealth“, „pleasure“ და „სიმდიდრე“, „ფუფუნება“, „კეთილდღეობა“, „ბრწყინვალეობა“, „ხელფასი“, „სიამოვნება“ გვიჩვენებს, რომ ეს სიტყვები ემთხვევა ერთმანეთს თავისი

მატერიალური შინაარსით, ყველანი განასახიერებენ „წარმატებას“, ხოლო მათი დიფერენციალური ნიშნები უზრუნველყოფენ „ამერიკული ოცნების“ ავტორისეული კონცეპტის „გახსნას“, ანუ ამ ცნებასთან მიმართებაში ფიქსირებული უარყოფითი კონოტაციის დემონსტრირებას. განვიხილოთ სხვადასხვა ლექსიკონში წარმოდგენილი დეფინიციები:

Success is the fact that you have achieved something that you want and have been trying to do or get; the fact of becoming rich or famous or of getting a high social position (Collins English dictionary, 2011).

Prosperity is the state of being successful, especially in making money (Collins English dictionary, 2011).

Bright full of light; shining strongly (Collins English dictionary, 2011).

Salary money that employees receive for doing their job, especially professional employees or people working in an office, usually paid every month (Collins English dictionary, 2011).

Wealth is a large amount of money, property, etc. that a person or country owns (Cambridge Advanced Learner's Dictionary, 2013).

Pleasure is a state of feeling or being happy or satisfied (Collins English dictionary, 2011).

კეთილდღეობა არის ცხოვრების მშვიდი დინება წარუმატებლობისა და რყევების გარეშე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მატერიალური უზრუნველყოფილობა, შეძლებულობა. მაგრამ კომფორტული ცხოვრება და კეთილდღეობა რჩეულთ ერგება. საუბარი ეხება ერთი ადამიანის ცხოვრებას, საქმეებსა და კეთილდღეობას. ამ ჰიპოთეზას კარგად ილუსტრირებს კლაიდ გრიფიტსის პირადი აზრები და განცდები: “For now, all at once, he saw economic independence ahead for himself, if not for his family, and he did not care to complicate it with any claims which a confession as to his real salary would most certainly inspire.” (დრაიზერი, 1985).

უფრო მეტიც, მომავალში შესაძლო კეთილდღეობის ასეთი ეგოისტური და არასწორი ხედვა ხაზს უსვამს თ. დრაიზერის უკიდურესად უარყოფით დამოკიდებულებას აზრსმოკლებული, სულელური მისწრაფებების მიმართ.

ბრწყინვალეობა, გადატანითი მნიშვნელობით, „გუფუნება და საუცხოობა“, არის ის, რაც აცდუნებს და იზიდავს ადამიანის თვალს თავისი გარეგნული სიტურფით. ეს ბრწყინვალეობა

მოკლებულია შინაარსს. მთავარმა გმირმა განიცადა მსგავსი „სიცარიელების ბრჭყვიალი“:
 “Indeed in his immature and really psychically unilluminated mind it suddenly evoked a mood
 which was as of roses, perfumes, lights and music. The beauty! The ease!” (დრაიზერი, 1985).

ხელფასი სხვა არაფერია, თუ არა „გასამრჯელო სამუშაოსთვის“ (Thompson / თომპსონი, 2007)
 რომელიც, არსებითად, დამოკიდებულია ადამიანის მიერ ნებისმიერი საქმის მიმართ
 განხორციელებულ ძალისხმევაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნაწარმოების მთავარ
 გმირთან მიმართებაში აბსოლუტურად ვერ ვამჩნევთ მუშაობის რაიმე სურვილს. პირიქით,
 პატოსანი შრომით მიღებულ გასამრჯელოს ის აგდებულად უწოდებს უმნიშვნელოს,
 არაარსებითს: “But she will not let you go or go her way unless you accompany her. And if you go
 yours, it will be without Sondra and all that she represents, as well as all this pleasant life here - your
 standing with your uncle, his friends, their cars, the dances, visits to the lodges on the lakes. And
 what then? A small job! Small pay!” (დრაიზერი, 1985).

სიმდიდრე გაიგება როგორც „დიდი ქონება, უპირატესად ფულადი“, მაგრამ უფრო
 ყურადსაღებია სიტყვის გადატანითი მნიშვნელობა, რომელიც შეიცავს შემდეგ
 მნიშვნელობებს: „სიმრავლე, სიუხვე“ (თომპსონი, 2007), ანუ ჭარბი, მამასადაამე,
 ინდივიდისთვის არასაჭირო მატერიალური საგნების ფლობა.

სიამოვნება გააზრებულია როგორც „სიხარულის და მიღებული შეგრძნებებისგან
 კმაყოფილების გრძნობა“ (თომპსონი, 2007). ამასთანავე, ბევრი რამ დამოკიდებულია
 სიამოვნების მიღების ობიექტზე. წარმოშობით კანზას სიტიდან ახალგაზრდა ყმაწვილის
 შემთხვევაში, სიამოვნებად ითვლებოდა რომელიმე საკუთარი ფიზიკური მოთხოვნილების
 დაკმაყოფილება.

ასევე ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ნაწარმოების ბოლოს შეგვიძლია გამოვყოთ
 ერთეულთა მოწესრიგებული რიგი, რომელიც შედგება ჩვენ მიერ განხილული ლექსიკური
 ერთეულებისგან ან მათი სინონიმებისგან: “She would never understand his craving for ease and
 luxury, for beauty, for love — his particular kind of love that went with show, pleasure, wealth,
 position, his eager and immutable aspirations and desires. She could not understand these things“.
 (დრაიზერი, 1985).

ამგვარად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონცეპტი „ამერიკული ოცნება“ ყველაზე ხშირად ვერბალიზდება როგორც „წარმატება“, „სიმდიდრე“, „კეთილდღეობა“. ზემოხსენებული ენობრივი ერთეულების ხმარების სიხშირის რაოდენობრივი ანალიზისას და ასევე მათი სემანტიკის შეპირისპირებისას, ჩვენ ვაკვირდებით ლექსემების დამთხვევის შთამბეჭდავ რაოდენობას, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან, მატერიალური ატრიბუტების მეშვეობით „არაიდეალურ სამყაროში“ „იდეალური სამყაროს“ შექმნასთან, წარმატებასთან, კეთილდღეობის ილუზიასთან, ყოველივე მატერიალურის იოლად, არარსებითი ძალისხმევით მიღწევის შესაძლებლობასთან.

კონცეპტის ბირთვის, როგორც მისი სტრუქტურული შემადგენლის, დეტალური განხილვის შემდეგ, მივმართოთ კონცეპტის პერიფერიას, რომელიც მიუხედავად კონცეპტის სტრუქტურაში მისი მეორეხარისხოვანი როლისა, საკმაოდ საინტერესო სემანტიკა.

კონცეპტის პერიფერია იგივე „ინტერპრეტაციული ველი“ - შრე, მეორეხარისხოვან როლს ასრულებს და მდგომარეობს კონკრეტული „ლინგვოკულტურული ერთობის“ სხვადასხვა სახის მტკიცებებისა და სტერეოტიპების ასახვაში, რომლებიც თავის მხრივ მენტალიტეტის თავისებურებებს განსაზღვრავენ.

გავანალიზოთ, თუ როგორ ცდილობს მთავარი გმირი წარმატების მიღწევას თ. დრაიზერის ნაწარმოებში „ამერიკული ტრაგედია“ (დრაიზერი, 1985): “Clyde was so flustered and disturbed by the cool, examining eyes of the man before him that he could scarcely get his breath properly, and swallowed hard. For the first time in his life, it occurred to him that if he wanted to get on he ought to insinuate himself into the good graces of people — do or say something that would make them like him“. (დრაიზერი, 1985).

ამ ფრაგმენტში საკვლევი კულტურული კონცეპტი ვერბალიზდება შემდეგი ერთეულებით: „კეთილგანაწყოს ხალხი თავის მიმართ“, „თქვას ისეთი რამ, რაც მათ მოეწონება“. როგორც ჩანს, კლავდისთვის, რომლის მთავარი მიზანი არის წარმატება და აღიარება, იოლია საკუთარი პრინციპების დათმობა, მიზნის მისაღწევად ტყუილის თქმა ან მისთვის არასასიამოვნო ადამიანის პირფერობა: “Also, like most hotels of its kind, it was frequented by a certain type of eager and ambitious male of not certain age or station in life, who counted upon his

appearance here at least once, if not twice a day, at certain brisk and interesting hours, to establish for himself the reputation of man-about-town, or rounder, or man of wealth, or taste, or attractiveness, or all.” (დრაიზერი,1985).

თ. დრაიზერის ნაწარმოების პერსონაჟებისთვის ძალიან ცოტაა წარმატების მიღწევა. იგი ტრაბახობს საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის დონით თავიანთი ნაცნობებისა და მეგობრების წინაშე. ეს ე.წ. „ჩვენება“ ფაქტობრივად ყველაფერში ვლინდება: სასტუმროში ვიზიტსაც კი ბევრი რამის თქმა შეუძლია ამა თუ იმ პერსონაჟის წარმატების შესახებ: “Not being as attractive as Doyle, it was not so easy for him to win the attention of girls, and those he did succeed in interesting were not of the same charm or import by any means” (დრაიზერი,1985).

უდავოა, საშუალო სტატისტიკური ამერიკელის „ოცნებას“ არ შეეძლო არ განეხილა ლამაზი ქალები, როგორც წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი. ამავდროულად, გმირები არ ცდილობენ ძლიერი, ბედნიერი ოჯახის შექმნას - მდიდარი ხალხი ცდილობს, გვერდით ბევრი ლამაზი ქალი იყოს: “He was at this time a vigorous, self-centered and vain youth of twenty-three who, in contrast with his two sisters, seemed much sterner and far more practical. Also, probably much more intelligent and aggressive in a business way — a field in which neither of the two girls took the slightest interest. He was brisk in manner and impatient. He considered that his social position was perfectly secure, and was utterly scornful of anything but commercial success“ (დრაიზერი,1985).

ამერიკულ საზოგადოებაში წარმატების მიღწევის პირობას წარმოადგენს წარმატება საქმიან სარბიელზე. სწორედ ეს გზა გვევლინება „ამერიკული ოცნების“ ფარგლებში ყველაზე ოპტიმალურად: “Here also, a fact which impressed and even startled his sense of curiosity and awe, even — there was no faintest trace of that sex element which had characterized most of the phases of life to be seen in the Green-Davidson, and more recently the Great Northern.“ (დრაიზერი,1985).

სხვა გარემოში მოხვედრას, სადაც წარმატებული ადამიანები არ ცდილობენ ამის რაიმე ფორმით დემონსტრირებას, სადაც ფულის რაოდენობის გარდა, ადამიანში ასევე პიროვნულ თვისებებს აფასებენ, არ შეეძლო არ მოეხდინა მთავარ გმირზე მნიშვნელოვანი გავლენა. თუმცა, ამ მომენტისთვის მამაკაცი თავისი „ამერიკული ოცნებისკენ“ მიმავალი გზის ნახევარ

მანძილზე იმყოფებოდა, ის ვეღარ გაჩერდებოდა, თუნდაც მოესურვებინა. სწორედ ამაში მდგომარეობს მომხდარი „ამერიკული ტრაგედიის“ ერთ-ერთი მიზეზი.

კონცეპტ „ამერიკული ოცნების“ პერიფერიულ ველს მიეკუთვნება ისეთი ერთეულები, როგორიცაა: „კეთილ განაწყოს ხალხი თავის მიმართ“, „თქვას ისეთი რამ, რაც მათ მოეწონებოდათ“, „საზოგადოებაში გამოსული ადამიანი“, „დარდიმანდი“, „ქალთა რჩეული“, „საქმიანი მიღწევები“. აშკარაა, რომ ნაწარმოების მთავარი გმირის კლავიდიისთვის აღწერილი მოვლენების პროცესში მთლიანად იკარგება სულიერი და ზნეობრივი ღირებულებები, ის სულმოუთქმელად მიისწრაფის იმ წარმატებისკენ, რომელიც ჰედონისტურად ითვლება. „ამერიკული ოცნება“ თ. დრაიზერის რომანში ნიშნავს პიროვნების სულიერ დეგრადაციას, მატერიალური კეთილდღეობით შეპყრობას და ამ მიწიერ სიამეებზე „ჩაციკვლას“. სწორედ ამაში მდგომარეობს მომხდარი „ამერიკული ტრაგედიის“ ერთ-ერთი მიზეზი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამერიკული ოცნების კონცეპტუალური სფერო ჯონ სტეინბეკის შემოქმედებაში. სტეინბეკი ცდილობს ასახოს თავის შემოქმედებაში ჩვეულებრივი მშრომელი ხალხის ცხოვრება. მწერალი ყოველთვის გაგებით და თანაგრძნობით ეპყრობა თავის პერსონაჟებს. თითქმის ყველა ისტორია მათი ყოველდღიური ყოფის შესახებ მოგვითხრობს აუხდენელ იმედებზე, დამსხვრეულ ოცნებებზე, ცხოვრებისეულ ტრაგედიებსა და დრამებზე. ჯ. სტეინბეკმა, უბრალო ხალხთან გვერდიგვერდ მუშაობისას, თავისი შთაგონების წყაროდ გარემომცველი სინამდვილე გამოაცხადა.

პრობლემა, რომელიც ავტორს ყველაზე მეტად აინტერესებდა, პიროვნებასთან და საზოგადოებასთან იყო დაკავშირებული. სტეინბეკი აღნიშნავდა, რომ ადამიანის კეთილი ზრახვები არ ემთხვევა საზოგადოების განზრახვებს, ვინაიდან საზოგადოება ინდივიდუალობის დათრგუნვას ცდილობს. მწერლისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია გმირების აზრები, გრძნობები და ქცევები, ვიდრე მათი სოციალური პოზიცია და სტატუსი საზოგადოებაში.

სტეინბეკის შემოქმედებაში ის თვისებები გამოჩნდნენ, რომლებმაც მას საყოველთაოდ აღიარებული დიდება მოუტანეს. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ამერიკული ცხოვრების წესის ასახვა. სტეინბეკის ნაშრომები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ კაპიტალისტური ცხოვრება მოკლებულია არსებობის გააზრებულ მიზანს და იწვევს უბრალო ხალხის ოცნებების განადგურებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ სტეინბეკი იყო პირველი, ვინც შეამჩნია

პიროვნების ქცევაში სხვაობა იმის მიხედვით, იმყოფება ის საზოგადოებაში თუ მარტო მოქმედებს. მწერლის იდეების ხორცშესხმის კულმინაციად იქცა მოთხრობა „კვარტალი ტორტილა ფლეტი“, რომელშიც სტეინბეკი შოკში აგდებს მკითხველს მთავარი გმირების მხრიდან გარემომცველი სინამდვილის გამოწვევით.

კვლევის პროცესში, რომელიც ეძღვნება მხატვრული ნაწარმოების „ტორტილა ფლეტი“ (სტეინბეკი) ტექსტში ამერიკული ოცნების კონცეპტის ბირთვის იდენტიფიცირებას, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა კონცეპტის მთავარი ლექსიკური რეალიზაცია - საკვანძო სიტყვა „home/სახლი“. ამ საკვანძო სიტყვის გამოვლინების კრიტერიუმები იყო მისი პოლისემია და ხმარების მაღალი სიხშირე. აქვე აღვნიშნავთ, რომ „საკვანძო სიტყვა“ არ გამორიცხავს კონცეპტის სხვა მნიშვნელობების არსებობას, მაგრამ გარკვეულწილად არის ამოსავალი წერტილი დამატებითი მნიშვნელობის გააზრებისთვის.

ჯ. სტეინბეკის მოთხრობაში „ტორტილა ფლეტი“ დომინირებს კონცეპტი „ამერიკული ოცნებისა“, რომელიც ვერბალურად გამოხატულია სიტყვით „სახლი“ „house“ და ამ სიტყვის სინონიმებით, რომელიც სამართლიანად ითვლება მის ბირთვად. ევროპულ ენობრივ ცნობიერებაში სახლი არის ციხე-სიმაგრე, გარე სამყაროს საფრთხეებისგან დაცვა. მაგალითად, ინგლისელების და გერმანელების უმრავლესობა ცხოვრობს სახლებში და არა ბინებში. ბევრ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ცნება „პირადი ცხოვრება“ წარმოდგენილია კონცეპტით „სახლი“.

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს განმარტებით ლექსიკონებში Collins English Dictionary, Cambridge Advanced Learner's Dictionary და Oxford Advanced Learner's Dictionary არსებული სტატიები, სადაც ცნება „სახლი“ გულისხმობს შენობას, რომელშიც ერთი ან რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს:

A house is a building in which people live, usually the people belonging to one family. (Cambridge Advanced Learner's Dictionary, 2013).

A house is a building that people, usually one family, live in. (Cambridge Advanced Learner's Dictionary, 2013).

A House is building that serves as living quarters for one or a few families. (Collins English Dictionary, 2011).

აღნიშნული სალექსიკონო დეფინიციების გაანალიზებისას მივედით დასკვნამდე, რომ სამყაროს ინგლისურ ენობრივ ხატში ცნება „სახლი“ განასახიერებს ოჯახის კერას, სახლ-კარს, ადგილს, სადაც ინდივიდს შეუძლია მიიღოს მისთვის საჭირო ზრუნვა და მხარდაჭერა და კომფორტული ატმოსფერო.

კვლევის პროცესში ლექსემის „სახლი/house“ და მასთან ახლოს მყოფი ლექსიკური ერთეულების გაანალიზებისას, გამოიკვეთა კონცეპტის ბირთვის ავტორისეული ვერბალიზაციის სპეციფიკა. ლექსემასთან „სახლი“ სემანტიკურად ახლოს დგანან შემდეგი ლექსიკური ერთეულები: home, flat, condo, building, box (საცხოვრებელი, ბინა, კონდო, შენობა (აშენება), ვაგონი).

განვიხილოთ კონცეპტის „სახლი/house“ ბირთვის და ზემოხსენებული სემანტიკურად ახლომდგომი ენობრივი ერთეულების (ასევე იდენტური ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ერთეუდიანი სიტყვების) გამოყენების სიხშირე მოთხრობაში: House: დამთხვევების რაოდენობა ტექსტში - 243; Home: დამთხვევების რაოდენობა ტექსტში - 33; Flat: დამთხვევების რაოდენობა ტექსტში - 68; Condo: დამთხვევების რაოდენობა ტექსტში - 24; Build (ing): დამთხვევების რაოდენობა ტექსტში - 221; Box: დამთხვევების რაოდენობა ტექსტში - 15.

ზემოხსენებული ლექსემების დიფერენციალური ნიშნები საუკეთესოდ ამჟღავნებენ „ამერიკული ოცნების“ ავტორისეულ კონცეპტს, რომელშიც კაპიტალისტური ცხოვრება მოკლებულია არსებობის გააზრებულ მიზანს და იწვევს „ცხოვრების ნგრევას, ოცნებების მსხვრევას“, რასაც ამერიკული ცხოვრების წესის რეალისტური გამოსახვა ნათლად აჩვენებს.

შევეცადოთ, უფრო დეტალურად გავაანალიზოთ თითოეული ლექსემის დეფინიცია და თვალი ვადევნოთ მის რეპრეზენტაციას ტექსტში. კემბრიჯის ლექსიკონის (Cambridge Advanced Learner's Dictionary, 2013) თანახმად, სახლი არის ის ადგილი, სადაც ადამიანი თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს.

ნაწარმოებში ცნება „სახლის“ ინგლისურენოვან ხედვაში ჩადებული იდეა დეფორმირდება. პირველ რიგში, ნაწარმოების მთავარი გმირი არ ჩქარობს სახლში მისვლას ჯარიდან დაბრუნების შემდეგ. მეორეც, დენი, რომელმაც შეიტყო ორი სახლის მემკვიდრეობით

მიღების შესახებ, თავს შემფოთებულად გრძნობს: “When Danny heard about it he was a little weighed down with the responsibility of ownership” (Steinbeck /სტეინბეკი, 2009).

დენის მეგობარი, ახალი ამბის შეტყობისთანავე ანალოგიურ ემოციებს განიცდის, რადგან მის წარმოდგენაში ადამიანი, რომელიც უძრავი ქონების მფლობელი გახდა, გაემიჯნება თავის ახლობლებს, მეგობრებს და ინდივიდუალურს კოლექტიურზე წინ დააყენებს: “Thou art lifted above thy friends. Thou art a man of property. Thou wilt forget thy friends who shared everything with thee, even their brandy” (სტეინბეკი, 2009).

ყველაზე საინტერესო ჩვენი ანალიზისთვის არის ლექსები „ბინა/flat“ და „კონდომინიუმი/condo“, რომელთა დეფინიციებში ცნება „სახლი“ ასახავს ინდივიდუალურობის იდეას, რადგან ინგლისურენოვან კულტურაში ბინა და კონდომინიუმი ყველაზე ხშირად გაიგება, როგორც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც თითოეული ბინა მასში მცხოვრებ ხალხს ეკუთვნის, თუმცა არსებობს ასევე საერთო სარგებლობის ადგილები. ამრიგად, დენის პატარა სახლში მცხოვრები პილონი, პაბლო, ხესუს მარია, მეკობრე და დიდი ჯო მის სახლს პირობითად ყოფენ პატარა ბინებად, სადაც თითოეული მათგანი საკუთარი პირადი პრობლემებით არის შეფიქრებულნი.

მეგობრები ჩამოშორდებიან დენის, ვინაიდან ამიერიდან იგი მათი მეიჯარე ხდება. დენისთან ურთიერთობები უარესდება. მთავარი გმირი მშვენივრად აცნობიერებს უთანხმოების მიზეზს და საქმის ასეთ ვითარებას აღიქვამს როგორც მოვლენათა ბუნებრივ მდგომარეობას: “As he owner of two houses he had been considered rich, and he had missed a great many tidbits” (სტეინბეკი, 2009).

მეკობრეს, რომელსაც სურს მარტოობისგან თავის დაღწევა და იღებს მთავარი პერსონაჟების წინადადებას მათთან საერთო ჭერის გაზიარებასთან დაკავშირებით, ხდება რა ფაქტობრივად მათი ოჯახის წევრი, აზრადაც არ მოსდის, თუ რა ადლებს მის ახლობლებს: “It is like this: The Pirate has money, but he has not the brain to use it. I have the brain! I will offer my brain to his use. I will give freely of my mind” (სტეინბეკი, 2009).

ჩვენი კვლევისთვის ასევე მნიშვნელოვანია ტექსტის სათაური. „კვარტალი ტორტილა ფლეტი“/“Tortilla Flat Quotes”. ნაწარმოების სათაური, რომელიც შეიცავს ლექსებს „flat/ბინა“,

საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საკუთარ სახელში ლექსემის „flat/ბინა“ გამოყენებით, ნაცვლად „apartment“-ისა, ავტორი ხაზს უსვამს და აძლიერებს გამიჯვნის, იზოლირებულობის იდეას. კემბრიჯის ლექსიკონის თანახმად, ეს ცნებები ურთიერთჩანაცვლებადია, როდესაც გამოიყენება ინგლისურენოვანი კულტურის წარმომადგენლებს შორის. უფრო მეტიც, ლექსემა „flat“ გამოიყენება მეტწილად გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე, ხოლო ლექსემას „apartment“ უპირატესობას ანიჭებენ ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე. ჯონ სტეინბეკი კალიფორნიის შტატის ალწერისას, სადაც ესპანურენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს, სწორედ ლექსემას „flat“ იყენებს. ჩვენი აზრით, ურთიერთჩანაცვლებადი ლექსემის ეს შეცვლა ნაწარმოების სათაურს გამორჩეულობის ელემენტებს ანიჭებს, და ამავე დროს, ანგრევს, ანადგურებს მშობლიურის, ახლობელის და კანონზომიერის ატმოსფეროს, რომელსაც ორიგინალური ლექსემა „სახლი/house“ შეიცავს.

ამგვარად, ჯონ სტეინბეკის მოთხრობაში „ტორტილა ფლეტი“ კონცეპტის „ამერიკული ოცნება“ ბირთვი ყველაზე ხშირად ვერბალიზდება როგორც „სახლი/house“, „ბინა/flat“, „საცხოვრებელი/home“.

კვლევის პროცესში, რომელიც ეძღვნებოდა კონცეპტის „ამერიკული ოცნება“ პერიფერიას ჯ. სტეინბეკის ნაწარმოებში „ტორტილა ფლეტი“, მივედით დასკვნამდე, რომ კონცეპტის პერიფერიის რეპრეზენტაციას წარმოადგენენ ლექსიკური ერთეულები „friendship/friend“, „მეგობრობა/მეგობარი“.

ინგლისურენოვან ლექსიკონებში წარმოდგენილი დეფინიციების გაანალიზებისას, მივდივართ დასკვნამდე, რომ ლექსემები მეგობრობა და მეგობარი განასახიერებენ კონცეპტს, რომელიც გულისხმობს ორ ადამიანს შორის მეგობრულ ურთიერკავშირს. აღსანიშნავია, რომ ყველა დეფინიციას დადებითი კონოტაცია აქვს.

A friendship is a relationship between two or more friends. (Cambridge Advanced Learner's Dictionary, 2013).

Friendship is a friendly relationship, or the state of being friends. (Cambridge Advanced Learner's Dictionary, 2013).

A friend is one attached to another by affection or esteem (Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, 1999).

ტექსტის ანალიზისას გამოვლინდა, რომ ნაწარმოებში ასახული მეგობრობის მოდელი არ არის დამოკიდებული სოციალურ სტატუსზე და მატერიალურ მდგომარეობაზე.

ნაწარმოების მთავარი გმირი დენი დაუყოვნებლივ უცხადებს თავის მეგობრებს, რომ მის მიერ მემკვიდრეობით მიღებული საცხოვრებელი სახლები ვერ გახდება დაბრკოლება მათი მეგობრობისთვის.

პილონი და დენი ბრენდის უკანასკნელ ბოთლს იზიარებენ, რადგან იციან, რომ არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მეგობრული ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ და ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის ვალდებულებები მის კერძო საკუთრებასთან, ქონებრივ სიკეთესთან მიმართებაში: “Pilon, I swear, what I have is thine. While I have a house, thou hast a house. Give me a drink” (სტეინბეკი, 2009).

ნაწარმოების დასაწყისში ვაკვირდებით კონტრასტს მეგობრულ ვალდებულებებსა და მატერიალურ საკუთრებას შორის, ისევე, როგორც სოციალურ სტატუსსა და მეგობრობას შორის. მთავარი პერსონაჟები სიამოვნებით ეხმარებიან ერთმანეთს, რადგან მათი მეგობრობა მათ იცავს მარტოობისა და გარე სამყაროსგან მოწყვეტისგან, იზოლირებისგან. მეგობრები ცხოვრობენ ერთად, ჭრიან ერთმანეთის პრობლემებს, უზიარებენ ერთმანეთს საჭმელს და სასმელს. დენისთვის მეგობრობა ახლად შეძენილი ოჯახის სიმბოლო ხდება და მას ეცოდება ის ადამიანები, რომლებსაც არ ჰყავთ მეგობრები, ვისთან ერთადაც შეეძლება ერთი ბოთლი ყურძნის არაყის დაგემოვნება: “It is good to have friends,” said Danny. “How lonely it is in the world if there are no friends to sit with one and to share one's grappa” (სტეინბეკი, 2009).

ნაწარმოების უფრო დეტალური ანალიზის შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მთავარი გმირების მეგობრობის ხატი დეფორმირდება და თავის დადებით კონოტაციას კარგავს.

მათი მეგობრობის ცენტრად იქცევა ფულის ტომარა, რომელიც მეგობრებს ეკუთვნის. ისინი მზად არიან შეიფარონ ღარიბი და საწყალი ადამიანი, გაიზიარონ მასთან თავისი ისედაც ვიწრო საცხოვრებელი ფართი და ამას აკეთებენ ანგარების მიზნით, რათა დაეპატრონონ მის ფულს, რაც ხაზს უსვამს მეგობრების მატერიალურ დაინტერესებას.

ნაწარმოების ბოლოს, როდესაც მთავარი გმირი დენი კვდება, მეგობრები, რომლებსაც ოდესღაც ერთმანეთის გარეშე ერთი დღეც კი ვერ წარმოედგინათ, ერთმანეთს ემიჯნებიან, შორდებიან. მატერიალური არაკეთილდღეობა მათთვის დაბრკოლება ხდება მის დაკრძალვაზე დასასწრებად. დენის უახლოესი მეგობრების ტანისამოსის არასახარბიელო მდგომარეობა და ოლქის მაცხოვრებელთა ნათელი სამოსელი, რომლებიც დენის თითქმის არ იცნობდნენ, სოციალური და მატერიალური უთანასწორობის სიმბოლოდ იქცევა.

მარადიული ღირებულებების ერთ-ერთი შემადგენელი - მეგობრობა - ვერ უძლებს ფულის, ქონების და საკუთრების გამოცდას. მთავარი გმირის ოცნებები ერთობაზე და მეგობრებთან ძმობაზე განუხორციელებელი რჩება, მარტოობა იმარჯვებს მეგობრობაზე, ზუსტად ისევე, როგორც მატერიალური - ზნეობრივზე

ამრიგად, ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: კონცეპტის „ამერიკული ოცნება“ ბირთვი ჯონ სტაინბეკის მოთხრობაში „ტორტილა ფლეტი“ ყველაზე ხშირად ვერბალიზდება, როგორც „სახლი/house“, „ბინა/flat“, „საცხოვრებელი/home“.

ზემოხსენებული ენობრივი ერთეულების გამოყენების სიხშირის რაოდენობრივი ანალიზის და ასევე მათი სემანტიკის შეპირისპირებისას, ვხედავთ ლექსემთა დამთხვევის შთამბეჭქდავ რაოდენობას, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახის კერასთან, სახლ-კართან, ადგილთან, სადაც ინდივიდს შეუძლია მისთვის საჭირო ზრუნვის და მხარდაჭერის მიღება, ახლობლების გარემოცვაში ყოფნა, და ასევე გარკვეული კომფორტის ატმოსფეროს შეგრძნება. მაგრამ, ეს ლექსემები ვერ პოულობენ თავის რეპრეზენტაციას ტექსტში და შეადგენენ „ამერიკული ოცნების“ ავტორისეულ კონცეპტსფეროს, რომელშიც სახლი ხდება განკერძოების, იზოლირების, კონფლიქტების, მატერიალური პრობლემების და ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობის მიზეზი. ჯონ სტაინბეკის ნაწარმოების „ტორტილა ფლეტი“ - ამერიკული ოცნების კონცეპტის პერიფერიის კვლევის პროცესში, კონცეპტის პერიფერია წარმოდგენილია ლექსიკური ერთეულებით „friendship/friend“, „მეგობრობა/მეგობარი“.

ჩვენი კვლევისთვის საინტერესო აღმოჩნდა ჯონ სტაინბეკის მოთხრობა „მარგალიტი“, ვინაიდან იგი ეხება კიდევ ერთ ისტორიას, რომელიც მოგვითხრობს აუხდენელ იმედებზე, დამსხვრეულ ოცნებებზე, ცხოვრებისეულ ტრაგედიებსა და დრამებზე.

მხატვრული ნაწარმოების „მარგალიტი“ ტექსტში ამერიკული ოცნების კონცეპტის ბირთვის კვლევისას, ჩვენი ყურადღება მიიპყრო კონცეპტის მთავარმა ლექსიკურმა რეალიზაციამ - გარკვეულწილად, საკვანძო სიტყვამ „possess/ფლობა“. ამ საკვანძო სიტყვის იდენტიფიკაციის კრიტერიუმებს წარმოადგენს მისი მრავალმნიშვნელობა და გამოყენების მაღალი სიხშირე.

ჯონ სტეინბეკის მოთხრობაში „მარგალიტი“ დომინანტური ადგილი უკავია კონცეპტს „ამერიკული ოცნება“, რომელიც ვერბალურად გამოხატულია სიტყვით „ფლობა“ „possess“ და ამ სიტყვის სინონიმებით, რომელიც სამართლიანად მიიჩნევა მის ბირთვად.

განსაკუთრებით საინტერესოა განმარტებით ლექსიკონებში Collins English Dictionary, Cambridge Advanced Learner's Dictionary და The Merriam-Webster წარმოდგენილი დეფინიციები, სადაც ეს ერთეული გულისხმობს რაიმეს ფლობას, საკუთრებაში ქონას:

If you possess something, you have it or own it. (Cambridge Advanced Learner's Dictionary, 2013).

To have or own something. (Cambridge Advanced Learner's Dictionary, 2013).

To have and hold as property : OWN (Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, 1999).

მოცემული სალექსიკონო დეფინიციების გაანალიზებისას მივდივართ დასკვნამდე, რომ ცნება „ფლობა“ სამყაროს ინგლისურ ენობრივ ხატში განასახიერებს იდეას კერძო საკუთრების შესახებ.

კვლევის პროცესში ლექსემის „ფლობა/possess“ და მასთან ახლოს მდგომი ლექსიკური ერთეულების გაანალიზებისას იკვეთება კონცეპტის ბირთვის ავტორისეული ვერბალიზაციის სპეციფიკა.

ნაწარმოების პერსონაჟების დომინანტური მახასიათებელი ნიშანი, რომელიც რეპრეზენტირებულია ნოველაში, არის მესაკუთრეობა და მფლობელობა. მატერიალიზმის თვალსაზრისით, ფლობის სურვილი შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერს, ვისაც სხვისი ნივთების ფლობა სურს. ნოველის თითქმის ყველა პერსონაჟს, სხვადასხვა მოტივით, რომელიც მათ ამისკენ უბიძგებს, მარგალიტის ფლობა სურს. აღნიშნული სურვილი და ნიშან-თვისებები ვლინდება როგორც მათ დიალოგებში, ისე მათ აზროვნებასა და ქცევაში.

ნოველის მთავარი გმირი კინო თვლიდა, რომ ნაპოვნი მარგალიტი უზრუნველყოფდა მისი შვილის მიერ განათლების მიღების შესაძლებლობას. კინოს აზრით, სწორედ განათლება მისცემდა საშუალებას მის ოჯახს დაახლოებოდნენ კოლონისტებს, ეტარებინათ სკოლის ფორმა, როგორც მათ შვილებს ეცვათ და ჰქონოდათ ის, რაც მათ ჰქონდათ: “My son will read and open the books, and my son will write and will know writing. And my son will make numbers, and these things will make us free because he will know - he will know and through him we will know” (სტეინბეკი, 2009).

კინო მეზობლებსაც ატყობინებს ამ ახალ ამბებს, აცნობს იმ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს, რომლებიც მას მარგალიტის ფლობის წყალობით ეძლევა. ამავდროულად, კინო აცნობიერებს, რომ მარგალიტის ფლობა საფრთხეს შეიცავს, რადგან ახლა ის ფრთხილად უნდა იყოს ყველასთან, ვინც შეიძლება დაამსხვრიოს მისი ოცნება: “Consequently Kino was afraid of plans, but having made it one, he could never destroy it. And to meet the attack, Kino was already making a hard skin for himself against the world. His eyes and his mind probed for danger before it appeared” (სტეინბეკი, 2009).

მარგალიტის ფლობის სურვილი კინოს მეზობლებსაც აქვთ. იმ დღეს, როდესაც ამბავი კინოს აღმოჩენის შესახებ მთელ შემოგარენში გავრცელდა, ისინი გონებაში წარმოიდგენენ სიტუაციებს, რომლებშიც მათ მარგალიტის პოვნის და ფლობის და ასევე მისი გაყიდვიდან მიღებული მოგების განკარგვის შესაძლებლობა ეძლევათ. უზარმაზარი რაოდენობის ადამიანთა ოცნებების ასრულების საშუალება ხდება მარგალიტი, რომელიც მათ არასოდეს ეკუთვნოდათ და ფული, რომელიც მათ არასოდეს ჰქონიათ: “The needs, the lusts, the hungers, of everyone and only one person stood in the way and that was Kino, so that he becomes curiously every man's enemy” (სტეინბეკი, 2009).

მარგალიტის ფლობის იდეა იწვევს აურზაურს და ამ ოცნების მისაღწევ გზაზე სხვადასხვა სქემების, გეგმების წარმოშობას და ოცნებების ჩასახვას. მარგალიტის ამბავი ცნობილი ხდება არა მხოლოდ მკვიდრი მოსახლეობისთვის, არამედ კოლონისტების შთამომავლებისთვისაც, მათ შორის ქალაქში მდებარე ეკლესიის მოძღვრისთვისაც.

მღვდელი დაუყოვნებლივ იწყებს ფიქრს იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდა იმ ვითარებაში, თუ მარგალიტი მასთან აღმოჩნდებოდა. ამასთანავე, ცდილობს გაიხსენოს კეთილი საქმენი, რაც

მან კინოს ოჯახის საკეთილდღეოდ გააკეთა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კოლონიური საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მისია იყო რელიგიის გავრცელება. მაგრამ, ნაწარმოების ტექსტში მღვდლის გონება მთლიანად მოიცვა ობიექტის ფლობის ინტერესმა, იდეამ, რომელიც სულიერ პრინციპებსა და ძალებს უარყოფს.

ტანოს მეზობლები, და ქალაქის ექიმი და თავად პასტორიც, ყველა იყო შეპყრობილი მარგალიტის ფლობის აკვიატებული იდეით.

“And when the day had come, in the offices of the pearl buyers, each man sat alone with his little black velvet tray, and each man rolled the pearls about with his finger-tips and considered his part in the picture”(სტეინბეკი, 2009).

ამრიგად, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ჯონ სტეინბეკის მოთხრობაში „მარგალიტი“ „ამერიკული ოცნების“ ბირთვი არის ვერბალურად გამოხატული ლექსიკური ერთეულებით „ფლობა/possess“. სალექსიკონო დეფინიციების გაანალიზების შემდეგ, მივედით დასკვნამდე, რომ ცნება „ფლობა“ სამყაროს ინგლისურ ენობრივ ხატში განასახიერებს კაპიტალისტურ იდეას კერძო საკუთრების შესახებ. ჩვენი კვლევის პროცესში, ლექსემის „ფლობა/possess“ და მასთან ახლოს მდგომი ლექსიკური ერთეულების გაანალიზებისას, შევნიშნეთ კონცეპტის ბირთვის ავტორისეული ვერბალიზაციის სპეციფიკა. მოთხრობის გმირებისთვის დამახასიათებელია მესაკუთრეობა და მფლობელობა.

ჯონ სტეინბეკის მოთხრობაში „მარგალიტი“ „ამერიკული ოცნების“ კონცეპტის პერიფერიის გაანალიზებისას იკვეთება სპეციფიკური ნიშან-თვისება, რომელიც ჩნდება ფლობის სურვილის ზემოქმედებით - envy / შური.

განმარტებით ლექსიკონებში Collins English Dictionary, Cambridge Advanced Learner's Dictionary და Merriam-Webster წარმოდგენილი დეფინიციების გაანალიზებისას მივედით დასკვნამდე, რომ ინგლისურენოვან კულტურაში შური გააზრებულია როგორც სხვა ადამიანის საკუთრების ან თვისებების ფლობის სურვილი:

Envy is the feeling you have when you wish you could have the same thing or quality that someone else has (Cambridge Advanced Learner's Dictionary, 2013).

Envy is the feeling that you wish you had something that someone else has (Cambridge Advanced Learner's Dictionary, 2013).

Envy is painful or resentful awareness of an advantage enjoyed by another joined with a desire to possess the same advantage (Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, 1999).

კინოს მეზობლებს კარგად ესმით, რომ ახლა, მარგალიტის წყალობით, მას აქვს შესაძლებლობა შეიძინოს და ფლობდეს იმას, რაზეც ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე ოცნებობდნენ.

კინოს სურვილი, ფლობდეს იარაღს არის საერთო სურვილი, რადგან კინოს მეზობლებს, ჩვეულებრივ, არ აქვთ საკვებზე ან ტანსაცმელზე მეტის ყიდვის შესაძლებლობა. მაგრამ კინო თავის არჩევანში შეზღუდული აღარ არის, მას შეუძლია სურდეს უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ საკვები და ტანსაცმელი. საქმის ასეთი ვითარება კინოს მეზობლებში შურის გრძნობას იწვევს. ახლა მათ მთავარ გმირს იარაღი ექნება - ძალაუფლების სიმბოლო და ეს არ შეიძლება არ აღელვებდეს ყველას ოლქში: “The neighbors, close pressed and silent in the house, nodded their heads at his wild imaginings. And a man in the rear murmured: A rifle. He will have a rifle”(სტეინბეკი, 2009).

მეზობლებს კინოსი კიდევ უფრო მეტად შურთ, როდესაც ის ახმოვანებს თავის ოცნებებს, ვინაიდან მისი ოცნებები ადვილად ასრულდება მარგალიტის წყალობით, რომელსაც ის ფლობს: “All of the neighbours hoped that sudden wealth would not turn Kino's head, would not make a rich man of him, would not graft onto him the evil limbs of greed and hatred and coldness”(სტეინბეკი, 2009).

მეზობლებს ეშინიათ, რომ კინო ხარბი და ამპარტავანი ადამიანი გახდება, შეიცვლის ზნეს, ქცევას და დამოკიდებულებას მათ მიმართ. ისინი ეჭვის თვალთ უყურებენ კინოს ოჯახს, რადგან მათი გაგებით, ადამიანი, რომელმაც ხელში ჩაიგდო სიმდიდრე, ვეღარ დარჩება ისეთი, როგორც უწინ იყო. ამავე დროს, მათ კვლავ შურთ კინოსი და ოცნებობენ მის ადგილას ყოფნაზე. არა მხოლოდ კინოს მეზობლები, არამედ განათლებული ექიმიც შეიპყრო შურმა. ექიმს ესმის, რომ კინო მეტისმეტად უბრალო ადამიანია იმისთვის, რომ მარგალიტი

სახლიდან შორს გადამალოს, ამიტომ უნებურად აჟღერებს თავის აზრებს: “It would be a shame to have it stolen before you could sell it,” the doctor said. (სტეინბეკი, 2009).

ზემოხსენებული ციტატა ნათლად აჩვენებს ექიმის ფიქრებს იმის შესახებ, რომ კინოს არ აქვს მარგალიტის ფლობის უფლება. ის თავის თავს მიიჩნევს ამის უფლების მქონე ადამიანად და ფრთხილად აცხადებს, რომ უფრო მდიდარია და ფულის შენახვაც იცის. კინოს უდანაშაულო შვილის სამედიცინო გამოკვლევისას ექიმის სურვილი მარგალიტის ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო ძლიერდება.

კონცეპტის „ამერიკული ოცნება“ პერიფერიულ ველს მიეკუთვნება ტერმინი „შური/envy“. კონცეპტის „შური/envy“ პერიფერია თავის რეპრეზენტაციას პოულობს პერსონაჟების აზრებისა და შინაგანი გრძნობების გაანალიზებისას. ეს ფენომენი თავს იჩენს კინოს ახალი მდგომარეობის და მისი ოცნებების მიმართ უკმაყოფილებაში. აშკარაა, რომ მთავარი გმირის მეზობლებისთვის და ექიმისთვის, რომლებიც აღწერილია ნაწარმოებში, სულიერი და ზნეობრივი ღირებულებები მთლიანად იკარგება, მათ შთანთქამს სხვისი ქონების დაუფლებისკენ სწრაფვა, წყენა და გაღიზიანება იმ ადამიანთა მიმართ, ვინც ფლობს რაიმეს, რაც მათ ოცნებების რეალიზებაში დაეხმარებოდათ.

კულტურული კონცეპტისთვის დამახასიათებელია ენის მატარებლების კულტურულ რეალიებთან კორელაცია. კულტურული კონცეპტის სპეციფიკა განაპირობებს მისი ანალიზის აუცილებლობას ისტორიული ცვლილებების გათვალისწინებით.

კონცეპტი „ამერიკული ოცნება“ ამერიკული კულტურის განუყოფელი ნაწილია. ამერიკული ოცნების პრობლემის აქტუალობას ადასტურებს ამ ტერმინის განხილვის სიხშირე, სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ამერიკული კულტურის წარმომადგენელთა საჯარო გამოსვლები. ამჟამად ადამიანის ცხოვრებაში მატერიალური ღირებულებების როლის საკითხი სულ უფრო და უფრო მეტი მკვლევარის ყურადღებას იზიდავს, რის გამოც, შესაბამის კულტურულ კონცეპტთა მნიშვნელობების ევოლუციის შესწავლის საკითხი თავის აქტუალობას არ კარგავს.

„ამერიკული ოცნება“ წარმოადგენს ერთ-ერთ პოპულარულ კონცეპტს. იგი შეიძლება გავიაზროთ როგორც უტოპიური იდეა საზოგადოების შესახებ, სადაც ყველა თანასწორია, ყველას შეუძლია წარმატების მიღწევა, აღიარების მოპოვება და ყველა ოცნების რეალობაში

ხორცშესხმა. ამასთანავე, მატერიალური ღირებულებები „ამერიკული ოცნების“ ფარგლებში პრევალირებს სულიერ ღირებულებებზე.

დასკვნა

ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების განვითარება, წარმოადგენს ენის თეორიის არა მხოლოდ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, არამედ ლინგვისტური შემეცნების, შესაბამისად კი, ლინგვისტური მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების რთულ და წინააღმდეგობრივ ისტორიასაც.

თანამედროვე ლინგვისტიკა ვითარდება ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული და იმავდროულად, ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით, კერძოდ: შინაგანი დიფერენციაციისა და სხვა მეცნიერებებთან ინტეგრაციის მიმართულებებით.

თანამედროვე ლინგვისტიკის მაკონსტრუირებელ ნიშანს წარმოადგენს სწრაფვა მთლიანობისაკენ. ამ ტიპის ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძველი ინტეგრაციული მიდგომაა, რომელიც ფოკუსირებულია სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან ახალი მთლიანობის წარმოქმნის პროცესის თავისებურებათა იდენტიფიცირებაზე.

თანამედროვე ლინგვისტიკის ინტეგრაციული ვექტორი ვლინდება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფ პროცესებში. თანამედროვე ლინგვისტიკაში იშლება ზღვარი დისციპლინებს შორის და იქმნება სამყაროს ერთიანი მეცნიერული სურათი. ურთიერთგამჭოლი ხდება სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა ელემენტები - ცნებები, თეორიები, მეთოდები. ინტეგრაციული კვლევა იძენს ინტერდისციპლინარულ ორიენტაციას.

ინტეგრაციული მეთოდოლოგიის მსოფლმხედველობრივ საფუძველს წარმოადგენს მთლიანობრიობის პრინციპი, რომლის თანახმადაც ფენომენი განიხილება რთულ, ღია, მრავალდონიან და მრავალგანზომილებიან ერთეულად.

ინტეგრაციული მიდგომის ონტოლოგიური საფუძველი ჰოლიზმის პრინციპია, რომლის თანახმადაც, მთელი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი. სხვადასხვაგვარი ნაწილების გაერთიანების წყალობით, ინტეგრაციის ყოველ ახალ დონეზე ჩნდება რაღაც თვისებრივად ახალი, რომელიც არ გამოიყვანება ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწილების თვისებათაგან.

ინტეგრაციული მიდგომის გნოსეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ორიენტაცია შეთანხმებულობაზე, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმზე.

ინტეგრაციული მეთოდოლოგიის არსი შემდეგში მდგომარეობს: სამყაროში ყველაფერი მთლიანობრივია და მთლიანობრივ ერთეულს გააჩნია თვითრეგულაციისა და განვითარების უნარი. მთლიანობრივი ერთეული იერარქიულია. ამ იერარქიაში ყოველი ელემენტი წარმოადგენს „მთლიანს“ მისი ნაწილების მიმართ და „ნაწილს“ უფრო დიდი მთლიანობრივი ერთეულის მიმართ. მთლიანის ნაწილებს შორის ფიქსირდება არა უბრალოდ სუმატური, არამედ ჰორიზონტალური, ვერტიკალური, სტრუქტურული, ფუნქციონალური და მიზეზ-შედეგობრივი მიმართებები. მთლიანობა წარმოადგენს არა დისკრეტულ ობიექტთა კომბინაციას, არამედ ფენომენტა, მოვლენათა და მიმართებათა მთლიანობრივ, განუყოფელ ქსელს. მთელის ნაწილები (კომპონენტები) მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ მთელთან მიმართების წყალობით.

ინტეგრაციული მეთოდოლოგიის კონტექსტში მთლიანობრიობის პრინციპი გულისხმობს საკვლევი ფენომენტის სისტემურ ანალიზს. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ ფენომენტის წვდომის საფუძველს, არამედ ფენომენტის კონსტრუირებისა და ანალიზის სტრატეგიასაც. სწორედ აღნიშნული სტრატეგია იძლევა არსის, სიღრმისეული კავშირებისა და თვისებების გამოვლენის შესაძლებლობას.

პროცესუალური თვალსაზრისით, ინტეგრაცია მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად. პირველ ეტაპზე ფორმირდება ელემენტებს შორის კავშირები, შემდეგ იშლება მათ შორის ზღვარი. შემდეგ ელემენტები კარგავენ ძველ (ინდივიდუალურ) თვისებებს, უახლოვდებიან ერთმანეთს და იძენენ ახალ თვისებებს.

ლინგვისტური ცოდნის ინტეგრაციულობა წარმოადგენს ექსპანსიონიზმის, ანთროპოცენტრიზმის, ექსპლონატორულობის, ფუნქციონალიზმისა და კოგნიტივიზმის მეცნიერული პრინციპების ფუნქციონირების შედეგს.

ლინგვისტიკაში ექსპანსიონიზმი ასოცირდება ლინგვისტიკის სააზროვნო სივრცის საზღვრების გაფართოებასთან, რაც უზრუნველყოფს ობიექტის კვლევის ახალ შესაძლებლობათა ძიებას.

ექსპანსიონიზმი ვლინდება ლინგვისტიკის სხვა მეცნიერებებთან „შეხვედრაში“, ასევე მომიჯნავე მეცნიერებათა გაერთიანებაში ერთ დიდ სააზროვნო სივრცედ. ექსპანსიონიზმის არსი იკვეთება რედუქციონიზმთან კონტრასტირებაში. ექსპანსიონიზმის პრინციპი წარმოადგენს სხვადასხვა მეცნიერებათა სინთეზის შედეგს, კონკრეტულ შემთხვევაში კი, ლინგვისტიკის სხვა მეცნიერებებთან - ფილოსოფიასთან, ლოგიკასთან, ფსიქოლოგიასთან, სოციოლოგიასთან, ისტორიასთან, კულტუროლოგიასთან, სისტემოლოგიასთან - აქტიური დიალოგის შედეგს. ლინგვისტიკაში ექსპანსიონიზმი გულისხმობს, ერთი მხრივ, სხვა მეცნიერებათა გავლენას ლინგვისტიკაზე, მეორე მხრივ კი, ლინგვისტიკის გავლენას სხვა მეცნიერებებზე. ექსპანსიონიზმის პრინციპი განისაზღვრება როგორც სხვა მეცნიერებებისათვის რელევანტური ცოდნის „შეჭრა“ ლინგვისტიკის სააზროვნო სივრცეში. დღეს სრულიად შეუძლებელია ახალი ლინგვისტური თეორიის არსებობა ლინგვისტიკის სხვა სააზროვნო სივრცეებთან ინტეგრაციის გარეშე.

ანთროპოცენტრიზმი - თანამედროვე სამეცნიერო სივრცის მასშტაბური ტენდენცია და თანამედროვე ლინგვისტიკის ბირთვული იდეა - რეალიზდება ენისა და ადამიანის ურთიერთქმედების სფეროში.

ანთროპოცენტრიზმის პრინციპი, ლინგვისტურ კვლევებში აქტიურად სარგებლობს საბაზისო მეთოდოლოგიის სტატუსით. იგი იძლევა ენობრივი ფენომენის კვლევის შესაძლებლობას ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით.

რაც შეეხება ფუნქციონალიზმს, იგი ორიენტირებულია საკვლევი ობიექტის ფუნქციათა იდენტიფიცირებაზე. ენობრივი მოვლენებისადმი ფუნქციონალური მიდგომის ცენტრში მოქცეულია ენის როგორც ინსტრუმენტის, იარაღისა და ადამიანის ინტენციათა რეალიზაციის საშუალების არსი.

ექსპლონატორულობა წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის ტენდენციას, რომელიც მიზნად ისახავს ენის შინაგანი ორგანიზაციის სპეციფიკის ახსნას. ექსპლონატორულობის პრინციპი წარმოადგენს გადასვლას „როგორ ლინგვისტიკიდან“ „რატომ ლინგვისტიკაზე“.

ექსპლონატორულობის პრინციპი რეალიზდება ექსპანსიონიზმისა და ანთროპოცენტრიზმის პრინციპების ფუნქციონირების წყალობით.

მთლიანობრივ და სისტემურ მიდგომათა შორის არსებული მიმართების არსი წარმოადგენს ერთ-ერთ დისკუსიურ საკითხს. კვლევამ ცხადყო, რომ ამ მიდგომათა დაპირისპირება სრულიად ხელოვნურია. მთლიანობრიობა უნდა აღვიქვათ როგორც საგნის ან მოვლენის მდგომარეობა, სისტემურობა კი ახასიათებს ელემენტთა - მთელის ნაწილთა - ურთიერთქმედებას. სისტემურობა წარმოადგენს მიმართებათა მახასიათებელს. მთლიანის ნაწილი და სისტემის ელემენტი არ განიხილება იგივეობრივ ერთეულებად. მთლიანობას, გარკვეული შეზღუდვებით, შეუძლია ფუნქციონირება რამდენიმე ნაწილის გარეშე. იმავდროულად, ელემენტის ნგრევასთან ერთად ხდება სისტემის ნგრევა. მთლიანობა წარმოადგენს ნაწილთა არა უბრალო ჯამს, არამედ ნაწილთა ერთიანობას, ნაწილთა შორის არსებულ მიმართებათა სისტემას. სწორედ ამიტომაც მიზანშეწონილი ლაპარაკი სისტემურ მთლიანობაზე. სისტემა გულისხმობს როგორც ფუნქციებს, კავშირებსა და ელემენტებს შორის არსებული მიმართებების, ისე მთლიანობის კოორდინაციასაც.

მთლიანობრივი მიდგომა ყოველთვის არ გულისხმობს სტრუქტურული მიდგომის გადალახვას. სისტემურ მიდგომას ხშირად მიაწერენ კომპლექსურობას, რაც ნიშნავს საკვლევი ობიექტის მთელი სისრულით მოცვას. კომპლექსურობა წარმოადგენს მთლიანობრივი პრინციპის ინტერპრეტაციის შედეგს.

რამდენადაც ნებისმიერი ფენომენის კომპლექსურობა გულისხმობს მის მრავალგანზომილებიანობას, ამგვარი ფენომენის კვლევა გონივრული მხოლოდ სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა სინთეზირებითაა შესაძლებელი. სწორედ ამ სინთეზში ფართოვდება და ყალიბდება ტრადიციულ დისციპლინათა ახალი საზღვრები. როგორც წესი, ორიგინალური თეორიები იქმნება არა სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის „ბირთვში“,

არამედ დისციპლინური ცოდნის „პერიფერიაზე“, სხვა სიტყვებით, მეცნიერების ინტერდისციპლინარულ საზღვრებზე.

კვლევის პროცესმა ცხადყო მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის პრინციპებს შორის გადაულახავი ზღვრის არარსებობა. ასახავენ რა ფენომენის შესახებ განსხვავებულ ხედვას, აღნიშნული პრინციპები ავსებენ ერთმანეთს.

ინდივიდუალიზმისა და მეთოდოლოგიური ჰოლიზმის პრინციპები გამოიყენება კვლევის განსხვავებულ ეტაპებზე - მკვლევარი ირჩევს წანამამდვართა ამა თუ იმ რეპერტუარს ამოცანის სპეციფიკის გათვალისწინებით.

და ბოლოს, აშკარაა, არსებობს მჭიდრო კავშირი ცნებებს „მთლიანობასა“ და „მიზანს“ შორის. მიზნის მიღწევა გულისხმობს ქმედების დასრულებას, წრის შეკვრას, სისრულესა და სრულყოფილებასთან მისვლას. მიზანი მიღწეულია მაშინ, როდესაც აგებულია მთლიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა

- Abelson R. P. (1973). *Abelson, The structure of Belief Systems*, (in Schank and Colby, 1973).
- Adams, J. T. (1931) *“The epic of America”*. Boston [Mass.]: Little, Brown, and Co.,
- Akmajian A., Demers R. A., Harnish, R. M. (1988). *Linguistics: An Introduction to Language and communication* / R.M. – 2nd ed-n. – Cambridge (Mass.); L. – XVI, p. 528.
- Alefrenko N. (2015). *Language as a State of Ethno-Cultural Consciousness*. In: *Linguae*, vol. 8, pp. 2-18.
- Andreas, (1994). *Story People: Selected Stories & Drawings of Brian Andreas*.
- Aristotle, *Nicomachean Ethics* (several editions), (1153b).
- Bartlett F.C. (1931). *Remembering: A study in experimental and social psychology*. Cambridge, – p.232.
- Beddoes, T. L (1918). *“If there were dreams to sell” – song*.
- Bower G.H. (1974). *Selective facilitation and interference in retention of prose* // *J. of educational psychology*. V. 66. P. 1-8.
- Bronte, E. (1847). *“Wuthering heights”*.
- Brooks, D. (2004). *On Paradise Drive: How We Live Now (And Always Have) in the Future Tense”*.
- Burroughs, R. E. (1912). *“A princess of Mars”*.
- Burroughs, R. E. (1915). *“The Son of Tarzan”*.
- Cambridge Advanced Learner's Dictionary, (2013). Cambridge, – 1844 p.
- Chisholm, R. (1978). “Intrinsic Value”, in *Values and Morals*, A. I. Goldman and J. Kim (ed.), Dordrecht: D. Reidel.
- Chisholm, R. (1986). *Brentano and Intrinsic Value*, Cambridge: Cambridge University Press.

Clare, C. (2009). “*City of Glass*”.

Collins English Dictionary, (2011). HarperCollins, – 1899 p.

Conrad, J. (1897). “*Karain: A Memoir*”.

Croft, W. and D.A. Cruse. (2009). *Cognitive Linguistics*. Cambridge University Press, UK, – 356 p.

Croly, H. (1909). *The Promise of American Life*.

Deese, J. (1962). *Form class and determinants of association*. In: Journal of learning and verbal behavior. Washington, pp. 79-84.

Dijk T.A. van (1981). *Studies in the pragmatics of discourse*. – The Hague etc., – XII, p. 219-220;

Dreiser, T. (1985). *An American Tragedy [Text]: / T. Dreiser*. – NY: Signet classics, – 420 p.

Fatkullina F.G. (2015). *Typology of concepts in modern linguistics // Педагогический журнал Башкортостана*. № 1 (15). С. 232—239.

Fillmore C.J. (1975). *An alternative to checklist theories of meaning // Proceedings of annual meeting of the Berkeley Linguistics Society*. Berkeley, V.1. P. 123-131.

Fillmore C.J. (1982). *Frame semantics // Linguistics in the morning calm: Selected papers from the SICOL-1981*. Seoul, P. P.111-123.

Foster, A. D. (1990). “*The Metrognome and Other Stories*”.

Frankena, W. K., (1973). *Ethics*, second edition, Englewood Cliffs: Prentice Hall. P.87-88.

Frey, G. (1920). “*The Campfire Girls at Camp Keewaydin*”.

Frumkina, R.M. (2001). *Psycholinguistics*. Moscow: “Academy”. p. 320

Gaines, B. R., Shaw, M. L. G. (1997). *Knowledge modeling*. Knowledge Science Institute, University of Calgary, pp. 729–759.

- Gaiman, N. (2006). *Fragile Things: Short Fictions and Wonders*.
- Givón T. (1984). *Syntax: A functional-typological introduction: V.1.* – Amsterdam; Philadelphia,– XX, p.19.
- Glaspell, S. (1912). “*Out There*”, American Literature.
- Goffman, E. (1974). *Frame analysis: An essay on the organization of experience.* – N.Y. etc.; – XIII, p.7-157.
- Goggin, G. (2013). *Youth culture and mobiles*. In: Mobile Media & Communication, 1(1), pp. 83–88.
- Goodkind, T. (2000). “*Soul of the fire*”, p. 29.
- Hawkins, J. (2005). *On Intelligence.* – New York, Henry Holt and Company.
- Hegel, Georg Wilhelm Friedrich (1968). *Gesammelte Werke.* Edited by Deutsche Forschungsgemeinschaft. 31 vols. Felix Meiner.
- Hill, N. (1937). “*Think and grow rich*”.
- Hughes, L. (1923). “*Dreams*”.
- Hutchinson, J. (1848). “Uncle Sam’s Farm”.
- Johnston, B. (2003). *Values in English Language teaching.* p.69.
- Kagan, S. (1998). “*Rethinking Intrinsic Value*”, Journal of Ethics, 2: 277–97.
- Karasik V. I., (2002). *Language circle: personality, concepts, discourse.* Volgograd, p. 112-123.
- Khrolenko, A.T., (2004). *Fundamentals of linguoculturology: a textbook.* Moscow: Flint, p.31.
- King, S. and Straub P. (1984). “*The Talisman.*”
- Kleparski, G.A. (1990). *Semantic Change in English: A Study of Evaluative Developments in the Domain of HUMANS.* Lublin: The Catholic University of Lublin Printing House.

- Kramersch C. (1998). *Language and Culture*. Oxford University Press. p.51-73.
- Krasnykh V. V., (2002). *Ethnopsycholinguistics and linguoculturology: a course of lectures*. Moscow: ITDGK «Gnosis», p. 23
- Krzeszowski, T.P. (1989). “*The axiological parameter in preconceptual image schemata*”. Paper read at Cognitive Linguistics Symposium in Duisburg.
- Lakoff G. (1977). *Linguistic gestalts* // Papers from the regional meeting of the Chicago linguistic society. Chicago, V. 13. P.236-287.
- Lakoff G. (1982). *Categories: An essay in cognitive linguistics* // *Linguistics in the morning calm*: Selected papers from the SICOL-1981. Seoul. P.139-193.
- Lakoff G. (1986). *Classifiers as a reflection of mind* // *Noun classes and categorization*: Proceedings of a Symposium on categorization and noun classification, Eugene, Oregon, October 1983 / Ed. by Craig C. – Amsterdam; Philadelphia, P.13-51.
- Lakoff G. (1987). *Women, fire and dangerous things: What categories reveal about the mind*. Chicago; London, – 614 p.
- Lakoff G. (1990). *The invariance hypothesis: Is abstract reason based on image- schemas?* // *Cognitive linguistics*, 1, p. 39–74.
- Lakoff, G and Johnson, M. (1999). *Philosophy in the Flesh*. New York: Basic Books.
- Lakoff, G. (1987). “*Cognitive Theory of Metaphor*”.
- Lakoff, G. Johnson M. (1980). “*Metaphors We Live By*”. University of Chicago Press.
- Langacker R. (1984). *Active zones* // Proceedings of the 10-th annual meeting of the BLS.
- Langacker R. (1991). *Foundations of cognitive grammar*. Vol. 2: Descriptive application. Stanford: SUP.
- Lemos, N.M. (1994). *Intrinsic Value: Concept and Warrant*, Cambridge: CUP
- MacLeod R. W. (1910). “*Bucky O’Connor*”, chapter 13. Bucky's First-Rate Reasons.

Martin, G. R, R. “*On fantasy*” Retrieved March 10, 2021 from <https://georgerrmartin.com/about-george/on-writing-essays/on-fantasy-by-george-r-r-martin/>

Maslova V. A. (2001). *Linguoculturology*. Moscow: Academy, p.14-54.

Minsky M. (1980). *A framework for representing knowledge // Frame conceptions and text understanding* / Ed. by Metzging D. – B.; N.Y., p.1-25; p.96-119

Montgomery, L. M. (1906). “*In the old valley*”.

Moore, G. E., (1903). *Principia Ethica*, Cambridge: Cambridge University Press, ch. 1. P.22-103

Moore, G. E., (1912). *Ethics*, Oxford: Oxford University Press. P.102

Moore, G. E., (1922). *Philosophical Studies*, New York: Harcourt, Brace.p.182 -286

Newell A. Simon & H.A. (1972). *Human Problem Solving*, Prentice-Hall.

Norman D. (1972). *Memory, Knowledge and the answering of questions*, Loyola Symposium on Cognitive Psychology, Chicago.

O. Henry, (1992). “*The best of O. Henry*”hardcover – March 1.

Olson, J. (2006). “*G. E. Moore on Goodness and Reasons*”, Australasian Journal of Philosophy, 84: 525–34.

Oxford Advanced Learner’s Dictionary of Current English, (1999). Oxford University press, – 2300 p.

Palahniuk, C. (2001). “*Choke*”.

Palmer, G. B. (1996). *Toward a theory of Cultural Linguistics*. Austin: University of Texas Press. p.5

Posner M.L. (1986). *Empirical studies of prototypes // Noun classes and categorization: Proceedings of a Symposium on categorization and noun classification*, Eugene, Oregon, October 1983 / Ed. by Craig C. – Amsterdam; Philadelphia, P.53-61.

Roe, P. E (1880). “*A day of Fate*”.

Rabinowicz, W. and Rønnow-Rasmussen, T. (1999). “*A Distinction in Value: Intrinsic and for Its Own Sake*”, *Proceedings of the Aristotelian Society*, 100: 33–52.

Reed, M. (1902). “*Lavender and old race*”.

Rosch E. and Warren, N. (1977). *Human categorization* // N. Warren (ed.). *Studies in cross-cultural psychology*. N. Y.: Academic press, vol. 1, pp. 1-49.

Rosenberg S.T. (1980). *Frame-based text processing // Frame conceptions and text understanding* / Ed. by Metzger D. – B.; N.Y., P.87.

Sawhill, I. V. and McMurrer, D. P. (1996). “*American Dreams and Discontents: Beyond the Level Playing Field*”.

Schank, R. C., & Abelson, R. P. (1977). *Scripts, plans, goals and understanding: An inquiry into human knowledge structures*. Lawrence Erlbaum.

Schweizer, A. D., & Nikolsky, L. B. (1978). *Introduction to sociolinguistics (for institutes and faculties offoreign languages)*. Moscow: High School. P.153

Shaklein, V. M. (1997). *Linguo-cultural situation and the study of the text*. Moscow: Society of lovers of Russian literature. p.65-126.

Sharifian, F. (2004). *Cultural schemas and intercultural communication: A study of Persian*. In J. Leigh & E. Loo (Eds.), *Outer limits: A reader in communication across cultures*. Melbourne: Language Australia; p. 121--125

Sharifian, F. (2015a). *Cultural Linguistics*. In F. Sharifian (Ed.), *The Routledge handbook of language and culture* (pp. 473--492). New York: Routledge.

Sheigal E.I, Buryakovskaya V. A. (2002). *Linguoculturology: language representation of an ethnos*. Volgograd.

Shelley, M. W. (1818). “*Frankenstein*”.

Slyshkin, G. G. (2004). *Linguo-cultural concepts and metaconcepts*. Volgograd.p.78-83

- Stanley, T. J & Danko, W. D (1996). *“The Millionaire Next Door”*.
- Steinbeck, J. (2009). *The Short Novels of John Steinbeck* [Text]: / J. Steinbeck. – NY: Penguin Classics, – 624 p.
- Stepanov, G. V. (1976). *Typology of linguistic states and situations in the countries of Romance speech*. Moscow: Science.
- Stepanov, Yu. S. (2001). *Constants: Dictionary of Russian Culture*. Moscow: Academic Project.p.694
- Stoetzel, J. (1983). *Les valeurs du temps présent: Une enquête européenne*. Paris: Presses universitaires de France.
- Porter, S. G. (2008). *“The harvester”*.
- The dictionary by Merriam-Webster, (2016). Mass Market paperback, – 960 p.
- Thompson, G. (2007). *Literary Themes for Students: The American Dream*. Volume 2 [Text] / G. Thompson. – NY: Hardcover, – 315 p.
- Tokarev, G. V. (2015). *Quasi-standard as a unit of the linguacultural level*. *Slavisticna Revija*, 63(3),p.276–292.
- Vinogradov, V.A. (1990). *Language situation*. *Linguistic Encyclopedic Dictionary. Soviet Encyclopedia*. p.57.
- Wegner I. (1985). *Frame-Theorie in der Lexikographie*: Untersuchungen zur theoretischen Fundierung und computergestutzten Anwendung kontextueller Rahmenstrukturen für die lexikographische Repräsentationen von Substantiven. – Tübingen, – VIII, 241 p. 143.
- Whitman. (1856). *“By Blue Ontario's Shore”*. edition of Leaves of Grass.
- Wierzbicka A. (1980). *The case for surface case*. Ann Arbor: Karoma, Publishers.
- Wierzbicka A. (1992). *Semantics, culture, and cognition*. Oxford: Oxford University Press.
- Wierzbicka A. (2003). *Cross-Cultural Pragmatics: The Semantics of Human Interaction*. 2-nd edition. Berlin, New York: Mouton de Gruyter.p.21-35

Wierzbicka, A. (2010b). *Cultural scripts and intercultural communication*. In A. Trosborg (Ed.), *Pragmatics across languages and cultures* (pp. 43--78). Berlin: Mouton de Gruyter. p.66

Wiggin K.D. (1903). *“Rebecca of Sunnybrook Farm”*.

Winthrop, J. (1630). *“City upon a hill”*.

Вежбицкая, (1997). *Understanding Cultures Through Their Key Words: English, Russian, Polish, German, Japanese*.

Вежбицкая, (1999). *Семантические универсалии и описание языков*. М., с. 291-293

Влахов С., Флорин С. (1980). *Непереводимое в переводе / под ред. Вл. Россельса*. М.: Международные отношения, с.12

Воробьев В.В. (2014). *Лингвокультурология: монография*. М.: РУДН, с.38-95

Гумбольдт, (1985). *Язык и философия культуры*. — М.: Прогресс, 1985. — 452 с.

Демьянков, В. З. (2001). *Понятие и концепт в художественной литературе и в научном языке / В. З. Демьянков // Вопросы филологии*. - № 1. — С. 35-47.

Зиновьева Е.И., Юрков Е.Е. (2006). *Лингвокультурология: учебник*. СПб.: Изд-во «Осипов», с.49-106.

Зубкова, Я. В. (2008). *Лингвокультурные скрипты в академическом дискурсе / Я. В. Зубкова // Изв. Волгогр. гос. пед. ун-та. Сер. «Филол. науки»*. – № 5 (29). – С. 34–38.

Кереньи К., Юнг К.Г. (1997). *Введение в сущность мифологии // Юнг К.Г. Душа и миф: шесть архетипов*. М., С. 11—210.

Копыленко, М. М. (1997). *Основы этнолингвистики [Текст]: учеб. пособие / М. М. Копыленко*. – Алматы: Ақыл кітабы, с.95-327

Корнилов О.А. (2011). *Языковые картины мира как производные национальных менталитетов: учеб. пособие*. 3-е изд., испр. М.: КДУ, с.4-114.

Лингвистический энциклопедический словарь / гл. ред. В.Н. Ярцева, (1990). М.: Сов. энциклопедия, 685 с.

Планк М. (1966). *Единство физической картины мира*. М.: Наука, с.53

Сепир Э. (2001). Статус лингвистики как науки // Сепир Э. *Избранные труды по языкознанию и культурологии* / пер. с англ. под ред. и с предисл. д-ра филол. наук, проф. А.Е. Кибрика, 2-е изд. М.: Издательская группа «Про гресс», С.192-469

Степанов, Ю. С. (1997). *Константы: Словарь русской культуры*. Опыт исследования [Текст]: учеб. пособие / Ю.С. Степанов. – М.: Школа "Языки русской культуры", с.40-152.

Тарасов Е.Ф. (1996). *Межкультурное общение – новая онтология анализа языкового сознания* // Этнокультурная специфика языкового сознания: Сб. ст. / Отв. ред. Н.В. Уфимцева. – М.: Ин-т языкознания РАН, 1996. – С.7–22.

Триандис Г.К. (2007). *Культура и социальное поведение*: учеб. пособие / пер. В.А. Соснин. М.: с.21

Телия, В. Н. (1988). *Метафоризация и ее роль в создании языковой картины мира* [Текст]: учеб. пособие / В. Н. Телия. – М.: Наука, с.98

Фролова, И.Т. (1987), *Философский словарь* / под ред. 5-е изд. М.: Изд-во политич. лит., с.219

Хроленко А.Т. (2008). *Основы лингвокультурологии*: учеб. пособие. 4-е изд. М.: Флинта: Наука, 40-41с.

Шаповалов, В. Ф. (1999). *Восприятие России на Западе: мифы и реальность* [Текст]: учеб. пособие / В. Ф. Шаповалов. – М.: РАН, – 150 с.

Эйнштейн А. (1967). *Влияние Максвелла на развитие представлений о физической реальности* // Собр. научн. тр. Т. 4. М., С. 134—140.